

714
1943



მნათობი

1

თბილისი
1943


სარედაქციო კოლეგია:

ალიო მუსაშვილი (პრეზ. რედაქტორი)
სერგო ღონაძე
ირაკლი აბაშიძე
კონსტ. გამსახურდია
ილო მოსაშვილი
დენა შენგელაია
კარლო კალაძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/II-43. შეჯ. № 390. უმ 1485. ტირაჟი 4500.

საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ფორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ფორესის ქ. № 5. საბეჭდამი. ტელეფ. 3-04-64.

საქართველო
ბიბლიოთეკა



კავშირების უდიდესი გენიოსი



მცხრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შემქმნელი, სოციალისტური რევოლუციის შემომქმედი, ჩვენი შემდგომი გამარჯვებების სულის ჩამდგმელი და შთამგონებელი — ვლადიმერ ილიასძე ლენინი.

საბჭოთა ხალხი ლენინის გარდაცვალებიდან მეცხრამეტე წლისთავს, ისევე, როგორც წინა წელს, აღნიშნავს ფაშისტ-დამპყრობელთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში. თუ „ლენინის სიკვდილს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უპასუხა კიდევ უფრო მკიდრო დაარზებით ლენინური პარტიის ირგვლივ“, ფაშისტთა მხეცურ ურდოებთან ბრძოლის განსაცდელიან დღეებში მთელი საბჭოთა კავშირი, ამ კავშირში შეშავალი ყველა ხალხი ისტორიაში უნახატი ერთსულოვნებით დაირაზმა კომუნისტური პარტიისა და თანამედროვე კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ამხანაგ სტალინის გარშემო, რომელიც ანვითარებს და ანხორციელებს ლენინის დიად აზრებს და რომელსაც ბრძნული შორსმჭვრეტელობით და უდიდესი გმირის შეუპოვრობით მიგვიყვართ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ უაღრესად რთულ და სიძნელეებით აღსავსე პირობებში.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით განვლილი წლები არის ლენინური იდეების ბრწყინვალე გამარჯვების, ლენინის ანდერძთა განუხრელი განხორციელების წლები. ეს გზა, რომელიც გამოვკატარა ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა და მისი საქმის უდიდესმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა, აღსავსეა უდიდესი მიღწევებით, საბჭოთა ხალხის შრომითი ენტუზიაზმის შეუწყლებელი ზრდით, მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებით, უჩვეულო გაძლიერებით ერთის მხრით საბჭოთა პატრიოტიზმისა, ხოლო მეორეს მხრით სიძულვილისა გარეშე დამპყრობელისადმი. ეს ის გზაა, რომელმაც დიდ სამამულო ომში მიგვიყვანა შეტევითი ბრძოლის გაფართოებამდე და ინიციატივის საბოლოოდ წითელი არმიის ხელში გადასვლამდე.

მეცხრამეტე წელს დიდი ლენინის გარდაცვალებიდან ჩვენ აღვნიშნავთ ისეთ მომენტში, როცა ფაშისტ-დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, როცა რადიკალურად შეიცვალა ვითარება ჩვენს სასარგებლოდ. დღეს თვით ყველაზე გაქნილ და უსინდისო არამხადებს არამხაჯათა შორის აღარ ძალუძთ დამაღონ და

არ აღიარონ წითელი არმიის დარტყმათა სერიოზულობა, თავიანთი აუცილებელი დამარცხების საფრთხე.

ათობით რჩეული გერმანული დივიზიების განადგურება, ჰიტლერის მანდების მოსპობა სტალინგრადათან, ღონზე, ჩრდილოეთ კავკასიანში, გასტევა ლენინგრადის ბლოკადისა და წითელი არმიის ნაწილების შემდგომი მოძრაობა ძლევამოსილი მარშით წინ — მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარას ხდის არა მარტო წითელი არმიის ზღაპრულ სიძლიერეს, არამედ ამ ომში საბჭოთა კავშირის აუცილებელ გამარჯვებასაც.

ლენინ-სტალინის მიერ შექმნილმა წითელმა არმიამ უაღრესად დიდი საბრძოლო გამოცდა ჩააბარა. მან თავისი ბრძოლის უნარიანობით, საბრძოლო ხელოვნებით, თავდაცვითი და შეტევითი ომის, ოსტატობით განაცვიფრა მსოფლიო. არც ერთ არმიას მსოფლიოში არ შეეძლო, და ვერც შესძლო, გამეღებოდა, სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია გერმანიისა და მისი ვასალების სამხედრო მანქანის მოძალებისათვის. მაგრამ წითელმა არმიამ არა მარტო შესძლო წინააღმდეგობა გაეწია, შეეკავებინა, მან გასტეხა კიდეც ეს სამხედრო მანქანა და შეუღვა მის სრულ განადგურებას. დაიწყო ფაშისტური ქვეყნების სამგლოვიარო დღეები. შორს არ არის ის დრო, როცა წითელი არმია თავის საბოლოო გამარჯვებას იღვესასწაულებს. ამის თავდებია ის, რომ ჩვენი წითელი არმია, მთელი ჩვენი ხალხი აღზრდილია ლენინის დიად იდეებზე, შეურყვევად და განუხრელად იცავენ და ანხორციელებენ ისინი დიდი მასწავლებლის ანდერძებს, უყვართ თავისუფალი სამშობლო და მისი დაცვის ინტერესებისათვის, როგორც ამას ლენინი გვასწავლიდა, არარად აგდებენ სიკაცხლეს, თავს სწირავენ დიად საკაცობრიო საქმეს — ვისუფლებისა და სოციალიზმის საქმეს.

ჩვენი წითელი არმიის ძალა იმაშია, რომ ის შექმნილია ლენინისა და სტალინის მიერ, რომ ის ამ დიდ ვენიოსთა სპეტაკი იდეების შთაგონებით, ლენინ-სტალინის პარტიის უწმინდესი დროშით აწარმოებს სამართლიან ომს, რომ მას ხელმძღვანელობს ყველაზე დიდი მხედართმთავარი, რომლის მსგავსიც ისტორიამ არ იცის.

როცა ლენინმა და სტალინმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია მოახდინეს და დაიწყეს ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა, მათ შექმნეს ამ ახალი სახელმწიფოსათვის შესატყვისი ახალი ტიპის არმია, რომელიც თავისი ხასიათითა და მიზნებით სრულიად განსხვავდება მანამდე არსებულ ყველა არმიისაგან. წითელი არმიის ეს თავისებურება პირველ ყოვლისა მდგომარეობდა მის ხალხურობაში. როცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას გარს ეხვია 14 იმპერიალისტური სახელმწიფო, წითელ არმიას უფრო რთულ პირობებში უხდებოდა ბრძოლა. ის ომს აწარმოებდა განმარტობებული, ნაკლებად გაწრთვნილი, ნაკლებად შეიარაღებული, ნაკლებად შემოსილი, ნახევრად მშვიერი, ბურჟუაზიული სახელ-

მწიფობების ნამდვილი ბლოკადის პირობებში. მაგრამ მან მაინც გაიმარჯვა. „გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი ბოლომდე ერთგული და თავდადებული იყო თავისი ხალხისადმი, რისთვისაც იგი უყვარდა ხალხს და მხარს უჭერდა მას, როგორც თავის მშობლიურ არმიას“. მან გაიმარჯვა იმდენად, რამდენადაც ნუნსრედლად ანზორცრელებმა და ლენინისა და სტალინის მითითებებს. ლენინის მითითებით შეიარაღებული და შთაგონებული იგი მიიწვევს წინ ახლაც ვერაფერ ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველი წითელი არმიელი, ყოველი საბჭოთა მოქალაქე, როგორც ამას დიდი ლენინი გვასწავლიდა, შეგნებულად და სინდისის მიხედვით ასრულებს საომარი ვითარების წმინდათა-წმინდა მოვალეობას.

საომარი ვითარების დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძი ლენინის ანდერძებიდან არის ფრონტისა და ზურგის მონოლიტური ერთიანობა, მშრომელთა შეგნებული წასვლა მსხვერპლზე — ყველა საშუალებით დახმარება ფრონტისათვის. თუ არმიას არა აქვს მტკიცე ზურგი, რომელიც ყოველნაირად მხარს უჭერს ფრონტს, გვასწავლიდა ლენინი, იგი განწირულია დასამარცხებლად. საბჭოთა კავშირის ხალხმა, რომელიც ლენინის იდეებზე აღზარდა და გამოაწრთო დიდმა სტალინმა, კარგად შეითვისა დიდი მასწავლებლის ეს ბრძნული მითითება. სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მთლიან სამხედრო ბანაკად, რომელიც ფრონტს ეხმარება და ამარაგებს მაღალხარისხოვანი სამხედრო საჭურველით, სურსათით, ახალ-ახალი ცოცხალი რეზერვებით. ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ზურგი ყველა არმიის ზურგზე მტკიცეა. წითელი არმიის ზურგმა, საბჭოთა ხალხმა თავისი წითელი არმიისათვის ერთგული დახმარების გამო დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მადლობა დაიმსახურა.

ჩვენმა ქვეყანამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ისე მოაწყო თავისი მეურნეობა ომის პირობებში, რომ ფრონტი თავის დროზე და საჭირო რაოდენობით ღებულობს ყველაფერს, რაც აუცილებელია მტერზე გამარჯვებისათვის. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ისე მტკიცე არასოდეს არა ყოფილა, როგორც იგი დღეს არის. ლენინის იდეების ერთგული, იგი დარაზმულია თავისი უსაყვარლესი ბელადის, უმაღლესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ვარშემო და უადრესი სიზუსტით ასრულებს მის ყოველ მითითებას.

არ არსებობს ისეთი სიძნელე, მრავალჯერ გვასწავლიდა ლენინი, რომლის დაძლევაც არ შეიძლებოდა შეუპოვარი შრომით და მტკიცე გადაწყვეტილებით — შევასრულოთ ჩვენი ვალი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, სოციალისტური სამშობლოს წინაშე. მხოლოდ ის იმარჯვებს, ამბობდა ლენინი, ვინც ეყრდნობა ხალხის ნდობას; ვინც საზრდოობს ხალხის ცოცხალი შემოქმედებითი წყაროდან. ლენინი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ხალხის კეთილდღეობის ინტერესებს მოახმარა, გამსკვალული

იყო ხალხისადმი რწმენით. მას არასოდეს არ ეპარებოდა ეჭვი, რომ საბჭოთა ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოში ერთადერთი რევოლუციური პარტია, ბოლშევიკური პარტია, აუცილებლად გაიმარჯვებს. ლენინს უდიდესად სწამდა, რომ თავისუფალი საბჭოთა ხალხი, კაპიტალისტური გარემოცვის მიუხედავად, შესძლებდა სოციალისტური საზოგადოების აშენებას, იგი შესძლებდა თავისი ცხოვრების იმგვარად მოწყობას, რომელსაც შენატრებს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელი, ლენინის ეს რწმენა განხორციელებულ იქნა.

მაგრამ ლენინმა ისიც იცოდა, რომ სანამ ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში, სიძნელებები გარდუვალია, ომი სოციალისტურსა და აგრესულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გარდუვალია. დღეს იქნება თუ ხვალ, რომელიმე მხეცი აიწყვეტს და თავს დაგვესხმება, მოინდომებს რა ჩვენს მოსპობას. ამიტომ იგი გვაფრთხილებდა, რათა ყოველ მოსალოდნელ მომენტს მზად შევხვედროდით. ლენინი და სტალინი აძლიერებდნენ და ზრდიდნენ წითელ არმიას გმირული ბრძოლისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით. მათ მიერ აღზრდილმა საბჭოთა ხალხმა და წითელმა არმიამ, გაუწია რა გამანადგურებელი წინააღმდეგობა ფაშისტურ ურდოებს, უზრუნველყვეს ჩვენი აუცალებელი გამარჯვება.

დღეს წითელი არმია და საბჭოთა ხალხი, ფრანტი და ზურგი აღქურვილია გამარჯვების გარდუვალობის რწმენით, იმიტომ რომ ისინი ანხორციელებენ ლენინის ანდერძებს, იმიტომ რომ შეიარაღებულნი არიან ლენინ-სტალინის იდეებით, იმიტომ, რომ მათ ხელმძღვანელობს დიდი სტალინი, იმიტომ რომ მათი ომი სამართლიანია.

როდესაც ჩვენი წითელი არმია დიდი სტალინის მხედართმთავრობით დასავლეთისაკენ მიერეკება და საბჭოთა მიწაზე სპობს ფაშისტურ მხეცებს, მგზნებარედ ვაისმის დიდი ლენინის გამამხნევებელი მოწოდება:

„ამხანაგო-მუშებო, ამხანაგო-წითელარმიელებო! დასკიმეთ მთელი ძალები! რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, მისდიეთ უკანდახეულ ჯარებს, დასცხეთ მათ, არ მისცეთ მათ არც ერთი საათით, არც ერთი წუთით დასვენება. ახლა ყველაზე მეტად ჩვენ შეგვიძლიან და უნდა დავარტყათ, რაც შეიძლება ძლიერად, რომ გავანადგუროთ მტერი“. (ტ. XXIV, გვ. 516).

ლენინის გარდაცვალების ცხრაშეტი წლისათვის აღნიშვნის დღეს დაემთხვა წითელი არმიის ისტორიული შეტევები მტრის წინააღმდეგ.

ეს მხოლოდ დასაწყისია.

შეტევებითა და წარმატებებით გამხნეებული საბჭოთა ხალხი და წითელი არმია უფრო მეტად გააძლიერებენ თავიანთ დარტყმებს, ისინი უფრო მეტად დასკიმავენ ენერჯიას იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოაახლოონ საბოლოო გამარჯვება.

პიტლერელთა იმედები საბოლოოდ ჩაიფუშა. ახლა შეშინებულ ინტელიგენტებისათვისაც აშკარა გახდა სტალინის ბრძნული პროგნოზების სისწორე, მის მიერ მოცემული შეფასებები ვითარებისა. ეშმაკი ყველა მძლიერი აღმოჩნდა, როგორც მას გვიხატავდნენ. ჩვენს ქუჩებში დასწყობილი დღესასწაულის პირველი საზეიმო დღეები.

გაიზარდა ენტუზიაზმი და აღფრთოვანება ფრონტზე და ზურგში. ყოველ საბჭოთა მოქალაქეს თავისი დანაშოგი შეაქვს საავიაციო და სატანკო კოლონების საამშენებლო ფონდში, რათა ამ დახმარებით უფრო გააძლიეროს წითელი არმიის დარტყმის გამანადგურებელი ძალა, მისი შეტევითი უნარი. ბირად დანაშოგთა შეგროვება ნამდვილ სახალხო მოძრაობად იქცა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი ზურგი მტკიცეა, რომ ის მორალურ-პოლიტიკურად ერთსულოვანია და თანმიმდევრულად ანხორციელებს დიდი მასშავლებლის — ლენინის ანდერძებს.

ჩვენი ხალხის ენტუზიაზმი, რაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ლენინის იდეებისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ბრძნული სტალინისადმი დიდი ერთგულების მორიგ დემონსტრაციას წარმოადგენს, აძლიერებს წითელი არმიის საბრძოლო სტრატეგიას და შობს მის ახალ-ახალ წარმატებას.

წითელი არმიის წარმატება-ვი ჩვენი საერთო სიძლიერის მაჩვენებელია.

ყველა ეს, ერთად აღებული, ფართო შემოქმედებითი იმპულსს ჰქმნის საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის სამამულო ომის ეპოქაში.

ჩვენი წარმატება ფრონტზე და ზურგში დაუცხრომელი შემოქმედებითი შთაგონებით ავსებს ყოველ მწერალს. ეს წარმატება არის დაუსრეტელი წყარო შემოქმედებითი ალტკინებისა, რევოლუციური რომანტიზმისა, პატრიოტული პათოსისა.

მწერალი, გვასწავლიდა ლენინი, ხალხთან უნდა იყოს დაკავშირებული, მის ყოველდღიურ ცხოვრებიდან უნდა იღებდეს შემოქმედებითს საზრდოს. სტალინის განსაზღვრით, მწერალი არის ადამიანის სულის ინჟინერი. და ამ ინჟინერის შემოქმედება ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია დღეს. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ მწერლობის ძალა მდგომარეობს მის ყოველდღიურ კავშირში თავისი ხალხის ინტერესებთან. მწერლობა უნდა ზრდიდეს, მორალურად და სულიერად უნდა აიარაღებდეს ხალხს თავისი ეპოქის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისათვის. იგი უნდა ნერგავდეს მკითხველში საშობლოს სიყვარულს, მტრისადმი სიძულვილს, ბრძოლაში გამბედაობას, შრომის დროს ენტუზიაზმს. ლენინი ამ თვისებათა მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს საბჭოთა ხალხის მწერლობაში, საბჭოთა ხალხის ხელოვნებაში.

საბჭოთა ხალხის მწერლობა, გვასწავლიდა ლენინი, ისეთივე მომქმედი და მებრძოლი უნდა იყოს, როგორც მთელი მისი ქვეყანა.

ლენინის ამ დიადი ანდერძის საფუძველზე ვითარდებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა მწერლობა დღევანდელი სამამულო ომის ვითარებაში. საბჭოთა მწერლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იარაღითა და მხატვრული სიტყვით სამამულო ომში. ისინი ჰქმნიან უკვდავ სურათებს და მხატვრულ პათოსით აღსავსე სიმღერებს, მებრძოლ ლექსებს.

საბჭოთა მწერლობა, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რასაც ის აქამდე აკეთებდა. მან უფრო მეტად უნდა გაზარდოს და ხარისხობრივად აამაღლოს თავისი შემოქმედებითი პროდუქცია.

ლენინის დიად იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მწერლები ყველაფერს გააკეთებენ მტერზე გამარჯვებისათვის.

ლენინ-სტალინის დროში, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წავიდეთ წინ — მტრის საბოლოო განადგურების გზაზე.

გვიყვარდეს საბჭოთა სამშობლო ისე, როგორც უყვარდა იგი ლენინს! მოვახმაროთ მთელი ჩვენი სიცოცხლე ლენინ-სტალინის იდეების განხორციელებას ისე, როგორც მოახმარა დიდმა ლენინმა!

გაუმარჯოს ლენინის საქმის განმგრძობს, ჩვენ ბელადსა და დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

ღ ე ნ ი ნ ი

მუდმივ თოვლით განათებულ,
ზურმუხტოვან ალბებს შორის,
სად თვალივით ჩაქედილა
გამჭვირვალე ტბა მთა-გორის —
სადაც, წყალთა ლაყვარდებზე —
შიირხვეა ხეთ ბანაჯი —
იქ ერთმანეთს სხვადასხვა მხრის, —
ხვდება სამი ამხანაჯი.

სამივენი — ქამთ სიავით
მოწყვეტილნი მშობელ მხარეს —
გამოხვეწის დღეებს სთვლიან —
უსულგულოდ მიმდინარეს.

ხალხთა ბედი, საქმეთა სელა,
და ცხოვრების დღეთა ღვარი
არ ასვენებთ... და ამაზე
არის მათი საუბარი.

რომ სიმართლე იმალება,
რომ ბორკილის მეფობს დალი,
რომ სიცივის და შიმშილის
აღმართულა ბაირალი.

„იქ ცოლი და შვილი დამრჩა, —
ამბობს ფრანგი ამხანაჯი —
გული მეწვის, მაგრამ არ-რას
არად ვიმჩნევ, როგორც ფრანგი.

ჩვენს საერთო საქმეს ქალი
არასოდეს არ გადუხრის,
შვილი მხნე და მედგარია,
უმართლობას ქედს არ უხრის.

გულით ლომებრ მაგარია,
სულით მზეებრ მშვენიერი,
დროშას არვის არ დაუთმობს, —
აი, რით ვარ ბედნიერი“.

„რეინთან კი, სად ბუნება
ნაზია და ნელზე ნელი,
სად კოშკებსა და ნანგრევებს
ვერ სთვლის — ამბობს გერმანელი —



სადაც კაცთა ბოროტებას —
 ხსნის თქმულება და ზღაპარი,
 სადაც ბარონს, გრაფს და ჰერცოგს —
 დაპყრობილი აქვთ მთაბარი,
 სადაც დღე-ღამე, მონობაში
 შრომობს ხალხი, ქმნილი მტრობად,
 აღნობს რკინასა და ფოლადს —
 ყოველ ქვეყნის დასაპყრობად“.
 სიტყვა უმძიმს იტალიელს:
 — მე შვილი ვარ ქვეყნის კალთის,
 სადაც როსმე შრიალებდნენ
 მძლე დროშები გარბიბაღდის!
 შეიცვალა იქ დღეს ხალხი
 და სისხლსა ღვრის ავზე-ავად
 მილიონერ ავაზაკთა
 და სიბნელის დასაცავად!
 თავისუფალ დროშის ნაცვლად
 არის ციხე და გალია,
 იტალია მეცოდება,
 მშვენიერი იტალია!
 მასზე კენესის გული ისრით —
 ორად შუა-გაპობილი,
 რომ იქ არ ვარ მეც ამეამად,
 აი, რით ვარ კმაყოფილი!“
 მაშინ სამშა ამხანაგმა
 დაიძაბა: „არის ერი,
 ყოფნა ჩვენი მას ეკუთვნის,
 აი რით ვართ ბედნიერი.
 ეხლა იგი ბრძოლის ცეცხლის
 გრიგალშია გახვეული,
 ბევრზე-ბევრი, სულ უცნობი
 აღსდგა გმირი და რჩეული,
 ჩვენც მათთან ვართ, ჩვენც ბრძოლისკენ,
 მოგვიწოდებს დიდი ლენინ,
 თვითონ დიდი ლენინია
 მშობლიური მხარე ჩვენი.
 ლენინ, დიდო ამხანაგო,
 სანატრელი და ძლიერი,
 სტალინს მიაქვს შენი დროშა,
 აი, რით ვართ ბედნიერი!“

შეხვედრები ბრძოლის ველზე

1. ბუმბურაული

ყრუდ, ბალყარეთში, დაბინდებისას
შიიძინებენ მთებიც ნაბდებით...
და, ვით ერთგულნი იმავ მთებისა,
ჩვენც იქვე ცის ქვეშ დავბინავდებით.

გესმით? შრიალებს მხოლოდ ჩრდილნარი,
ღრუბელთა ჩუმი სვლაც გავიგონოთ!
ბნელი სდღმს. შორით ჩამომდინარი
ყურში გვიშხვის ბაქსანი მხოლოდ.

აქ დავიღამოთ. აღარსად მივალ,
ცხენს ზელის დაკვრით მეც ვეფერები.
ეწეებით. სასთუმლად მოხვეჭილ თივას
თავს აფარებენ რევოლვერები.

მოქანცულები ვართ უძილობით,
ნაბადს ვენდობით კვლავინდებურად.
ეწეებით. გარშემო ჩვენთვის უცნობი
მიდამოები გარინდებულან.

ლითქოს ცა ფიჭრებს უდარაჯებდა —
სამხრეთისაკენ დასძრა ღრუბლები,
ღამით ოჯახში მისვლა დაგკრემდა
და მეც ჩემს გულდას ვესაუბრები.

თითქოს შორეულ ცისქვეშ არ ვიყო,
ბნელში გულისთქმა არ დამარხულა —
წყვილიაღმა უხმოდ კარი გამიღო
და ნატურისთვალი ბედად მარგუნა.

ეფიჭრობ მიუფჩდა მდინარის ტალღაც,
ეფიჭრობ ვარსკვლავიც ღამეს არ ათევს...
მაგრამ, სწუხს მიწა და საიდანღაც
მთებს აღისთვალი შემოანათებს!

აფრინდებიან შთები ნაბდებით,
მაშინ წყევდიადიც მათი ფრთებია! —
და სინამდვილის წამით ვნათლები...
წამით კი ისევ გარინდლებიან.



მოწყენით სდუმან კვლავ მწვერვალები,
მაღალნი, როგორც ვაჟა აგვიწერს.
ღამეა. სადღაც ბნელს ვეფარები,
ღუმილით მაინც გამომაღვიძეს!

ისე ქუხილმაც ვერ შემაფიქროს,
ვით ბნელმა უხმომ, უახლოესმა! —
უთუოდ უნდა ძილი გამიქროს:
მღუმარებაში კენესა მომესმა.

ავდექი უმაღ. სულ ოციოდე
ნაბიჯის იქით მდგარა ფარდული,
თურმე ლანდები შიმოდოდენ
და მოისმოდა მათი ქართული.

ზმას გაოცებით მივხედე იქაც,
ბრმად ავედევენე ღამეში ლტოლვილთ,
ფარდულში იწვა დაჭრილი ვიღაც,
თავს დაპნათოდენ სანთლები თრთოლვით.

ეხლა მეორემ ითხოვა შეველა
და შემოიჭრა მკლავმოწყვეტილი.
მესამე უხმოდ მოჰყავდათ ნელა
და არც კი აჩნდა ტყვიის წერტილი.

მოვშორდი ფარდულს. და ისევ ბნელი
თვალბედითივით შემომეფეთა...
თითქოს გუმანით გვეძებდა ხელი
აქ, თვალბედათხრილ შურისმგებელთა!

სიკვდილი დაძრწის ბაქსანის პირად!
კვალზე-ღა ვამჩნევ პირისპირ მდგარი.
ერთს გაემსჭვალა გულგასაგმირად,
მეორის ხარბად მოჰვლიჯა მხარი.

მისი ხმა ძილში ესმით მძინართაც, —
გამოსცდა კლდეებს უდარიალოს...
და ბნელში განგებ გაუჩინარდა,
სატევარივით სურს იტრიალოს!

ნუთუ მთებმისთვის ეგ სულერთია,
ვაქაცის გულიც უჩანთ არაზად
და მხოლოდ ალვის ფოთლები თრთიან
უხერხულობის დასაფარავად?!



არა. მებრძოლთა შეძახილს ვისმენთ,
მთებსაც განაბულ სივრცის არ სჯერათ, —
იციან, ომში რომ ვიგულისხმეთ
თავისუფლების გადასარჩენად.

ისევ და ისევ, მდინარის გაღმა
მისწყდა ყივიანის ხმა უცაბედი.
უკანასკნელად გაპყვესა ნალმმა
და კლდე აბოლდა, როგორც აბედი!

შუქით ხევს წარბი აუთამაშდა,
ძლივს დაიმშვიდა გული აულმაც.
ეუცქერდი შორით, მაგრამ, ანაზღად
მიპოვნა გახა ბუჭურაულმა.

იცნობდით გახას? ვაქაცო იყო,
ჯგუხა და ოღნავ სახეწითური,
ფრთების ცად გაშლას ლამობდა თითქო,
როცა შესძრავდა მხრებს მედიდური.

გახას ჰმართებდა მარად სიმარდე,
ქედი მოვლილი ჰქონდა ფეხითა.
ხანჯალი, ხელის გულის სიფართე,
ხელყუმბარების გვერდით ეკიდა.

მიპოვნა გახამ აქ, როგორც ვწერდი,
ხელით ჩემს გაშლილ შკლავს დაებჯინა.
— ნახეთ, — მითხრა, — დაქრილი ერთი,
მინდოდა სიკვდილს გადამერჩინა!

„დავიწვი მისი სიბრაალუღითა,
ძალა მომეცა არ არსებული.
შორით რომ ხედავ, იმ აულიდან
ვატარე ხელით ატაცებულნი!“

თქვა და შეეკრთეთ ისევ ფარღული,
ჩვენი შეკრთომაც ვერ დაუფარეთ —
ვნახეთ: ლანდები მხრებამართული
დასჩერებოდენ სანთლებს მღუმარედ.

მათ წინ არ იწვა არც ბაღყარელი,
 არც ჯარისკაცი ვინმე, არამედ —
 ვით საალერსო და საყვარელი
 ჩნდა მისი ტანის სიპატარავე.



— ალბათ რამდენი ვაება ნახა,
 ვიდრე ამ ქედის კარს მოაღწევდა...
 ვერ დავიფარეთ.. — ჯავრობდა ვახა
 და შავ წარბებზედ ეხატა სევდა.

სანთლებს კი ცრემლი სდიოდათ თითქო,
 კრთოდა წამწამი მათი თვალისა, —
 და ლანდებ შორის ოქროსფრად იყო
 განათებული ტანი ქალისა.

მე ეხლაც მახსოვს მისი მკლავი და
 პეპელასავით მითროღვარე ალი,
 მკლავზე ნესტარით აცრილ ყვავილთ
 ბავშვობის დროის მიმჭრალი კვალი.

მე ეხლაც მახსოვს: შეუბურველი
 ის როგორც დალი, როგორც ღვთაება,
 ვაჟკაცთა ფერხთით არას მსურველი
 ძილს ეძიებდა და უკვდავებას!

მიიმედ სუნთქავდა, როგორც მძინარი,
 თან გვიცქეროდა, წყალიც დალია.
 მსურდა მეკითხა: — მაინც ვინ არა?
 და წამჩურჩულეს: რუსის ქალია.

— მოკვდება — უცებ სთქვა დოსტაქარმა,
 ცივად რკინებზეც გაიჩხრიალეს.
 და თითქოს წამით ფრთა გაჰკრა ქარმა —
 შესცივდათ ჩრდილებს, მაღალმხრიანებს!

მეჩერებოდით მკედრული სიჩუმით
 თვალს კარგსა და უკვე დაქარგულს —
 და მაინც ოქროსფერ აბრეშუმით
 სასიყვარულოდ წამწამ-დაქარგულს.

ლიად რჩებოდენ თვალი წამწამები,
 ქირისუფალი არ დასტიროდათ,
 კაცკასიამდე მოსულთ წამებით
 შორი ბალტიის სანაპიროდან.

მაშინ სანთლებმაც დაკარგეს ფერი
და შემოიჭრა სინათლე მზისა! —
თვალეებს აღმოხდათ ნათელი წრფელი,
ამოშრენ, როგორც წვეთები ცისა...

ჩვენ გაგვიტენდა დილა გვიანი,
მას კი — საბრალოს არცინ ახარა:
რომ აქ, ფარდულში, ოქროსთმიანი
შემოიყვანეს მისი პატარა.



ჩვენ გაგვიტენდა დილა... დაიძრა
საიერიშოდ ჩვენი ჯარები,
არტილერიის სუნთქვამ დანისლა
ქვით ჩახერგილი დარიალები!

ფოლადით კლდეებს არ სტეხდა განა,
მტერი ვერაფი და მოსისხარი!
მაგრამ კლდეები აქ ისევ დგანან,
დამსხვრეულ ფოლადს ხედება ცისკარი.

ფოლადის ნაცვლად მთის ბარიკადებს
ფოლადური მცველად ჰყოლია!
და გამარჯვებას მეც დაეიქადებ,
თუმცა ამ დილით არ მიბრძოლია...

მიუყვები ცხენით ბაქსანის ფერდობს,
მიიქუხს მდინარეც ხმალთა ხმაურით!
და უცებ ნახვით მათცებს ერთობ,
აქ ისევ გახა ბუჭურაული.

თვალი უღიმის იმედიანი,
სახით კი ისევ ისე მკაცრია.
პატარა ბიჭი ოქროსთმიანი
მკლავებით გულთან აუტაცნია.

— რაო, რად მიხვალ, ბუჭურაულო,
არ გაცამტვერდა განა აული?
— მინდა ამ ბავშვის სასიხარულოდ
შევცვალო ომის დანაშული...

თქვა და შეეტყო ხმის ათრთოლება,
მთები მანიშნა, — ვგზავნი იქაო.
— იქ ჩემს მალხაზებს ძმად ეყოლება,
იზარდოს, მათთან იფარიაკოს...

თქვა: გავუმართლებ დედის იმედებს
და შეიბურებს ფრთა არწივისა,
ჩვენ შავი კლდეც კი არ გაგვიმეტებს
ამ უკანასკნელ თავგანწირვისას...

დე, მან ხელახლად აიღვას ენა,
 ნიავე მოხვედეს გულს იქაური...
 ისწავლოს კლდიდან კლდეებზე ფრენა
 და ბიჭი იყოს ბუქურაული.



2. ბარამანელთა ბენერლის სიკვდილი

შემომეგება უცხო ფინია
 ტოტენდალეწილ ბალის კარებთან,
 იგი ხომ ალერსს შინდობილია,
 ფარაჯის კალთებს თავს აფარებდა.

როგორც გულისთქმა — ისე ყუმბარაც
 მტრის წინააღმდეგ ერთი ყოფილა, —
 და განწირული დასაღუპავად
 კარიბჭეები ძირს დამხოვილან!

იქვე, კედელთან ტყვეები იდგენ,
 იხედებოდენ წარბების კრთომით, —
 სიტყვით მათ სახეს ვერ წარმოიდგენ
 განადირებულს მძვინვარე ომით.

იდგენ მოხრილნი. ყრულ მობაასეთ
 ძარღვი უკრთოდათ ჭროლა თვალებთან.
 კოშისრის ყოველ მხრის შერხევაზე
 ბეჭებში ცივად აზრიალებდათ.

წამით აქ მათი ბინა ყოფილა,
 აქ, სადაც ეხლა მხოლოდ ქვებია!
 გენერალს მკერდზე ხელდაჭდობილად
 ჩვენზე ოცნება უსურვებია.

აღუდგა თვალწინ მას კავკასია,
 ესმოდა კიდევ მთების ქართული...
 და ეს ფინიაც იმის ხასიათს
 ახლდა ჩრდილივით გამოხატული!

თუმცა მიზანი იპყრობდა ერთი, —
 იმედოვნებით ვერ დაუფარავს...
 და შორი მთების ქუხილით მკერდი
 გაუგლეჯია პირველ ყუმბარას!

ამ ქვეყნად ძვლებიც არ დარჩენია,
 ვეღარ დამარხონ ზარების რეკვით.
 თითქოს განგების განაჩენია,
 რომ სამახსოვროდ დასტოვა ლეკვი.

ფინიას თვალზე არ მოსდის ლული,
 კაცმა კი ისიც უნდა აჰკუწოს! —
 როგორც მიწაზე გართხმული სული,
 ცდილობს ჩემს ჩექმებს მოელაჭუცოს...

ღაოგდეგუდ ბავშვებისათვის

ო, ეს გოგონა! ეს ბიჭუნა! ო, ეს სიშიშველე!
მტრისგან თელილი იაფარად ოჯახი თბილი —
მიულერსეთ, ანუგეშეთ, ეძმეთ, იშვილეთ,
და რაც სიმწარე განიცადეს, აგემეთ ტკბილი.

მტერმა წაართვა მათ დედ-მამა, სახლი და კერა,
თალხით შემოსა მათი ქვეყნის ბრწყინვალე ღამე.
თქვენს მაჯისცემას შეუერთეთ ეს გულთა ძგერა, —
ო, მოუარეთ, ანუგეშეთ, უთხარით რამე!

ყვავილებს ჰგვანან... აქ გაღმორგულ პატარა ნერგებს,
შშობლიურ ნანად დე შეერგოთ ეს მზე, ეს სივრცე.
მიულერსეთ, მოუარეთ და ჩაუნერგეთ
უშიშროება, გულადობა, სიმხნე, სიმტკიცე.

ჩვენო ბალებო! გაუწიეთ დობა და ძმობა,
ნუ იქნებიან ჩვენში ობლად დაჩაგრულები!
დე, ერთმა ძალამ, — ბავშვების და საშობლოს ტრფობამ, —
შეაკეშიროს თანაგრძნობით თქვენი გულები.

დიადი რისხვის წმინდა გრძნობამ დროშა აღმართა!
უმანკო ბავშვთა სისხლი გვიხმობს ზღვად მოკამკამე.
გადააფარეთ, მეგობრებო, ქართული კალთა,
ო, მოუარეთ, ანუგეშეთ, უთხარით რამე!

396 / 119885



საქართველოს
ბავშვების
გრიშაშვილი
ბიბლიოთეკა

სიბოტხისათვის

რომანი

1.

ივლისის თაქარება ენთო მიწაზე. მეორე დღე იყო მიჰქროდა მატარებელი. რბილი ვაგონის ერთ-ერთ კუბეში იყვნენ ისინი: ორი მეგობარი, ორივე სამხედრო. ერთი მათგანი, შავგვრემანი ჭაბუკი პირალმა იწვა, ვერაფერს ვერა ხედავდა, თუმცა თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, — ხედავდა მხოლოდ იმას, რა სურათებიც იშლებოდნენ გონების თვალწინ.

სახეზე ხელი დაისვა. წამოზრდილი წვერი მოხვდა ხელში და გამოფხიზლდა:

გუშინ დილით დასტოვა თბილისი, სამშობლო ქვეყნის დედა-ქალაქი, ესლა კი საერთო სამშობლოს დასავლეთის საზღვრისაკენ მიჰქროდა.

მეორე — ისიც შავგვრემანი, მხარბუჭიანი ჭაბუკი — თანჯრიდან თვალუწვდენ ველებს მისჩერებოდა. თითქოს რაღაც ტკბილ მოგონებებს უშლიდნენ ეს თვალუწვდენი ველები. ხანგამოშვებით მის ოდნავ გაღებულ ტუჩებს შემჩნევლად ღიმილის სიო გაუქროლებდა.

ვინ იცის, რას უღიმოდა ჭაბუკი, რა მოგონებებს უერთებდა ამ ველთა სურათებს?

თითქოს ნაცნობი იყო ეს სურათები, თითქოს უცნობი.

ამ სურათებში ბავშვობის მოგონებები ახელდნენ თვალს, ახლა სხვა სიმღიერთი იღვიძებდნენ იგივე გრძნობები და ყველაფერი არაჩვეულებრივად გრანდიოზულ სახეს იღებდა.

ხუთი წლისა იყო, როცა ამ გზაზე გამოიარა. დედას მოჰყავდა სამშობლოში, თუმცა სამშობლო მას არ ახსოვდა.

„სამშობლოში ვბრუნდებით, შეილო“, — ეტყოდა დედა და სიტყვა „სამშობლოც“ გაუგებარი იყო ბავშვისთვის.

„რატომ სხვაგან უნდა იყოს ჩემი სამშობლო?“ — ფიქრობდა ბავშვი და ამ კითხვის პასუხი ვერ ეპოვნა.

სტოვებდა მოსკოვს, ნაცნობ ადგილებს, პატარა მეგობრებს, სამშობლოში მოჰყავდა დედას, და სიტყვა „სამშობლო“ უცხოეთს ნიშნავდა მისთვის.

ვინა სამშობლო იმ მხარეს არ არის, სადაც მან პირველად დაინახა ქვეყანა, სადაც პირველად დადგა მიწაზე ფეხი, გაიარა, ენა ამოიდგა?

მოსკოვზე ფიქრმა ელვასავით ჩაანათა მის სულში, ვით ჩირაღდანი აანთო ბავშვობის ძვირფასი მოგონებები და რაღაც სიმწვავე იგრძნო ახლა: მტერი

მიიწევს მოსკოვისაკენ, იმ გულისაკენ, რომელიც ბავშვმა ხელთუქმნელ ძეგლად დასტოვა შორით, მაგრამ რომელიც გულში ჩარჩა. ამ ძეგლის/შუქი მუდამ თან ახლავს. შორს არის იგი, მაინც თან ახლავს. *ერეკენული*

— ვახტანგ, ვახტანგ! — მოესმა ამ დროს მეგობრის ძაბვლიან/ხმაბლიც კუბეში პირაღმა იწვა და სულ სხვა ფიქრებს ასდევნებოდა: — სად იცქირები, არ დაიღალე? სულერთია მატარებელს ვერ ააჩქარებ.

ვახტანგი მიბრუნდა.

რამდენი სურათი და მოგონება ჩასახულიყო და ენთო მასში! ცოტა ხნით უსიტყვოდ უცქირა მეგობარს, მერე ძლივს მოაბრუნა შორს წასული ფიქრები და გაიღიმა:

— მე, ძმაო, ეხლა, ძალიან შორს ვიყავ. გუშინდელი და დღევანდელი დღე გულს დაეჯახა. გუშინდელი — ჩემი ბავშვობის მოგონებაა, დღევანდელი — ეს ჩემი სიკაბუჯეა, მაგრამ იმ ბავშვსა და ამ ჭაბუქს ერთი ხმა აქვთ.

— ვახტანგ, ჩვენი გზები აქვე შეერთდნენ და ამ გზას, ვით ლიანდაგს მატარებელი, მივყევართ შორს, — მიუგო მირზამ, წამოდგა და ტანტზე დაჯდა. — განა, ძმავე, როცა სამხედრო სკოლაში ესწავლობდით, ამას არ ველოდით? მაგრამ ერთი რამ მაღელვებს, ვახტანგ: რა ძალას მივითვანთ? ერთ ტყვიას შეუძლიან წააქციოს ადამიანი, მაგრამ საქმეც ის არის, თუ ვინ დაასწრებს. სიციცხლის ფასი უნდა ავწიოთ, აი რა მაღელვებს.

ვახტანგი კედელს მიეყრდნო, თავზე ხელი გადაისვა, პაპიროსს მოუკიდა, გააბოლა.

მალა რგოლებად ასულ ბოლს მიაჩერდა.

ამ რგოლების თანაზომიერი მოძრაობა სიმშვიდეს ჰგვრიდა.

— ვახტანგ, დაიწყე, ძმავე, შენი ჯერია! — კარგა წნის შემდეგ განაგრძო მირზამ. — გუშინ ზომ შეგვიქცია ხევსურმა: საინტერესოდ ჰყუებოდა თორღვაი: როგორ ავიდა კულტურა მთაში, ვინ გააღვიძა, ვინ აამაღლა, ვინ დაადამბლა. შენ ლიტერატორი ხარ და უკეთ იტყვი. თუ ისტორია დაგჭირდეს, მე დამიძახე. მოჰყევი თვით შენს ცხოვრებას: როგორ იზრდებოდი, რა გახარებდა, რა გალონებდა, რა გაღელვებდა. ახლა სულ სხვა ცხოვრებაში შევდივართ, სხვანაირი განცდები და ყოფა გვეწყება. რასაც ვნახავთ და გადავიტანთ, ამას სხვა იტყვის.

ვახტანგმა ერთის გადახედვით თვალი გადაავლო მთელ თავის ცხოვრებას, იგრძნო, მეგობარი მართალს ამბობდა, მართლაც, განსაკუთრებული ცხოვრება იწყებოდა ამიერიდან და რადგან დროც იყო, დაებადა სურვილი, ერთხელ კიდევ, ეხლა უკვე სიტყვებით განეცადა საკუთარი ცხოვრების ნაწილი.

ყველაფერი განვლილი უკან რჩებოდა, მაგრამ თითქოს ენანებოდა, არა სურდა გაჰყოლოდა მას, უნდოდა თან წამოეღო, გულში უფრო ღრმად ჩაეშარხა.

წამოდგა, ვახედა სიყვითლეშერეულ, მოლურჯო ველებს.

უცქირა, თითქოს ძალას იკრებსო და მერე დაჯდა.

— ყველაფერ ამას მე ვხედავ ახლაც, თვალწინ მიდგას, არც მინდა, რომ მოვიშორო, საკუთარი გულივით მიმყვება თან... მხოლოდ ზოგ რამეს გეტყვი იქიდან, რასაც ჩემზე ბავშვობიდან განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. — წარმოსთქვა ვახტანგმა და ასე დაიწყო:

2.

ჩვენ დრო არა გექონდა გვესაუბრა ასეთ ამბებზე. ბავშვობა მახარებდა, ის დრო, როცა ახლად გაშლილი ყვავილივით ამ ქვეყნისათვის ჩვენს ყვავი-
ყველაფერი პირველად მეცნობოდა, მეც პირველად ვეცნობოდი სველიანობას.
თუმცა რაც დრო მიდიოდა, ყველაფერს ხელახლა ვეცნობოდი, ყველაფერში
ახალ შინაარსს ვხედავდი და ეს გამოცნობა ახლაც გრძელდება. ალბათ, ასეა:
ადამიანი სიკვდილის დღემდე აგრძელებს ამ გამოცნობას, ახალი თვალთ,
ახალი გულით, ახალი აზრით ხედავს, განიცდის, შეიცნობს ყველაფერს.

ამის მავალითია ჩემი ცხოვრებაც.

დავიბადე საქართველოში, მაგრამ საქართველო მაშინ არ მინახავს, ჩვილს
არ შეეძლო დაენახა ის. შეგნების თვალის მოსკოვში გვახილევ. რაც არ ვი-
ცნობდი (ჩემს ბავშვობაზე თუ მშობლებზე), შემდეგ გავიგე და ჩქარა შევქმენი
წარმოდგენა საქუთარ თავზე:

საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, ვინა ვარ.

ამის შემდეგ თითქოს გადაიწმინდა ბურუსი.

მაგრამ ისევ თავიდან სჯობს: ბავშვობიდანვე ბედნიერ შემთხვევად
ესთვლი და ახლაც მახარებს, რომ მე და თვითონ დიდი რევოლუცია ერთ
დღეს ერთ დაბადებულნი. ოცდაოთხი წელი სრულდება ერთად მოვდი-
ვართ. იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა რევოლუცია და თითქოს მეც ასე ვიზრ-
დებოდი, ვაჟკაცდებოდი. განსხვავება ის იყო, რომ რევოლუციამ, ვით ახ-
ლადშობილმა ბავშვმა, პირველად რუსეთის გაყინულ, მაგრამ უკვე თავისუ-
ფალ მიწაზე დაადგა ფეხები, ხოლო მე საქართველოს, ჯერ კიდევ თბილ,
მაგრამ ტყვედქმნილ მიწაზე.

მამა მასწავლებლად ყოფილა გურიის სოფელში. მოსულან, შეუბყრიათ და
რევოლუციის სამშობლოში ეტაპით გაუგზავნიათ: „იხზოვრე იქ, სადაც შენ
მოგწონს, აქ კი ჩვენ ვართო“, მოახსენეს და მოიშორეს.

ერთი წლის შემდეგ დედაც მოსკოვში გამგზავრებულია მამასთან და მეც
თან წავუყვანივარ.

იშვითად ვხედავდი მამას.

მაგონდება: თითქოს ტყავის ტანსაცმელი ეცვა.

ამიყვანა, მხარზე შემისვა, გამატარა და მახტუნავა. ვიცინობდი, ვხითხი-
თებდი გაუთავებლად. ბოლოს მაგრა მაკოცა, დამსვა ლოგინზე, დედაჩემთან
მივიდა და მოეხვია.

შემდეგ მამა შეჩერდა კართან, უეცრად მოიხედა, მერე გაბრუნდა, სწრა-
ფად გავიდა...

შეენიშნე, დედას ცრემლები წასკდა თვალთაგან.

მე სიცილის ხასიათზე აღარ ვიყავი. გულს მომხვდა დედის ცრემლები და
მოვიწყინე.

იმ დღეს პირველად ვიხილე დედის ცრემლები და პირველ ჰრილობად
ჩამრჩა ეს გულში, რაღაც მძიმე არ მშორდებოდა, გულს აწევბოდა და ესლუ-
კუნებდი.

იმ დამეს დედასთან დაფეწქი, თავი დედის უბეში ჩავმაღე: რა შეედრება
დედის ტკბილ უბეს?

3.

მეგობრები მყავდა იმ სახლში. ყველაზე კარგად და-ძმა მითია და მარია მახსოვს.

მე და მითია ტოლები ვიყავით, მარია კი ჩემზე უმცროსი იყო.
— ლენინი! ლენინი! — ყველას ეს სიტყვა ეკერა პირზე.

ჩვენც ძია ლენინზე გვეონდა ბაასი და ეს საერთოდ საყვარელი სახელი გვესმოდა ყველგან. ვცდილობდი დაგვეხატა ლენინის სახე და ურთიერთს გეჯიბებოდით.

ერთხელ აივანზე ვიყავით ბავშვები.

თბილოდა გარედ და გვიხაროდა.

ვილაც თოფიანი მოვიდა.

დედა ოთახში შეუძღვა სტუმარს. ცოტა ხნის შემდეგ ტირილი მომესმა.

ბავშვებს სათამაშოები დაგვიცვივდა ხელიდან.

ის კაცი ბინიდან გამოვიდა და სწრაფად წავიდა.

ბავშვები შიშმა შეგვიპყრო. ცოტა ხნის შემდეგ ფეხაკრებით შევედი ოთახში. ჩემი პატარა მეგობრებიც ასევე ფეხაკრებით მომყვებოდნენ.

დედა ლოგინზე ეგდო პირადმა და ქვითინებდა.

მივეპარე, ლოყაზე ხელი მოეუსვია. სისველე ვიგრძენი. დედაჩემი შეკრთა, წამოიწია, თითქოს ვერ მიცნო, მომაჩერდა, შემდეგ ცრემლიან თვალებზე ხელები მიიფარა და შეგუბებული ხმით ტირილი განაგრძო...

მინდოდა მეც დამეწყო ტირილი.

დედის კალთას ჩაეჭიდე ხელი და ზედ თავი დავადე.

— შეილო! — წამოიძახა დედაჩემმა და ამიყვანა.

ვერ გავერკვიე, გონს ვერ მოვედი.

შემდეგ უცერად გავაღე პირი და გავაბი ტირილი.

მეზობლები მოგროვდნენ. ისინიც ტიროდნენ, მამის სახელს იძახდნენ...

ეგრძნობდი, მთელი ის-საშინელება მაშაჩემს შეეხებოდა, მაგრამ რა უნდა მოსვლოდა მამას, ეს არ ვიცოდი.

დედაჩემმა დასძლია ცრემლებს, მაგრამ ჩემი დამშვიდება უფრო ძნელი აღმოჩნდა.

ჩემი ამგვარი ტირილი ჩემს მეგობრებს ჯერ არ ენახათ, და სტიროდნენ ისინიც.

მხოლოდ მაშინ შევწყვიტე ტირილი, როცა მამიჩემის სურათი მიჩვენეს. სურათში ისე ვხედავდი მამას, ვით სინამდვილეში და ხმა ჩავიკმინდე...

აღარ სტიროდნენ, მხოლოდ მე მომჩერებოდნენ.

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა.

დედაჩემი სამსახურიდან უჩვეულოდ აღფრთოვანებული დაბრუნდა, მამიჩემის სურათს დახედა, უხმოდ ვადმოყარა ცრემლები, მოვიდა ჩემთან, ამიყვანა და ტახტზე დამსვა.

— შეილო, ჩვენს სამშობლოსაც ეღირსა თავისუფლება...

ორი წელი გავიდა. დედაჩემმა შეკრა ბარგი, მიმიყვანა ჩემს მეგობრებთან, ურთიერთი დაგვაკოცინა, თვითონაც დაკოცნა ბავშვები, გამოემშვიდობა მეზობლებს, ჩამსვა მანქანაში და გამაქროლა...

ბოლოს ერთ დაბალ სახლში შევედით (მატარებლის ვაგონი სახლი მეგონა). როცა ამ სახლმა გუგუნნი დაიწყო, გაკვირებულმა შევძახე დედას:

— დედი, სახლი მიდის? მერე სად მიდის?

— შენს სამშობლოში, — დაჯერებით მითხრა დედამ და გამიღმეხული

— სამშობლო სად არის, დედი?

— სადაც შენ დაიბადე და აღარ გახსოვს.

— მერე რატომ არ მახსოვს, დედა?

— პატარა, სულ პატარა იყავი, ჩვილი, თვალს ძლივს ახელდი, არაფერი არ გესმოდა ქვეყნად.

როცა ამ ლაპარაკში ვიყავით, ფანჯრიდან შევნიშნე, რომ სახლები დაფეთებულნი გარბოდნენ უკან.

შემდეგ სახლები სულ უკან დარჩნენ. ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა. გული ჩამწყდა:

მიტია და მარია ახლა უფრო ცხადლივ დამიდგნენ თვალწინ. ყველაფერი, რაც ჩემი ბავშვობის პირველ თვალს ენახა, საღვთო უკან რჩებოდა.

მოვიწყინე, კინალამ ავტირდი, მაგრამ ჩქარა ტყეში შევედით და მთელი ყურადღება ამ სურათმა მიიპყრო. მოსკოვის ბაღებში დაეყავი დედას, მაგრამ ასე ერთი მეორეზე მიწყობილი ხეები არ შემხედრია.

ხეები, მდინარეები...

დავიღალე, თვალმა ვერ გაუძლო სივრცეს, მეხუტებოდა. ყველაფერი სიზმარი მეგონა.

მეორე დღეს უფრო მხიარულად ვიყავი: ვპყვივოდი, დავებოდი პატარა სახლში, რომელსაც დედამ ვაგონი შეარქვა.

ნეტავი სად თავდება გზა, სად არის ბოლო? სად არის თვითონ ჩემი სამშობლო?

ასეთი ფიქრები სცვლიდნენ ერთმანეთს.

რამდენიმე დღე ირბინა მატარებელმა.

გაჩერდებოდა, სულს მოითქვამდა, ისევ გარბოდა.

...დილით, უჩვეულო, თეთრი ღრუბელი შევნიშნე ცაზე. ასეთი ღრუბელი არსად მენახა, ხელი გავიშვირე და დედას შევძახე:

— შეხე, დედი, როგორი ღრუბელია! რატომ არის ასეთი თეთრი?

დედამ ფანჯრის რაფაზე დამსვა და მითხრა:

— ღრუბელი კი არა, შენი სამშობლოს მთებია, შვილი.

მთა გამეგონა, თუმცა არ მენახა.

მთა და სამშობლო ერთად მომესმა. მაშინ ვიგრძენი ამ სიტყვების განუყრელობა, რაღაც მთლიანობა, საერთო შინაარსის არსებობა მათ შორის. თუმცა ამ შინაარსის აზრი მე არ მესმოდა. გავიფიქრე:

„ეს რაღაც ძალიან დიდია“.

ფოთოლივით მივეწეებე ფანჯარას, ვუცქერდი ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს. აქ ყველაფერი სხვანაირად მეჩვენებოდა.

ხილზე გრიალით გაიჭროლა მატარებელმა და შევნიშნე:

— ეს მდინარეა, მაგრამ როგორი მდინარე ყოფილა ჩემს სამშობლოში? (სიტყვები: „ჩემს სამშობლოში“ ახლა რაღაც თბილად მოხვდა ჩემს გულს).

გარბის ეს მდინარეც. ვეებერთელა ჰეხებებს ეხეტქება, თითქოს ჯავრობს, იმსხერევა, იქცევა რძედ და ისევ გარბის. ნეტავ სად გარბის?

იმ თეთრი მთების ქვემოთ ცისფერი მაღლობებია. იქაც ხეები/მოსჩანან. სიმწვანეა ყველგან. ამ სიმწვანეზე იცინიან სხივები.

თითქოს იმ მთებსა და ცის შესაერთიან დაღვრილი შუქი ახალი სხარულის გზა და კარი იყო. ეს კარი ჩემს გულშიც იღება და ვგრძნობს მომხატავ უცნობმა სამშობლომ, რომელიც შორიდან უცხოეთად მეჩვენებოდა.

გარეგნულად უცხო იყო ეს ყოველივე, მაგრამ მასში ჩემს თავს ვხედავდი. შეგნება არ იყო ეს, ეს, ალბათ, განმეორებული შეგრძნება იყო იმ პირველი შეხებისა, რაც ჩემი სამშობლოს მიწაზე განვიცადე ახლადშობილმა...

აი, ქალაქი მთებს შორის... სახლები მთებს ასდევდნენ, თითქოს ზევით მათზე ადიანო ფეხდაფეხ.

ქალაქის შუაში მდინარე გამოჩნდა, ამ მდინარის ელვარებამ შემოგვანათა. დედაჩემმა ხელი მომხვია და თითქოს თავისთვის წარმოსთქვა:

— დედა-ქალაქი!

ამ სიტყვებში უსაზღვრო სხარული მომესმა, მაგრამ შიგ თითქო სევდაც იყო ჩართული. სიტყვები „დედა“ და „ქალაქი“ შეერთდნენ და ბავშვმაც კი ვიგრძენ, რომ ეს შეერთება შემთხვევითი არ იყო. ქალაქსა და დედას რაღაც საერთო ჰქონდათ.

ორ თუ სამ დღეს დავრჩით ქალაქში.

თბილისიდან დასავლეთ საქართველოსაკენ გავემგზავრეთ.

ჯერ მტკვარს ასდევდა მატარებელი, მთებიც აქეთ-იქიდან მოსდევდნენ მტკვარს, მოსჩანდნენ მწვერვალები და ციხეები. უცებ მაღალი მთა დაგვიხვდა წინ. მორჩა, ვეღარ გავა მატარებელი და, ალბათ ჩვენი გზის დასასრულიც აქვეა სადღაც-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ, არა, მატარებელი არც კი შემკრთალა, პირდაპირ თავით შეძვრა იმ მთაში...

დაბნელდა უცბათ...

— შეილო, გვირაბია, არ შეგეშინდეს! — მითხრა დედამ და ხელი მომხვია. შევიკავე ცრემლები, თვალი დავხუჭე.

უეცრად შესწყდა გრიალი და თითქოს სუნთქვაც შესწყვიტაო მატარებელმა.

— გავედათ, შეილო! — ჩამძახა დედამ. მატარებელი ჩასდევდა ციცაბო კლდეს, მე კი მეგონა უფსკრულში გადიხება-მეთქი. არაფერს ვამბობდი, მხოლოდ დედას მიეჩერებოდი გულის ფანცქალით. დედის თვალებში შინდოდა ამომეკითხა, საფრთხე თუ გველოდა. მაგრამ დედა მშვიდად, თანაც ჩაუქრობელი ღმილით მომჩერებოდა. გადავწყვიტე, საქმე არც ისე ცუდად არის-მეთქი და ფანჯრიდან გადახედვა გავბედე...

მდინარე იღვრებოდა კლდიდან, მატარებელი კი თითქოს ამ მდინარეში ეშვებოდა პირდაპირ. ისევ დედას შევხედე.

მაკვირვებდა:

დედის თვალებსა და სინამდვილეს შორის ეს პირველი წინააღმდეგობა.

„ალბათ, არაფერიც არ მესმის ბავშვს“, დავასკენი და გავიტრუნე.

ახლა მხოლოდ დიდი სიმშვენიერის შეცნობა ვიწყე ყველა იმიდან, რაც აქამდე შიშს მაგრძნობინებდა...

5.

გურიის ერთ პატარა სოფელში ვართ.
ეს სოფელი ძალად გორაკზეა გაშენებული.

როცა ტყით დაბურულ ვიწრო გზივ მივალა ავედიტ, მშვენიერი მთა-
მოხნდა.

ამ ეზოში ორი თუ სამი პატარა შენობა შევნიშნე. მაგრამ აქ სულ სხვა იყო
მთავარი:

საოცარი შუქი მომხვდა სახეზე და ეს შუქი გულშიაც ჩამწვდა.

დასავლეთით მზე ვეებერთელა სანთელივით იღვრებოდა შავ ზღვაზე და
ამ პატარა ეზოშიც თითქოს ცის დარაჯებად აშოლტილ ალვის ხეებს დახრი-
ლი სხივები შემონთებოდნენ.

დედას მივყევი.

ეზოს შესავალთან რომ მივატანე, ალვის ხეების შრიალი მომესმა. ვიგრძენ,
დედა უფრო ღრმად სუნთქავდა, თითქოს ნაბიჯებიც დაუძმძმდა დედაჩემს,
სახე გაუფითრდა. შემომხვდა, შეაჩეროლა და ძლივს წარმოსთქვა:

— აი შენი დაბადების ადგილი, შვილო!

არასოდეს არ მენახა ასეთი რამ. დედა კი მეუბნება, აქ დაიბადეო.

„აღბათ, მეძინა... მერე ძილში იბადება ადამიანი?“ ასეთმა ფიქრებმა გამი-
ელვეს. დედამ ჭიშკარი გააღო, ამიყვანა და ეზოში უხმოდ შევიდა.

ჩვენსკენ ბრაზიანი ყეფით გამოქცეული ძაღლი უეცრად შესდგა, ეზოში
დაუპატიებლად შესული სტუმარი შეათვალიერა, და ყეფას უკლო.

— წარბა, წარბა, გაჩუმდი, — შესძახა დედამ და ძაღლი შესდგა. ახლად
მოსულს ყნოსვა დაუწყო.

სახლის აივანზე ჩოჩქოლი ატყდა.

ქალებმა ყვირილი მორთეს. ბავშვებმა იქყიველეს და გამოიქცნენ. ვილაც
ვეებერთელა მამაკაცი მძიმე ნაბიჯით მოგვიახლოვდა.

ყველანი შემოგვესივნენ...

ადარ მახსოვს, რა ითქვა, რა მოხდა.

დენიჩემის გაფითრებულ სახეზე ცრემლები შევნიშნე. გული მეტყინა.

სხვებიც ტირილდნენ, თუმცა მათ ტირილში სიხარულიც ისმოდა თითქოს.

იმდენად უჩვეულო იყვნენ ეს გრძნობები, რომ დაეიბნენ, არ ვიცოდი, მე-
ტირნა თუ მეტინა. თითქოს სატირელიც იყო, მაგრამ იმავე წამს საწინააღ-
მდეგო აზრი მიბყრობდა.

ვგრძნობდი, იმ ცრემლებშიაც სიამე კრთოდა, მაგრამ სიამისა და ცრემ-
ლების საზღვარი წაშლილი იყო.

მეხვეოდა დიდი თუ პატარა.

ყველაზე მეტად ჩემსავით პატარა გოგოსა და ბიჭის არაჩვეულებრივად
ალურსიანმა შეხვედრამ ამრია. თითქოს მათთვის დიდი ხნის ნაცნობი ვიყავი,
სახელსაც მეძახდნენ და მეხვეოდნენ, თუმცა ჩემთვის უცნობნი იყვნენ.

სულ ბოლოს თეთრწვერა მოხუცი დაეშვა მუხლებზე:

— ჩემი დაკარგული შვილის სხივი ხარ, ბაბუა! — სთქვა და ხმა ჩაუწყდა.
ოცტა ხნის შემდეგ მოხუცის ცრემლი ლოყაზე დამეცა და შემაჩეროლა.
თითქოს ბურუსი ჩამომრეცხა ამ ერთმა ცრემლმა და მე, უცხო ბავშვი, ნაც-
ნობი გავხდი: ვიგრძენ, იქა ვარ, სადაც საკუთარი გულია ჩემი, სადაც ჩემი

გაჩენის სითბოა, ამ სითბოს საბუღარია, ნიადაგია. მთელი ის კარ-მიდამო უკვდავი სიყვარულის ბრწყინვალე აუზად წარმოვიდგინე. ეს აუზი ცემცი-მებდა სწორედ იმგვარად, როგორც თვით შავი ზღვა სხივების ღვარში, და ყველაფერი ეს აქ ვნახე, აქ.

თითქოს ეს ზღაპარი იყო. ახლაც ზღაპარივით ვივლინებ აქა, მაგრამ ეს ზღაპარი ჩემთვის ყველა ზღაპრის, ძვირფასი განცდის, სიხარულის საფუძველია.

ოდნავ დაწყნარდნენ.

პატარა სახლის აივანზე ავედი. დედაჩემმა თავზე ხელი დამადო და ცრემლშეშრობილი თვალებით ჩამხედა. რადგან გაოცება შემატყუო, ღიმილით მითხრა:

— ი, შეილო, ბაბუა შენი, მამის მამა. ეს მამიშენის ძმა — ბიძია, ეგეც ბიცოლა. ესენიც შენი ბიძაშვილები არიან...

ოდნავ წელში მოხრილი, თეთრწვერა ბაბუა კუთხეში იდგა, ჩიბუხი უხერხულად ეჭირა ხელში და ზედ დაპყურებდა, თითქოს ამით ამბობდა მოხუცი: ყველაფერი—ტანჯვა, სიამე, სიკეთე, ბოროტება—თვით ადამიანიც ამ ჩიბუხის ცეცხლივით ჩნდება და ქრებაო.

ბიძაჩემი სვეტს მიყრდნობოდა. ეს შავგვრემანი, მაღალი ვაყვაცი დიდრონი თვალებით მომჩერებოდა. ამ გამოხედვაში სიმტკიცეს ვხედავდი, თუმცა შიგ გულკეთილობის სითბოც მოსჩანდა. ღელავდა, სხეების საუბარს რომ ყურს ათხოვებდა, უეცრად მის თვალებშიაც ჩნდებოდა ცრემლი, მაგრამ ჩქარა, ვით წვიმის შემდეგ გამოიდარებს ხოლმე, მის სახეზე დარი ღებოდა.

ის უფრო მეტად უსმენდა სხვებს, თვითონ აქა-იქ იშვიათად თუ ჩაურთავდა ორიოდე სიტყვას. მის ბოხ, იმედის მომცემ, კლდესავით გაუტეხელ ხმაშიც სიმტკიცე ისმოდა.

კუნთებიანი სახე, მაღალი შუბლი, მსხვილძვლებიანი დაწვები და ოდნავ მოხრილი ცხვირიც სიმტკიცეს გვამცნობდნენ. ბეჭები ფართოდ გაშლოდა, მაგრამ ბეჭების სიგანიერეს ანელებდა, ნაკლებად შესამჩნევს ხლდა წინ წამოწეული მაღალი მკერდი.

იშვიათად წარმოთქმულ სიტყვას ვეებერთელა ხელის ოდნავი გაქნევით გადაკვეთავდა და ამითაც გვამცნობდა, რომ ამბავი დასკვნამდე მივიდა, დასრულდა ისე, როგორც თვითონ არის დასრულებული.

ყველაფრიდან აშკარად სჩანდა, რომ მისი გული ჩვენი იქ მისვლით ბედნიერებით იყო აღვსილი, მაგრამ ვუცქერდი და მოაოცებდა:

რატომ ერთხელაც არ გაიღიმა? (გვიან გავიგე, რომ ბიძაჩემის ღიმილი არავის უნახავს. სიცოცხლე და ღიმილს მისი ბუნება ვერ იტევებდა. თითქოს ამისი ნიჭი წართმევიყო, თუმცა სხეებისთვის ამგვარი რამ ღირსებად მიჩნდა).

ბიცოლა დაფუსფუსებდა, ტიროდა, იცინოდა, ლაპარაკობდა, ხან დედას მოეხვეოდა, ხან მე მაოცებდა ლოყაზე. თავის პატარეებსაც არიგებდა ან უაღერსებდა.

მისი საჭკიელი, ტანი, მოძრაობა და მოჭნილი სახე ერთმანეთს ეხამებოდა და ამ თანხმობას ადასტურებდა მისი წყრილა ხმაც.

პატარა ბიძაშვილებიდან ბიჭი ჩემზე უფროსი სჩანდა, გოგო უმცროსი.

ბიჭს ტანზე მოკლე პერანგი ეცვა, თავჩაქინდრული იდგა, მოტიტყლებულ მუცელს დასჩერებოდა, ალბათ, რცხვენოდა, ტიტველა მუცლით რომ შეხვდა ბიძაშვილს, მაგრამ ამგვარი საქციელთ სირცხვილის მიხედვას უფრო ამხელდა. მხოლოდ ზოგჯერ ქვეშევრდომ უნებურად გამოიხედავდა.

პირველად რომ ეზოში შევედით, მაშინ არაერთარ მორცხვობას ვხედავთ გრანობდა, ჭყვივოდა გახარებული, ლოყაზე მისვამდა ხელს, მაგრამ როცა პირველი შეხვედრის წუთები წავიდა, როცა უფროსებმაც უფრო დადინჯებული საუბარი დაიწყეს, ალბათ, პატარა სიმონსაც მაშინ მოაგონდა თავისი ტიტველი მუცელი, შერცხვა და თავი დახარა.

მის გვერდით იდგა გოგონა, მუხლებამდე დაშვებული პერანგისამარა, ცქრიალა თინა, მე მიცქეროდა, თანაც (ალბათ, იმასაც მორცხვობის ნიშნად) საჩვენებელი თითი პირზე მიედო და წალმა-უკულმა აბრუნებდა ბურღივით.

— დედა სად არის? — იკითხა დედამ.

თითქოს ამ კითხვის პასუხად ეზოში დედაბერი გამოჩნდა. ის ორივე ხელით დაყრდნობოდა თავის გრძელ ჯოხს და თითქოს შემკრთალი გვიახლოვდებოდა.

დედაბერი განცვიფრებული შეჩერდა ეზოში, ღრმად ჩაცვივებული თვალებით ჩვენ მოგვაჩერდა. ცოტა ხანს იდგა, მერე წამოვიდა.

— დედავ, რას ვხედავ ამას! — ერთი კი დაიძახა, ჯოხი გაუფარდა და ხელეზგამოშვებული შეჩერდა.

— დედი, — შესძახა დედამ, — შენი შვილი ვერ მოგიყვანე! — მაატიე, მაგრამ აი შეხედე ვახტანგს... მამა არ არის? — უთხრა დედამ და ჩემზე უჩვენა.

ისევ ეზოში გამოვეფინეთ.

— ბებიავ! — შემომძახა დედაბერმა. მეტი ვეღარ შესძლო, მუხლები მოეკეთა და ძირს დაეშვა.

ბებიასთან მიმარბენინეს.

ბებია მამუკნარი ხელი დამადგა თავზე და ოდნავ მომისვა...

შემდეგ ერთი მძიმედ ამოისუნთქა და გამშრალ თვალთაგან ცრემლები წასკდა.

— ყველაფრისათვის, ჩემო ბებია, ყველაფრისათვის...

მეტი აღარა უთქვამს-რა ბებიას და მიმიზიდა.

დუმილი დამყარდა.

ისევ აივანზე ავედით, დედამ ხელი მომკიდა და მომაჩერდა.

— აქაურობა არ მოგწონს, შვილო? მამაშენიც აქ დაიბადა.

— მამა! — ხმამალლა წამოვიძახე და რომ ჩავფიქრდი, მეც გამიკვირდა, ეს სიტყვა რატომ დავიყვირე.

შეე ზღვაში ჩაესვენა. უკანასკნელი სხივები ცას ეფინებოდნენ. თითქოს ზღვიდან ამოდისო.

ისევ გამოციხლდნენ ბიძაშვილები. კარ-მიდამო შემომატარეს.

აღმოსავლეთით თოვლით დაფარული მთა დავინახე. ბანძაროაო, ამიხსნეს ბიძაშვილებმა. თვით ეზო პატარა გორაკზე უნაგირივით იყო შედგმული. ორი მხრიდან — მარცხნივ და უკან — ხრამები ეკრა, მარჯვნივ — ხეხილით საესე ფერდობი, ხოლო წინ — ცოტათი უფრო მაღალი გორაკი, სადაც მწკრივებდა გაშენებული ბაღი და რამდენიმე შენობა მოსჩანდა.

იქ დიდ ვინმეს ბალი და სახლიაო, ამისნენს ბავშვებმა. კინაღამ შევეყი-
რე, როცა ხეზე უკვე შეწითლებული ბალი შევნიშნე.

„ნუთუ ხე ისხამს ამას!“ — ვამბობდი და ბუღიდან ახლად აფრეხილ აჩ-
ტივით ვფართხალებდი ყველაფრით შემკულ სამშობლო ქვეყნის წინაშე
განა შესაძლოა ოდესმე წაიშალოს ეს სანუკვარი მოგონებანი?

6.

შევეჩვიე, შემიყვარდა სოფელი.

წლებმა განვლეს.

ახალი მეგობრები გამიჩნდნენ სოფლად.

მზე და ბავშვები დილით ერთად ვახელდით თვალს. გავიჭრებოდით
ქვილ-ხვილით, ეზო-მიდამოს შემოვირბენდით.

ცოტათი ქვემოთ, პატარა გორაკებზე, მეზობლის ბავშვებს ვადაეძახებდით,
ისინიც ხმაურით მორბოდნენ ჩვენსკენ და სადმე შუაგზაზე შევიყრებოდით.
სიხარული წუთით შეგვაჩერებდა, შევცქეროდით ერთმანეთს, თითქოს გვინ-
დოდა გაგვეგო რა ცვლილება მოხდა ჩვენში ერთი ღამის განმავლობაში.

ჩქარა ისევ ხმაურს ვიწყებდით, გავრბოდით წინ, ქვევით თუ ზევით.

ასე იწყებოდა და თავდებოდა დღე. ზამთრობით ჩიტებს ვიჭერდით რაგვ-
ში თუ მიხეში, ზაფხულობით ვბანაობდით ღელეში, ვბოულობდით და
ვზრდიდით ბარტყებს, გაზაფხულზე გყრფედით ყვავილებს, ხოლო შემო-
დგომაზე ყვითელი ფოთლები ჩურჩულით გვეცემოდნენ ზევიდან თავზე.
გარბოდნენ წლები, გავრბოდით ჩვენც.

...ის დღე თითქოს სხვანაირი გათენდა ჩემთვის. ვგონებ, მზეს პირველად
დავასწარი თვალის გახელა.

დედა სასთუმალთან იჯდა და მიცქეროდა.

— სკოლა ხომ არ გეჩხმრა, შვილო?

— სკოლა! — წამოვიძახე და ლოგინიდან მარდად ვისკუბე. საცვლების-
ამარა გავვარდი აივანზე და აღმოსავლეთით შეწითლებულ ცას მივაპყარი
თვალი:

ბახმაროს მთაგრეხილი ოქროსფრად შემოსილიყო. თოვლნაბური მწვერ-
ვალის ციმციმი აესებდა სიერცეს და ამ ციმციმმა გული გამიხსნა.

სწრაფად ჩაეიცი ტანი, ხელ-პირი დავიბანე, უმიზეზოდ ეზო შემოვირბი-
ნე. ბოლოს ალუჩის ხესთან შევჩერდი და მთელის ხმით დავიძახე:

— თენგიზ, თენგიზ! გამოდი, გამოდი!

თენგიზიც გამომეჩხაურა.

მოვემზადე და გავიქეცი.

წარბა აწედეენა მხიარული ყვფით, ერთხანს მომდია. მერე როცა მიხურუ-
ლი ჭიშკარი ცხვირში მოხვდა, მოწყენილი უკან გაბრუნდა.


სკოლაში მიმავალი სიმონიც უკან მოვიტოვე, კი არ მივრბოდი, თითქოს
მიფერინავდი.

თენგიზის ჭიშკართან სამიოდე მოწაფე დამხვდა. დღეს განსხვავებულის
გრძნობით შევხვდით ერთმანეთს. დიდი კაცებივით შევათვალეირეთ ერთმა-
ნეთი და ასევე დიდი კაცისათვის შესაფერი სიღინჯით გავუღეჭით გზას.

ქვემოთ, ლობესთან, ფეხშიშველა დარეჯანი შევნიშნე.

ახლოს რომ მივედით გვთხოვა:

— წამიყვანეთ თქვენთანო.

დარეჯანი პატარა იყო, და უარი ვუთხარი. მაინც არ ამოვიტყვევებო. 
 ხანს გვლია, ცრემლებს აფრქვევდა.

შემეცოდა, ლოყაზე ხელი მოვუსვი და ცრემლები მოვწმინდე.

— დარეჯან, ახლა დაწყნარდი, მერე მე თვითონ წაგიყვან სკოლაში. ხომ კარგი, დარეჯან? — ვუთხარი მე.

ბავშვმა ტიტველი მკლავებით ცრემლები მოიწმინდა და გამიღიმა:

— არ მომატყუებ?

— არ მოვატყუებ!

— მაშ კარგი — მითხრა და უკან გაბრუნდა.

დარეჯანს ორი წლის შემდეგ შევესრულე ის დაპირება.

ჩვენი შეგობრების გუნდი გაიზარდა და გახალისდა.

როცა ჩემსა და თენგიზს შორის შეჯახების აღი მინელდებოდა, დარეჯანსა და ქეთევანს შორის იწყებოდა შეხლა-შემოხლა.

ამ შეხლა-შემოხლის მიზეზიც ისევ ჩვენ ვიყავით, მაგრამ ბოლო ხანებში ამავე მიზეზით გოგოებმა გააჩაღეს ურთიერთშორის ჭიდილი: სწავლაში, თამაშში, შრომაში.

თუ შეჯიბრება ჭიდაობით დაიწყებოდა, საქმე რთულდებოდა, რასაც ზოგჯერ მუშტის ქნევაც მოსდევდა. გოგოები გვაზაებდნენ. მე დარეჯანის ხმა მამშვიდებდა, ვახტანგს — ქეთევანისა.

ჩხუბს ჩვენი თამაშის მარცხად ჩავთვლიდით და შინ ვბრუნდებოდით.

ზაფხულობით, როცა სკოლა იხურებოდა, ჩვენი მეტოქეობა მინდვრად გადადიოდა: ყანებში, ხეხილისა და ციტრუსების ბაღებში, ჩაის პლანტაციებში.

კვიც ფართო გასაქანი ჰქონდა ჩვენს გონებას, აქ ხალხი იყო.

შემოდგომის გრილი დღეები იდგა.

სალამო იყო.

ეზოში ალვის ხის ძირას ეიწეკი პირალმა და სარკესავით მოწმენდილ ცას შეეცქეროდი. მინდოდა შენახა, ცის რომელი ვარსკვლავი გაახელდა პირველად თვალს.

სიწყნარე იყო.

ბავშვები ეზოს ფერდობზე აძოვებდნენ საქონელს. მათი ხმაური მხოლოდ ზოგჯერ თუ აღწევდა ჩემამდე.

ღედა ჩემი და ბიცოლა ბოსტანში იყვნენ.

ბაბუა სამზარეულოს წინ ქვაზე ჩამომჯდარიყო და ჩიბუხს სწევდა. რატომღაც პირიდან აჩქარებით უშვებდა ბოლს და ტუჩებს ასევე აჩქარებით აბლაკუნებდა.

სურმის ხესთან ბებია იჯდა და ხრამს თვალგამტერებით დასჩერებოდა.

ნეტავი რას ხედავს ბებია იქ? ეგებ წინაპრებზე ფიქრობს ბებია, იმათზე, რომლებიც მოსწყდნენ ცხოვრებას და მიწაში ჩალაზნენ.

აჰა, პირველი ვარსკვლავი გაჩნდა ცის სიღრმეში და თითქოს ამის აღსანიშნავად ალვის ხეებმა იღვწალად გაიშრიალეს. ალბათ, იმ ვარსკვლავმა სული ჩაუღდა ფოთლებს და ამ შრიალს სიგრილეც მოჰყვა.

ესუნთქავდი სიამით. მიწაც სუნთქავდა ქვემოთ.

ბიძაჩემი მხარზე თოხგადებული ეზოში შემოვიდა, ჩემს მახლობლად მძიმე ნაბიჯებით გაიარა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს.

სამხარეულოს რომ მიალწია, თოხი გაბრაზებით შეაგლო და გამობრუნდა. ეზოში მიმოდინდა, წელზე ხელს იღებდა და ბებიასთან მივიდა, კარგა ხანს უცქირა უხმოდ და შემდეგ ჰკითხა:

— ნენა, კოლექტივი გაგიგონია?

ბებიამ გაკვირვებით შეხედა შვილს:

— არა, შეილო, არ გამიგია.

გამობრუნდა. ჩემთან ახლოს დაჯდა მოლზე და გააფურთხა. მაღალი შუბლის ნაოჭებშიაც სიმძაფრე მოსჩანდა. დიდრონი ხელები მუხლებზე დაიდო, ზედ დააჩერდა, თითქოს უნდოდა გაეგო, შრომას ჩვეული ეს ხელები ასწევდნენ თუ არა ახალ სიმძიმეს.

მივხვდი, რაღაც ახალი ამბები იწყებოდა სოფელში. წამოვდექი და ბიძაჩემს ვკითხე:

— კოლექტივი მოდისო, ბიძია?

ბიძაჩემმა შემომხედა. კარგახანს მიცქირა, შემდეგ მითხრა:

— მოვიდა, ბიძია. უკვე თემში არის მოსული და აქაც ამოვა, რა შეაჩერებს.

— რა უშავს, ბიძია: რადგან ახალია, კარგი იქნება. — ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ვანუგეშე ბიძაჩემი და გვერდით მოლზე დავჯექი.

ბიძაჩემმა გაკვირვებით მომანათა თვალები. თავზე ხელი დამადო. თითქოს მის სახეზე შევების სიომ გადაიქროლა. აღერსით მითხრა:

— ბავშვი ხარ, ბიძი....

ბოსტინიდან გამოსული დედაჩემი და ბიცოლა შეუმჩნევლად მოგვიახლოვდნენ.

ბიძაჩემის სახეზე რაღაც უჩვეულო შენიშნეს, ალბათ, და ბიცოლამ ჰკითხა:

— ახალი ხომ არაფერი გაიგე, კაცო?

ბიძაჩემმა შეხედა ცოლს, უნდოდა ებასუხნა, მაგრამ შეჩერდა, ჩვენკენ წამოსული ბაბუა შენიშნა და მას დაელოდა.

ბაბუა ჩამოჯდა მოლზე და უფრო ძალუმიად მოსწია ჩიბუხი.

— ვახტანგმა მითხრა, ყველაფერი ახალი კარგი არისო, და კოლექტივიც კარგი იქნება... რას იტყვი, ვახტანგ, აგრე არ არის?

ბიძაჩემის ასეთმა კითხვამ გამომადიხზლა. ალბათ, ვწითლდებოდი, მაგრამ მაინც სიამე ვიგრძენი, რადგან ვიცოდი, ბიძაჩემი ასეთი სიტყვებით ჩემდამი სიყვარულს გამოსახავდა.

— როგორ ქარავმულად ლაპარაკობ, ყარამან, სთქვი, რა გაიგე? — ჰკითხა ბიცოლამ.

— რაც ქვეყანაზე უხარო და უსაქმო ხალხია, იმათთან ჩვენც შეგვაჯროვებენ, და ამით საქვეყნო საქმეს გააყეთებენ.

— რას ამბობ, არ იტყვი სწორად? — შეუტია ბიცოლამ.

— სწორად კი არა, უკუღმა ვარ დაბადებული — თავისი ბოხი ხმით მიუგო ცოლს. — ეგ არის გავსწორდი-თქო, ვიფიქრე, რამე საშველი დაგვადგება-თქო, მაგრამ ახლა, ეგონებ, კოლექტივმა შემომიტიოს და ისევ გამამრულდოს.

— მერე, კაცს ჰამო ნეტა ის კოლექტივი? — ჰკითხა ბიცოლამ.

— საკმელი ჩემთვის არ მყოფნის და კოლექტივი მე რას შემიძინა, მგონი იქნებ მალე უკეთ წამეყვანა ცხოვრება.

ჰიშვართან ვილაც შეჩერდა.

— მაინძელო, პეი, მაინძელო!

წარბა წამოიჭრა, ჰიშვარისაკენ ყეფით გაიქცა.

ბიცოლაჩემი გაუწყრა ძაღლს და სტუმარი მიიღო.

— მობრძანდი, სევასტი, რამდენი ხანია ჩვენსა არ ყოფილხარ. როგორ დაგემართა? რა ქარმა მოგაგდო? — უთხრა ბიცოლამ და წინ გამოუძღვა.

— ქვეყანა რომ აირევა, ტურა მგელს მიადგება, და შველას სთხოვს. აგრე ვარ მეც. დავიბენი კაძახი. ჰკუა არ მეყო და ახლა ცოტა ყარამანისათვის მიწოდდა მეთხოვა. აგვერია ცხოვრება, პატივეცემულო და ეს არის. — სხაპასხუბით ამბობდა სტუმარი.

— რა მოხდა, სევასტი? შენ ცოტა დაფეთებული კაცი ხარ და, იქნებ ამიტომ, — მიუგო ბიცოლამ, რომელიც მიხვდა, თუ რატომ მოვიდა სევასტი.

წითურმა სევასტიმ სახელოთი მოიწმინდა ოფლი და მოლზე დაჯდა.

ბიძაჩემი ხმას არ იღებდა. მის სახეზე კუნთიც არ ირხეოდა. უსმენდა სტუმარს.

— გავლენიანი კაცი ხარ, ყარამან, ხალხი გიჯერის. ჰო და რატომ ერთი სიტყვა არ წამოგცდებდა პირიდან, დაბნეულ ხალხს რომ ჰკუა ასწავლო. ხომ ხედავ რა ხდება? იი რაცხა კოლექტივია, ხალხი ჰკუაზე რომ შეაცდინა... ერთხელ ფეხი თუ მოიკიდა, შემდეგ უკანასკნელ პერანგსაც გავგვდისო, ამბობენ. გასწორება კარგია, მარა ასეთი გასწორება რად გვინდა, პატივეცემულო! ასეთ გასწორებას საფლავში გასწორება სჯობია! ამაღამ წყდებაო თურმე, გავსწორდებით თუ ცოცხალი დავრჩებით.

ყარამანი სდუმდა.

სოფიომ თვალები დაწკურა, ხელები გაშალა, და სევასტის ჰკითხა:

— ასეთი ამბავით აქ ვინ გამოგგზავნა, სევასტი, განა ეს შენი ჰკუაა?

სევასტი შეცბა, ჰრელი თვალელები აახამხამა.

— რად მკადრებთ, სოფიო? სხვისი ჰკუით სიარული რა კაცობაა?

— არა, სევასტი, — მიუგო გულმოსულმა სოფიომ: — ვინ იცის, რამდენი ოხერია სოფელში! გზადაგზა თითო ბოროტ სიტყვას კენჭებივით ყველა ჩავიდებდა ჯიბეში. შენც მოაგროვე და აქ მოიტანე. დუქნის განაღდება ხომ მოასწარი და მეტი რა ვინდა?

— დასწყევლოს ეშმაკმა! — გაჯავრდა სევასტი. — დუქანი კი არა, ცხოვრება გველუპება, პატივეცემულო, და იმას ვტირი. კიი კაცობა ვის შერჩენია, მე შემარჩინონ! იცოცხლე, მთავრობა და პარტია კარგი გვეყვს, მარა კოლექტივზე ხელს ვერ მოუწერ. ეს რაღაც შეცდომაა, პატივეცემულო!

— როცა შენისთანები დამიწყებენ ჰკუის სწავლებას, სჩანს ჩემი საკმე ცუდად წასულა. — შენ არ მოუწერ და მე მოუწერ! — იყვირა ყარამანმა, სამფეხა სკამი აიღო და შორს გადისროლა.

სკამს ფეხი მოსტყდა. შეშინებული სევასტი ჰარხალივით წამოწითლდა. წამოღვა, ორიოდ ნაბიჯით მოშორდა ყარამანს, მერე ცალი თვალით ჰიშვარს გახედა, გასაქცევი მანძილი გაზომა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო მასპინძელს:

— ვინ გაიტყულებს, პატივცემულო? საკუთარი ქეთის საქმეა და მენ იცი. ამ ლაპარაკში საქმას მანძილით განშორდა სევასტი. როცა ჰქმნებოდათ მივიდა, კვლავ დაიძახა:

— ჩაეწერე, პატივცემულო, და თუ გინდა ჩაიხივე კიდევ ციხეში.

— რაო? მოიცა, სევასტი, კარგად ვერ გაევიგონე! — შესამჩნევად ყარამანმა, ფეხზე წამოიჭრა და მძიმე ნაბიჯით გაემართა ჰქმნებოდათ სევასტი უკვე აღარ იყო იქ. რაც უფრო შორდებოდა ჰქმნებოდათ, მით უფრო უწევდა ხმას, თანაც დამფრთხალი წამდაუწუმ უკან იხედებოდა.

ყარამანი შეჩერდა.

— ჩიტი ბლდენად არ ღირსო და ეგ არი — სთქვა მან თავისთვის და გამობრუნდა.

ახლა სოფიო მივიდა ჰქმნებოდათ და გასძახა სტუმარს:

— შეილდევით რომ მოხრბოხბარ, ყაძახო, რას ბედავ თუ იცი?

ციტა ხნის შემდეგ ყოფილი თავადიშვილის, გურამის ეზო-ბაღიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა. სოფიომ ყური მიუგდო ამ ლაპარაკს და შემდეგ დაასკვნა:

— აი ვინ გამოგზავნა სევასტი.

აღვის ხის ძირში შეეგროვდით ყველანი. ყარამანმა უღვეშები გადიგრიხა, ქვაზე ჩამოჯდარ მამას მიაჩერდა სახეში.

დამშვიდებით იჯდა მოხუცი. ჩიბუხს მაღიანად სწევდა, ისუნთქავდა და აბოლებდა.

ყარამანი კვლავ შესცქეროდა მამას, თითქოს მის თვალებში სურდა ამოეკითხა თავისი საქციელის მართებულობა.

მოხუცმა წაიკითხა შვილის ფიქრები და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ წარმოსთქვა:

— სწორი გზით მიდიხარ, იარე, შვილო!

ყარამანმა შვებით ამოისუნთქა და ზეზე წამოღდა.

ბავშვების ხმაური მოისმა.

ისინი ხარებს და ძროხებს ერეკებოდნენ შინისაკენ.

ყარამანი ზრამის პირას ჩამოჯდარ ბებიასთან მივიდა, ხელები მოხვია და ააქენა.

— წამოდი, ნენა, — უთხრა ბებიას და შინ წამოიყვანა.

ეზოში ხტუნვით ხბო შემოიჭრა და ქარტაში შესულ დედისაკენ ბლავილით გაიქცა.

დედა ძროხამაც მიაბლაგა და ქარტის ჰქმნებოდათ გაექანა.

— ქოქიჩა არ გაუშვათ, ქოქიჩა! — დაიძახეს ბავშვებმა და ხბოს გამოუდგნენ.

იმ საღამოს ბიძაჩემი საღდაც წავიდა.

სოფლიდან ჩოჩქოლი ისმოდა.

ქვემოთ, ქვაბივით ჩაღრმავებულ ტაფობში გაფანტული ფარნები მიწაზე ჩამოსულ ვარსკვლავებზე ირხეოდნენ და ციმციმებდნენ. ზევითაც ცა ვარსკვლავებით იყო გაშუდილი. ამ დროს პირსაცხე მთვარე ბახმაროს მთაზე ამოგორდა. ვარსკვლავებში გაინავარდა, — ვით ქორმა წიწილები, მიმოფანტა სოფლის ფარნები.

ეზოში ბავშვები შევიკრიბებით. ბალახში ჩავჯექით და გურული სიმღერები დავიწყეთ.

ვაეებს თინა, დარეჯანი და ქეთევანი გვეხმარებოდნენ. მათი დაწმენდილი, ანკარა ხმები ასევე ანკარა ცას უერთდებოდნენ. დასავლურმა მარცხნივ და მარჯვნივ, ზღვაში შესული ჩირაღდნებით ერთმანეთს უკავშირებდა და ბათუმში. თვითონ ზღვაზე კი ზოგჯერ შუქურა გაიღვებდა და შორს გასროლილ შუქს ოქროს ფერფლივით მიმოფრქვევდა.

აქა-იქ ზღვაზე გაჩირაღდნებული გემები მოსჩანდნენ.

დაცხრა სიმღერები.

ნამის წვეთები გვაპურა ცამ.

წავიდ-წამოვიდნენ მეზობლის ბავშვები.

გული დამწყდა.

ეზოში აღვის ხეთა იღუმალი შრიალი ისმოდა.

მოწმენდილ ცას ავხედე. შორიდანაც ზღვის შრიალი მომესმა. გულში გავვლე:

ნეტავ ვინ ასწერს ამ უკდავ სურათს?

8.

სამი დღის შემდეგ სკოლიდან ვბრუნდებოდით მოწაფეები. თემსაბჭოსთან შევჩერდით. მოზღვავებული ხალხის ჩოჩქოლი იდგა.

ვინ ხარებს ერეკებოდა, ვინ ძალღებს უჯავრდებოდა, ზოგი თემსაბჭოს თავმჯდომარეს ან პარტკომის მდივანს ედავებოდა, ზოგნიც ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და კამათობდნენ.

— გურამს მოჯამაგირე გაექცა და კოლექტივამდე ყვინთვით მიცურდა, — ამბობდა ერთი თმახუჭუჭა ჰაბუკი.

— რომელი? კაბიტონა ხომ აღრე გაექცა გურამს! — ჩაურთო მეორემ.

— კაბიტონას გზას აედევნა თოქისტეც, — მიუგო მესამემ.

მე დარეჯანის ხელი მეჭირა და თითონაც მომდევდა თან.

— სევასტი, სევასტი, მომხედე ერთი შე კაცო, მემდური თუ? რავე, ხარები შენც მოიყვანე? — მიმართა იმავე თმახუჭუჭა ჰაბუკმა მოახლოვებულ სევასტის, რომელიც თავის პრელ ხარებს კოლექტივის ქარტისაკენ მიერეკებოდა.

სევასტიმ ხმა არ გასცა ჰაბუკს, არც კი მიხედა, თითქოს არა გაუგია-რაო და სევდიანის გამომეტყველებით განაგრძო გზა.

ახალგაზრდებს სიცილი წასკდათ.

— კაბიტონა და სევასტი თოხში უნდა შევაჯიბროთ ერთმანეთს და მაშინ ნახეთ.

— რას ამბობ, სინო, თანდათან უნდა შევაჩვიოთ, თვარა მოკვდება.

— მაგისათვის ვიდარდებ სწორედ, მოკვდება და გაიწმინდება!

ქებზე ჩამომსხდარ მოხუცების ჯგუფს მივუახლოვდით.


ისინი გულმოდგინედ ეწეოდნენ ჩიბუხებს და მალე ასულ თამბაქოს ბოლივით გაგრძელებულად ლაპარაკობდნენ.

ბიძია ყარამანიც იქ ვიპოვეთ: ჯოხს დაყრდნობოდა, უხმოდ იდგა.

სევასტი თემსაბჭოს თავმჯდომარეს მიუახლოვდა, თავი დახარა და ღიმილით შეესალმა:

— გრიგოლს ვახლავარ!

გრიგოლი გაკვირვებით მიიჩერდა სევასტის.

— აეშენდი, გრიგოლ, ხარები თქვენთან მოვრევე და ახლა სრული პრო-
ლეტარი ვარ. სადაც თქვენ მიდიხართ, მეც იქით მოვდივარ, 

— ჩვენ არსად არ მივდივართ, სევასტი, — მოუჭრა გრიგოლმა.

სევასტი გაწითლდა, გაშეშდა.

— მე ხომ არაფერს მერჩი, პატივცემულო?

— არა, შეგეშინდა, სევასტი? შენზე არ ვამბობ. თუ გული გერჩის, ღიაა
კარები და ჩაეწერე, — თუმცა კოლექტივში ცოტა მეტი ჰკუა გჭირდება. —
უთხრა თავმჯდომარემ და სადღაც წავიდა.

სევასტიმ შვებით ამოისუნთქა.

— აგრე თქვი, პატივცემულო, ჰკუა თუ მჭირდება, ამას რა სჯობია,
უკუბობა მაშინებს თვარა.

ყარამანმა მრისხანე თვალი შეაგლო სევასტის, შემდეგ ძირს დააფურთხა
და ზურგი უჩვენა.

— წამოდი, ბიძი! — მითხრა და ჩვენც გავყვეით.

ქარტასთან მივიდა, ლობეზე მომდგარი თავისი ლომია დაინახა, თავზე
ხელი გადაუსვა და მიუაღერსა.

ხარმა ტუჩი ხელზე მიადო და ენით გალოკა.

აღწერაც დასრულდა და ყველას თავისი ხარები გაატანეს უკანვე.

ამბობდნენ, ბიძია ყარამანის ღიმილი არავის ახსოვსო, მაგრამ როცა თავისი
ხარები შინისაკენ გზას გაუყენა, ჩვენ, ალბათ, პირველად, ღიმილის
მსგავსი რაღაც შევნიშნეთ მის სახეზე. ახლა მეტს ლაპარაკობდა და ოხუნ-
ჯობდა კიდევაც.

— თუ კოლექტივი ეს იყო სულ, არაფერია, გაუძლებს კაცი, — ამბობდა
გზადაგზა ყარამანი. — სიცოდავე მამაშენი რომ ყოფილიყო ცოცხალი, რის
მეშინოდა? ქვას წვეს გამოადენდა. აქ დამარხავდი, იქ გაჩნდებოდა. ზღვაში
გადაგვადო, შინ დაგხვდებოდა. მისი ბაირალი სიმართლე იყო. ამ ბაირალმა
შორს წაიყვანა. შენც მამაშენის გზით მიდიხარ, გატყობ. ცხოვრება სხვანაირი
გექნება, მაგრამ სიმართლე მუდამ არის საჭირო. ხომ გაიგონე, სევასტი რა
სიტყვებს ხარჯავდა თავმჯდომარესთან? ასეთ კაცს ფასი არა აქვს. რა დაშავ-
დებოდა, სულაც არ გაჩენილიყო? მოიგებდა თვითონაც და ჩვენც მოვიგებ-
დით. მაგის გაჩენას ერთი ვოჭის გაჩენა სჯობდა. თუ კაცს დიდი გასაქანი არა
აქვს, მაინც კაცურად სიკვდილი სჯობია; თუ არაფერს დასტოვებ, არაფერს
წაიღებ. სევასტი კი მხოლოდ შხამს დასტოვებს ჰაერში.

„ნუ თუ ასეთი ბიჭი ვარ მე?“ — ამაყად შეეეკითხე ჩემს თავს და ნაბიჯი
ვაეკაცურად გადავსდგი.

დარეჯანი იციროდა. ბიძაჩემმა ეხლა მიაქცია მას ყურადღება და ჩვეულბ-
რების სიღინჯით უთხრა:

— შენ რა გაცინებს... ვახტანგის დედმამაც ასე ერთად დადიოდნენ სკო-
ლაში...

დარეჯანს შერცხვა, გაწითლდა, — თავი დახარა.

ღელე-ღელე მივერეკებოდი ხარებს შინისაკენ.

ბიძაჩემიც განაგრძობდა ლაპარაკს, თუმც სიტყვებზე გულუხვი არ იყო.

წყალზე გადასვლისას ხარებში მრავალი თავკომბალა დააფრთხეს. ყარამანი დააქცერდა თავკომბალებს და ჯოხით მიჩვენა:

— აგერ, ხომ ხედავ იმ თავკომბალებს: ეგენი კვერცხებიდან ჩნდებიან, ხოლო თავკომბალებიდან ბაყაყები გამოდიან. აღამიანიც ასევე კვერცხ-კომბალას ჩამოჰგავს, შემდეგ ბავშვად იქცევა.

ჩვენ ვიცინოდით, თუმცა ბიძაჩემს ღიმილიც კი ვერ შევამჩნიეთ. ოხუნჯობდა, — ღინჯად მიაღგამდა ნაბიჯებს.

ღელეს გავშორდით.

გურამის ბაღში ავეჯით დატვირთული ურემები შევნიშნეთ.

გამიკვირდა, ბიძაჩემს ვკითხვ:

— ბიძია, ვისია ის ურემები?

— დადგენილებით გურამს ასახლებენ აქედან, — დიდმნიშვნელოვანი კილოთი ამიხსნა ბიძიამ. — თუ სოფლად გურამი დარჩა, კოლექტივი ვერ იხეირებს, ერთად ვერ იცხოვრებენო, გადასწყვიტეს და გაასახლეს. გურამის საქმე ასეა, მარა ახლა სევასტის რა ეშველება? სამფეხა სკამზე იჯდა სევასტი. ამ სკამს ერთი ფეხი გურამთან ედგა, დანარჩენი ორი ნალიაკვანართან და კოწიასთან. ახლა ორფეხა სკამი დარჩა სევასტის და ჩამოჯდომა გაუძნელდება.

მივალწიეთ. ეზოდან ხმაურით გამოცვივდნენ ბავშვები. დარეჯანი კვლავ ჩვენთან იყო, მაგრამ ბოლო დროს თითქოს მერიდებოდა, თითქოს მორცხვობაც წარმოიშვა ჩვენს შორის. რატომ, — ვერ გაშვგო.

ქიშკართან მარტო შეჩერდა დარეჯანი. შავი კულულები ეყარა მხრებზე.

9.

შესწყდა ცივი ქარების სტვენა.

ყოველი ხის ძირას ფერადი ყვავილები ახელდნენ თვალებს და ჰაერს საამო სურნელით ავსებდნენ.

ახლად ფეხადგმული ბავშვები ჭყიოდნენ ეზოებში და პეპლებივით დაფართხალებდნენ.

ნახამთრალი ბელურები მხიარულის ჭყივლით გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ, დანაეარდობდნენ.

ჩიტებს, ბავშვებს და ყვავილებს ჩემს გულში ერთი ადგილი ჰქონდათ, ერთად ჰყვოდნენ.

...თბილა დღე იყო.

სკოლაში მსუბუქად ჩაცმულები ვიყავით ბავშვები.

იმ დღეს ნიშნები დააკვირგეს და რამდენიმე დღით სკოლა დაიხურა.

როცა მე და თენგიზმა ნიშნები შევადარეთ, თენგიზი უეცრად წამოწითლდა, კინალამ ტირილი დაიწყო. ჩემთვის გასაგები იყო მიზეზი: ორ საგანში ვჯობნიდი — ქართულ წერაში და რუსულ ზეპირში. მას კარგები ჰყავდა ამ საგნებში, მე-კი ფრიალები.

გოგოებიც დაგვეწივნენ და ჩვენი ნიშნების ჩვენება გვთხოვეს.

თენგიზი სდუმდა.

მეც ვიპოვენი უხერხულობა. მეგობრის წყენა არ მინდოდა. ნიშნის ფურცელი დავმალე წიგნში და გოგოებს ხმა არ გავეცი.

— ალბათ, ორიანებით დაგვედეს და ამიტომ, — დაასვენა თინამ.
დარეჯანი და ქეთევანი შემცბარნი მოგვეჩერებოდნენ.
თენგიზმა იყვირა:

— რას იპრანებო, დედაშენი მასწავლებელია, ხათრი დაგდეს, — შტატი-
მატეს!

ასეთი შეურაცხოფა ვერ ავიტანე, ავენეთე.

— ტუტუცო! — მივადახე და ის იყო ურთიერთს უნდა ვსცემოდით, რომ
გოგოები ჩვენს შორის გაჩნდნენ.

— არა გრცხვენიათ, — მოგვმართა თინამ: — ახლა ხომ პატარები აღარა
ხართ, — ჭკუა ვერ ისწავლეთ!

სიტყვებმა: „ახლა ხომ პატარები არა ხართო“ გამახსენეს, რომ მართლა
პატარები აღარ ვიყავით. შევჩერდი, მოღერილი მუშტი დაეუშვი და თავი
დავხარე.

შეჩერდა თენგიზიც, თუმცა სულ ახლოს მინათებდა ბრაზისაგან ამღვრე-
ულ თვალებს.

შემეცოდა მეგობარიც და ჩემი თავიც. კაცობაში შევედივართ და ვჩხუ-
ბობთ მეთქი, გავიფიქრე.

ეს, ალბათ, თენგიზმაც იგრძნო, და გამიღიმა.

— ვხუმრობ, ვახტანგ, უცაბედად მომივიდა, — მითხრა და მორცხვად
გადახედა გოგოებს, — გოგოებო, იცით რა არის: ქართულსა და რუსულში
ვახტანგმა ფრიადები მიიღო, მე-კი კარგები. ჩვენი ჩხუბის მიზეზიც ეს იყო
სულ.

გოგოებმა წიცილი ასტეხეს, მაგრამ ქეთევანმა უეცრად შეაჩერა სიცილი,
გაწითლდა, მოიწყინა და განზე გადაგა.

სამაგიეროდ დარეჯანის თვალეზში სიხარულის ციმციმი შევნიშნე.

შინისაკენ ერთად გავსწიეთ.

მაღე დაგვაფიწყდა გულმოსულობა. ურთიერთისადმი ისევ მჩქეფარე
გრძნობათა გამომჟღავნებით გავლიეთ გზა.

რაც უფრო ზევით ავდიოდით, გორაკზე, მით უფრო ფართოდ იშლებოდა
ჩვენს წინ ქვეყანა. ამ ქვეყანას შავი ზღვის უსასრულო სივრცე ემატებოდა.
იმავე საღამოს წარმოდგენაზე წავედით ბავშვები.

მკვარის ჩირაღდნები ავანთეთ და მთელი ზევი ყიყინით ავავსეთ.

თემში, საბჭოს შენობის წინ, შევჩერდით მოწყალები.

ერთი უცხო კაცი ლაპარაკობდა.

მან ასე დაასვენა:

— ასეთია ბელადის აზრი: ვინც კოლექტივში ძალით მოიყვანეს, შეუძლია
ნებით წავიდეს. ვინც მოისურვებს, კოლექტივის კარები შემდეგშიაც ღია
იქნება.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კრების თავმჯდომარე ზეზე წამოდგა.

— რას იტყვით, ამხანაგებო? — წარმოსთქვა მან. — სიტყვა ვის უნდა?

აქა-იქ ორი-სამი კაცი შეფუცხუნდა, შეინძრა. თავი მოიჩიჩეს, ჩაახვე-
ლეს, ისევ დადუმდნენ.

— სათქმელი არავის აქვს, ამხანაგებო? — მოუწოდა კვლავ თანამოძრა-
რემ და აივნიდან დააჩერდა სიბნელეში ქანდაკებებივით ვარინდულნი, რო-
მელთა სახეებს ხანგამოშვებით პაპიროსები ანათებდნენ.

— ერთი კითხვა თუ შეიძლება, — სწორედ ჩვენს გვერდით უძლიერესადაა
ვილაკამ და ნელა წამოდგა.

სევასტი იყო.

— ბრძანეთ!

— მო-და, ხალხნო, რას ფიქრობთ? ჩვენი დაღუპვის თუ გადაჩენის სა-
კითხი წყდება და ხმას არავინ იღებთ. პატივცემულმა მოგახსენათ სათქმელი
და საქნელი. ახლავე უნდა ითქვას ყველაფერი. პატიოსნად აღიარებას გვაპა-
ტიებენ. თუ არ გვინდა, უნდა დავადგინოთ, რომ არ გვინდა. თუ არა და ვინც
დაჩრება, ვადროთ ცოტა, თამაშობა იქნება თუ ვარჯიშობა, მაშინ მივხვდე-
ბით, ჩემი შეკითხვა ასეთია, პატივცემულო...

— ეგ შეკითხვა კი არა, სიტყვა იყო, სევასტი, — შენიშნა ვილაკამ და გაი-
ცინეს.

ათამდე კაცმა ილაპარაკა. თითქმის ყველა სევასტის აკრიტიკებდა. სევას-
ტი ყვიროდა, დაობდა: „რა გინდათ ჩემგან, თქვენი აზრი გვითხარით, პატივ-
ცემულო“ ან „ჩემდა თავათაც ამას ვამბობ, მე სხვებზე ვჩიოდი თვარა!“

შემდეგ, ყველაზე მეტად კოწია კვინტრიძის სიტყვამ გააჯავრა სევასტი.
კოწია ამბობდა: რაკი დაეწყეთ, უნდა გავყვეთო კოლექტივს. სევასტიმ ვერ
მოითმინა და შეუყვირა:

— კოწია კვინტრიძევ, შეგჩრჩეს ჭკუა და სხვაი შენ იცი! აბა, სევასტი
აბდალაი ყოფილა და სხვაი აფერი!

ბიძაჩემმაც აიღო სიტყვა. გამეხარდა. მას პირველად ვუსმენდი საჯარო
კრებაზე.

მხოლოდ დღეს ვიგარძენ, რომ მთელი ხალხი უდიდესი ყურადღებით
უსმენდა მას.

ბიძაჩემის ბოხ ხმაში სიმართლე ისმოდა, ისეთი სიმართლე, რომელშიაც
დაქვეება არ შეიძლებოდა. მან მოკლედ მოსჭრა:

— რაკი მოვედით, ახლა სად წავალთ? გურულები ასე არ დადიან. ჩვენ
ესთქვით და გათავდა. ჩვენი ხალხი უკან არ დაიხვეს!

„მართალია, მართალია!“ „ყარამანმა გვითხრა სათქმელი!“ „დავადგინოთ
და ყარამანის სიტყვები გავუგზავნოთ რაიონს!“ — იძახდნენ ირგვლივ.

რაღაც სიბოო ტალღასავით მივლიდა სხეულში.

ბიძაჩემს ვუცქეროდი და მისი ნაოჭებიანი შუბლი უფრო მაღალი მეჩვენე-
ბოდა.

მთვარემ არემარე ვაშუქა და ხალხში მეტი ხალისი შეიტანა. ხმაშალა
ივინოდნენ ახალგაზრდები. ჩვენ, მოწაფეები, ერთად ვიდექით.

დარეჯანი მთვარეს მისჩერებოდა.

აივანზე რამდენიმე ახალგაზრდა ფუსფუსებდა.

ყვიროდნენ, აბრაზუნებდნენ, სახელდახელოდ აწყობდნენ სცენას, ნაირ
ტანსაცმელებით ირთვებოდნენ და რაღაც საღებავებს ისვამდნენ სახეზე.

წარმოდგენაზე ბევრი გაციენეს.

მხიარულად დაგბრუნდით შინ. მთვარე უხვად აფრქვევდა შუქს ხეებში,
ხეებზე, ბალახზე და მდინარეზე. მოწაფეები წინ მიედიოდით, ღიღები უკან.

მეზობელ ამხანაგებს დავემშვიდობე და სიხარული თითქოს გამიჩინებოდა, მოვიწყინე, უცბათ შევჩერდი. თვალი და გული დამრჩა სადღაც: ^{ესა და} ტოვებულ ერთ მეგობარს ვხედავდი, იგი თვალწინ მედგა.

რა იყო ეს? თორმეტი წლის ყმაწვილს რა გრძნობა უნდა ^{მეგობრული} მეგობრულ მეგობარს ჩაჰბერა ჩემს სულს, ასეთი გრძნობა რომ გაჩენილიყო?

ახლად გახსნილი კოკრები პირველ შუქს იხილავენ, შემდეგ ხარბად ვაიშლებიან. მოაკლებ შუქს — მოიწყინენ და თავებს დახრიან...

დაბადებიდან თითქმის ყოველ დღეს ახალ-ახალი ფიქრები და გრძნობები მოაქვს, თითქოს ქვეყანას სხვანაირი თვალებით დაუწყებ ცქერას. მაგრამ ხდება აშკარა გარდატეხაც; აზრისა და გრძნობის უცარი ცვალებადობა.

სიმწიფეში შესვლის პირველი წლები მნიშვნელოვანნი არიან ამ მხრივ. ყველაფერს, თუნდაც წვრილმანს, დიდად აფასებ, უმნიშვნელო მოვლენაც კი ავალელებს...

გინდა გაერკვე, საკუთარი გონების თვალთ გაზომო ყველაფერი, საკუთარი გზა გამოიხაზო და სხვებს შეადარო...

ვიცოდი, მომავალშიაც გაჩნდებოდნენ სხვა მეგობრები, იქნებ უფრო დიდი ღირსებისა და მნიშვნელობის, მაგრამ მე მაინც მერჩია ის, ვინც პირველად მოხვდა ჩემს გულს. ნუ თუ შემეცვლება ხასიათი, ნუ თუ შეიძლება მომავალში სხვაფრივ ვიფიქრო? აი რაზე ვფიქრობდი მაშინ და არა მჯეროდა, რომ შემეცვლება...

10.

გურამის ბაღში და მთელ სოფელში ბიძაჩემს ჩააბარეს პრიგადირობა.

ხალხი ჯგუფდებოდა, ირეოდა, დაობდა, — მაინც მზის ამოსვლამდე ვადიოდა სამუშაოდ.

ბავშვებს ბიძის ბოხი ხმა გვაღვიძებდა.

საკმარისი იყო მისი ბოხი ხმის ჩვეულებრივი აფუგუნება და მთელს სოფელს ეღვიძა.

ბოლო დროს უფრო ჩაფიქრებული დადიოდა ან ასევე ჩაფიქრებული იჯდა თავისთვის.

— კაცო, ასე რამ დაგაფიქრა? — ეუბნებოდა ბიცოლა.

ბიძაჩემი ჩაახველებდა, უღვაშებს ხელის გულით გადაიწევა-გადმოიწევა, პაპიროსს გააბოლებდა და ცოლს ეტყოდა:

— ხუმრობა ხომ არა გგონია, ქალო, აქამდე საკუთარ თავზე ვაგებდი პასუხს, ახლა კი ოცდაათ თავს უნდა გავუძღვე.

...იმ დღეს ადრე გავედი ეზოში.

ბიძაჩემთან ოცამდე კაცი და ქალი შეკრებილიყო.

ქალებს კალათები ეჭირათ ხელში.

მამაკაცებს — თოხები და ბარები.

ორ ჯგუფად იღვნენ, ურთიერთს შენიშვნებს აძლევენ ან იცინოდნენ.

— ონისიმე გვაჯობებს, აი! — მამაკაცების გასალიზიანებლად ამბობდა ერთი ქალიშვილი, რომელიც წაქცეულ ლედვის ხეზე მჯდომ ონისიმეზე მიუთითებდა.

ტანშორჩილი, ქალარაშვრელი ონისიმე ქალების გაკილვას არაფრად აგდებდა. იჯდა თავისთვის, მათ არც-კი უყურებდა და ჩიბუნს აბოლებდა.

— აბალაი არა ვარ და... წელს ხომ არ მოვიტეხ და... მშობრივ ტკიპით რომ ქვეყანა შენდებოდეს კარგი იქნება და... — ამბობდა ონისიმე.

— ონისიმე ონისიმეა, მარა, ედუკიას რაღას უპირებთ? — ეჭვად ქალების გამოსაჯავრებლად წარმოსთქვა ვაჟმა, რომელსაც მოსირმულად ეძახდნენ ეხვია თავზე, ხოლო ხელში ბარი ეჭირა.

— რა უნდათ ჩემთან, ა, რა დავაშავე, ა? მოკვლავ მაგ ტიტყოს! — ამბობდა ცრემლმორეული ედუკია და თვლით ქვას ეძებდა.

— შენ, ედუკია, ნუ გენაღვლებ! — ჩაერია ტანმორჩილი გოგონა, — ჩაის კრეფაში თუ არ გამოდგები, წისქვილში დაგსვამთ ბაბუასთან და იქ თავველებ უმღერე.

ედუკია აენთო და ენამწარე გოგონას ხელი ჰკრა:

— მომშორდი აქედან! რაღა მე დამესიეთ ყველანი, საქმე არა გაქვთ?

ქალებში სოფიოც ჩამდგარიყო კალათით ხელში.

— გეყოფათ, წადით! — როგორც იყო დაიძახა ყარამანმა და წამსვლელებს ხელით უჩვენა. — თქვენ აქეთ, თქვენ — იქით. ონისიმე, შენ რად ჩამორჩი? გასწი, თუ გგონია ნამესნიციის დროშკას მოგართმევთ?

— მივიღივარ და... რაღა მე ჩამაცივდით და... — იძახდა ონისიმე და ფეხს ისე მიათრევედა, თითქოს კოჭლიაო.

მეც ვისარგებლე არდადეგებით და იმ დღეს პირველად გავყვევი ბიძაჩემს. ხალხი ბალებში მიმოიფანტა.

ქალებმა ჩაის კრეფა დაიწყეს, კაცებმა — თონხა და ბარჯა.

სევასტი დაგვიანებით მოვიდა თოხით და ბიძაჩემს უთხრა:

— კაცო, ამისთანა გაგიგონია: იმ დასალუბავმა წელის ტკივილმა გამტეხა კაცი!

— მიფრთხილდი, სევასტი, — უპასუხა ყარამანმა. — მუდამ წელის ტკივილი არ გამიგია. ახლა სხვა რამის გამოგონება იქნება საჭირო, მარა ზოლოს ყოველგვარ ტკივილს საზღვარი დაედება, იცოდე!

— ამისთანა გაგიგიათ, პატივეცემულო? ქვეყანაზე სამართალი გაქრა, თუ რაი? კაცს წელის ან თავის ატკივების ნება არ ქონდეს, ჩიხობტაში ჩავარდნის ნებაც არ მოგცენ. სიკვდილი თუ შესტუმრა, ამაზედაც ყარამანის მოწმობას მომთხოვენ ალბათ! — ბრაზიანად, მაგრამ მორჩილად წარმოსთქვა სევასტიმ. მერე თოხი მოიქნია და მიწას დაჰკრა.

— აგრეა, სევასტი, ყარამანის უნებართვით თუ მოკვლები, გასვენებას ვერ ეღირსები! — გამოაჯავრა სინომ. ატყდა სიცილი.

სევასტიმ ცოტახანს იყუნა, შემდეგ ნიკაბთან თოხი მიიღო, ხელი წელზე გადისვა და შიშიმედ აღმოხდა:

— შა, შა, შა, როგორი ალიაქოთი ზდება ძარღვებში! კი, მარა, რომ ელოდებოდით, ხუთწლედი ტრაქტორის გამოგზავნისო, სად არის ნეტაი? წელში თუ გავტყდით, მერე რათ გვინდა? ტრაქტორი არა და არატორი კი ჩამოვა საცაა, ათასგვარი სიკეთით აგვაესებს, დაგვარიგებს და ისე წავა. არა, ძმომ პატივეცემულო, არატორებს რომ ტრაქტორები მოჰქონდეს, ავშენდებოდით!

— რავე, ტრაქტორი მოთოხნის თუ? — ჰკითხა სევასტის შავგვრემანმა ჰაბუკმა და პასუხიც თვითონვე განაგრძო: — ასე რომ შენს საქმეს საშველი მაინც არ ექნება.

სევასტი მიაჩერდა ჰაბუკს და გესლით უპასუხა:

— რავე, ისე დავეცი, რომ ახლა კაპიტონაის სათრევი გავხდოი კაცი? მოკედეს სევასტი, მოჯამაგირემ რომ ჰქუა ასწავლოს!

ამ უხეშობაზე ერთხმად შეუყვირეს აქეთ-იქიდან. სევასტი შექანდა.

— კაპიტონამ თუ შეგამინათ, მე რას მერჩით? გიცხორდეს კაპიტონაე, მამის სული, ვეკაცი ყოფილხარ და სხვაი შენ იცი. — დაასვენა სევასტიმ და თოხი მოიქნია.

მეც ჩავდექი ნაპირში და თოხნა დავიწყე.

კოლმეურნეები გაახარა ჩემმა იქ მისვლამ.

— პატარაა, მარა რა ბიჭია, ცოდეთი ქვეყანას ვადაბრუნებს! — ამბობდნენ ჩემზე და მეც მიხაროდა.

რალაც ახალი, საამო გრძნობები მივსებდნენ გულს. ძალა მემატებოდა, ვურტყამდი თოხს და ჩემს მიერ გაფატრულ მიწას ჩავჩერებოდი.

კოლმეურნეებმა ნაღური დაიწყეს.

რამდენად უჩქარებდნენ სიმღერას, იმდენადვე უფრო მაგრა ურტყამდნენ თოხს.

— კი, მარა, პატივცემულო, გურამს რომ ეს ბალი არ გაემართა, სად წავიდოდა ეს კოლექტია? — იკითხა სევასტიმ.

— ჯერ კიდევ სადაა! — მიუგო ყარამანმა და თოხი უფრო მაგრა დაარტყა. — ეს თამაშია. დიდი საქმე წინ გველოდება.

— ავშენდი და ეგ არის, პატივცემულო! — სთქვა სევასტიმ და შორს გააფურთხა. — პეტრიას მოსვლამდი თუ პავლიას ტყავი არ გააძვრეს, ჩვენი საქმე კარგად იქნება.

— შენ ისევ პეტრიას და პავლიას იგონებ. ეგ წელის კი არა, ტვინის ტკივილია. შორჩები თუ მოკედები, ორივე შენი ბრალი იქნება. მიფრთხილდითქვა, სევასტი! ენას უჯელი და ჰქუას უმატე! — უთხრა ყარამანმა და ჩაის მკრეფავ ჭალებს გადაჰხედა.

კაპიტონა სევასტისთან მივიდა, ხმადაბლა უთხრა:

— ჰქვიან კაცს დაუჯერე, სევასტი, თვარა წააგებ. ან ტროციკისტობაში გადავარდები ან კულაკობაში. ეს ორივე მაინც გადავარდნა გამოვა და შენს საქმეს კაცი ველარ უშველის.

— რას ჩმაბავ, ბიჭო! — დაუყვირა სევასტიმ. — ტროციკისტობა და კულაკობა რა ჩემი საქმეა! იი რაცხა ომპოზიციია, ახლა იმასაც მე დამაბრალებთ. თქვენ გაიცინებთ და მე გამამწარებთ. ეს რა ღეთის წყრომამ, ვინახავთ აი?

— ჩვენ არ დაგაბრალებთ, მარა გამოვა, — ჩაუთთო სინომ. — ბიქტორმა და ისიდორემ განცხადებები უკანვე წაილეს კოლექტივიდან, მარა შენისთანებს მაინც სჯობიან. ცოტა ხანს დაიბნევიან, შემდეგ ტვინი დაეწმინდება და ისევ მოვლენ.

— ბიჭო, რას ჩამაცივდით ამ დილას, არ მომეშვებით? — გამწარდა სევასტი და შორს გაიჭრა.

სიცილი მიადვენეს სევასტის და ახალი ნაპირი დაიწყეს.

მზე გადიხარა.

დალილობას სიმღერით აფრთხობდნენ ბიჭები.

ჩაის მკრეფავ ჭალებმაც უმატეს სიცილს და ურთიერთის გამოჯავრებას. ამ დროს ქვემოდან რალაც გუგუნე, ხალხის ჩოჩქოლი, ბავშვების ჰყვილი და ძაღლების ყეფა მოისმა.

ავერ გამოჩნდნენ:

გორაკს შემოსდგომოდნენ. შუაში რაღაც კამეჩივით მოზოხავდა მერხზე და თიხთიხებდა. უკან ამ უჩვეულო ცხოველს ჟივილ-ხივილით მამოძვინებდნენ, წინ ძაღლები უჭრიდნენ გზას და ბრახით უყეფდნენ. მამოძვინების შავი ცხოველი მაინც ღინჯად იწევდა ზევით და არავითარ მუქარას ყურს არ უგდებდა.

ტიტიკომ დაიყვირა, მოვიდაო, თოხი დააგლო და იქით გაიქცა. მას ახალგაზრდები გამოედევნენ.

ყარამანმა ამაყი გამომეტყველებით შეათვალერა კოლმეურნეები. თვალეები გაუცისკროვნდა, მის სახეზე უჩვეულო, ჩემთვის დღემდე უხილავი შუქი გამოჩნდა. ის შუქი შიგნიდან, ყარამანის არსებიდან გამოდიოდა.

— ხომ ხედავთ, ძმებო, (სიტყვა „ძმებო“ ჩემს მახსოვრობაში დღეს პირველად წამოსცდა ყარამანს) ის ჩვენთან მოდის!

სევასტი და ონისიმეც კი გამოცოცხლდნენ, თოხები მიაგდეს. სევასტიმ ჯოხი აიღო.

— რაეა, სტუმარს პატივისცემა არ უნდა თუ? ალაგესთან მაინც შევხვდეთ და მიველოცოთ.

ონისიმე სევასტის გაჰყვა.

— რატომაც არა და... პატივისცემა კი არა, ქორწილიც უნდა მაგ ფსკერ-დალოცვილს. არატორი მოვაო, მარა ტრაქტორი მოვიდა...

წავიდნენ...

მალა ამოვიდა ტრაქტორი. უცბათ შესდგა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — ვერ მოითმინა, დანარჩენებსაც მოუწოდა ყარამანმა, ახალუხი გაისწორა, თითქოს მართლაც უცხო სტუმართან შესახვედრად ემზადებო, და გრძელი ნაბიჯით გასწია წინ.

ყველანი გაჰყვნენ.

ქალები იცინოდნენ:

— რაეა ივანიკაის ტახივით როზროხებს ეგ დალოცვილი!

— მაგისი წესი ასეთი ყოფილა. თუ არ იროზროხა, ისე ფეხს ვერ მოიცვლის, მარა თუ მოიცვალა, მერე კაცი ვერ შეამაგრებს თურმე.

— მიაქვსო ხეი და მიწა, სანამ საკმელია თუ სასმელი არ დაეღვეა, სორომ-გორომივით ასწორებს ყველაფერს. თუ დაელია, დაღურსავს ყურებს და გაჩერდება. ურტყი მერე შოლტი და გინდა ჯგვერი, სულერთია, არც ეტყინება და არც ეწყინება, გაავდებს ძვალს და სალათაის ძილს მიეცემა.

ასე აფასებდნენ ქალები ტრაქტორს, რომელიც პირველად შევიდა ამ სოფელში.

მოედანზე ტრაქტორის გუგუნე აღარ ისმოდა. მას ძაღლებიც აღარ უყეფდნენ, თუმცა შორი-ახლოს შეგროვილიყვნენ და იმ გასაოცარ ცხოველს მისჩერებოდნენ.

სირბილისაგან გაოფლიანებული ბავშვები ახლა ხელით სინჯავდნენ ტრაქტორს და უთვალთვალდნენ.

სევასტიმ ირიბად გადახედა ტრაქტორს და ახალგაზრდა ტრაქტორისტს გაჰკრა:

— ბიჭო, მაგ ახმას ამ ტყე-ღრეში რა გააქნებს?

— მაგაზე ნუ იღარდებ, სევასტი, მაგის გასაჭენებელ ადვოკატს მოვინახავთ! — მიუგო კაპიტონამ და წინ წამომდგარი ახალგაზრდობის წევან დაძვია.

ტრაქტორისტმა სული ჩაუდგა ტრაქტორს და წინ მიუშვა. ბაღში შეიყვანეს ტრაქტორი, იქ თავლასთან შეაჩერეს და ხმაური დაცხრა. სინო და კაპიტონა მივიდნენ ტრაქტორთან. სინომ ხელი დაადო ბორბალს და ტრაქტორისტს უთხრა:

— მოასვენე, ძამია, ბენზინი შეასვი, დილით ჩავდენოთ მერეში, გაუშვავთ და იროხროხოს, რამდენიც უნდა, სანამ უქანასკნელი წვეთი შერჩება პირში.

მზე დაეშვა. სულ ბოლოს ბიძაჩემმა დასტოვა ბალი და მეც ამაყად გავყვევი. სრულუფლებიან კოლმეურნედ ვგრძნობდი მეც თავს.

— დღევანდელი დღე კარგად დაღამდა! — სთქვა ბიძაჩემმა და ისე გადმოხედა, თითქოს თანატოლს ეუბნებოა. ვიგრძენ ეს უფლება, კოლექტივში იმ დღის შრომამ რომ მომანიჭა. ჭიშკართან დარეჯანი და ქეთევანი შემომხედნენ.

— როგორ დიდი კაცივით დადიხარ, ვახტანგ? — მკითხა ქეთევანმა.

— მოიცა, ქეთევან! — ჩაერია დარეჯანი და მე მომვარდა. ჩამხედა თვალებში, ღიმილით მკითხა:

— ტრაქტორზე ახვალ?

— ქალებიც ავლენ. — მივუთხე. დარეჯანის თვალებს სითბო მოჰქონდა.

11.

სექტემბერია.

სალამოა.

იგივე ეზო. იგივე სკოლის მეგობრები.

ვხივართ, მხოლოდ სიმონი არ იყო ჩვენს შორის. ის ქალაქში სწავლობდა უკვე. მთელ სოფელს ესმოდა ჩვენი სიმღერები, ჩონგურისა და გიტარის ხმები. გოგოები უფრო ჩონგურსა და გიტარას უკრავდნენ, თანაც წვრილ ხმას აყოლებდნენ. ვაყები კი ბანს ეუბნებოდნენ. საკოლმეურნეო ლექსებიც შემოიჭრნენ ჩვენს სიმღერებში.

...დაღამდა. მხოლოდ ვარსკვლავები დარაჯობდნენ იმ ღამეს ცას. მეგონა, ის ვარსკვლავები მხოლოდ ჩვენ გვიცქეროდნენ და შეგვხაროდნენ. თითქოს ცის პასუხად მიწამ ცოცხალი ვარსკვლავები ამოაფრქვია. ეს პატარა ვარსკვლავები ჩვენშიაც შემოიჭრნენ, ზეზე აგვიარეს: ციციანთელებს ავედევნეთ. ვინ ჭუდივით იჭერდა, ვინ ხელით. გოგოებს თმაშიაც უტყვივებოდათ. დაქერილ ციციანთელებს ქუდში ან ხელსახოცში ვაგროვებდით.

— დაიჭი, დაიჭი! — ვეძახდით ერთმანეთს და შორს მივსდევდით.

კოლმეურნის ბაღის ჭიშკარმდე მივდივ ციციანთელებს და უცბათ შევდექი: ჭიშკართან, ვით მოჩვენება, გოგონა იდგა. თმაში ჩაბნეული ციციანთელები უშუქებდნენ თითონაც ციციანთელასავით მომღიმარ სახეს. ის ღიმილი თითქოს მე შეძახდა.

— დარეჯან! — შევძახე.

— შენ ხომ ჩემთვის იჭერდი ციციანთელებს, მაშ დამაყარე.

— შენთვის, დარეჯან! — მივუთხე მცირე ყოყმანის შემდეგ და ჭუდში მოგროვილი ციციანთელები დარეჯანს თავზე გადავანბნიე.

დარეჯანის თავი და სახე უფრო გაბრწყინდა, აციაგდა, ზღაპრული გახდა. შევსცქეროდი გახარებული, მეგონა: ასეთი სურათი ქვეყნად აღარ გინმეორდება.

დედის ძახილი მომესმა.

ერთსა და იმავე ღროს შეეკრთით, მოვწყდით იმ ადგილს და გავიქეციეთ. შინისაკენ გავებოდი, მაგრამ გზადგზა თვალს ვერ ვაშორებდი დარეჯანის გაციაგებულ თავსა და სახეს.

ერთში რომ შევედი, ყველანი დარეჯანს შემოეხვივნენ:

- მთლად ციციანათლად გადაქცეულა!
- ეს ვახტანგის მოგონილია!
- ვახტანგი ამ საქმეში მთლად უმწიკვლოა.
- საერთო აზრია! — დაასკვნა თენგიზმა.

გოგოები ეცნენ დარეჯანს, გაჩეჩილ თმიდან ციციანათლეების ამოკრეფა დაუწყეს, თან თმას უწეწავდნენ და კისკისებდნენ.

— მოდი, დარეჯანი! — უთხრა დედაჩემმა, მოხვია ხელი და მიიზიდა. დარეჯანის გაციაგებული თავი დედის სახეზედაც აფრქვევდა შუქს.

ჩვენს სიხარულს ბოლო არ ჰქონდა.

ერთში შემოსული ბიძაჩემის ფეხის ხმა ვიცანი.

როგორც ყოველთვის, სამუშაოდან დაბრუნებისას ის მძიმედ მოადგამდა ნაბიჯებს. მისი სიტყვებიც მძიმე ხდებოდნენ, თითქოს თვითონ ბიძაჩემის ნაბიჯებს მოჰყვაო სიღინჯე. მეგობრებმა ხმა ჩავეკმინდეთ.

მთელი ყურადღება ბიძაჩემმა მიიპყრო.

ახლოს მოვიდა. ალვის ხის ძირას ადგილი დავუცალეთ. შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, მერე დაბალ, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, — ალვის ხეს ზურგით მიეყრდნო.

— ვიღლები, მარიამ! — შესჩივლა დედაჩემს.

მოლზე დავსხედით. იგრძნობოდა; რომ სინამდვილეში ბიძაჩემს უნდა დაერღვია აშეამაღ.

— კოლექტივმა პირი ჩვენსკენ ქნა, მარა ხალხში ყველას ერთი პირი არა აქვს. უპირონიც არიან და უცხვირიპირონიც. ონისიმე გავაძვეთ კოლექტივიდან. ამით ზარმაცებს მუქარა გამოვუცხადეთ, მარა მან სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული და ლუკმის თხოვნა, მოსულელო პარმენისაკეთ. ახლა ისილორე და ბიქტორაც-კი დაუბრუნდნენ კოლექტივს, მადლობაც გვითხრეს, მაგრამ ონისიმემ არ მოგვასვენა, კოლექტივში არაფერს აკეთებს და ვერაფერს ღებულობს. ლუკმის თხოვნას რომ მიეჩვია, ახლაც აგრძელებს. პარმენა კოლექტივის სახელს ქე მაინც არ ატარებს, ზის თავის კარმოფლეთილ ფაცხაში და იმეორებს: „მოქალაქე ვარ და ვერ შემეხები. შე ინდივიდი ვარ და თქვენ კოლექტივი. ზაკონებიც გვაქვს და კანონებიც. ერთმანეთს არც ვუშლით და არც ვეხმარებით, მორჩა და გათავდა. ჩვენს შორის სამუდამო ზავი ჩადგაო“. ზარმაცები სხვებიც გვყავდა, მარა გამოვასწორეთ. ონისიმეს კი ვერც თავი გაუგეთ და ვერც ბოლო. ალბათ, არც თავი აქვს და არც ბოლო ონისიმეს, თვარა ამოდენა ხალხი რამეს კი შეამჩნევდა და გაასწორებდა. ზოგიერთი ავადმყოფობამ გაგვინაწყენა — მტკივაო ამბობს. შე რომელი დოსტაქარი ვარ, ადამიანს შიგ რომ ჩავხედო? სევასტი ერთი კვირაა თვალით არ გვინახავს. მის კარ-მიდამო ბალი და ყანა პრიალებს

მზებზე. რაღაც უჩინარი ხელი ფერავს სევასტის კარმიდამოს, და უჩინარის მეტი აღარაფერი აკლია. მდიდარი მოსავლის თვეში შევედით, მარა უჩინარი ხელი აქაც მოქმედობს. ღამიანობით ძროხები ან ღორები დაჯირითობენ ჩვენს ყანებში და შეპირებულებივით თვითონვე ჰქვრივნიან მათი კვალი მერეში ჩადის, შემდეგ დღეში იკარგება. ბიჭები უღარაჯენენ, მაგრამ ისინი ვერაფერს ვერ იჭერენ, თითქოს ძროხები და ღორები წინასწარ გებულობენ ყველაფერს და სწორედ იმ ღამით არ ცხადდებიან. ახლა კოწია კვინტრიძე აგვიტყდა, გვაკრიტიკებს. უთაობა სჭირსო კოლექტივს.

— ალბათ, კოწიას სტკივა რაიმე, — ჩაუბრუნო სოფიომ.

— კოწიას რა სტკივა, არ ვიცი, მარა კოლექტივს მაინც სტკივა რაღაცა. — განაგრძო ყარამანმა. — მე მაინც მგონია, რომ ღორები საკუთარი ჭკუით არ დადიან. ჭკუა სხვისია, ჭამა კი მათი. პირუტყვის ოთხი ფეხი აბია, ჭკუას კი ორი. ყარამანმა კი სდიოს და იველიოს, ვინ მეტი მოიგო — ღორმა თუ კაცმა.

— ყარამან, ყარამანი! — მოისმა ამ დროს.

ყარამანმა ბაასი შესწყვიტა, იყუჩა. შემდეგ წამოადგა და კიშკრისაკენ გაემართა.

— არჩილის ხმაა, — დაასვენა სოფიომ. — მთელი სოფელი შესძრეს იმ ღორებმა, არც ღობე შევლის, არც მათი სიკვდილი! — სთქვა სოფიომ და ისიც კიშკარს მიუახლოვდა.

— გამარჯობა, სოფიო! — მიესალმა არჩილი.

კარგახანს ილაპარაკეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შინ შემოსვლაზე უარი სთქვა და მასპინძლებს ბოდიშით დაემშვიდობა.

— უკეთეს ზასიათზე ვიქნებით და მოვესწრებით, — სთქვა არჩილმა და კიშკარს განშორდა.

ბიძია და ბიცოლა უხმოდ მობრუნდნენ.

ყარამანი სკამზე დაეშვა. ფეხთ გაიხადა. ყარამანმა შვებით ამოისუნთქა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მისი მოღლილი ძვლები იმ ღამეს ძვრას აღარ იზამდნენ. მე და თინა გაყვივით მეგობრებს.

რაღაც აზრი ჩამიჯდა თავში და უცბათ შეეჩერდი.

— ვახტანგ, რად რჩები? — მკითხა დარეჯანმა, მაგრამ მე შინისაკენ გაბრუნდი.

სირბილით შევედი კიშკარში, მივეარდი დედას და ჩუმიად ვთხოვე:

— გამიშვი, დედი, თენგიზი მთხოვს, ამ ღამეს მასთან რომ დეარჩე.

დედაჩემმა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გამიშვა.

გახარებული გავიქეცი. მეგობრებს წამოვეწიე და მივაძახე:

— შეთქმულებაა, — შეეძახე მეგობრებს, — მაგრამ გოგოებმა უნდა შემოგვეციონ, რომ არ გაგვამხელენ.

— ხომ არ გაგიდო! — დაიძახა თინამ.

— აი რას ვამბობ, — მივუგე და მეგობრებს მთელი გეგმა გადავუშალე.


• აზვადნენ ვოგოები: თქვენ, ალბათ, რამე დიდ ეშმაკობას აწყობთო.

ვაუბებს ჩუმიად გადავეცი ჩემი განზრახვა. გადაწყვეტილება მოიწონეს და ახლა ერთად შევეუტიეთ ვოგოებს.

როგორც იყო, ისინიც დაგვთანხმდნენ, და ყაჩაღებივით გზას გავუღიქით.

— როგორ ვქნათ ახლა, იარაღი რომ არ გვაბადია? — იკითხა სარდიონმა.

— სულელო, ქვა იარაღი არ არის თუ, — მიუგო თენგიზმა.

— იარაღი კი არა, ხარბაზანი არ გინდა, სარდიონ? — ჩაუქროთ 

— თქვენი გამოცდა მინდოდა, ბიჭებო, — წარმოსთქვა სარდიონმა და მედიდურად გადასდგა ნაბიჯი.

— ეს კვი, მარა სკოლაში რა ექნათ, უძილონი როგორ წაუბრდეთ? — მკითხა თენგიზმა.

— ბიჭებო, ერთი ღამის გატეხა თუ არ შეგიძლიათ, მაშინ როგორი მებრძოლეები გამოვალთ? — მოვუქერი მეგობარს.

ვიწრო, ბნელ ბილიკს ჩაეყვით ქვევით. გაეშორდით ტყით დაბურულ ხრამს და ვაკეზე გავედით.

— უკვე სიფრთხილე გემართებს, ბიჭებო, ჩუმად! — მივეცი ნიშანი. გაჩუმდნენ.

უხმოდ განვაგრძეთ გზა.

12.

კოლექტივის ყანებთან მივედით და სიმინდებში ფრთხილად ჩავემაღეთ. ციდან ვარსკვლავები გეაყრიდნენ ნაპერწყმებს, ხოლო თვით ცა ნამს გვასხურებდა.

— არ ჩაგვეძინოს, ბიჭებო! — გავაფრთხილე ამხანაგები.

— თუ ჩაგვეძინოს, ფხიზლად დარჩენილმა გამოაღვიძოს! — სთქვა თენგიზმა.

ყველამ ხმა გავემინდეთ.

მახლობელ კოდიდან ჩანჩქერის შხუილი ისმოდა. სადღაც კოტი ქყიოდა. გალმა, სოფლებში, თანდათან ჰქრებოდა შეუქი. ასევე წყდებოდა ხმაური, ზოჯერ ძაღლების ზანტი შეეყვება თუ გაისმოდა. მიძინებისას მამლებმა იყიველეს და ამით თითქოს სოფელს ნიშანი მისცეს — დაიძინეთო.

მაგრამ ვანა მთლად მიიძინა სოფელმა? მომაგონდა ლექსი, რომელიც პატარობისას შტონდა ნასწავლი:

„დღისით სძინავს, ღამით ღვიძებს,
საქურდალად მორთულია“...

ვინ იცის, ეგებ ახლაც კი, ამჟამად, როცა ხალხს სძინავს, ქურდი იღვიძებს. როცა სოფლის პატროსნებამ თვალი დახუჭა, უპატროსნებამ გამოახილა.

აი სოფელი, შეგიძლია გაიგონო მისი სუნთქვა-კი:

ვით დღე და ღამე, ძინებს და იღვიძებს სოფელი: თითქოს დღისა და ღამის მიხედვით იყოს გაჩენილი ადამიანი ან თვითონ დღე და ღამე გაჩენილიყოს ადამიანის სურვილის მიხედვით.

მაგრამ ვანა ამ ძილსა და გაღვიძებაში არავითარი ცვლილება ან განსხვავება არ არის ნეტავი? „რალაც უნდა იყოს“. შესაძლოა თვით ძილშიაც ხდებოდა ეს ცვლილება. მაგრამ ის, ვინც ღამით ფხიზლობს და დღისით სძინავს, დღე-ღამის წესებსაც არღვევს. ქურდებიც ალბათ არ იქნებოდნენ, ისინი გამარჯვებულნი რომ ყოფილიყვნენ? მაშინ სიბნელეში თავის ჩამალვაც უსარგებლო რამ იქნებოდა.

ამგვარ ფიქრებში ვიყავი, რომ უნებლიედ თვალი დავხუჭე. თავში რალაც ზუზუნნი გაისმა.

— ქვები, ქვები მოიშარჯვეთ, ბიჭებო! — ჩამესმა ამ დროს სარდიონის ჩურჩული. იგივე სიტყვები ახლა თენგიზის ყურებთანაც გაიჟღერა.

— რა ზონდა, სარდიონ? — შევეკითხე და თვალბზე ხელი მოვიხვიე.

— ჯერ თითქოს ჩურჩული მომესმა. შემდეგ ღრუტუნის ხმა მომესმა. ღორები იწყებენ შეტევას.

ღელეში ქვების რახრახი, შემდეგ თითქოს ფეხისხმა და ღრუტუნი გაისმა. ტანში ცხელმა ნაკადმა დამიარა, სარდიონს ხელი ჩავკიდე და იქითკენ ვუჩვენე:

— ხომ ვესმის? თითქოს ჩვენთან მოდიან პირდაპირ.

— რა ვქნათ? — მკითხა თენგიზმა.

— ცოტათი შორს უნდა გავიწიოთ აქედან და ყური დავუგდოთ.

აი მოგვიახლოვდა ფეხის ხმა და ღორების ღრუტუნი. სჩანდა, ვიღაც წინ მოდიოდა, დაგეშილი ღორები-კი უკან მოსდევდნენ.

შესწყდა ფეხისხმა, შესწყდა ღრუტუნიც და ვიღაცამ ღობის რღვევა დაიწყო.

— ბიჭებო, ზურგიდან მოვლა აჯობებს, — ჩაეჩურჩულე მეგობრებს და წამოვდექი.

ჯერ შორს გავიქერით, სიმინდებში, შემდეგ ღელეში ჩავედი და იქიდან მოვლით ზურგში მოვექექით ღორებს და მათ წინამძღოლს.

— აქ გაჩერება არ შეიძლება, ბიჭებო, რამე ახალის მოგონებაა საჭირო, — გვიჩიოდა თენგიზმა.

სარდიონმა შუბლზე იტკიცა ხელი.

— აი რა მოვიგონე! — სთქვა სარდიონმა: — ღორების წინამძღოლი ცოცხლად უნდა ჩავეგდოთ ხელში!

— კარგი აზრია! — დაუდასტურე მე. — მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეგ? ჩვენ ყმაწვილები ვართ, ის კი დიდი... —

— გავყვეთ, სად წავეს — წარმოსთქვა თენგიზმა.

— ეგაც კარგი აზრია, მაგრამ ის, ალბათ, დიდი გაიძვერაა, მალე გაგვიგებს და გაგვეტყევა, — მივუგე მე.

ამ ლაპარაკში დაგვიანებულად ამობრძანებულმა ნახევარმთვარემ მკრთალი შუქი დააფრქვია ქვეყანას.

ღელე ოდნავ გაანათა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა მეგობრებს შორის. ქვებზე დავსხედით.

მომავარდა: ერთხელ ღელეში ბანაობისას, მგზავრები რომ შევაშინეთ და ის შემთხვევა ახლანდელ ამბავს დავუკავშირე:

— იცით, რა, ბიჭებო, — შევძახე: — ტანთ გავიხადოთ, ტანსაცმელი ქამრებით ზურგზე ავიკრათ, და ჩავცუქდეთ ღელეში. როცა ღორების მეთაური უკან გაივლის, უცერად მივესიოთ, ქინკები ვეგონებთ და დავგუნებდბა, რას იტყვიოთ, კარგი აზრია არ არის, ძმებო?

— ჩინებულაია, ჩინებული! — შემომძახეს და ტანისამოსის გახდას შეუდგნენ.

— ეს ჩვენი ვახტანგი გამომგონებელი არა ყოფილა? — სთქვა სარდიონმა.

— გამოგონებას გატარებაც სჭირდება, — დაასკვნა თენგიზმა, რომელსაც უკვე გაეხადა ტანსაცმელი და მთვარეში მოჩვენებასავით იღვა ტიტველი.

კოლექტივის ყანიდან ისმოდა სიმინდების ლიწინი და ღორების ღრუბტუნი. ღორები სტკებოდნენ რძესავით სიმინდით და მეთაურს, ალბათ, ღრუბტუნით უხდიდნენ მადლობას.

ღობე გადატყდა და ფეხისხმა მოისმა. ჩვენ გავიტრუნეთ.

ნაბიჯების ბავაბუვი ახლოვდებოდა. მოაღწია თუ არა, მოუძღვრებოდა წამოვიშალენით, აგტეხეთ ხმაური და უცნაური ხმით შემოვძახეთ:

— ეპეპე, ეპეპე, ეპეპე!

ღორების მეთაური შეკრთა, შეწრიალდა, სიმინდის ტაროები ხელიდან დაუცვივდა და საშინელი ხმით მორთო ყვირილი. პირველად ვერაფერი ვერ გავიგეთ, თუ რას ყვიროდა, მაგრამ შემდეგ გარკვევით მოისმა:

— სევასტი, სევასტი, ვაი, შემჰამეს! — იგი ძირს დაეცა.

ალყა შემოვარტყით და ქვებით ხელში მივუახლოვდით.

— გეყოფა, ეშმაკები არა ვართ, აღექი! — შევეძახე და ქვა მოვუღირე.

— პარმენაა, პარმენა! ჰაი, შე გაქუცულო, შე მაჩვო, შენა! ხომ დაგიჭირეთ! — იცნო სარდიონმა და ფეხი დაჰკრა.

პარმენა თითქოს სიწმირიდან გამოერკვაო, თავი ასწია, თვალები მოგვაცცა და კარგა ხნის შემდეგ წაილულულა:

— ეშმაკები არა ხართ თქვენ? დამიცავი, უფალო!

— თავს ნუ იკატუნებ, აღექი! — შევეძახე.

პარმენა გახევებული წამოღდა.

— რა უნდა ვქნა? — შემეკითხა და მომაჩერდა.

— რა და ასწიე ხელები, მერე გასწი წინ, თვარა აი, ხომ ხედავ, ქვას!

პარმენა მიტრიალდა, ხელები ასწია და აღმართს შეუღდა.

ყვიცინი აგტეხეთ:

— მაჩვი დავიჭირეთ, მაჩვი!

— ღორების მეთაური დავიჭირეთ, ღორების!

— პარმენა დავიჭირეთ, პარმენა!

ახმაურდა სოფელიც.

პარმენა მართლაც ხაფანგში გაბმული მაჩვივით შემოგვეტეპროდა. მხალ იყო ეკბინა, — ქვებს ვუღირებდით და ვაშინებდით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიძიას მგრგვინავი ხმა შემოგვეესმა:

— ვინა ხართ მანდ, ფოცხვერივით რომ ბღავით ღამეში?

— ბიძია ყარამან, ჩვენა ვართ, ჩვენ! — შევესძახე მე. — ვახტანგი ვარ, მაჩვი დავიჭირეთ და მოგიყვანეთ!

— რომელი ვახტანგი, რას ამბობ, ბიძი? — გამომეხმაურა ბიძაჩემი და მოგვიახლოვდა.

მაგრამ უცებ უხერხულობა ვიგრძენი: შიშველი როგორ უნდა დავხვედროდი ბიძაჩემს.

როცა ბიძაჩემმა მთვარის შუქზე შეგვიჩინა, უეცრად შესდგა:

— ჭინკები ხომ არა ხართ, ვინა ხართ?

— ბიძაჩემო, ეს პარმენის შესაშინებლად მოვიგონეთ.

— შენ ვახტანგი ხარ? — ხელის მოჩრდილებით მკითხა და ახლოს მოვიდა.

— მე ვარ, ბიძია. ეს თენგიზია და ესეც სარდიონი.

ყარამანმა ღიმილით სთქვა:

— ნუ გადამჩრით, შეიღებო!

პარმენი შეტრიალდა, თითქოს ხაფანგში გაბმული გასაქცევს ეძებო.

— სტყუიან, სტყუიან, ყარამანი! — დიძახა პარმენმა.

— სტყუიან? ჯერ რა სთქვეს, რომ მომატყუონ? — უყვირა ბიძაჩემს.

— ყველაფერი ვნახეთ, ბიძია, — ვუთხარი მე. და ყველაფერი მტკლამდ ვუამბე.

— სტყუიან, სტყუიან, ყარამანი! — ყვიროდა პარმენა.

— ხმა, კრინტი! — შესძახა ბიძაჩემმა.

პარმენამ ხმა ჩაიკმინდა, ზღარბივით მოიკუნტა და დაპატარავდა.

ამასობაში მეგობრებს ჩაცმა მოესწროთ, მე-კი ისევ ტიტველი ვიდექი.

მოვწყდი ადგილს, ხეს მივეფარე და ტანთ ჩავეცივი.

ყოველის მხრიდან ხალხი მოდიოდა და იქ გროვდებოდა.

ზოგი იცინოდა, ზოგი ჯავრობდა.

როცა ყველაფერი გაიგეს, ხმაურს უმატეს:

— ამიტომ გამოგვიცხადა აეტონომია?

— ღამის აეტონომია გაუმართავს ღორებთან.

— სულელი, სულელიო, და აი ხომ ხედავთ!

— შეუვალობის კანონებს დაეადექიო, მაგრამ კოლექტივის ყანაში შედის და ღორები შეჰყავს.

— კი, მარა ეს ჩვენი ბიჭები მთლად ქრისტესავეთ არ გამოგვეცხადნენ!

— ბიჭები კი არა, დეე-გმირები ყოფილან!

— ბიძია, კოლექტივის ეპოქა რომ დამყარდა, შენს სისულელეს ეს ახალი უბედურებაც წამოემატა? — ჰკითხა ბოლოს ერთმა ხანში შესულმა კოლმეურნემ პარმენას და სილა გააწნა.

— სტყუიან, სტყუიან, შინ მიედიოდი, შემამინეს ღელეში და წავეიქცი. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი! — იძახდა პარმენა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა სევასტი გრძელი ჯოხით ხელში და წელ-მეხვეული.

შორიდანვე დაიწყო ქაქანი:

— მოვეცი ავადყოფი კაცი და ეს არის. რა მოხდა, პატივეცმულნო, მთელა სოფელი რომ შეზზარეთ და გადარითეთ?

— ბევრი არაფერი მომხდარა, სევასტი, მარა შენი თიაქარი ძვირად დავვიჯდა. — უთხრა ბიძიამ.

— რა ხდება ნეტაი, სიზმარში ვარ თუ ზღაპარია, პატივეცმულნო! — წარმოსთქვა სევასტიმ, ჯოხს დაეყრდნო, პარმენას დააცქერდა, თითქოს ახლა იცნოო, იკითხა: — აი, პარმენაიაო ნეტაი? მოდი და ნუ გაგიყლები, პატივეცმულნო! კი, მარა საიდან გაჩნდა ეს აბდალაი?

აბდალაის გაგონებაზე პარმენა შეწუხდა და აიძრიზა.

— აბდალაი კი არა...

— არა და პლარტონი ხარ, შენ არ მომიკვდე! — შეესიტყვა სევასტი. — რა გინდოდა, ბიჭო, ამ უკუნ ღამეში რომ დაბრძანდებოდი და ამოღენა სერესქელი რომ შემიყარე?

— სერესქელი კი არა, ღორები შევეყარე შეკვებში, — მიუგო პარმენამ. რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ სევასტიმ შეუყვირა და სიტყვა გააწყვეტინა.

— რა სთქვი ეს, აბდალავე? შენ რომელი მეღორე მყევხარ, სხვის ღორებს შუკა-შუკა რომ აგროვებ? მოდი და ენდე კაცი ამ აბდალას!

— სწორედ მაგაში შეცდი, სევასტი! — ვილაძამ დაიძახა ხალხიდან და მუჭარით მუჭტი ასწია.

— ვინ იყო ის? ნეტაი რატომ უნდა შემცდარიყო სევასტიმ? — ხკრანასკევასტიმ, მაგრამ ამ დროს გაისმა:

— არჩილი, არჩილი მოდის!
ხალხში დინჯად შევიდა შუა ტანის ვაეკაცი. მივიდა, პარმენას ჩახედა, შემდეგ სევასტის შეაჩერდა, ხალხსაც უხმოდ შეავლო თვალი, ბოლოს ბიძაჩემი გაიხშო და რაღაც უთხრა.

კარგა ხანს ისაუბრეს და ისევ მობრუნდნენ.
არჩილმა პარმენას გადახედა და ხმადაბლა ჰკითხა:
— ვინ გაგაგზავნა ღორების მწყემსად?

პარმენამ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ რაღაც საეჭვოდ გადახედა სევასტის.

— სევასტი აქ რა შუაშია, რატომ უცქერი? — ჰკითხა არჩილმა.
— პატივეცემულო, ეს აბდალაია... — დაიძახა სევასტიმ, მაგრამ არჩილმა ხელის აწევით შეაჩერა:

— მოიცა, მოგვეთმინე. პატიოსან კაცს შეურაცხყოფას ნუ მიაყენებთ!
— არ ვიცი, ქვეყანაზე არაფერი არ ვიცი, ბატონო! — ყველაფერი უარაპყო პარმენამ. — სევასტიმ სთქვა, აბდალაიაო და მე არაფერი არ გამეგებმა. პატიოსანი კაცი შინ მივდიოდი, დამიჭირეს და აქ მომიყვანეს. თვითონ ის ბიჭებია ქურდები.

— რაო? — თითქმის ყველამ ერთხმად შეჰყვირა პარმენას. მეც თითქოს რაღაც დამეცა: გრუნტელმა დამიარა თავიდან ფეხამდე.

— რას ბოღავ, ტუტუცო! — შეუტია არჩილმა და პარმენამ ისევ დახარა თავი.

— მეტს აღარ გავბედავ, ბატონო, — მიუგო პარმენამ და ტირილი მორთო. — რა გინდათ ჩემგან? ერთი კუნძა კაცი დავგორავ, გზაზე ვცხოვრობ და გზაზე დავდივარ, თავიც თქვენ იცით და ბოლოც თქვენ გაგაგებათ. არც კანონები და არც საკონები ჩემთვის არ გაჩენილა.

— აბდალაია, პატივეცემულო, და არ დაუჯერებთ? — ჩაურთო სევასტიმ.
— აბდალაია, ხომ? მაშ კარგი, იყოს აბდალი, აბდალებს და სულელებს პასუხს არ მოვთხოვთ. — მიუგო არჩილმა და ხალხს მიუბრუნდა. — წადით, მოისვენეთ, ამხანაგებო!

ხალხი აჩოჩქოლდა, აირია, მაგრამ შინ მაინც არ მიდიოდა.
იქვე ღორები მორჩეეს ახალგაზრდებმა. ერთმა მათგანმა შესძახა ხალხს:
— შუკებში ღორების მობილიზაცია დაუწყია პარმენას და კოლექტივის ყანებისაკენ შეტევაზე წამოუსხამს უკუნ დამეში!

თავმჯდომარე წავიდა. სევასტიმ თვალი დააცეცა და გაიოცა:
— ბიჭოს, რა ხდება, პატივეცემულო? ეს სამი ღორი ჩემსას ჩამოგავს... მოდი და ნუ მოკლავ ახლა მაგ აბდალას!

— აბდალას ნუ მეტყვი, თვარა მე უარესს გეტყვი! — უკვე დამშვიდებულად წარმოსთქვა პარმენამ.

— ჰა, პირისპირ იცნობენო ერთმანეთს და მართლაც ხომ იცნებენ დაი-
დახა ტიტვიომ და ტაში შემოჰკრა.

ხალხი დაიშალა.

იმ ფერდობებში და ღარდებში ნიაღვარივით ჩახრილდნენ ხალხი.
ბიძაჩემი იქვე მიწაზე იჯდა და მადიანად სწევდა პაპიროსს.

ყმაწვილებიც ხმაგაკმენდილ ბიძაჩემს მიეჩერებოდით.

წამოდგა ბიძაჩემი და ჩვენც უხმოდ გაეყვებით.

ბიძაჩემმა სთქვა:

— ჩვენ, ძველები, ჩამოვრჩით, ალბათ. ყმაწვილები გვისწრებთ და ეს არის.

ჩემი მეგობრები იმ ღამეს შინ აღარ გაუშვა ბიძიამ.

როდესაც ჩვენი ამბავი გაიგეს ქალებმა, პირველად არ დაიჯერეს, შემდეგ კი ბევრი იცინეს.

დავწეკით. ყველას ეძინა. ალბათ მართაც მე გამიკრთა ძილი: პარმენამ რომ ქურდები გვიწოდა, ეს ახლაც დალივით აჩნდა ჩემს გულს. გავეშარჯვეთ იმ ღამეს, მაგრამ ის სასტიკი სიტყვა „ქურდი“ ფინთიხივით ჩავცეხო პარმენამ. ვიცოდი, ეს არავის არა სჯეროდა, პატიოსან ოჯახის შვილებად გვიცნობდა ხალხი, მაგრამ ეს მძიმე შეურაცხყოფა მაინც არ მაძლევდა მოსვენებას.

თენდებოდა. ოთახში დილის ნათელმა შემოაშუქა.

(გაგრძელება იქნება)

შ ე ხ ვ ე რ რ ა

სულგანაბული ვიხედები წინ.

ცადატყორცნილ ხეების დაცვივრულ ჩრდილებში, ქვერებში და ქარდაბებში გაკლავნილ ვხეებზე, დროდადრო ადამიანების შავი სილუეტები აღიმართებიან და მერე ქრებიან ისევ.

ხან კიდევ:

სივრცეს ნაჩქარევად გადალანდავენ, ფლატეებთან ჩაიკეცებიან, ქარის ნესტიან ზუზუნს წუთით გაურძელებული და ხშირად კი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სტვენა აყვება, სივრცე შემფოთდება, შემადრწუნებელი ქრეოლვითა და ფორიაქით აკვნესდება ქარაფებში ჩარუმული ღამის ბინდები და ადამიანთა სილუეტები კვლავ ქრებიან, სივრცე წყნარდება, საიდუმლოებით მოცული სიმშვიდე-სადგურდება.

— დაძრწიან! ვნახოთ!

მებრძოლები მზად არიან ღომებივით ეკვეთონ, ასჩეხონ ქვერებში და ქარდაბებში ჩამუდარი გერმანელთა ნაწილები, მაგრამ არა, ჯერ დრო არ არის, ჯერ ბრძანება არ გამოიცია.

— მე ვაჭკაცი ვარ! მთაში ვაჭკაცად მცნობენ! რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ვაჭკაცობა აქაც არ დავამტკიცე! რაღას ვუცდიო! რად ვაგვიანებთ?! — მესმოდა თენგიზის ბუტბუტი, რომელიც იქვე ჩემს გვერდით ნასანგრაღში იწვა თოფმომარჯვებული.

— იყუჩე! იყუჩე, თენგიზ! სივრცეს მოსინჯავა უნდა, მეთაურის ბრძანებას ხომ უნდა ელოდო!

— განა არ მესმის; ჩემო გურამ! მეც მეთაურის ბრძანებას მოველი, თორემ მე ბალღი არ ვარ, არც მშიშარა ვარ, აქ, თხრილში რომ ვიწვე. — კვლავ წაიბუტბუტა თენგიზმა და მერე გაჩუმდა.

ვიცი, თენგიზი მოუთმენლად მოელის მტერთან პირისპირ შეხვედრას, ამიტომ ბორჯავს, ამიტომ შფოთავს.

ის შურისძიების გრძნობით არის აგზნებული.

№ ქალაქის მისადგომებზე ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა თენგიზის უფროსი ძმა გიორგი თოთისანი, ხოლო მეორე ძმის, კაკოს შესახებ დიდი ხანია არაფერი გაუგია.

— ეპ, ერთხელ მაინც თვალი შემაველებინა ჩემი ძმებისათვის! — ნატრობდა იგი.

ის ძმებით ხარობდა.

თითონ მთაში იყო მწყემსად, მაგრამ ბოწოწიან ქუდით ხშირად ჩამოდიოდა თბილისში ძმების სანახავად, დასტკებოდა მათთან საუბრით, დროისტარებით და კვლავ მთებს უბრუნდებოდა.

მაგრამ აი:

თენგიზის საყვარელი ძმა გიორგი უკვე ცოცხალი არ არის. იგი მკვლელობის მთის კალთებზე სამუდამოდ მიიბარეს.

ძმის სიკვდილმა თენგიზში შურისძიების გრძნობა აღანთა. დამარცხდომას მიმართა თხოვნით, ჩაერიცხათ მოხალისედ, მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც მისი ძმა გიორგი თოთისანი იბრძოდა.

და აი:

მწყემსი თენგიზი ჩემს მებრძოლებს შორის გაჩნდა. ჩვენ მას თავიდანვე დიდი მზრუნველობით მოვეყიდეთ.

განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი ლეიტენანტ გურამ საჩაღელს, რომელიც ძმასავით ეტყეოდა, ძმასავით უყვარდა.

— ჩემს გიორგის, ჩემს გოგის ჰგავს! — თვალბგაბრწყინებული იტყოდა თენგიზი. — გიორგის, ჩემი გოგის მაგიერი იქნება, ძმა იქნება ჩემი, ძმა!

ამის გამო იგი გურამს ყოველთვის დაუფარავად უზიარებდა გულისტკივილებს.

— ძმა მომიკლეს, ოჯახი დამიქციეს! რად მინდა თავი ცოცხალი, თუ მტერს მტრობა არ ვიანე! რად მინდა სიცოცხლე, თუ ჩემი მთები, ჩემი სამშობლო თავისუფალი არ იქნება! რისთვის გვიკლავენ ძმებს? რისთვის გვიხოცავენ ბალებს! უცხოს რა უნდა ჩემს სამშობლოში?! ასაწიოკებლად მოსულან? სისხლში ჩაეახრობ!

და აი:

შურისძიების გრძნობით აგზნებული თენგიზ თოთისანი ჩემს გვერდით ნასანგრალში თოფმომარჯვებული წიგს, ხოლო წინ, ხეველმა ფორიაქებს ღამე და მარტხნივ ქარის ქროლვაზე განუწყვეტლივ ცვივა ხვიერი.

წინ წავიწიე:

და მაინც:

რა ბნელი ღამეა. თვალთან თითს ვერ მიიტან.

ყოველი ბუჩქი საშიშია.

ყოველი განათხარი ჩამაფიქრებელია.

და მაინც:

რა ბოროტი ღამეა, მაგრამ ამ ღამეზე უფრო ბოროტია მტერი.

ვინ იცის, ნაღმები სად არის ჩაწყობილი, ან რომელ ბუჩქთან, რომელ ამონათხართან მძვინვარებს სიკვდილის ბრმა თვალი, ავტომატის ცივი ლულა.

თენგიზი არაფერს ერიდება.

გასაოცარი ოსტატობით მიხობავს ნაღორღალებზე, გორხანებზე, გლერძებში.

თენგიზი მთის შვილია: სწრაფი, უღევარი, მუხლმაგარი.

ის ბავშვობიდანვე მთებს შეეზარდა, მთის ნაკადულივით ლაღი, მოუსვენარი.

ჭიუხებში და წავარნებზე, კლდედრეჩოებში და ქარდაბებში, ყველგან თავისუფლად ნავარდობდა დღისით და ღამით.

მთებში დასადგურებულ ღამეებში, როდესაც ელვა-მეხი ცას ამსხვრევდა, ეგზორციელი გარედ რომ არ იყო დარჩენილი, თენგიზი მთის ბილიკებზე მწყემსობიდან ბრუნდებოდა გელიქამივით.

თვალი უცნაურად უჭრიდა.

ამაში ყოველთვის შეიძლებოდა დარწმუნება.

შორს, ხევის გაღმაც კი ტოტის ოდნავ შერხევას უმაღლესად ამჩნევდა.

არ შეიძლებოდა ბუნებში ოდნავ მოძრაობა არ შეენიშნა.

თუ გინდ ბნელი ღამეც ყოფილიყო, მის თვალს არაფერი გაძნელებოდა. ასეთ უკაცრიელ ღამეში გასაოცარი ოსტატობით გამოიყვანებოდა ყოველგვარ გახმაურებას, ფაჩუნს, არჩევდა დრო და დრო სივრცეში მოჩვენებებით ამართულ ადამიანთა სილუეტების ყოველგვარ მოძრაობას.

— ვერსად წავეიხვალთ! დაიცათ, დაიცათ ცოტა და გაგისწორდებით! ძმის სისხლს არ შეგარჩენთ! დაიცათ, ჯერ მეთაურმა გასცეს ბრძანება და მე ვიცი... დიახ, მე ვიცი! — ბუტბუტებდა თენგიზი ისევ.

— იუჩრე, თენგიზ, იუჩრე! — კვლავ არიგებდა გურამი.

მთის გულზე დალობაში, ოდნავ ახმაურებულ უღრან ტყეებში, მთების დილარულ მკერდებზე მოლივლივე ფშვებში და კლდეგოდებში ჩაქაფებულ მდინარეების ტალღებსა და მთის ლაღლ მონავარდ ფრინველების, კლდეებზე გაღმომდგარ ჯიხვების რქანაყარ სიამაყეში, ჩაქსოვილი იყო მისი გატაცებ, ნადირობის სურვილი და ნადირზე სწრაფი გაკიდება.

სროლაში თავიდანვე განთქმული იყო.

ტყვიას ბეჭდის გულში აჯენდა და სამართლიანად ამყობდა კიდევაც.

თენგიზს მთა უყვარს.

სიამაყით უყურებს ის მთებს, მთატეხილებს, გადათოვლილ მწვერვალებს... და აი:

ამგვარ მთებში ვინ იცის, თენგიზს თავსხმა წვიმაში რამდენი ღამე გაუთენებია ხის ძირას.

მას სიამოვნებდა ირგვლივ შავი კვამლივით რომ მიბოლავდა ღამე, ხოლო ტყისა და ველების მყუდროებას ეღვა-მეხი უცნაურად რომ აჯრუოლებდა.

აჲ კიდევ:

ვინ იცის, თოვლის ბურში, ქარყინვაში, რა სისწრაფით დაუძლეველი გაღაბუქული მთები, ხეები.

მის გულს ახარებდა კიდევაც მთების ამგვარი სილამაზე.

ეხლა ამ მთებში, ხეობის იქით, მტერია ჩასაფრებული.

თენგიზის გული მტრის პირისპირ შესახვედრად მიიწევს, იჩქარის.

უღეგარი და უშიშარი თენგიზი, საბრძოლო დავალების შესასრულებლად კვლავ ოსტატურად მიხობხავს ნათხრილებზე, ნაგლერძნარებში და თანაც სიბრაზისაგან კბილებს ახრქიალებს.

•
••

ახლოს, სულ ახლოს ტყეა გაშლილი.

ტყის ღრმად შეჩვილ უბეებში ცივი, გამყინავი ქარი წინანდებურად შიშინით და წივილით ეხეთქება ტანგადაზნექილ ხეებს და ჩვენ ლუსკუმებს, კოლბოხებსა და ნაბუჩქნარებს შეხამებულნი, ვართ გარინდულნი.

არ გასულა დიდი დრო და ღამის სქელ ბინდებში კვლავ აღიმართნენ ადამიანების სილუეტები.

ისინი ნელნელა წელში გასწორდნენ, მერე ძელებივით აჩხირულ წერბისკენ გადაიბინნენ, თითქოს ზეების ჩრდილებად იქცნენ, თუ მას შეეჩაჩუნენ, ერთბაშად გაჰქრნენ.

გვერდით, ლაყვაში დაზღუნილი ღორღების უცნაური ხერხემალივით სადღაც შორს ტყვიამფრქვევი აყვავდა.

შემდეგ მას ყრუ გუგუნი მოჰყვა და ეს ხმაური, ქარმა აბორგებულ მიწის გმინვასავით წაიღო შორს ორწოხებისკენ, გულზვიად მთების ჩაჩხილ მხრებისკენ.

იმავ წუთს ჩვენს თავზე მაშხალებმა გაიშუშუნეს.

— შეგვნიშნეს! — გაიფიქრე, — მაგრამ არაფერია! ჩვენ საუკეთესოდ ვართ შეიარაღებული, რიცხვობრივითაც სრულიად საკმარისი, მტერს რომ თავზარი დავსცეთ, მაგრამ ეხლა ცეცხლის გახსნა მთავარ საბრძოლო ამოცანიდან დაგვიცილებდა. უკეთესია, დიახ, უსათუოდ უკეთესია, ფრთხილად, მაგრამ გაბედულად ვიაროთ წინ! — მტკიცედ გადავწყვიტე ასე.

რამდენიმე წუთს ვიყავით გარინდულნი, მიწაზე დაკრულნი.

მაშხალების სინათლეზე შევნიშნე გველივით წელგაათრეული სანგარსასვლელები.

მებრძოლებს ვუბრძანე: მაშხალების სინათლე როგორც კი ჩაჰქრებოდა, სანგრებში ჩასულიყვნენ, მაგრამ ცეცხლი ჩემი ბრძანების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გაეხსნათ.

შორიდან, ხეობის სიღრმიდან ზარბაზნების მძიმე ამოხველებით ნატყორცნმა ყუმბარებმა წუთის წინ ხმაგამედილი ცაუნათო, საშინელი ხმაურით თავზე ჩამოგვამსხვრია.

სულ ხსლოს, თითქოს მიწა აკანკალდა და ოქროს ვარვართ ნაპერწკლებად დასკდა. ეს ყუმბარებმა გასტყორცნეს ნამსხვრევები.

— თენგიზ! ჩაწეკი, გესმის, ჩაწეკი! — მომესმა გურამის გამაფრთხილებელი ხმა: — ყუმბარის ნამსხვრევმა ან ბრმა ტყვიამ არ დაგამარცხოს!

— ეგ არაფერია! — შეგობრულად პასუხობდა თენგიზი: — მე ვაქცა ვარ! ტყვიისა არ შეშინია, არცა სიკვდილისა. სიკვდილისათვის ტყვია მე თვითონ ვარ!

მაშხალებს უკვე არ ისვრიან.

შავ სუდარასავით ჩამოეშვა ცა, ბნელი ღრუბლებით დაქნძილი.

და აი:

ფრთხილად დავსტოვეთ სანგარსასვლელები, ტყეც უკან მოვიტოვეთ და ხევისკენ ჩავეშვით.



მე წინ გავეიქერი.

სწრაფად გადავიბრინე ძაბრულა, მაგრამ ამდროს თენგიზის გულმოსული ხმა შემომესმა.

— უჰ, მოგიკედეს პატრონი!

— რა ამბავია, თენგიზ? — მოაძაბა ვიღამაც.

— რაღა რა ამბავი! მკვდარი გერმანელი ავდია, წამაქცია! — უპასუხა მან და რომ მოვიხედე, შევნიშნე, ბურტყუნით რღგორ წამოდგა თენგიზის ჯმუ-

ბა ფიგურა, მაგრამ იქიდან, სიბნელიდან იმავ წუთს, მისუსტებულ უცხო ხმა შემომესმა:

— ქართველები ხართ, ბიჭებო?!

თენგიზი ელვისებურად შეტრიალდა.

— პაპაი, რო ქართველები ვართ! შენ? შენ, ვინა ხარ! მკვლარი მეგონე, ფეხი რომ წამოგკარ, რატომ არაფერი თქვი?! მანდ რად ავღიხარ?! რა მოგსვლია?! ვინა ხარ, მტერი, თუ მოყვარე?! — ამ სიტყვებთან ერთად თენგიზმა ხიშტი ზედ გულზე დაადო და აძაგრული მოელოდა პასუხს.

მივედი ახლოს.

ძირს ეგდო თავშეხვეული ახალგაზრდა, რომელსაც წითელარმიელის ფარა-ჯა ეცვა.

მარცხენა ლოყა და თვალიც ახვეული ჰქონდა.

ეტყობოდა ჭრილობა სახეზედაც ჰქონდა მიყენებული.

ის ძლივს ლულუღებდა.

— თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! აწი, თუ გინდ მოვეკვდე, არ ვინაღვლებ, აი, ამისმა ქართულად დალაპარაკებამ მიხსნა... იმიტომ, რომ მივხვდი, ჩვენი ბიჭები ყოფილხართ... აწი, თუ გინდ მართლაც მოვეკვდე, არაფერია, მაგრამ შური იძიეთ, ბიჭებო, შური იძიეთ!

ის კვლავ შეჩერდა, ჩაახველა ძლივს და თავზე ხელი იტაცა.

ალბათ ტკივილებმა კვლავ დაუარეს, და თითქოს ცნობიერებაც დაეკარგა. რამდენიმე ხანს იყო ჩუმად.

— მცემეს... მაწვალეს! — დაიწყო ისევ, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად.— აი, სოფლის განაპირას ცალკე შენობა დგას... იქ გერმანელთა შტაბია... სამი ტყვე წითელარმიელი და პოლიტბელი დახვრიტეს... მე კი გამოვიქეცი. არაფერი არ მახსოვს, როგორ იყო, მაგრამ გამოვიქეცი და ესაა... გადავსწყვიტე, ან ჩვენებთან მივალ, როგორმე მივაღწევ, ან სულერთი იყო, შაინც მომკლავდნენ.

მართლაც ეტყობოდა ტკივილები საშინლად აწუხებდა.

ხშირად გმინავდა, გულისდამთუთქველად კვნესოდა.

გაირკვა, რომ ამ საშინელ კვნესას შეეძლო გაეცა მებრძოლი და დაეკვირათ, ამიტომ როდესაც იგი შტაბიდან გამოიქცა, ვაშლი საშინელი ტკივილები როგორც კი მოუვლიდა, დაემხობოდა პირქვე, მიწას კბილებს ჩაავლებდა და გაცივებულ, მიუკარებელ მიწას ჩაჰკვნესოდა მწარედ.

თითქოს სულიც ეხუთებოდა, გრძნობა ეკარგებოდა, მაგრამ სანამ ტკივილები არ მიუჩნდებოდა, იყო დედამიწის გაცივებულ მკერდზე დაკონილი და ასეთ წვალებაში შევხვდით მას.

მას ხელი დაავლეს. სცადეს აეყვანათ, მაგრამ მწარე ტკივილებმა ისე ამოაკვნესია, რომ უმალ ისევ მიწაზე დააწვიწეს.

რამდენიმე ხანს იყო ხმის ამოუღებლად.

ვეცადე, კიდევ გამომეკითხა დამატებითი ცნობები, მაგრამ...

— ვაიმე დედი, დედილო... დედიკო ჩემო! — ლულუღებდა ის, — გიკვდები, დედი... მტრის შხამი მიმეყვება, დედილო... დედიკო ჩემო... იცოდეთ, ამხანაგებო, სანამ შემეძლო, სამშობლო არ შემირცხვენია... მშვიდობით, დედი... შურს ძმები იძიებენ... ჩემი თენგიზი იძიებს შურს...

თენგიზი ამ სიტყვებმა აძაგრა, შეაშფოთა თითქოს.

— რაო? რა სთქვი?! თენგიზი რად ახსენე?! შენ თითონ ვინ ხარ?!

მოუთმენლად ეკითხებოდა თენგიზი და თანაც სუნთქვა შეკრულს რაღაც საშინელების მოლოდინის გრძნობები დაეფულა, ხმა ერთბაშად აუტრთოვდა. ახლოს, სულ ახლოს მიიჭრა, მაგრამ საშინლად ბნელი ღამეა და თენგიზს ხე შეხვეული რომ ჰქონდა, ვერ შესძლო დაკვირვებოდა. გეგლიძისთვის ის ძალზე მისუსტებული, თანისთან ძალგამოღებული, მიმკვდარებული ნელნელა ლუღლუღებდა.

— ვინა ხარ, ძმაო? თენგიზი რად ახსენე იცნობ? — ეკითხებოდა თენგიზი ისევ.

— თენგიზი? — ლუღლუღებდა ის. — თენგიზ თოთისანი? შენ იცნობ? ის ჩემი ძმა... მე კაკო ვარ! გესმის, მისი ძმა კაკო!

ამ სიტყვების თქმა და გულაჩუყებული თენგიზი გადაეხვია ძმას:

— კაკო, ჩემო კაკულა! ძმაო! — აღმოხდა გულიდან.

უკვე ხელუბრაკანკალებული ეხვეოდა ძმას, უსინჯავდა შენახვევს გახარებული იმით, რომ ძმა ნახა, მეტად მწუხარე, შენაღვლიანობის აღმძვრელი გრძნობებით დაოკებული, რომ ასე მძიმე პირობებში ნახა, არ იცოდა რა ექნა.

რა დასამაღია, სიხარულისა და მწუხარების ცრემლები მოადგა თვალებზე. ვერაფერი რომ ვერ მოახერხა, ერთბაშად ხელში აიტაცა მისი სხეული, მაგრამ...

უკვე გვიან იყო.

თითქოს ისიც ცდილობდა შემოხვეოდა ძმას, მაგრამ მკლავს ვერ იმორჩილებდა.

თითქოს ისიც ცდილობდა გულმხურვალედ ეკოცნა თენგიზისათვის, ამდენი ხნის უნახავ ძმისათვის, მაგრამ თავს მაღლა ვერ წევდა.

თითქოს ცდილობდა თვალები კიდევ უფრო გაეხილა, დამტკბარიყო ძმის ცქერით, მაგრამ წამწამებს ვერ ახელდა.

თითქოს უნდოდა შეეძახა:

— შენ გენაცვალე, ძმაო თენგიზ! თქვენ გენაცვალეთ, ძმებო! — მაგრამ ხმას ვერ იღებდა.

თითქოს ცდილობდა ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ მუხლებში ძალა არ ჰქონდა, ვერ დგებოდა.

— კაკო, კაკულა, ძმაო! გამაგრდი, სამაგიეროს მე მივუზღავ, ჩემო კაკული, ჩემო კაკულია! — ბუტბუტებდა თენგიზი, მაგრამ...

მან ერთი ამოიხრტიტინა და.....

თენგიზის მკლავებზე მოწყვეტილ თავთავივით დაეკიდა.



ამ ამბავმა ცივ ქრუანტელივით დამიარა ტანში.

ათასგვარი ფიქრები და აზრები დამესია.

რა დასამაღია, ამ წუთებში ყველაზე შესაბრაალისი იყო თენგიზი, რომელიც ამ მოულოდნელ უბედურებაში თითქოს ვერ კიდევ ვერ გამოირკვეულიყო.

ოითოეულ მებრძოლში შურისძიებამ მწვავედ იფეთქა.

აბა, ეს წუთები მე არასოდეს არ დამავიწყდება.

არ დამაეიწყდება არც თენგიზის უკანასკნელი გამწარებული ამოცხილი:
— ძმარ კაკული, ჩემო ძვირფასო ძამიკო! ჯავრად ნუ ჩაგვყვება, მტერს
სიკვდილთან მე თითონ, ჩემივე ხელებით გავასწორებ!

აძვარული, გონებააფორიაქებული თენგიზ თოთისანის გულზე მამიწოდ
ბორბავდა. წუთით ყველაფერი წარმოიდგინა: ფერდობზე კონტად შემოკავე-
ბულ ეზოში ჩამდგარი ოდა, მამის ქალარა და დედის დანაოკებული სახე,
თითქოს თვალწინ აესვეტა.

აი, ამ წუთებში მას აგონდება მთებიდან სახლში რომ ჩამოიბრუნდა და
ტიშკარის ყოველ გახმარებაზე დედა ეტყოდა:

— თენგიზ შეილო! წადი, გაიხედე! იქნებ გოგი, ან კაკული ჩამოვიდა! წა-
დი, შეილო, გზასაც გახედე! სიხმრებმა შეშქამეს, გაიქცე, ნახე, შეილო!

თენგიზი გაიქცეოდა, მაგრამ მომსვლელი არაეინ იყო, ხოლო დედას კი
ანუგეშებდა:

— მოვლენ, დედი, უსათუოდ მოვლენ!

მაგრამ დღეები მიჰქროდნენ, მათ შესახებ კი ახალი არაფერი იყო.

და აი:

დედა, ქალარა და მხრებში მოხრილი, ეხლაც მოელის მათ. ალბათ ეხ-
ლაც ტიშკარს გასცქერის, როდის გაიღება იგი და შემოგვეგებება თვალე-
გაბრწყინებული, მაგრამ ეა! — ფიქრობს თენგიზი, — არც გოგი, არც კაკუ-
ლი აწი ტიშკარს ხელს ვერასოდეს ვერ შეახებს. აწი ვერ გადაეხვევიან ვერც
ქალარა მამას, ვერც დედას! მორჩა! გათავდა!

ზორგავს თენგიზი, თუმცა ცდილობს თავი შეიკავოს.

ცდილობს თავი შეიმაგროს, მაგრამ ხმა ზოგჯერ აუკანკალდება. ეს მტერ-
ზე სამაგიეროს გადახდის, მეორე ძმის დაკარგვის გამო გულიდან ამოხეთქი-
ლი ნალღელი და შურისძიების ვრძინებებია.

— თითოეული ჩვენთაგანი იძიებს შურს, თენგიზ! სისხლი სისხლისა წილ!
სიკვდილი სიკვდილისა წილ! — თითქოს ეუბნებიან მებრძოლთა მრისხანე
საწეები.

— სამშობლოს მტერი არ გააზაროთ! შზე დაუბნელეთ, ძმებო! შური
იძიეთ, შური! — თითქოს კვლავ ეუბნებოდა თენგიზის ძმის გაშეშებული სახე.
ძმის ხმები სულს წვდება.

სიმწარისაგან თვალეზე ცრემლი არ დგება.

თითქოს ცრემლი ამოშრა და თითქოს თვალეგაფართოებული ხარბად
გასცქერის შავ სივრცეს, რათა კვლავ შეეხედა მტრის ჯარისკაცების გადა-
ლანდულ ფიგურებისათვის, დადევნებოდა მათ და თითოეულად ამოეხოცნა.

ის ეხლა კიდევ უფრო აენთო ბრძოლის საშინელი წყურვილით.

ტანს ცეცხლის ალივით ედებოდა შურისძიების უტეხი ჟინი.

გადავსწყვიტე დასახლებულ პუნქტისათვის, სადაც გერმანელების შტაბი
იყო მოთავსებული, ორივე მხრივ მიმეტანა იერიში.

მარჯვნივ შემოვლა გურამ საჩაღელს დაევაღე.

გაბედული ახალგაზრდაა. მე მისი იმედი მაქვს.

თენგიზი წარბებშეკრული, გულისყურით უსმენს საბრძოლო ამოცანის
ახსნას.

დროდადრო კი ისე გასცქერის სივრცეს, რომ ვაფიქრებინებს რატომბო
მსხვერპლის გამოჩენას, რათა უცებ ეძგეროს, ბოლმა სისხლად გადმოძინებ-
ვინოსო.

ვცდილობდი თენგიზისათვის ძმის დაკარგვის ეს მიმიე ვინაღმართა
მე შემემსუბუქებინა.

საბრძოლო დავალების განმარტებისას მას ხშირხშირად პირდაპირ სახეზე
ვაკვირდებოდი, თვალს არ ვაშორებდი, ვაიძულებდი თითონაც ეცქირა ჩემ-
თვის და ამით მისი ყურადღება კიდევ უფრო ჩემს სიტყვებისათვის მიექცია,
თუმცა ის ეხლა ვინემ ოდესმე, ჩემს სიტყვებს, ჩემს საბრძოლო მითითებებს
დაიღის ინტერესით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

ის გრძობდა თავის ადგილს საბრძოლო ამოცანის შესრულებაში და მის-
თვის გარკვეული იყო ბრძოლაში პირადად მას რა უნდა გაეკეთებინა.

გურამ საჩაღელმა მიიღო თუ არა ჩემი ბრძანება, ქვეგანაყოფი მრისხანე
ნიაღვარივით დაეშვა ჩახერგილ ხევისკენ, ტყე-ტყე, ხევ-ხევ.

ჩვენ შორის ღამის ბინდები ჩამოიწეწა.

სივრცე უფრო და უფრო ჩაშავდა, ჩარუმდა.

ამ ნახშირისფერ სივრცეში ჩაიძირა, გაჰქრა გურამ საჩაღელის და მათ შო-
რის თენგიზ თოთისანის ფიგურაც.

— გზა გამარჯვებისა გქონიათ, ჩემო ვეფხეებო! — თითქოს ძალაუნებუ-
რად აღმოჩნდა გულიდან.



რამდენიმე წუთს დაგყავი ნაღორღალზე და შემდეგ დავსტოვეთ ხეობა
უხმაუროდ.

ჩაეუარეთ ბეჭობს, მარჯვედ გავედით მდინარეზე და მეორე ნაპირზე მო-
ვექეციით.

შორიდან ჯერ გაურკვეველი ხმაური გაისმა.

ხმაური თანდათან გუგუნში გადაიზარდა.

გუგუნე თანდათან გაძლიერდა.

თქმა არ უნდოდა, ტანკების კოლონა მოგუგუნებდა.

— ტანკები აქ ვერ გაივლიან! — მტკიცედ გადავსწყვიტე ეს. — სანამ ერთი
ჩვენთაგანი ცოცხალი იქნება, ვერცერთი მათგანი აქ ვერ გაივლის.

— მტრის ტანკები მხოლოდ ჩვენს სხეულებზე გადაივლიან! ღიახ!

— მოამზადეთ ტანკსაწინააღმდეგო გრანატები! — გავეცი ბრძანება და
მებრძოლებმა, ჯაგშანმტრეველებმა საფრები ამოირჩიეს.

სიბნელეში მობობდავენ, მოღრიალებენ რაღაც საშინელი ხმაურით, მაგრამ
რაც არ უნდა მოხდეს, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, მტრის ტანკები, ფოლა-
დის მბობდავები, გადათელილ მიწაზე მუხლუხებით თითქოს კრილობებს
რომ სტოვებენ, უნდა მოვსპოთ.

ყველაფერი მზად იყო, მაგრამ....

მტრის ტანკების კოლონების გუგუნმა სრულიად მოულოდნელად იმ მხა-
რეზე გადაინაცვლა, საითაც გურამ საჩაღელის ქვეგანაყოფი იყო წასული.
ეტყობოდა ტანკების კოლონა იქითკენ ვაემართა. ეს კი მდგომარეობას არ-
თულებდა, რადგან თემშარა, რომელზედაც ტანკების გუგუნე მიიშლებოდა,

დასახლებულ პუნქტში ჩრდილო აღმოსავლეთიდან შედიოდა. სახალციხის ქვეგანაყოფს ამ მხრიდან უნდა დაერთყა პუნქტისათვის და ეს მდგომარეობა მოითხოვდა სათანადო ღონისძიებების სასწრაფოდ მიღებას.

ყველაფერი ჩვენს მოულოდნელ დარტყმაზე იყო დამოკიდებული და ჩვენც სწრაფად წავედით წინ.

ქარი, გამყინავი ქარი კვლავ ამოვარდა. მთის უბეებში, ორწოხებში წივის და შიშინებს.

ბუბქა ღრუბლები თანდათან გაიცრიცა.

ფერწასული მთვარის სინათლემ ხეობაში ჩამოაშუქა.

და აი:

უკვე ყველაფრის გარჩევა შეიძლება, მაგრამ როდესაც ფერმიღებულ მთვარეს შავი, სქელი ღრუბლების ნაგლეჯები გადაეფარება, სივრცე კვლავ ხუჭავს თვალებს, სივრცე შავდება.

დრო და დრო ქარი ღრუბლების ნაწეწებს მთებისკენ მიახვეტავს.

მაშინ მთებს შავი სილუეტები ისე მოსჩანს, თითქოს მთები მთებზე წამოჩოქილან და მხრებზე ნაბღებმოგდებულნი ერთმანეთზე მიწოლილან, ხოლო მთებს შორის ცაზე ალარდენივით მიყრილი ვარსკვლავები კი ოქროსფრად წვეთავენ.

კვლავ წინ წავიწიეთ.

ყუმბარებით გადახსულ მინდვრებზე უფრო ხშირად გვხვდება დაღწილი საზიდრები, ქვემეხების მიწაგადაყრილი ლაფეტები, დათხრილი, დაწყვეტილი მავთულლობურები, ძელმიწურების ჩაღწილი ფერდები, დარღვეული დარანები.

მტრისათვის შეუმჩნევლად მივადწიეთ დანიშნულ ადგილს.

აი ისიც, განცალკავებული შენობა, რომელზედაც გვიამბო გამოქცეულმა და გაფიქრებინებს, ასეთ სახლში განა შეიძლება ვინმე იყოსო.

ნაბოსტნარით შემოვუთარეთ მთავარ შესასვლელისკენ, სადაც ღუშავი თვლემდა.

ღუშავი უსმაუროდ მოვხსენით.

ამ დროს იმ მხრიდან, საითაც ამას წინად მტრის ტანკების კოლონები მიკვუგუნებდნენ, საშინელი სროლა ატყდა.

შენობიდან რამდენიმე ოფიცერი გამოვარდა. ალბად, იმის გასაგებად, თუ სად იყო სროლა, რა ხდებოდა.

მათ კიბეზე ჩამოსვლა ვერც კი მოასწრეს, ისინი ჩვენმა ხელყუმბარებმა ნაფლეთებად აქციეს.


პირველი წარმატებით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა რამდენიმე ყუმბარა შტაბის შენობაში შეაგდეს. შენობა აფეთქდა.

იმავე წუთს ცეცხლის ენები აშიშინდნენ, ალოკეს იატაკი და შავ სივრცეში სახლი ჩირაღდანივით აენათო.

შტაბის არცერთი მუშაკი არ გადაჩინილა, მოვსპეთ.

ჩვენი თავდასხმა ისე მოულოდნელი იყო, რომ ისინი ვერც კი გაერკვნენ თუ რაში იყო საქმე, ჩვენმა ყუმბარებმა ნამსხვრევების გროვაში და აფეთქების შავ ბოლში ჩაღწეეს მათი ფიგურები.

მებრძოლები ვეფხვებივით იქცეოდნენ.

— საჩაღელის ქვეგანაყოფს უნდა მივეშველოთ! იქ ესლა  ცხარე ბრძოლა!

ვერაფერი ვერ აჩერებს მებრძოლებს: ვერც განათხარებე ^{ერყენული} ლეზი, ვერც მთების ჩქარი მდინარეების ტალღების ღმუილი, ვერც ტყვიების ზუზუნნი და საიდუმლოებითა და ბოროტებით სავსე შავი სილუეტები, სადაც სიკვდილის გამყინავი წივილით გაიქროლებენ ავტომატების ტყვიები.

აი ახლოს, სულ ახლოს სანგრებიდან გერმანელები საჩაღელის ქვეგანაყოფს ცეცხლს აყრიან, ხოლო იქვე თემშარაზე ტანკების კოლონები უწყსრივად ისერიან ტყვიამფრქვევიდან, ქვემეხებიდან.

ეტყობოდა, საჩაღელის ქვეგანაყოფს, მეთაური და ბოლო ტანკი თავისდროზე დაუზიანებიათ და ამით საშუალება მოუსპიათ ტანკების მართვისათვის, ტანკები განხირულან გზებზე.

ზოგიერთი ტანკი ხევისკენ გადაქანებულა და გადაბრუნებულა,

ზოგიც ღრმა ამონათხარში ჩაყირავებულა, მაგრამ მალე ამოშვერილ ტყვიამფრქვევის ლულიდან ცას ცეცხლად შეპყვავდა.

საჩაღელის მებრძოლების ტანკსაწინააღმდეგო გრანატები ხან ერთ ტანკთან, ხან მეორესთან ცეცხლის ნაპერწყლებად სკდება.

— ყოჩაღ! ჩინებულა! გვარდიულა! დასცხეთ, ბიჭებო, დასცხეთ!

ღრო არ ითმენდა.

ელვისებურად ჩავებით გაფთრებულ ბრძოლაში.

წივილით მიჰქრიან ჩვენი ნაღმები და გრანატები.

მთელი სივრცე ზანზარებს ბრძოლის გუგუნით: აფეთქებისაგან ჰაერში ატყორცნილი მიწა და ლითონის ნამსხვრევები, ყიჟინა, ძახილი ერთმანეთში აირია.

ტანკების ფოლადის ტანზე ვარვარებენ ცეცხლის ენები.

ტანკები იწვიან.

ალის შუჭზე შავ ლანდებად მოსჩანს გაქცეულთა წელში მოხრილი მარბენალი ფიგურები და მათ ჩვენი ტყვიები ცელავენ.

შორიდან, ხევგალმა გულწვიადად აღმართულ მთებიდან, თითქოს დედამიწა შეირყა, აზანზარდა.

მთებიდან ცეცხლის უზარმაზარი ენები აიშალნენ, მთები დაიძრნენ და ლითონის ვარვარით, ყიჟინით, გამანადგურებელი გუგუნით ჩამოზვავდნენ ველად, ხეობებში, ტყე-ტყე, მდინარეების ნაპირნაპირ. ყველგან შემშუსრავი ტალღების ბობოქრობით მოედნენ სივრცეს.

ეს ჩვენი ჯარების მრისხანე შეტევის დასაწყისი იყო.

მტრის სანგრებთან სულ რამდენიმე მეტრამდე მივხობდით და სანგრებს ხელყუმბარები დავაყარეთ.

გაისმა გამაყრუებელი აფეთქებები, კენესა, ყვირილი.

ყუმბარებმა მიღწეეს ძელმიწურები, დაანგრის სანგრები.

შორიდან, ხევგალმა, გულწვიადად აღმართულ მთების მკერდი უზარმაზარ ფრონტზე ყუმბარებმა ოქროსფერ ვარვარით გადახსნეს და ცეცხლის ფერდობებად გადმოეფინა ველებს ცხელი ლითონი, ხოლო ზემოდ, ფერმიღეულ მთვარის შუჭზე, გადათოვლილი მთების მწვერვალიდან, თითქოს მოწყვეტილ შავ წერტილებიდან წამოიზარდნენ ჩვენი ყუმბარაშენებისა და გამანადგურებელთა ესკადრილიები.

ყუმბარშენებმა მტრის განლაგებაზე ხანგრძლივი საცეცხლე ^{ჩრტები} წარტები ნამსხვრევებად აქციეს, ხოლო გამანადგურებლებმა დაბლა ფრენის, სანგრებში თავშეფარებულ მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცები ცხელე ტყვიებით ჩაპორტნეს.

ჩვენს უკან, ფერფლისა და ნახშირის ხეავში, შტაბის შენობის ნაიგრეგები შექდაღებული გამოკრთოდნენ, ხოლო თემშარაზე უწესრიგოდ ეყარა სიკვდილის მთესველი, ფოლადის ჩონჩხები, ფერდებშელეწილი, მუხლუხებდაგლეჯილი, ტანდამწვარი ტანკები, ფოლადის მკვდრები, რამდენიმე წუთის წინ ასე გუგუნით, გაბედულად რომ მოარღვევდნენ ღამის უდაბურებას.

ესლა ისინი ჩვენმა მებრძოლებმა, ჩვენმა ბიჭებმა ფოლადის მკვდრებად აქციეს.

დადუმებული ტანკები, მთვარის სინათლეზე გრძლად გაწოლილ ლანდებთან ერთად, უცნაურად დახვევებულებო თემშარაზე და ამ უცნაურობას ზრდიდა ფოლადის მკვდრების ჩონჩხებთან, სანგრებში და ბუბბეებში დაკრძალა გმინვა და კვნესა.



თენგიზი არ ჩანს.

მისი ხმაც არ ისმის.

არც გურამ საჩაღელმა იცის მისი ამბავი.

— მოჰკლეს ვაჟაკი! დაიღუპა აწი ის ვერ გაივლის ჩვენთან! აწი არც ის იქნება ჩვენს შორის! — ელვასავით დამკვრა ამ აზრმა.

კვლავ თვალწინ წარმომიდგა მისი სახე, გონება აფორიაქებული ძმის გაცივებულ სხეულს რომ ჩასჩერებოდა.

— არაფერს არ ერიდებოდა მეთაური ტანკი მან თითონ დააზიანა! გასაოცარი თავგანწირულებით აყრიდა ტანკსაწინააღმდეგო გრანატებს მტრის ტანკებს, პირადი მავალითით ამხნეებდა მებრძოლებს და ისეთი მკექარე და ომანიანი ხმა აღმოხდებოდა, რომ ყოველთვის გამოიჩნეოდა საერთო გუგუნში — ამბობდა გურამ საჩაღელი.

განშორების წუთების სიმწვავე ესლა უფრო შეტად ეიგრძენი, თუმცა არც მინდოდა დამეჯერებინა, რომ თენგიზი მოჰკლეს.

უცებ შორს, ტანკების კოლონის ბოლოს, ავტომატების ცხარე სროლა ატყდა.

მას მოჰყვა ორი აფეთქება.

ეს ხელყუმბარის აფეთქების შემაზრზენი ხმა იყო.

წუთით თენგიზზე ფიქრი ამ ამბავმა შესწყვიტა.

სწრაფად გავიქვრით ტანკების კოლონების, თემშარაზე დაყრილ ფოლადის ციხეების ჩონჩხების ბოლოსკენ.

ალაგ-ალაგ დამწვარი ტანკის სიმხურვალე ხედება სახეს;

ალაგ-ალაგ ტალახში ამოსკრილი, გაწყვეტილი მუხლუხა ჯაჭკვიით დაკიდებია ტანკის წინაიდეგს.

ალაგ-ალაგ კი მიწაზე გდია მიხუშული, დამხვლარი.

ბრძოლით წაეიწით წინ.

დავსძლიეთ წინააღმდეგობის უკანასკნელი კვანძი.

ხმტემით ამოყვარეთ ჩასანგრებელი მტრის ჯარისკაცები, მაგრამ ცხედავ ნახიღარზე გაჩრილ, მუხლუხებზემთავლევილ ტანკიდან არ ცხრება ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

გავეცი ბრძანება ცოცხლად ჩაეგდოთ ტანკში მჯდომი უკანა-გონაკვეთიანი ჯარისკაცი.

ყოველმხრივ მიხობდნენ მებრძოლები.

— აი, ეხლა, თენგიზი რომ ყოფილიყო, — ვფიქრობ ჩემთვის, — რა გააფთრებით ემგერებოდა ტანკს. თავს შეაკლავდა და იმ ტანკს გრანატებით დაცხრილავდა, დაღწავდა, მაგრამ არა, ვათავდა, მორჩა. ის არ სჩანს, მისი ხმა არ ისმის.

შორს, გულზეიად მთების კალთებზე ოდნავადაც არ ცხრება ბრძოლა.

ჩვენები ბრძოლით მოიწევენ წინ.

ამ უკანასკნელი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ჩვენ წინ წავალთ და შეტევაზე გადმოსულ ჩვენს ნაწილებს, აქედან მტრისათვის მოულოდნელად, ზურგში ერთი ამგვარი დარტყმით დავეხმარებით.

ეს თითოეულ მებრძოლს შეგნებული აქვს.

— რად ვივციანებთ! რას ვუცდით, ვეკვეთოთ და ისაა!

თითქოს ყურში კვლავ ჩამწივის თენგიზის სიტყვები.

არ შეიშინია, თორემ თითონ გურამ საჩაღელი საშინლად გულამღვრული იყო. ამიტომ ჩაილაპარაკა მან თავისთვის:

— საშინლად ფიცხი იყო! ჯიქურ იცოდა მისვლა! ნატრობდა მტერთან პირდაპირ შეხვედრას და რა შეაჩერებდა მის გატაცებას, ბრძოლისათვის აგზნებულ ენს.

— ეპ, მას კიდევ შეეძლო ბევრი კარგი საქმის გაკეთება.

გულს რაღაც მწარე სიწინაული ხრავს, მაგრამ იგი შურისძიების გრძობებს აფორიაქებს, ცეცხლივით გვედება და გვაშმაგებს.

ბრძოლის ცეცხლით ანთებული გურამი სწრაფად მიიჭრა მუხლუხებზემთავლევილ ტანკთან, კონდაში მაგრად დაარტყა და თან დასძინა:

— ფრიც, კაბუტი! ფრიც, კაბუტი!

ის უკვე არ ისროდა.

არც ხმას იღებდა.

სდუმდა.

— რას ველოდებით, ჩავაძაღლოთ! ერთი მავისი! — ეილაყამ შესძახა სიბნელიდან.

ამ სიტყვების წამოძახებაზე ლიუკი სწრაფად გაიღო.

— გრანატები შიგ ლიუკში! — გაისმა ბრძოლაში გაცხარებულ მებრძოლის მქუხარე ხმა, მაგრამ....

ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იქიდან თენგიზის ხმა გაისმა:

— ძმებო, შეჩერდით! თენგიზი ვარ, ნუ ისვრით!

ჩვენ ვერც კი მივასწართ მასთან შიშვენი, რომ თენგიზი სწრაფად გადმოსტა ტანკიდან და გახარებული გადაგვეხვია, გადაგვეკოცა.

თენგიზის მოულოდნელმა გამოჩენამ ძალზე გაგვახარა, ფრთები შეგვასხა. გამარჯვების უძლიერესი გრძობები დაგვეუფლა და მზად ვიყავით გააფთრებული შეტაკებისათვის, ახალი იერიშისათვის.

თვით თენგიზი კვლავ ბრძოლამოწყურებული ხარბად სუნთქავდა სუფთა ჰაერს და კბილების ხრჭილით ამბობდა:

— კიდევ ბევრს ჩავაძაღლებ! კიდევ ბევრს ჩავუბნელებ თვალის სინათლეს!

თვალის სინათლე
გინჯაოქროსი

ამაყად დასცქეროდა ის თავის ნაბრძოლებს.

თურმე ჩვენი შეტევით დამფრთხალი გერმანელები სატანკო კოლონის ბოლოსკენ გაიქცნენ. ალბად, ფიქრობდნენ თავიანთ ნაწილებს შეუერთდებოდნენ და ამავე დროს ტანკების ეკიპაჟები დაიცავდნენ.

მათ რა იცოდნენ, გურამ საჩაღელის ქვევანაყოფის მებრძოლებმა მწყობრიდან როგორ ოსტატურად გამოიყვანეს მრისხანე ტანკები, ხოლო მისმა ეკიპაჟებმა, უკან დახევა რომ ვერ შესძლეს, შიატოვეს ტანკები და სიბნელეში შთაინთქნენ, მოჰკურცხლეს.

— ძაღლს ძაღლური სიკვდილი მიერგება! მოკვდეს თენგიზი, თუ ცოცხალი გაგიშვათ! — გუფუნებდა თენგიზი და ხელყუმბარებს უშენდა ჯარისკაცებს, მაგრამ მალე ტყვიებიც გამოვლია.

ამ დროს მის წინ დალორტილი ჯარისკაცი აიშართა.

ეტყობოდა შეშინებული იყო, მაგრამ აკანკალებული ხელით მაინც სცადა თოფის მომარჯვება.

ტანჩაძარულმა თენგიზმა ხიშტი მკერდში ჩაჰკრა.

— ჩაძაღლდი! — ამოიოხა გულიდან.

ჯარისკაცი სისხლში მოთხვრილი ჩაიკეცა.

თენგიზს არ დაუყოვნებია.

სწრაფად მიიქრა დაზიანებულ ტანკთან, ჩახტა, ჩააფრინდა ტყვიამფრქვევს და გახსნა ცეცხლი.

და აი:

გამარჯვებული სახით იგი მტკიცედ მოაბიჯებდა და მრისხანე სახით უყურებდა ფოლადის მკვდრებს — დაღუპებულ ტანკებს, აგზნებული შურისძიების პირველ შედეგებს.

ჩვენ წინ მივიწვევთ.

და იქ კი:

გულზნვიად აღმართულ მთებიდან, კვლავ ზანზარებს სივრცე, კვლავ ოქროსფერ ვარვარით სკდება ყუმბარები და შავ ბოლში, ცეცხლის ენების ტკრციალში იწვის ჩასანგრებელი მტრის ბუდეები.

თენგიზი ხმას არ იღებდა.

შებლშეკრული, უსიტყვოდ მიიწვედა წინ ჩვენთან ერთად.

ვიგრძენი, ბრძოლის ცეცხლიდან გამოსულს, კვლავ როგორ შემოაწვა მწარე ფიქრები დაკარგულ ძმებზე და ვცადეთ დარდები გულიდან დროებით მაინც ვადაგვეყარა, გამოვსაუბრებოდით, ყურადღება ჩვენსკენ მოექცია.

— ფოლადში რომ ჩამჯდარხარ, თენგიზ, ხომ არ შეგეშინდა?! — წინანდებურად მეგობრულად მიმართა გურამმა და მხარზე ხელი დაჰკრა: — ფოლადი რომ დამსხვრეულიყო, მაშინ რას იზამდი?!

თენგიზი თითქოს გამოერკვია, თვალი გურამს გაუსწორა და უპასუხა:

— მე შშიშარა არ ვარ! შშიშარა ყოველ გასროლაზე კვდება, მედგარი არცერთხელ! ფოლადი მართლაც დაიმსხვრევა, მაგრამ გაბედულებას ვერაფერი გასტეხს.

სმოკრების გზა

— ზამთარში, დასაზვერავად ვიყავი ჩატირ-დაღზე, კლდიდან ჩამოვევარდი. გონზე რომ მოვედი, ვიგრძენი, რომ ფეხი მოტეხილი მაქვს, ორივე ხელის თითები დამზრალი. ჩვენებამდე კი თორმეტი კილომეტრია, თორმეტი ათასი ნაბიჯი. და მივხვდი, რომ დადგა ჩემი აღსასრულის დღე.

ასე დაიწყო სევასტოპოლელმა ზეინკალმა პავლე გერასიმოვმა მოთხრობა იმაზე, თუ როგორ დასძლია მან სიკვდილი და ცოცხალი დარჩა.

დაჭრილი ერთ-ერთ ჰოსპიტალის ლამაზ, მყუდრო ოთახში იწვა, ფანჯარასთან, რომლიდანაც ჩანდა ჭალასავით ხშირი საუცხოო ბაღი. ბაღში ფრინველების სტეენა ისმოდა და მხიარულად ხმაურობდნენ ბავშვები.

გერასიმოვი განზე იყურებოდა და განუწყვეტლევ ისმენდა ამ ქღურტულს, ყვირილს და ლაპარაკს და, გეგონებოდათ, რომ იგი თვალყურს ადევნებს რომელიღაც ნაცნობ მუსიკალურ ჰანგს. და, მართლაც, ხომ ეს ასეც იყო. ჰანგი ნაცნობი იყო — მისი სახელწოდებაა ცხოვრება.

— თორმეტი ათასი ნაბიჯი. — წყნარად განაგრძო გერასიმოვმა. — კი, მაგრამ, როგორ გინდა ხოხვით ამ მანძილის დაძლევა, ისიც ღრმა თოვლში, როცა ხელები საშინლად გტყვია და ფეხებს ვერც კი გრძნობ, თითქო ისინი სხვისი იყოს. მაინც რა უნდა გქნა, — ვფიქრობდი — ხომ არ უნდა ვეგლო უძრავად, ვიდრე ყინვა სრულიად არ დამაუძღურებს. ხომ არ უნდა დავნებდე იოლად სიკვდილს... მე, ჩემო კეთილო, თავის მოკვლაც კი არ შემიძლო — თითები გაშეშებული მქონდა.

„არა, — ვფიქრე, — რაღა თქმა უნდა, ხოხვა და მხოლოდ ხოხვა“. ისე მომწყურდა სიცოცხლე, რომ ასე არასოდეს არ მომწყურებია. და აქ მე გავიხსენე მხოლოდ ის, რაც კი კარგი რამ მახსოვდა. თითქო მეტი არაფერი გამიციდია. მთავარი კი ის იყო, რომ მე ძებნას დამიწყებდნენ და არ მინდოდა ვინმე დაღუბულიყო ჩემს გამო.

მე ყველაზე ჯანმრთელი და ღონიერი ვიყავი რაზმში.

გერასიმოვმა მოიცილა იდაყვით საბანი, რომელიც ნიკაპს უფარავდა. და დამანახა მოჭიდავის მძლავრი გულმკერდი. ხელები კი არ უჩვენებია და ძლივს მოგვარი მათ თვალი. გერასიმოვს ხელზე მხოლოდ თითო თითი დარჩენოდა. არ მინდოდა მისი გულისტკენა და განზე ვავიხედე.

— ჩემი ძებნა აუცილებლად უნდა დაეწყოს. მე მეტად მნიშვნელოვანი და კარგი საქმე გვაკეთე. თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა შეერიგებოდი რომელიმე ამხანაგის დაღუბვას. ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი, ჩემთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა, რას იტყოდნენ ჩემზე. მაგრამ, რაკი ვიღუბებოდი, ჩემთვის ეს სულ ერთი რაღი იყო.

ვეფქრობდი, რაღა თქმა უნდა, ხოხვით წაესულიყავი. ფრთხილად, ნელ-
ნელა იდაყუზე მივიწიე წინ, დაშავებულ ფეხს მივთარევე. კვლავ მივინახე და
მინდა თავი დავაჯერო, რომ გადავრჩები. ტვინი არა უშეაყვს—კარგ მქექს...
მას ვერ მოატყუილებ.

ისეთ ტკივილს ვგრძნობდი, რომ არც კი შემიძლია გავდმოვტყუო. არც
კენსით, არც ცრემლებით არ გამოითქმებოდა. მე კი მივცოცავ და მივცო-
ცავ. ვიცი, რომ, თუ შევჩერდი—აუცილებლად დავიღუპები. და აი ასე გავი-
არე კილომეტრი და უკვე ძალღონე გამომელია. ჩვენ რაზმზე დაიწყო ფიქ-
რი—იმაზე, თუ როგორ ღელავენ ამხანაგები, როგორ მელოდებიან იქ, რო-
გორ სწუხან—მოვიგონე მეგობრები—მათ შორის ერთი გოგონაც იყო—
ნინას ეძახოდნენ, კიდევ ერთი ობოლი ბიჭუნია. ორივეს ძალზე შევეჩვიე.
ისევ ჩემ თავს ვარწმუნებ—უნდა იხობო-მეთქი. გული, თუ იგი ვისმესა-
თვის არა ფეტქს, თუ ვისმეს გამო არ განიცდის ტანჯვას—კაბიკად არ ღირს.
მართლაც ვკუაც ხომ არაფრად ღირს, თუ რაიმეზე არ ფიქრობს. მაშინ მე
მივხვდი, რომ გარეშე სხვა ადამიანებისა—კაცის არსებობას მიზანი არა
აქვს. ადამიანი—სხვა ადამიანთა პატარა ნაწილია. იგი ადამიანებისათვის არ-
სებობს—ადამიანები კი მისთვის. ნაწილს კი არ შეუძლია დამოუკიდებლად
არსებობა. იგი ცალკეულად აუცილებლად მოკვდება. თუ მას სურს იცოცხ-
ლოს, მარტო არ უნდა დარჩეს. და მე მივხვდი და ისევ მივხვდი
ჭიალუასავით... ვკენსოდი, ვყვიროდი კიდევ ტკივილის გამო, მაგრამ მაინც
მივხვდი. ეს იმიტომ, რომ ხოხვა ჩემთვის სიცოცხლე იყო. ყინვა საკმაოდ
მაგარი იყო, მაგრამ მე სიცივეს არა ვგრძნობდი. არც შიმშილს ვგრძნობდი.
მხოლოდ მოქანცულობას. და უკვე არაფერზე არა ვფიქრობდი—არც რაზმ-
ზე, არც ნინაზე და მხოლოდ ჩემთვის ვჩურჩულებდი: „ვალდებული ხარ,
ვალდებული ხარ“.

კი, მაგრამ, რას ნიშნავს „ვალდებული ხარ“. თავისთავად მე ეს სიტყვა
არ მიტაცებდა—მაგრამ მინდოდა ამ სიტყვას ვიღაცა ადამიანი მოეგონებო-
ნა ჩემთვის. მინდა მოვიგონო და არ შემიძლიან—თითქო დამავიწყდა მისი
გარეგნობა.

და აი, როცა ძალღონე სრულიად გამომელია, როცა არამცთუ ხოხვა, ხე-
ლის განძრევაც კი არ შემეძლო, მომაგონდა ერთი საუცხოო ამბავი. ეს ამ-
ბავი დიდ სიხარულს იწვევდა ხოლმე ჩემში მაშინაც, როდესაც სრულიად
ჯანსაღი ვიყავი.

დაჯბრუნდი სამუშაოდან—ისე ვარ დაქანცული, რომ სუნთქვა მივირის...
მაგრამ საკმარისია ეს ამბავი მოვიგონო და მაშინვე მხიარულად და უკვე
კარგად ვგრძნობ თავს.

ახლა, როცა მე, ცხადია, ვკვდებოდი, ეს ამბავი მომაგონდა და მან მე გა-
დამარჩინა.

ოდესღაც, რომელიღაც პატარა წიგნაკში, მე წავიკითხე ერთი ისტორია იმ
წლების შესახებ, როდესაც ამხანაგი სტალინი გადასახლებული იყო.

ეს გაზაფხულის დასაწყისისას მოხდა. გადასახლებულთა ერთ-ერთი ჯგუფი
კრებაზე სტალინს ელოდებოდა. უცდიან, უცდიან და ის კი არ ჩანს.

ზოგნი,—შესაძლოა, ეს მენშევიკები იყვნენ, ახლა კარგად არ მახსოვს,—
ამბობენ: „არ მოვა სტალინი, ვინაიდან გზა შეერულია. მდინარეზე ყინულთ-
სგლავა. მაშასადამე, ნავით მოგზაურობა ჯერ შეუძლებელია. ნაპირებზე კი

თოვლი დნობაშია, სველია — აქ ვერც საზიდარით, ვერც ძაღლის მარხილით ვერ ივლი. მოდი, დაეიწყეთ კრება სტალინის დაუსწრებლად“.

აქ ვილაც ამბობს:

„ვინაიდან სტალინმა თქვა — მოვალთ — ცხადია, მოვა კიდევ დედამიწა რომ დაიქცეს, მე მაინც მჯერა, რომ სტალინი მოვა“.

აქ, როგორც მაგონდება, ატყდა დავა — ელოდონ თუ არა. ვიდრე ეს აყალმაყალი იყო, ეზოდან ხმაური მოისმა. ბავშვები მდინარის ნაპირისაკენ გაეშურნენ. გადასახლებულნიც ეზოში გუარდნენ და მდინარისაკენ გარბიან. რას ხედავენ: — წყალაღმა ნავი მოდის. ნავის ცხვირზე კაცი დგას და გრძელი ორთაყვირით წყალზე მოძრავ ყინულებში გზას იკაფავს ისე, რომ ნავს არ დაეტაკოს. ნავი კი თავისთავად მოძრაობს. უკვირდებიან და ხედავენ, რომ ნავს შიათრევენ ნაპირზე მიმავალი ძაღლები. ხედავთ, რა მოუსაზრებია. ზამთრის ტრანსპორტი ვერ მუშაობს, ზაფხულის ვერ მუშაობს — მას კი ორივე სახის ტრანსპორტი შეუერთებია — და მდინარეზე ჩინებულად მოდის.

და მოვიდა კიდევ. ამხანაგებისათვის მიცემული სიტყვა შეასრულა. თქვენ, რაღა თქმა უნდა, მიხვდით — ვინ იყო ეს — ეს თვით ამხანაგი სტალინი იყო.

მე მომაგონდა ეს ამბავი და მაშინვე ისიც გაეხსენე, რომ ამხანაგებს სიტყვა მიეცეო — აუცილებლად დავბრუნდები-მეთქი. ჩემს დაბრუნებასთან კი დაკავშირებული იყო ჩემი ამხანაგების ბედი და ისევე გაეზოხდი.

გერასიმოვმა გაიხედა ფანჯარაში: ეზოში კიდევ უფრო ახმაურდნენ ბავშვები.

— მე წამიკითხავს ჯეკ ლონდონი. ჩვენისთანა ზალხისათვის კარგი მწერალია. მისი გმირები ხშირად მოხერხებულად ფიქრობენ სიცოცხლეზე და ბევრ რამესაც იგონებენ ხოლმე. ჩემს თავზე კი ვიტყვი, რომ ასეთი რამ არ მომსგელია. მე მივხობავდი ჩემს ტანთან ერთად, ჩემი აზრებიც მიხობავდნენ, მაგრამ რაღაც ცალკეულად, თავისთვის, როგორც ცალკე ასოები, რომლებიდანაც სიტყვა არ გამოდის. მე მხოლოდ ვხედავდი ნავს მდინარეზე და ნავის ცხვირზე მდგომ ადამიანს და მეგონა, რომ თვით ეს ნავი ვარ, რომელიც ამ ადამიანს მიყავს გრძელი ორთაყვირით ხელში და საშიშ ყინულებს მაცილებს და მე თითქო უკვე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

გერასიმოვმა პირისახე ჩემსკენ მოაბრუნა და გაკვირვებით და სიამაყით, თითქო ეს მას არც კი ეხებოდა, თქვა:

— შე ექვსი დღე მივხობავდი.

ბერი

ეტიუდი



წინ ტევრი იდო, გაუვალი. თვალმისაწევზე არა სჩანდა-რა. ხოლო ეს იცოდნენ: მერე ჭაობი იწყებოდა ლელიანი, ლაქაშიანი. იქ ვინ შეჰბედავდა? ამ ტევრის გავლა აუცილებელი იყო. თუმცა გამოსძებნეს შორით თავმოსავლელი გზა, მაგრამ ეს დიდად დააყოვნებდა ნაწილებს, უამი კი დაყოვნებას არ ითმენდა.

იყო მეორე სახეირო გუმანიცი: წითელი ნაწილები ზურგით მიყრდნობოდნენ ამ საიმედო ტევრს.

ვიღაც ირწმუნებოდა: არც თუ ისე ბნელია და გაუვალი ეს ტევრი, საიმედო და ფრიალ სახეირო გზასა ჰმაღავსო გულზევიადი. განა უხიაგონი და გულბოროტნიც არ იმარხავენ სიკეთის ნათელს? მოგონება უნდა.

შებენელი ნაწილები დაჰგზავნეს მრავლად. მრავალნაცოდ, ფრთხილსა და შეუპოვარ პოლკოვნიკ შმუტცლერს დაევალა გზის აღმოჩენა.

ნაპირები მოხილეს. ბევრი ღრმადაც შეიქრა ტევრში. კომპასის საშუალებით ძლივსა დაადწიეს თავი მდუმარს, შემპარავსა და ცბიერს...

დიდი მუხის ძირას ბოლოს სცემდა პოლკოვნიკი შმუტცლერი. იქნება, უთუოდ იქნება, — არწმუნებდა თავს... და მოდიოდნენ გაცბუნებული მძებნელები. ყოველ ახალ გამოჩენილს მუდარით მიაპყრობდა ზღვისფერ, ნაპირებზე შეხავსიანებულ თვლებს პოლკოვნიკი შმუტცლერი. მხრებს უიმედოდ აჩეჩდნენ ისინი.

შაინც კიანთებდა იმედი.

საშინელი შიმშილეს, უდიდესი განსაცდელის დროსაც არ დასტოვებდნენ იმედი ადამიანს. რა გულკეთილი და სათნო ყოფილა!..

ბოლოს, ვიღაც ბერიკაცი და ქალწული იპოვნეს ტევრში და მოჰგვარეს პოლკოვნიკ შმუტცლერს.

გაჯეჯილი წვერი მკერდზე სცემდა ბერიკაცს. დაწვისთავებსაც მოსდებოდა ბეწვი. ქუთუთონი ჩახავსებოდნენ. თითქოს ჭაობის თქორი შეპარვიით წყლიან თვლებს, ისე სველი და უამო იყო იმის გამოხედვა.

შისიგან გადამწვარი კორდისფერი ტალავარი ემოსა ბერიკაცს. ცალი სა-მუხლუ ჩაახეოდა და ბანჯგელიანი წვეფი მოუჩანდა იქიდან. წელზე ღვედი ერტყა, ოდნავ შეძინძილი, აბედიანი ხელები გაეყარა იმ ღვედში. კუნძივით იდო მიწაზე ბრგე ბერიკაცი.

მცდელი თვლებით ჩაყურებდა პოლკოვნიკი შმუტცლერი. არარაის განცდა ემჩნეოდა ხავსიან ბერიკაცს. სჩანდა — თვალთ ვერარა ეღვარება ადამღვრევედა მას.

ახლა ქალწულს მოავლო თვალი. ქობანაბდიანი ქუთუთონი დაჰხარა ქალწულმა. ქვემო ტუჩს დაადგა კბილი, მოძალეებული გულისცემის შესაოკებლად. ჩრდილმა რამ წაურბინა სახესა მისსა.

— მცირე სამსახურს გთხოვდით, ტკბილო მოხუცო, — თბილი ხმით ამბობს პოლკოვნიკი შმუტცლერი.

— ბრძანეთ, რაც გაგვეწყობა, გასჯას არ დავიშურებთ, — დუღუნებს ბერიკაცი.

— ამ ტყეში გზა არის?

— გზაო? — გაიკვირვა მოხუცმა და ოდნავ შეტოკდა: — ეგებ სხვა რამის თქმა გსურდათ, ჰერ პოლკოვნიკ? ამ ტყეში გზა? ეგ პირველად მესმის, კაცობის მაღლს გეფიცებები...

— ვითომ, ბერიკაცო?

— შვის ნათელს, ცის ნამსა და მაშვრალის მარჯვენას გეფიცებით, ამ ტყეში გზა კი არა, ერთი უტყევანის მიღმა, ბილიციც არ არის დათვის გაკლუული...

— თვალის აბმას ნუ შეეცდებით, მოხუცო! — მშვიდად, თითქოს გულგარეშე ამბობს პოლკოვნიკი შმუტცლერი. — ჩვენ კარგად ვიცით: ამ ტყეში გზა არის, მშვენიერი გზა.

ხელები გაშალა და ახორბოცდა ბერიკაცი:

— ჰე-ჰე-ჰე! უცნაური ყოფილხართ, ჰერ პოლკოვნიკ! გამოთავყვანებულ ბებერს იმას შეკითხვებით, რაც თვით მშვენიერად უწყით. ჰე-ჰე-ჰე! აბა რას გამორჩებით გამოჩერჩეტებულ ბებერს?

— ცბიერი ყოფილხარ, ბერიკაციო...

— ცბიერებაზე იმას მოგახსენებ, ჰერ: ბევრი მიცხოვრია და დამეჯერება: ედუნებას ცბიერებით განირჩინებენ მხოლოდ.

ესა სთქვა ბერიკაცმა, ერთი კიდევ ჩაიხვიხვინა და მუხის წვერს გაჰხედა. ყორანი შესკუბდა კენწეროზე. ფრთები შეჰკეცა, მხარ-ილლიანი წამოხარა შერე, დაიჩხავლა, დაიჩხავლა და კამარა შეჰკრა ისევ.

— უცნაური ფრინველია ყორანი, ჰერ, — ამბობს ბერიკაცი. — საოცარი ყნოსვა და გულმან-მიხვედრილება აქვს. წინასწარ ჰგრძნობს მძორის სუნსა...

ღიმი შესტეხა შმუტცლერმა სახეზე და ორპროვინად ჩაისისინა:

— ამ მუხის ძირას სადილ-ვახშამს თუ აპირებს საოცარი გრძნობის ფრინველი!

— ჰე-ჰე-ჰე!.. სწორედ ბრძანებთ, ჰერ. ორფრთიანი სიტყვა გცოდნიათ, ჰერ...

— ორფრთიანი სიტყვები გეყვარება, ბერიკაციო!

— ო, მერე როგორ, ჰერ! ორფრთიანი სიტყვა ჩემი ღვიძლი შვილია, პირმშო, და სანუყვარი. ბოლო დროს, იცით, რა ვცადე, ჰერ? სამფრთიანი სიტყვის გამოკვერვა ვცადე, ჰერ პოლკოვნიკ...

მარჯვენა თვალზე საჩვენებელ თითს იღებს პოლკოვნიკი შმუტცლერი.

— ამ თვალს ბევრი უცნაურობა უხილავს ქვეყნად, ბედმან შენებრთანაც შემყარა ახლა...

ბრყველად ხითხითებს ბერიკაცი:

— უცნაური რამაა თვალი, ჰერ... თუნდ ციეთში მზისთვის უმზერია, თუნდ დაბლა, დამყავებულ მიწისათვის. თუნდ მზექალისათვის შეუხედნია, თუნდ ჯოჯო დიაცისთვის, მე შენ გეტყვი სულ ერთი არ იყვეს მისთვის... ეს გულია არძილი და უხიაგი. ფეხიც ასევე განუსჯელია, ჰერ. თუნდ იათა შორის შეუტოპნია და თუნდ ნეხეში, სულ ერთია მისთვის, ჰერ... აქაც გულია არძილი და უხიაგი. მე იცით, რას ვიტყვი, ჰერ: სიტყბო და სიმწარე,

სილამაზე და სიმახინჯე — ბუნების ეს ღვიძლი შვილები — უხიაგმა გულმა წაჰკიდა ერთმანეთს.

— ყბედი ყოფილხარ, ბერიაცო!

— ჰე-ჰე-ჰე... ყბელობა ჩემი პირველი ხელობაა, ჰერ პოლკოვნიკო!

აქ გაწყდა მოთმინების ძაფი და აყვირდა პოლკოვნიკი შმუტცლერს:

— ქადაგობა არავის უთხოვნია შენთვის, მეგზურობა გათხოვეს და გაიგონე!

— მაგაზე ჩემი სიტყვა აქი მოგახსენეთ, ჰერ პოლკოვნიკ!

პოლკოვნიკ შმუტცლერს რისხვამ გაურბინა სახეზე, ქუშად შეხედა ბერიაცს, ოდნავ ჩაიფრუტუნა და ეს ჰკითხა მშვიდად:

— ეგ ქალწული რა არის შენი?

შეშფოთდა ბერიაცი, შეტოკდა და ჩაიდუღუნა — გერი არისო.

— აქაურს არ უნდა ჰგავდეს... — ამბობს შმუტცლერი.

— სწორს იტყვი, ჰერ პოლკოვნიკ, ლამისფერი თვალ-წარბი და თმა აქვს... აქართველია, ჰერ, ალბათ, მოგეხსენებათ საქართველოი, ზურმუხტი ამა მიწისა... ოციოდე წლის წინათ იქ მოგხვდი, იქ შევეყარე დედას მაგისას. მე ვზრდი მას აქეთა. მაგრამ კერპია მეტად, ჰერ, წრთვნა ვერ დავატყე-ჰე-ჰე-ჰე... — უფმურად ხითხითებს ბერიაცი.

— მაშ ამასაც კარგად ეცოდინება აქაობა?

ესა სთქვა პოლკოვნიკმა შმუტცლერმა და გული აუკანკალდა ბერიაცს: ეცოდინება, ჰაი-ჰაი ეცოდინება.. ჰმ! ეცოდინება... მერე, ენდოს, გაიტანს? თუმცაღა მისი ნაწრთობია, მაგრამ მაცდურია ეშმაკბორობი... მისი შექმნილი რომ იყვეს, მისი გამოკვესილი, სხვა არის მაშინ. ახლა-გი ვისი ნახელავია, ვინ იცის?

ახლა ხავსიან კუნძს კი არა წელანდელივით, კვირტგამოტანილ ყლორტს დაემგვანა ბერიაცი.

— შენ რაღას ჰფიქრობ გზის შესახებ, რა იცი, ქალწულო? — კითხულობს პოლკოვნიკი შმუტცლერი.

— მე არა ვიცი-რა, ჰერ პოლკოვნიკ, — ჩაიჩურჩულა ქალწულმა და გაინაბა.

— ვითომ?

კრინტი აღარ დაუძრავს ქალწულს.

გატყდება, უთუოდ გატყდება, — ჩაითქვა ბერიაცმა და გულის მოძალე-ბული ჩქროლისაგან წამოსტა.

— იყაბულეობთ ჩვენს თხოვნას, ნასიამოვნებს დაგტოვებთ, იცოდეთ, — ეუბნება პოლკოვნიკი შმუტცლერი. — არა და თქვენი ნებაა... ჩვენ ჩვენსას გაგიტანთ, და-გი-ყა-ბუ-ლებთ. არჩევანი თქვენი, იფიქრეთ. დრო — ხუთი წუთი.

ჰმ, იფიქრეთო... რა ფიქრი უნდა ბერიაცს? მაგრამ ეს ქალწული, სუსტი და ნაზი, ეს ქალწული რა ფიქრებს შეეყრება, ნეტავ?

შეჰხედა ბერიაცმა მას, ჯერ ბოროტად, მერე მუდარა-აღერსით... უთხრა თავისი სათქმელი, უთხრა, მაგრამ გაიგო? კვლავ მინიშნებას ველარა ჰბედავს, თვალს არ აშორებს პოლკოვნიკ შმუტცლერს. გულთამხილავი თვალში აქვს პოლკოვნიკს, კერპი მოხუციც გასტეხა და ააჩქროლა.

სწრაფად გაირბინა ხუთმა წუთმა.

— ლაყბობას ნულარ მოჰყვები, ბერიაცო, — ამბობს პოლკოვნიკი შმუტცლერი: — ჰო თუ არა?

გერმა შეჰხედა მამინაცვალს, — შიში ჰკრთოდა ამ გამოხედვაში. დანდობა აღარ ეგებო, გაიფიქრა და მრავალნაცადი ფანდის დაგება განიზრახა პერიკაცმა. გვერდზე გაიხმო პოლკოვნიკი შმუტცლერი, ჩაუბუტბუტკე ეფუქლად: — ჰაი-ჰაი, მე ყველაფერს ვიყაბულებ, ჰერ, მაგრამ ჩემი გერმანულიც ისა მეშინიან. რაღაც საშინელს ველოდები მისგან... იცით, რას გეტყვით, ჰერ პოლკოვნიკ, ეგ მომასოროთ... გააქრეთ, ჰერ. მე ყველაფერს ვიყაბულებ, ჰაი-ჰაი ვიყაბულებ, ჰერ...

გესლიანად გაიღიმა და თვალი თვალში გაუყარა პოლკოვნიკმა. თუმცა ვერ გასტეხა კერპი მოხუცი, მაგრამ ესა სთქვა:

— აჰ, მაშ ასე! კაი ცბიერი მელა ყოფილხარ, მაგრამ ჩემ ხაფანგიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილია! დიად, ბებერო! შენს თხოვნას შევასრულებ, ბერიკაცო, ოღონდ ქალწულს კი არა, შენ გაგაქრობ სწორედ...

... მერე ქალწული იდგა პოლკოვნიკ შმუტცლერის წინაშე. ქუში ფერები უკრთოდნენ ხორბლისფერ სახეზე პოლკოვნიკ შმუტცლერს. მღერი ნათელს ღვეთავდნენ ლურჯი თვალები, შეშპარავსა და გამასაყათებელს. ამით ფიქრობდა ზემოქმედებას პოლკოვნიკი შმუტცლერი.

ვანა უმზერდა ქალწული შმუტცლერს, თავის უბეს ჩაჰყურებდა, ალყავებულ კოკრებს. თუმცა ველარ გრძნობდა სინატიფეს მისას. ახლა შეტოტავებულ ტალღებს ჰგავდნენ ძუძუნი მისნი, ქარიშხლისაგან შესფოთებულთ.

ოდნავ ჩაახველა პოლკოვნიკმა, მერე ღიმი შესტეხა და ეს უთხრა:

— ბედნიერების კარი ყურთამდის ღია გაქვს, მშვენიერო ქალწულო...

თეროს ფერი გახდა ქალწულის სახე. ზე ასწია ქობანბდიანი ქუთუთონი და უმაღ წაათარა გიშრის თვალებს.

ენამზებოდა პოლკოვნიკი შმუტცლერი: მშვენიერ ელენეს აღარებდა, აფროდიტეს ჰბღალავდა და მის სიტურფესთან ეგ ძაძა კიდევაც გამატბსო სინატიფეს, შენ თვით მშვენება ხარო ხორცშესხმული... შენ დიადის შემძლებელი ხარ, უმშვენიერესო ქალწულო...

— მე არარა ძალმიძს, ჰერ!

— მავას როგორ ამბობს ეგ ბაგე, ვარდის ნაფურცილი! შენს ფერხთ წინაშე თვით უძლიერესთავანიც ქელს მოიხრის, ამ ქვეყნისა მშვენებო, თვალის მომჭრელი!

სდუმდა ქალწული.

მიღმა სროლის ხმა ისმოდა წამუწყვეტად. ყუმბარები ეცემოდნენ ზარ-ზათქით, გრგვინვა-გრიალით... ჰერში აზელილიყო მიწა, სისხლი და ხორცი. ხორცი ზიმ მიწა, სისხლში ამოლესილი...

გენერლის ადიუტანტი მიიჭრა ოთხამოლებით. დააჩქარა პოლკოვნიკი შმუტცლერი. და მანაც თავი ანება ლოლიობას. ხელი გაიშვირა ქუში ტევრისაკენ: წამიძებო, უბრძანა.

მსუბუქად ამოიხრა ქალწულმა და წარსდგა ფეხი.

წაიარეს ცოტა.

რად მივდივართო, კითხულობს პოლკოვნიკი შმუტცლერი.

— რა მოგახსენოთ, ჰერ!

ცეცხლი წაეკიდა პოლკოვნიკ შმუტცლერს, პირზე ქათი მოადგა მღელვარებისა.

— გზა მიჩვენე-მეთქი, გზა!

— მე არაფერი ვიცი, პერ პოლკოვნიკ.

— იცი! შენმა მამინაცვალმა დაადასტურა: იცისო.

— არა პერ, მე არაფერი ვიცი, პერ პოლკოვნიკ.

— გამიგონე: შენ სრულიად ახალგაზრდა ხარ, მშვენიერი, აუგს ნუ ჩამადენინებ, თორემ...

— მე უმწურო ვარ, მე არა ვიცი-რა, პერ პოლკოვნიკ...

არ ვიციო, თვალები გადმოსცივიდა პოლკოვნიკ შმუტცლერს. არ ვიციო, ხელნი აუკანკალდა, თითები მოეკრუნხა. ბროლის ყელისაკენ გაიკვლიეს გზა მოკრუნხულმა თითებმა... ძირს დაეშენენ აკანკალებული ხელები.

— არა, უარესს ვიზამ, ჩვენებურ ულაყებს მოგისევ, შუაზე გაგხლეჩ და ქუთაზე მოგიყვან!

თავი უფრო ძირს დაჰხარა ქალწულმა.

— არ იტყვი?

ისევ დუმილი. ვანა არემარეცა სდუმდა ირგვლივ? ცეცხლი ენთო, ხორცი და რკინა დუღდებოდა, თუხთუხებდა თიხის კოჭობი.

კვლავ მიიჭრა ადიუტანტი გენერლისა...

კვლავ დასკუპდა ყორიანი მუხის კენწეროზე. ახლა აღარ ანხავლებულა, რტოს არხევდა და ირწოდა მდუმარედ.

იდგა მთის შროშანი, იდგა ასკილის ყლორტი უშფოთველად. გულში კი ვინ გამოსთქვამს, რა ცეცხლი ენთო, რა ჭარი კოწიაწობდა?

საღდაც მახლობლად ყუმბარა დაეცა. ნეტავ მე დამცემოდაო, ინატრა ქალწულმა და ამ სურვილმა გამოყოფა თვალებში.

— რისა ხარ ასე კერპი?

— მე არა ვიცი-რა, პერ, — სთქვა და ყორანს შეჰხედა ქალწულმა. თვალნი თვალში გაუყარა ყორანმა. მერე თავი დაუქნია, ფრთენი შეჰხარა, კი არ გაფრენილა, მეორე ტოტზე შეფრთხილდა, უფრო მიუახლოვდა ქალწულს.

სთქვიო, ერთხელ კიდევ აყვირდა პოლკოვნიკი და ერთხელ კიდევ დააპირა ქალწულმა ეთქვა: მე არაფერი ვიციო, პერ, მაგრამ ვარდის ნაფურცლ ბაგეთ შეახმა ეს სიტყვები... მახლობლად გამსკდარი ყუმბარის ნამსხვრევი დაეცა. ქალწულის ფეხქვეშ მიწა შეირყა.. შეატრიალა უსასო გიშრის თვალნი ქალწულმა, უკანასკნელად გაჰხედა ხილულს, ყორანს შეჰხედა, შმაგი ყვილით რომ შეჰკრა კამარა, და მარადიულ არ არსობას მიექცა არსობის შხამშესხმული.

ხედდატანებაზე თვით გენერალი მიეახლა პოლკოვნიკ შმუტცლერს. დანანებისათვის შეუწყრა და თვით ინება დაკითხვა. პროფესორი მომგვარეო, დაუცახანა ადიუტანტს. ეგებ ზუთიოდე წუთის სიცოცხლე გააჩნდეს კიდევო, იმედიანად სთქვა და გაცივებულ მაჯას მისწვდა ქალწულისას.

— ამოა!.. — თავის უიმედო რაცრაცით ამბობს პოლკოვნიკი შმუტცლერი. — ათი სიცოცხლე რომ დაუბრუნო და ათივე წაართვა, არაფერს იტყვის მაინც...

და მუხლი მოიყარა მან, ღიად დარჩენილ გიშრის თვალებს ჭობანაბდიანი ქუთუთონი წააფარა და ოხვრა ამოხდა ერთი...

ვინდა არ იხრის ქედს სიმტიცის წინაშე?

ამომავალ მთვარისადმი

ამ წუთს აქ იყავ, უკვე მშორდები,
მარიღებ სახეს, შუქით ბრწყინვალეს.
გარს მოიხვევ ღრუბელთა ფრთები,
მოულოდნელად მიჰფარდ თვალებს.

მაინც გრძნობ, ვით მწევავს სევდა ტიალი,
ვარსკვლავის დარად მოგიჩანს ყურე.
შორსაა ჩემი გულის ტრფიალი,
მას რომ ვუყვარვარ, დამიდასტურე.

მაშ ამობრწყინდი, კვლავ გაბადრული,
ცხოვრება შუქით ამიკამკამე,
მტკივნეულად სცემს ჩემს მკერდში გული
და მიდარაჯებს უკუნი ლამე.

მინაონ

მიბრძანე ვსდუმდე, არ დაეძრა ენა,
ჩემი ხვედრია იღუმალეზა.
მინდოდა შენთვის ფიქრის გამხელა,
მეგრამ იღბალმა არ დამანება.

მზემ ცეცხლოვანი ისარი მკვეთრი
ღამეს სტყორცნა და აღსასრულს მისცა.
სალმა კლდეებმა გაიხსნეს მკერდი
და ნაკადულნი მიუძღვნეს მიწას.

კაცი დაეძებს მეგობრის ალერსს,
რომ ამცნოს სევდა, გულის მსერავი,
მე მხოლოდ ფიცი მიმძიმებს ბაგეს,
მას ღმერთის გარდა ვახსნის ვერავინ.

მოუსვენარი სიყვარული

ნუ შეგაშინებს ქარი,
ნურც წვიმის ნიაღვარი.
ნაპრაღი — უღაბური
თოვლი და ნისლის ბური.
მედგრად და გაბედულად —
წინ, წინ ისწრაფე მუდამ.



მე შირჩევნია კრული,
მწვავდეს სახმილი კმუნვის;
ვიდრე ვატარო გულით
ამდენი სიხარული.
ყოველი სწრაფვა მტკიცე,
ტრფიალის ცეცხლით გზნება,
აჰ, რა უცნაურს იწვევს
ტკივილს და მღელვარებას.

საით გავიქცე, საით —
ტყეს შევაფარო თავი?
ამაოების მტვერით
აქ სუნთქავს ყველაფერი.
ყოფნის გვირგვინი სრული,
სიმშვიდეს მოკლებული;
ბედნიერების გრძნობა —
აი, რა არის ტრფობა!

აქ ყველაფერი შენზე მეტყველებს:
ამობრწყინდება მზე, დიდებული —
მის ბრწყინვალებას მოჰყვები, მჯერა.

შემოხვალ ბაღში და მე ვგრძნობ: შენ ხარ
ულამაზესი ვარდების ვარდი,
და შროშანების შროშანი წმინდა.

როს საცეკვაოდ სხეულს შეარბევ,
ათრთოლდებიან ცის მნათობები —
და თავს დახრიან შენს ირგვლივ, კრძალვით.

ლამე... და ლამე თუნდ იყოს მარად!
შენ უფრო ბრწყინავ, ვიდრე სხივები,
ვიდრე სხივები მომხიბვლელ მთვარის.

ხარ მიმზიდველი და სანატრელი,
ყვავილნი, მთვარე და ვარსკვლავები —
თაყვანსა გცემენ მხოლოდ შენ, მზეო.

მზეო, გენუკვი, იყავი ჩემთვის
ბრწყინვალე დღეთა მომნიჭებელი,
რომ ვიგრძნო ყოფნის მარადისობა.

ჯღვის დუმილი

ზღვა მდუმარებს, ტალღა გრილი
ძილს მოუცავს, არ შრიალებს.
და მენავე, მოწყენილი,
ლურჯ სივრცეებს ავლებს თვალებს.

განაბულა სიო ლალი,
სინამდვილე არ არღვევს ქროლვით.
და ვეება ზღვის წიაღით
არ ლივლივებს ჭავლი ბროლი.



ტ ბ ა ზ ე

ახალი საზრდო და სისხლი საღი
ახალ სამყარომ მე მითავაზა,
რა კეთილია ბუნება, ლალი,
ფაფუკ მტერდში რომ მიხუტებს ნაზად.

ნავს ატივტივებს ნელი ზვირთები,
და აშრიალებს ჭავლებს ჭაფიანს,
თეთრ ღრუბლებამდე აწვდილი მთები
ჩვენსკენ მოჰჭრიან, მოისწრაფიან.

ეჰ, ჩემო თვალო, ძირს რად იხრები,
კვლავ მოგელანდა ოქროს სიზმრები?
ოქროს სიზმარო, შორს, იყავ კრული,
აქ სიცოცხლეა და სიყვარული!

ლურჯი ვარსკვლავნი ტალღებში კრთიან,
ამოდ კამკამებს ტბის სარკე ვრცელი,
და ირგვლივ დაღვრილ ნისლის თქორს,—
მღვრიას,
გულხარბად სვამენ შორი სივრცენი.

თენდება, ზევით მოჰჭრის რიერაჟი,
ფრთებს ალივლივებს ნიაფი ფრთხილი,
და ანარეკლი ტივტივებს ტბაში
დამწიფებული მსუყე ხეხილის.

ღამის სიმღერა

ო, ყური მივდე—ოცნებით სავსეს
გფლობდეს ზმანება, გულის იმედი.
და ჩემი ჩანგის საამურ ხმაზე
იძინე ტკბილად, რაღა გსურს მეტი?

პოეტის ჩანგის საამურ ხმაზე
ვარსკვლავთა გუნდი, სხივდაუშრეტი,
დალოცავს გრძნობას მარად უნაზესს,
იძინე მშვიდად, რაღა გსურს მეტი?

დაუქნობ გრძნობას, მარად უნაზესს
მიყვარა ზევით, ფრთებს მასხამს გედის.
მიწიურ ჭაობს ვშორდები წამსვე.
ო, დაიძინე, რაღა გსურს მეტი?

მიწიურ კაობს ვშორდები წამსვე
შენზე ოცნებით და შენი ჭკრეტით,
მახარებს ზეცის ლალი სისავსე,
იძინე მშვიდად, რაღა გსურს მეტი?



მახარებს ზეცის ლალი სისავსე,
როს ძილში მისმენ, მფენი სიკეთის.
ო, ჩემი ჩანგის საამურ ხმაზე
იძინე მშვიდად, რაღა გსურს მეტი?

მეთიგვა

წყალი შხუოდა და ჭავლებს შლიდა,
ისმოდა ზვირთთა ნელი განგაში.
იჯდა გულგრილი მეთევზე, მშვიდად,
უცქერდა ანკესს, ჩაშვებულს ტბაში.
მყის შეტორტმანდნენ ტალღები ძღვევით,
გაიპო წყალის სარკე ნათელი,
და შორ სიღრმიდან, ნელინელ რხევით,
ამოტივტივდა დიაცი სველი.

იწყო სიმღერა ხმაშეწყობილად:
—კაცთათვის ჩვეულ მუხანათ ზრახვით —
რისთვის იზიდავ შენსკენ ჩემს ჯილაგს
ამ აუტანელ პაპანებაში?
აჰ, რომ იცოდე ტალღათა თქეშში
თავს რა მშვენიერად გრძნობს თევზი, ლალი,
ჩამოხვიდოდი შენც მდინარეში
და გახდებოდი უფრო ჯანსაღი.

„განა არ სტყებდა ლურჯი ზღვის ცქერით
თვით ბადრი მთვარე და მზე სხივმნათი?
ტალღათა სუნთქვით მათი იერი
განა არ ხდებდა უფრო დიადი?
ღრმა ცის მშვენიებით არ გითრთის გული,
ან არ გიტაცებს ლაქვარდი ვრცელი?
და მარადიულ ცვარში ხილული
განა არ მოგწონს ხატება შენი?“

შხუოდა ტალღა, ქაფმორეული,
ფეხს უსველებდა მეთევზეს წყალი.
და ევსებოდა წყურვილით სული,
ვით სალამის ქაშს გულის ტრფიალის.
მწველი სიმღერა ბურანში ხვევდა
და უღვიძებდა ლტოლვის ცეცხლს ახალს,
ჭაბუკი თრთოდა, ქალი იწვევდა,
და შემდეგ იგი არვის უნახავს..

შილღერის თავის ძალის მკრებრისას

ბნელ საძვალეში მდუმარება სუფევდა მკვდრული,
ვიდექ, ვუპვერტიდი ურიცხვ გროვას თავისქალბის,
ქალარა წარსულს ვიგონებდი გაოცებული.



წინად ურთერთის მაცქერალნი მტრული თვალებით —
დამშვიდებულან, ბრძოლის ცეცხლი მათში ჩამქრალა,
და ისვენებენ დამაშვრალნი ტანჯვა-წვალებით.

აი, ბეჭები მამგრამ ვინდა იკითხავს კვალად
ისინი თუ რას ატარებდნენ, მტკიცე და მხნენი?
უქმად დახსნილან, აღარ გრძნობენ სიცოცხლის ძალას.

— ძვალნო, დალილნო სასტიკ დღეთა გრიგალის დენით,
აქ უქმად ძევხართ, ისევ გმოსავთ ნათელ სრული,
საფლავშიაც არ მოასვენეს სახსრები თქვენი.

ვისლა აღძვრის კვლავ თქვენდამი აწ სიყვარული,
კეთილშობილი თქვენი თესლის სადღაა კვალი?
მხოლოდ ეს ჩემთვის, ადებტისთვის, არ არს ფარული,

რაც სხვებისათვის უცნობია და იღუმალი:
აღმოვაჩინე ძვალთა შორის მე დიდებული
განძი უკვდავი, უაღრესად ძვირფასი ძვალ —

და ცივ მღვიმეში სიხარულით გამითბა გული.
გამოქცევიდა, — ვეხდავ, — სიკვდილს, სიამის მგვრელი,
ერთ-ერთი წყარო ლალ სიცოცხლის სხივით გზნებულნი.

და მოვიხიბლე დიად განძის ფორმის მხილველი,
რასაც ლეთაებრივ ფიქრებისა კვლავ აჩნდა კვალი.
გადაიშალა ჩემს წინ ზღვათა ხატება ვრცელი —

ციურ სახეთა აღმომჩქეფი გრძნულ შრიალით.
წმინდა ჭურჭელი, ორაკულის ენით მეტყველო,
ღირსი ვარ განა ხელი გახლო, მოვრალმა სიამით?

აქ არ დაგტოვებ, თან წაგიღებ, საუნჯევე ქველო,
სადაც მზე ბრწყინავს, მარადიულ ნათელით საესე,
ლალი ჰაერით საამურად ბიბინებს მდელი.

ვიტყვი: ის არის ბედნიერი ამ ქვეყანაზე
ბუნება-ღმერთი ვისაც უმხელს გულის ხეაშიადს,
და მაგარ სხეულს უკვდავ სულად ის როგორ აქცევს,

და ვით ინახავს მკვიდრად სულის ქმნილებას დიადს.

ტულის მეფე



იყო ტულაში ერთი ხელმწიფე,
 ჰყავდა მიჯნური, გულის ტრფიალი.
 სიკვდილის წუთში შეყვარებულმა
 უძღვნა სახსოვრად ოქროს ფიალი.

მეფე ფილას არ იშორებდა,
 საყვარლის ძღვენი უყვარდა დიდად,
 უბნელდებოდა თვალები თრთოლვით,
 როს ნადიმებში მას გამოსცლიდა.

მაგრამ ეწვია სიკვდილის უამი,
 იგრძნო: ეღვეა ღონე და ძალა,
 შვილს დაულოცა მთელი ქონება,
 და დაიტოვა მხოლოდ ფიალა.

ზღვის განაპირას, წინაპართ კოშკში,
 იყო ზეიმი გაჩაღებული;
 თავდავიწყებით ღბინობდა მეფე,
 გვერდით რაინდთა უსხდა კრებული.

უცებ წამოდგა ძველი მოღრევე,
 სახეზე მძაფრი დაეტყო თრთოლა,
 დასცალა თასი უკანასკნელი
 და ზღვის უფსკრულში გადაისროლა.

და ჩაიძირა, ნელი ტიეტვიით
 ფირუზ სიღრმეში ოქროს ფიალი.
 მას შემდეგ მეფეს წვეთიც არ უსვამს —
 სამარადეთმოდ დახუჭა თვალი.

თარგმნილი ნ. ვარდოშვილის მიერ.



მისარგყედა *

(მოთხრობა)

თავი მესამე

ქარი გუგუნიბდა და უსტვენდა, ფარდული კრიპინებდა, ირყეოდა, თითქოს ეს-ეს არის ადგილიდან უნდა მოწყდეს და ხევში გადაიხეხოსო. ძელები ქანაობდნენ, ჩაღის სახურავი შრიალებდა, ქარი იტაცებდა ისლის ღეროებს და მიაფრიალებდა სადღაც შორს, სოფლის გადაღმა, მინდვრად, თოვლით დაფარულ დაბლობზე, რომელიც ინთქებოდა ჰაერში მოფარფატე თოვლის ჰაოსისებურ კორიანტელში.

ოლენა ყვიროდა. მთელი ხმით ყვიროდა. მთელს მის სხეულს ვლევდა უცნაური ტკივილი. ახლა თავი იჩინა კონდახების დარტყმამ, ხიშტების ჩხვლეტამ, მიწაზე წარამარა დაცემამ, როცა ღამით, გზაზე შეუბრალებლად ერეკებოდნენ მას ჯარისკაცები... ფარდულში დამდგარმა სიცივემ, შიმშილმა, წყურვილმა, საშინელმა მოქანტულობამ. ყველაფერი ეს მშვიერი მგლის სროვასავით მისეოდა მას და კბენდა თავისი მტაცებლური კბილებით. ოლენას ეჩვენებოდა, თითქოს მთელი მისი სხეული ნაფლეთებად იშლებოდა, თითქოს მოვიზიხე ცეცხლში იწვოდა, თითქოს მის სხეულს სერავდნენ ათასი მოწამული სამართებლები.

ოლენა ყვიროდა. ახლა შეიძლებოდა ეს ყვირილი, რაკი ის მშობიარედ იწვებოდა. ახლა შეიძლებოდა ტუჩებიდან მოეგლიჯა დუმილის ბეჭედი, რომელიც ნებისყოფის უდიდესი დაძაბულობით დაიდო მან იმ მომენტიდან, როცა გერმანელებმა გამოათრიეს იგი სახლიდან. მას შეეძლო დუმილის ეს ბეჭედი ეტარებინა იმ წუთებამდე, ვიდრე იგი მიხვდა, რომ ყველას და ყველაფრის მიუხედავად—მშობიარედ იწვებოდა, რომ კონდახების დარტყმას, ყინვას, თოვლში მრავალჯერ დაცემას არ მოუკლავს ბავშვი მის არსებაში. ბავშვი ცოცხალი იყო და უნდოდა ქვეყნად ჩამოსვლა. იგი მოიწევდა ამ ქვეყნისკენ, გზას მოიკვლევდა და ამ ლტოლვაში შეუბრალებლად ჰგლეჯდა ოლენას სხეულს.

ოლენა ყვიროდა არაადამიანური, მხეცური ხმით და ამ ყვირილში ჰმოულობდა სიმშვიდეს. მის არსებაში კი ინთქებოდა ტკივილი, ქრებოდა სიცივე, ჩემდებოდა ქარი, რომელიც აგრე ვარეწარი ხმით ზუზუნებდა კედლების იქით.

ფარდულის კარებმა დაიჭრიალეს. ოლენას თავიც კი არ მოუბრუნებია. ტკივილი სულ უფრო ხშირი იყო, სულ უფრო მწვავე, მოუთმენელი. ჰყვიროდა იგი, ჰყვიროდა როგორც შეეძლო, როგორც უნდოდა, როგორც ამას მოითხოვდა მისი განაწამები სხეული.

*) იხ. „მნათობა“, № 11 — 12.

ჯარისკაცი კართან იდგა, უნდოდა დაეყვირა ოლენასთვის, გვერდებინა იგი, მაგრამ მიხვდა, რომ მშობიარედ იწვა. წუთის შემდეგ გაჩნდა მარტო ჯარისკაცი. ისინი შესცქეროდნენ ქალს, იცინოდნენ, თან რაღაცაზე ლაზღანდარობდნენ, მაგრამ ოლენასთვის სულერთი იყო ის გარემოებები, რომ შვიგელი იწვა თივაზე, რომ მას ასეთ მდგომარეობაში შესცქეროდნენ უცხო მამაკაცები. ოლენა მშობიარედ იწვა, ბავშვი უნდა ეშობნა და ეს ამბავი ყრუ კედელივით აშორებდა მას გარესამყაროსაგან, სადაც დათარეშობდნენ გერმანელები, ეს იფარავდა ოლენას მათი უსიკრებელი შეხედვისაგან, ეს ჯავშანივით იცავდა ოლენას გერმანელი ჯარისკაცების სულელური ხარხარისაგან. ოლენას უნდა ეშობნა ბავშვი, გერმანელებს კი ეტყობოდათ უნდოდათ მიეცათ მისთვის ამისი საშუალება, ვინაიდან ისინი იღვნენ ფარდულის კართან და უცდიდნენ.

ყვირილი ძლიერდებოდა. მებობელ ქოხებში პირჯვარს იწერდნენ ქალები, ისინი საშინელების მოლანდებით შემფოთებული თვალებით გასცქეროდნენ იმ მხარეს, სადაც ქარბუქისაგან ახვეტილი და ჰაერში ათამაშებული თოვლის ფანტელის კორიანტელში იდგა ფარდული. ოლენა კოსტიუკი მარტო იყო, უპატრონოდ, უთვისტომოდ, მშობიარობის მძიმე წუთებში ამ ბნელსა და ცივ ფარდულში. დედაკაცებს ეგონათ მოკვდაო, ვერ იტანაო სიცივე, დიდი ხანია მის სხეულშიც ბავშვმაც სული განუტევაო. ოლენა კი ცოცხალი ყოფილა, იგი ყვირის, შეელას ითხოვს და გვერდით კი არავინ ჰყავს, რომ ჭიქა წყალი მიაწოდოს, რომ ტუნები გაუსველოს, ბალიში გაუსწოროს, რომ მეგობრული თბილი ხელი შეახოს. იგი მშობიარობდა ისე, როგორც არავინ არასოდეს სოფელში: შიშველი, ტიტველი, შემზარავ ყინვაში ფარდულის ცივ მიწაზე დაგდებული. ქალები ისევ პირჯვარს იწერდნენ, კბილებს აკრატუნებდნენ, ყურებზე თითს იცობდნენ, მაგრამ დედაკაცური ცნობისმოყვარეობა მაინც სძლედათ და სულგანაბლანი ყურს უგდებდნენ: ისევ ყვირის თუ არაო. — დიად, ისევ ყვიროდა, ყვიროდა ძლიერი, გამაყრუებელი ხმით. საიდან იკრებდა ამდენ ძალას ეს დატანჯული, ნაცემი და ნაგვემი ადამიანი? ეს კი არავინ იცოდა. ბოლოს ყვირილი გმინვად შეიცვალა, ერთხანს ასე გასტანა, მერე მიწყნარდა.

— უკვე შობა ბავშვი, — გადასწყვიტა მალიუჩინამ, რომლის ქოხი ყველაზე უფრო ახლოს იყო ფარდულიდან. მალიუჩინა სკამზე დაეშვა.

— შობა, — გაიმეორა პატარა ზინამ.

ოლენა წუთით გამოყრუებულივით იწვა. აი, ეს არის მისი ბავშვი. ყველას და ყველაფრის მიუხედავად იგი მაინც გაჩნდა ამ ქვეყნად, გაჩნდა ბავშვი იმ მამისა, რომელიც უკვე მოკლულია, ბავშვი იმ დედისა, რომელმაც მუცლით ატარა იგი — პატარა და ლამაზი არსება.

ოლენამ ხელზე აიყვანა იგი. ბებია ქალი არ დასწრებია მის დაბადებას... ოლენამ ძალისავეთ კბილებით გადაუღება ქიბი, გადაუხასტა: პოლისაიციდან მოხეული არშიით, რომელიც მან დაადო აქ პირველ დღესვე, დაკითხვაზე გაყვანის მოლოდინში წოლის დროს. ბავშვს მთელ სხეულზე მოუსვა გაყინული ხელი, რომელიც ძლივს დაასველა ქოთანში ჩაჩენილი რამდენიმე წვეთი წყლით, სახეზედაც გადაუსვა ბავშვს ხელები, მოსწმინდა.

ბავშვი ატირდა, სრულად ნორმალური და ჯანსაღი ხმით. ოლენას სუნთქვა შეეკრა. აი, შეილი უკვე არის, ვაჟიშვილი... ყველაფრის მიუხედავად იგი მა-

ინც დაიბადა. ეს პირველი შვილია მისი სხეულისა, რომელიც უნაყოფო იყო ორმოც წლამდე, ახლა კი ბავშვი ეყოლა...

— მიკოლა, მიკოლა, შვილი!—უნდოდა ეთქვა ოლენას, გეგნარებინა ქმარი, ესიამოვნებინა მისი გულკეთილობის სამაგიეროდ. მას ხომ არასოდეს უნდოდა ამ წლების განმავლობაში, იმის მიუხედავად, რომ უწყვეტად უნდოდა პეოლოდა შვილი, ერთხელაც არ უწყენინებია, აუფი სიტყვა არ წამოსცდენია მის მიმართ, საყვედურიც კი არ უთქვამს მისთვის. არასოდეს არ წამოცდენია: ბერწი დედაკაცი შეშვედა, უჯიშო, შესახედავად თითქოს ჯანმრთელი, ღონიერი, მაგრამ შიგნით კი—დამპალი... ისეთი როდია, როგორც სხვა ქალები, რომლებიც ორსულდებიან, აჩენენ ბავშვებს და ზრდიანო. არასოდეს არ უთქვამს მიკოლას ოლენასთვის ასეთი მწარე სიტყვები.

ოლენას არც კი სჯეროდა, როცა ფეხმძიმეობა დაეტყო. ბებერი იყო, ორმოცა წლისა. უცნაურია, მაინც ორსული აღმოჩნდა. მიკოლა კი ჯარში წიყვანეს. იგი გამოეთხოვა ოლენას, ყველაზე უფრო უმძიმდა ოლენასთან განშორება, ბავშვი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო, მაგრამ მისი დატოვებაც ეძნელებოდა.

და აი — მიკოლა უკვე აღარ არის, დაიღუპა ფრონტზე. ახლა კი ბავშვი დაიბადა, ისიც ვაჟი. იგი დაიბადა გერმანელებს სამატიმროში, უსირცხვილო გერმანელ ჯარისკაცების თვალწინ, რომლებსაც იმდენი ნაშუსიც კი არ აღმოაჩნდათ, რომ არ ეყურებინათ მშობიარე ქალისათვის. ბავშვი დაიბადა მათი უსირცხვილო და უტიფარი ხარხარის ქვეშ.

ბავშვი იწვა სველსა და ცივ თივაზე. ოლენამ ხელი დაავლო და შიშველი ბავშვი მკერდში ჩაიკრა, თან სულს უბერავდა, ცდილობდა გაეთბო. ოლენა აუწერელმა საშინელებამ შეიძყრო იმის გამო, რომ ბავშვი, რომელიც ყველასა და ყველაფრის მიუხედავად დაიბადა, ახლა ტიტველ მართვესავით, კატის კნუტსავით უნდა გაყინულიყო. ოლენა ცდილობდა გაეთბო იგი საკუთარი სხეულით, საკუთარი სითბო შთაებერა მის სხეულში. ოლენა იმავე დროს გრძნობდა, თუ როგორ ეყინებოდა ხელები, როგორ იპყრობდა გამსჭვალავი ყინვა, როგორ უჩერდებოდა სისხლი ძარღვებში და უკვე არაფრით არ შეეძლო ბავშვის გათბობა.

კართან მდგომმა ჯარისკაცებმა რაღაცა მოილაპარაკეს. მერე ერთი მათგანი წავიდა და ისევ ჩქარა დაბრუნდა.

— ახ, შენ, — წარმოსთქვა მან გარეწარი ხმით. თივაზე, სადაც ოლენა იწვა, ჯარისკაცმა დაავლო: კაბა და კოფტა — ოლენას საკუთარი ტანსაცმელი, ყველაფერი ის, რაც მას გაჰხადეს საღამოს: გარეთ, ყინვაში გამოსვლის წინ. ოლენამ უნდობლად შეხედა ჯარისკაცს, რომელიც გამოლენჩებულსავით იცინოდა. ქალმა აკანკალებული ხელით აიღო კოფტა, ფრთხილად და მონდომებით შეახვია ბავშვი. ბავშვის პატარა სახე, რომელსაც ჯერ კიდევ გადაკვროდა დედის მუცლიდან გამოყოფილი პირბადე, სასაცილო შესახედავი იყო, ტკინას ჰგავდა, ლეკვის მსგავსად ოდნავ გახელილი პატარა ცისფერი თვალებიანი. ოლენას გაეხარდა, უსაზღვრო ბედნიერება იგრძნო. აი, უკვე აქვს ბავშვის შესახედე. მას დაავიწყდა სხვა ყველაფერი, რადგან ამ წუთას ეს იყო მისთვის ყველაზე მთავარი. ყველაფერი კარგად წავაო—ეჩვენებოდა, რადგან საშინელი წუთები უკვე განვლილი იყო. აკანკალებული ხელებით

იცემადა კაბას, თუმცა ამას არ შეეძლო მისი გათოშილი სხეულის ვახტობა, მაგრამ ერთგვარი შეება მაინც იგრძნო, რადგან შიშველსა და ნაკეცი სხეულს დაიფარავდა ამ ძველმანით. ის ჯუბა და თავშალიც რომ ჰქონდეს, რომელიც ოფიცრის კაბინეტში დარჩა... მაგრამ ოლენამ თავის თავს აქვე შეიწყობა. წესრიგისაკენ. ისიც საკმარისად მიიჩნია, რაც ჰქონდა, რაც შემოუღწია კერძონელმა ჯარისკაცმა. კმაყოფილად გრძნობდა თავს, რადგან ბავშვი სუფთა ნაქერში იყო გამოხვეული. უხაროდა, რომ სიცხე არ შეაწუხებდა. ოლენამ ბავშვი მუხლზე დაიწვინა, ზემოდან კაბის კალთა გადააფარა. ბავშვი მშვიდად იწეა, ეტყობოდა სიცხე არ აწუხებდა. მეტი რაღა უნდოდა? ისიც კი, რაც ოლენამ მიიღო, სრულიად მოულოდნელი და უჩვეულო ამბავი იყო ამ პირობებში. ეს იყო რაღაც საკვირველი შემთხვევა, რომელიც ვერაფრით ვერ აეხსნა.

ოლენამ აშკარად, თვალნათლივ დაინახა, რომ ტანისამოსი შემოუღწია გერმანელმა. ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ მოხდა ეს... რა იქნებოდა მაშინ, ჯუბა და თავშალიც რომ ჰქონდნენ შემოეგდო დათოვლილ მინდორზე მოგუგუნე ქარს? კარი ჭრიალით მიიხურა. ოლენა თავით მიეყრდნო ძელს და თვლები დაიწყო. ძილში შესტოპა. აი, განუწყვეტელ ნაკადად დაიძრნენ მოგონებები... ყვირის მოუჩრავი... მაგრამ როგორ მოხდა, რომ იგი ცოცხალია? იგი ხომ გლეხის სარის დარტყმისაგან მოკვდა... ახლა დგას აგერ და ჰყვირის... საკვირველია... მახლობლად მიდიან წითელარმიელები. მათ შორის არ არის შიკოლა, მხოლოდ კუდრიავია. იგი რევოლვერს ატრიალებს ხელში, მიაქვს დიდი ტილო. ეს ტილო იშლება, იშლება ამ უსაზღვრო გზაზე, რომელიც სოფელზე გაყვით მიემართება სადღაც შორს, შორს... აი, კიდევ აგერ, გზაზე დარბის ახლახან დაბადებული მისი ბავშვი...

— შეხედეთ, იგი უკვე დარბის!—წამოიძაბა ფეოდოსია კრავჩუკმა.

ოლენას ისე გაუკვირდა ეს, რომ თვლები გაუკრთა, გამოფხიზლდა.

ყელი ჩახლანწოდა, საშინლად ეწვიოდა. მოუთმენლად სწყუროდა, ენა გაშეშებოდა, ხორკლები დაჰყროდა. ენა ისე ეღო პირში, თითქოს სხვისი ყოფილიყოს. ტუჩები დასკდომოდა, ხელი მოისვა, თითები სისხლში დაესვარა. ყური უწიოდა, ძელებმა მტერევა დაუწყეს. რაღაც საშინელი ტყვილი მოემართებოდა სხეულის შიგნიდან. ბავშვს გადახედა, მის სახეს შეეხო, გაყინულად მოეჩვენა, მაგრამ არა, უმაღლეს მიხედა, რომ თვითონ მას უმატა სიცხემ. ისეე ჩასთვლიმა. ოლენას ესიზმრებოდა წყალი. წყალი ღვირად მიედინებოდა, წყალი იდგა ტბად, მას კი ხელში ეჭირა ფსკერგაზვრეტელი ვედრო, უნდოდა გაეგსო ის, მაგრამ ვერ ახერხებდა. მუხლზე დაეწეა, ცხადზე უფრო ნათლად დაინახა ყინულჭრილი, მისი მომწვანო კიდეები, მრუმე წყალი ჩუხჩუხით გადადიოდა, მოძრაობდა, როგორც ცოცხალი რამ არსება, დგაფუნობდა და ესხმებოდა ტბორიან, ქაობიან სივრცეზე და ისეე მიძვრებოდა, ივარგებოდა ყინულის ქვეშ... წყალი მიჰყვებოდა თავის შორეულ გზას. ყინულზე სქელ ფენად იღო თოვლი. მხოლოდ ერთგან, თხელ ნაკადად, თითქო საფქვევის ღარიდან ჩამოდისო, ფხვნილივით სცვივოდა წყალში გაყინული, მაგარი თოვლი. ჩაცვივდებოდა თუ არა, თოვლი დატრიალდებოდა, რაღაც მომწვანო ფერს მიიღებდა და გუნდავდებოდა, ყინულჭრილში შესიკურდებოდა, ივარგებოდა სიღრმეში. ოლენას უნდოდა დაეჭირა ეს თოვლის გუნდა, გამხმარ ტუჩებთან

მიეტანა, მოეკმინა, მაგრამ წყალმა გაიტაცა ის ყინულის ფენის ქვეშ და გაჰქრა. უცერად ყინულჭრილის ირგვლივ ნაბზარი გაჩნდა, ყინულს გრძელ ნამსხვრევებად იწყო დაშლა, ოღენამ იგრძნო რყევა, იგრძნო, რომ მის დერბ-თა ქვეშ იხსნებოდა ყინულის უძირო უფსკრული.

ერეკნული

ოღენა გამოერკვა, თავი საშინლად დამძიმებოდა, მაღლა აგებდა ხელებს. რანში ესმოდა ბავშვის მწვიდი და ერთნაირი სუნთქვა. დიალ, დიალ, ბავშვს კი არ სწყუროდა, მას არ უნდოდა წყალი. ოღენას მკერდში აღმოჩნდება რძე, როცა მას მოშივა, როცა მას მოუხდება კამა. რამდენი ხანია, თითქოს საუკუნე გავიდა, რაც წყალი არ დაუღევია. აბა, რა ანგარიშში ჩასათვლია ის რა-სამი ნატეხი თოვლი, რომელსაც იგი ტუჩებით დასწევდა და აიღო გერმანელი ჯარისკაცების თვალწინ, როცა ისინი წარამარა ერეკებოდნენ მას სუსხსა და ყინვაში. როგორი არაადამიანური, ველური ყინით უნდოდა წყალი. სტკიოდა ტუჩები, სტკიოდა ენა, პირი, მოუთმენლად სტკიოდა ყელი. მთელი მისი შიგნეულობა ცახცახებდა, თრთოდა, საშინლად კანკალებდა. ისევ ჩასთვლიმა, ისევ დაიწყო ცვენა თეთრმა ქვიშამ, თეთრმა, ისეთმა თეთრმა, როგორც ეს უნახავს ზაფხულის პაპანაქება სიცხეში მდინარის პირას. სცივ-ვოდა თეთრი მტვერი, მთელი ქვეყანა გახვეული იყო თეთრი მტვერის ღრუბ-ლებში, სუნთქვა უძიმდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, პირი ეცებოდა თეთრი მტვერით... აქ უნდა ევლო, ამ გზაზე, რადაც არ უნდა დაჯდომოდა უნდა ევ-ლო, სულ წინ, სულ წინ, რაც შეიძლებოდა ჩქარა, მარად, შეუსვენებლივ, რადგან იცოდა, რომ არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ფეხები ეფლობოდა ქვიშაში, მზე კი დაუზოგველად აცხუნებდა, აქერდა თავარა მზე-ქონებს ხანძარი მოსდებოდა, მთელი სოფელი იწვოდა. აუცილებლად, რადაც არ უნდა დაჯდეს, ხანძრიდან უნდა გამოიყვანოს ბავშვი, მაგრამ ჰქროდა ქარი, საშინელი ქარი, ირგვლივ იფანტებოდა ნაკვერჩხლები, ოღენას კი ეწვოდა კამა, ჯუბა, კოფტა. უცნაურია, რა საჭირო იყო ასეთ სიცხეში ჯუბის ჩაცმა, ან თავშალის მოხვევა. ახლა კი უკვე დრო არ არის, რომ გადაადლოს ყველა-დერი ეს, უნდა გაიქცეს ჩქარა, ჩქარა, შეუსვენებლივ, ვიდრე ცეცხლის ალი მოედება ბავშვის პატარა თავს. პო, მართლა, აი, აი... ეს ხიდი იწვის, ხიდი... ცეცხლის ალი მაღლა მიიწვეს, ხანძარი ძლიერდება, ხიდის მოაჯირები, ბო-ძები და ძელები გრუნუნით ვარდებიან ძირს... ეტყობა დაივიანა, დროზე ვერ გაიქცა და აი ახლა კი ყველაფერი თავზე ეყრება. გონებადაკარგული, სასოწარკვეთილი ეძებს ბავშვს... ხელიდან გაუვარდა იგი, ბავშვი აღმოდე-ბული ბოძების ქვეშ მოხვდა, ცეცხლი მოედო, ხანძარში გახვეული ხიდის ირგვლივ დაფუსფუსებენ გერმანელები, იქნევენ ხელებს და თან ჰყვირიან...

ამ ყვირილმა გამოაღვიძა ოღენა. ნახა: თავზე დადგომოდა გერმანელი, რომელმაც ჩექმა ჩაარტყა.

ოღენა გამოფხიზლდა, გერმანელმა ხელის გაქნევით ანიშნა, ადექო. ძლივს აითრია წელი, დასძლია ტკივილი, მუხლზე დადგა, თან ბავშვი ჩაიკრა მკერდ-ში. გერმანელმა კონდახი გაარტყა, ხელი ჰკრა, კარისაკენ წადიო.

თეთრ თოვლში გახვეული ქვეყანა გადაიშალა ოღენას თვალწინ, დამაბრ-მავებლად ციმციმებდა თოვლი. ოღენა მოჩიოლებით მიემართებოდა ჯარის-კაცის წინ, მთვრალსავით ბორძიკობდა, იცოდა, რომ ისევ დაკითხვაზე მიჰყავ-დათ იგი.



ვერწერმა ზიზლით შეათვალღერა ოლენა. უცნაური შესახებად იყო იგი-რაღაც არაადამიანური სიყვითლე გადაჰკროდა სახეზე, დასწრის კუთხეებიდან ჩამონათონი სისხლი ღარად ჩამოსვლოდა ნიკაბამდე და ხელ შეეყინოდა. თვალების უბებების ქვეშ სისხლით სავსე პარკუჭებივით ჩამოკიდებოდა სიმსინენე—წითელი, ყვითელი, მოლურჯო სიმსინენე. ცალი თვალი თითქოს ზეაწყოდა. გაწეწილი და ერთიმეორეზე მიწებებული თმა ჩამოშლოდა გამხდარსა და მოჭანცულ სახეზე. შიშველი ფეხები გასიებოდა, ვალურჯებოდა.

ვერწერმა თითები აათამაშა მაგიდაზე და ჯარისკაცს ანიშნა—სკამი დაუდვიო. ოლენას გაუყვირდა, მაგრამ ისე ჩქარა ჩამოჯდა სკამის ნაპირზე, რომ არც კი დაუცადა ნებართვას, თან დაძაბული ყურადღებით მიაჩერდა ვერწერს, მის წყალში მცურავ თვალებს, რომლებიც შემოჯარული იყვნენ გამოზუნებული და უფერული წამწამებით.

— ვაჟია თუ ქალი?—მოულოდნელად შეეკითხა მას ვერწერი და ბავშვზე ანიშნა.

— ვაჟია,—მიუგო ოლენამ ისეთი ჩახლჩილი ხმით, თითქოს ყელში წაუჭირესო.

ვერწერმა რაღაცა განკარგულება გასცა. ჯარისკაცმა ჭიქა წყალი შემოიტანა. ოლენას მოეჩვენა—ბურანში ვარო. ხელი სტაცა ჭიქას, მოუთმენლად დალია ცივი წყალი. ისე ყლაპავდა წყალს, რომ მისი ჩახლჩილი, ჩახრანწული ყელიდან ხელი რაკრავი მოისმა. უცნაური გემო ჰქონდა წყალს ოლენას გამომშრალ პირში.

— ეყოფა!—შეკახდ წარმოსთქვა ვერწერმა. ჯარისკაცმა ოლენას ხელიდან გამოსტაცა ჭიქა.

ოლენა ველური ზიზლითა და სიძულვილით სავსე თვალებით მიაჩერდა ჯარისკაცს, მაგრამ წყალი უკვე აღარ იყო. ის ახლა იდგა მაგიდის ბოლოს. წყლის ზედაპირი ჯერ კიდევ ირხეოდა ჭიქაში. ოლენას სწყუროდა, სწყუროდა მოუთმენლად, წყალი კი ახლოს იყო, აქვე, სულ ახლოს, ჭიქაში დასხმული და მაგიდაზე ჩამოდგმული. ტუჩები ისევე სტკივოდა, მაგრამ ყელში გრძობდა გამაგრებულ სისეელეს, ეს კი უფრო უღიზიანებდა დაღვეის სურვილს, კიდევ უფრო მოუთმენლად ანდომებდა წყალს, ვიდრე წებან, სანამ ჯარისკაცი მიაწვდიდა ჭიქას.

— მაშ აბე, ვაჟია, არა?—გაბმით წარმოსთქვა ვერწერმა. ოლენამ მთელი ძალღონე მოიკრიბა, რომ კარგად გაეგონა მისი ნათქვამი, რომ უფრო მიმზედარიყო იმას, რაც იქ ხდებოდა.

ამ ოთახში იშალებოდა რაღაც საშინელება, საფრთხე და ფათერაკი, რომლის შესახებ ოლენა ანგარიშს ვერ აძლევდა თავის თავს. წყალმა, რომლის რამდენიმე ყლუბის დაღვეის ნება მისცეს მას, სკამმა, რომელიც მიაწოდა ჯარისკაცმა და კაპიტნის ადამიანურმა შეკითხვამ, ისე შეაშინა, რომ ტანში გააქრქოლა. მთელ სხეულში ეღვის სისწრაფით დატრბინა ამ შიშით გამოწვეულმა კანკალმა. ეს მოხდა ისე სწრაფად, რომ მის სხეულში არ დარჩენილა არც ერთი ძარღვი, არც ერთი ნაკეთი, რომელსაც არ ეგრძნოს თრთოლება. ოლენა დაძაბული ყურადღებით პირდაპირ მიაჩერდა კაპიტანს.

— მაშ ასე, შენ გეყოლა ვაჟი? — კიდევ წარმოსთქვა ვერნერმა — ჯანმრთელი, ცოცხალი, არა?..

ოლენა სულგანბული უცდიდა თუ რა უნდა მოჰყოლოდა, ამას იმეორებდა. — ფიქრობ, ახლა უფრო მოქცეიანდები, ახლა საქმე მარტო არ არის, ახლა შენ შეგიძლია დალუპო, ან გადაარჩინო შენი ვაჟი. ხომ მართალია? გადაარჩინო ან დალუპო! — ვერნერმა კვლავინდებურად გაჰქიანურებით, ხიზგასმით წარმოსთქვა ეს სიტყვები.

ოლენამ ინსტინქტიურად მკერდზე მიიკრა ბავშვი. ვერნერი დაკვირვებით შესცქეროდა ქალს, უთვალთვალებდა ყოველ მის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას.

— წუხელ პური უნდა გადმოეცათ შენთვის. ვინ იყო იგი? — ისე რბილად, შემპარავად შეეკითხა მას ვერნერი, თითქოს დიდ მნიშვნელობას არც კი აძლევსო ამ შეკითხვას.

— არ ვიცი, — მიუგო ოლენამ.

— როგორ თუ არ იცი?

— ისე, არ ვიცი, — მიუგო მტკიცედ ოლენამ. თან პირდაპირ თვალეზში მიაჩერდა. ისე დამაჯერებელი გამომეტყველებით შესცქეროდა ქალი, რომ ვერნერმა მართლა დაიჯერა: — ან საიდან უნდა იცოდესო.

— როგორ ფიქრობ, ვინ უნდა ყოფილიყო? ვის შეეძლო გადმოეცა შენთვის პური? ვის შეეძლო გამოეგზავნა ათი-თერთმეტი წლის ყმაწვილი?

ოლენამ ფიქრით ჩამოუჭროლა თავის მეზობლებს. რა თქმა უნდა არა იმისთვის, რომ ვერნერისათვის ეთქვა! არა, მას თვითონ უნდოდა სკოდნოდა, თუ ვინ მოინდომა დახმარება აღმოეჩინა მისთვის ამ ყველაზე უმძიმეს პირობებში? ვინ გასწირა თავისი სიცოცხლე და მკერდი მიუშვირა გერმანელების ტყვეობას, იმისათვის, რომ პური მიეტანა მისთვის? ოლენამ ვერავისზე ვერ შეაჩერა ფიქრი. ათი-თერთმეტი წლის ყმაწვილი ბევრს ჰყავდა სოფელში. არა და არა, ოლენამ თვით თავისთვისაც კი ვერ გამოარკვია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი კეთილი აღამიანი.

— არ ვიცი, სოფელში ბევრია ყმაწვილი. ყოველ ქოხშია ბავშვი...

ვერნერი მოიღულშა, დარწმუნდა, რომ ქალმა მართლა არაფერი იცოდა.

— კარგი... ურთი ეს მითხარით, სად შეიძლება ახლა იყოს კუდრიავი?

ოლენას მთელი სხეული გაეყინა ამ შეკითხვაზე. ისევ ძველი ისტორია იწყებოდა. იგი ხელეზში გრძნობდა შეილის თბილ სხეულს და ამ პატარა სხეულიდან მის გულში იღვრებოდა ძალა, მხნეობა, სიმტკიცე. ახლა უკვე მარტო არ იყო ოლენა — გერმანელის ამ მტანჯველი შეკითხვების ჯვარედინ ცეცხლში მოქცეული. ახლა ოლენასთან იყო მისი ვაჟი, ტანჯვა-ვაგებით, ცივი ფარდულის შიშველ მიწაზე დაბადებული. ახლა მასთან იყო ბავშვი, რომელსაც იგი ელოდებოდა მთელი ოცი წლის განმავლობაში და აი, როგორც იყო მოაღწია ამ დღემდე. ოლენასთან იყო მისი ვაჟი. მას მშვიდად ეძინა, ოლენას მკლავებში, ეძინა მშვიდად და უდრტვინველად, რადგან არაფერი ესმოდა, რაც იქ ხდებოდა. ოდნავ საგრძნობლად, მაგრამ გამალეებით სცემდა მისი პატარა, ჩიტის გულივით პატარა გული. ოლენას ბავშვს მშვენივრად რგვალი, წითური სახე, ოდნავ შესამჩნევი წარბები, სადაფის მსგავსი ცხვირი, ყველაზე ულამაზესი ცხვირი, რომელიც კი ოდესმე უნახავს ოლენას. განუსაზღვრელი სიმშვიდე იგრძნო ოლენამ, სრული უშიშროება იგრძნო, საესე-

ბით დაწმუნდა, რომ ახლა ვერაგინ ვერათერს დააკლებდა, ვერათერს უზამდა, რადგან მასთან იყო მისი ვაჟი.

— სად შეიძლება ახლა იყოს კუდრიაევი? — რაღაც უჩვეულოდ დაეწინაურა კაცებულის ხმით იკითხა ვერნერმა.

ოლენამ უარყოფითად გაიქნია თავი:

— არ ვიცი...

— არ იცი? სად იყვნენ ისინი, როცა შენ ბრუნდებოდი შინ?

— არ ვიცი... ტყეში...

— რომელ ტყეში?

ოლენამ მხრები აიჩჩია.

ტყე...

ეს პასუხი ხელმოსაკიდს არაფერს იძლეოდა ვერნერისათვის. თეთრი დაბლობი, რომელიც გადაფენილი იყო სოფლის ირგვლივ, ყოველის მხრით ემხრობოდა ტყეს, ესაზღვრებოდა ტყეს. ეს ტყე კი გადაშლილიყო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილეთით, სამხრეთით. ამ რაიონის მხოლოდ ეს უბანი იყო დაშორებული ტყეს. ამიტომ იჯდა ასე დაშვილებით ვერნერის რაზმი სოფელში. სხვა სოფლებში დაბანაკებული რაზმები კი მუდმივ ხიფათში ტრიალებდნენ. ამიტომ იყო, რომ სარდლობა ასე დაქინებით მოითხოვდა ვერნერისაგან, რათა მას აუცილებლად, რაღაც უნდა დაეჯდომოდა, მცირედი ცნობა მაინც მიეღო ოლენასგან. ამიტომ იყო, რომ ასე ბეჯითად და თავდადებით ცდილობდა ვერნერი ქალის გამოტყუებას, მისგან მცირეოდენი ცნობის მიღებას მაინც, რომელიც მიიყვანდა მას იმ ადგილამდე, სადაც კუდრიაევი იმალებოდა თავისი რაზმით.

— აქ ტყე ბევრია. რომელი მხრიდან ჩამოხველი სოფელში?

— არ მახსოვს, არ ვიცი... ყველგან თოვლია... მე გზაზე გამომიყვანეს... ეს იყო და ეს...

— კარგი, რომელ გზაზე გამოგიყვანეს?

— არ მახსოვს...

— ასე მალე დაგაიწყდა?.. სულ ოთხიოდე დღეა, რაც შენ სოფელში ჩამოხველი.

ოლენას გაუკვირდა. მართლა სულ ექვსი დღე იყო, რაც ჩამოვიდა. ეტყობოდა ორი დღის შესახებ კი არაფერი იცოდა ვერნერმა. ექვსი დღე... სრული ექვსი დღე იყო გასული მას შემდეგ, და ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი საუკუნე გასულიყოს იმ დღიდან, რა დღესაც ოლენა გამოეწყო, მოემზადა და კარავიდან სოფელში წამოვიდა.

ვერნერი ნელა ახვევდა პაპიროსს. შერე მალა აიხედა, პირდაპირ მიაჩერდა ქალის დაღურჯებულ სახეს.

— ყური მიგდებ, შენ ხომ დედა ხარ?

ისევ ეს სიტყვები! ახლა კი ეს ნამდვილად მართალია. ახლა მას ნამდვილად ხელში უჭირავს შვილი, პაწაწინა ბაბლი, დაბადებული ცივ ფარდულში და გამოხვეული დედის კოფტაში.

— შენ ვაჟი გყავს!

ოლენას გადაყვითლებული სახე გულის სიღრმიდან წამოსულმა ღიმილის შექმა გაანათა. დიად, დიად, ვაჟი მყავს, ვაჟი...

— შენ გინდა, რომ იგი იყოს ჯანმრთელი, ცოცხალი, გინდა რომ ვიზარდოს?..

დიად, დიად! ახ, როგორ უნდა ოლენას, რომ იგი იყოს ჯანმრთელი... იზარდოს... იგი დადგება პაწია ფეხებზე, დაიწყებს ფორთხვას, ჭრის ხეხუცებს ზღურბლზე გადასვლას, პაწია ხელით აიღებს კოვებს, დაედევნება კატას, ხბოს, ბოსტანშიაც გადაძვრება, რომ სტაფილო მოგლიჯოს, შესწამოს. მერე დიდი გახდება, სკოლაში ივლის, წიგნებით სავსე ჩანთას გადაიცილებს მხარზე და წაეა თავმოწონედ, ამბყად... მერე, მერე? ოლენამ ვეღარ წარმოიდგინა თუ რა უნდა მომხდარიყო მერე, ვერ წარმოიდგინა, თუ ეს პაწია არსება ოდესმე გახდებოდა ფაქაკი, რომელიც დაქორწინდებოდა და რომელსაც თავათაც ეყოლებოდა ბავშვი...

— შენ კი გაქვს მისი გადარჩენის საშუალება... საშუალება გაქვს გადაარჩინო შენი ბავშვისა და თვით შენი სიცოცხლეც. ნუ გასულელდები, ისარგებლე ამ შემთხვევით.

ოლენა სდუმდა. კარგად ვერ მიმხვდარიყო, თუ რას მოითხოვდა მისგან გერმანელი. ისევ შიშმა შეიპყრო, მთელი სხეულით აკანკალდა, აძიკიკდა. რა უნდა მას, რას მოითხოვს მისგან? რატომ ლაპარაკობს ასე დამშვიდებით, ნელა, დამაჯერებლად, შთაბეჭონებლად, თითქოს მართლაც შედიოდეს მის მდგომარეობაში, თითქოს მართლაც უნდოდეს მოეპყრას გულსხმვიერად, ადამიანურად?!

— სულერთია, იმათ მინც დავიჭერ. ერთი დღით ადრე თუ გვიან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. აბა, თვითონ დაფიქრდი, ყველაფერი ჩვენს ხელთ არის. წითელი არმია უკვე განადგურებულა, მისგან უკვე არაფერი დარჩა. რა საჭიროა ეს სულელური ენიანიობა, ეს უაზრო სიკვრბე? სხედან ტყეში და არაფერი იციან. ყოველის მხრით გარშემორტყმული არიან, არა აქვთ ხსნა და გამოსავალი. დღეს თუ ხვალ აუცილებლად ჩავარდებიან ჩვენს ხელში და დასჯილნი იქნებიან. შენ კი—მზად ვარ გაპატიო ყველა დანაშაული, რაც კი ჩაგიდენია მათთან ყოფნის დროს, მათთან ერთად. შენ გადაგიბირეს, მოგატყუეს, გაგაბრიავეს... დავიფიწყოთ თუნდაც ისიც, რომ შენ ხილი ააფეთქე, დავიფიწყოთ ყოველივე, რაც იყო, რაც ჩაიდინე... დღეიდან გულდამშვიდებით იცხოვრე სოფელში და ზარდე შენი ბავშვი...

ოლენა დაძაბული ყურადღებით უსმენდა ვერნერს. მთელი ამ საუბრის დროს წუთითაც არ მოუშორებია თვალი მისთვის.

— ნუ ფიქრობ, თითქოს მე შეატყობ და შეუბრალებელი კაცი ვიყო... ვილაცხნო და მხეცი ვიყო... რა გაეწყობა, ასეთია სამსახური, ასეთია მოვალეობა... შენ კი — მებრალეები, მებრალეობა შენი ბავშვი. თუ შენი თავი არ გენანება, შეილზე მაინც იფიქრე, ვალდებულები ხარ, როგორც დედა... შენ მას მიეცი სიცოცხლე, მაგრამ უფლება კი არა გაქვს წაართვა ის.

— ესე-იგი, როგორ წაეართვა?—უნებლიედ შეეკითხა მას ოლენა, თან სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

ვერნერი მოუთმენლად, ნერვიულად უკაცუნებდა მაგიდაზე.

— ხომ იცი, შესანიშნავად იცი, რომ შეკითხვებზე პასუხს თუ არ გამცემ, ამით შენ თავათ სიკვდილს მიუსჯი შენს ვაჟს. დაფიქრდი, აბა, ცოტა დაფიქრდი. მე მოვიცილი. დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და მერე მითხარი, მისცემ თუ არა ჩვენებას? მე მაინც ვფიქრობ, შენ იმდენ გამჭირახობას გამოი-

ნენ, რომ პასუხს მომეცე. ისინი, სულერთია, მაინც დაიღუპებიან, შენ კი ამით გადაარჩენ შენს თავს და ბავშვსაც.

ვერნერმა მაგიდის უჯრა გამოაღო, ქალღი და თამბაქო გამოიღო, ახალი პაპიროსის დახვევა დაიწყო. ოლენა შესცქეროდა მისი წითელნი ბაგები შეფუთვილი ხელეებს. ქალის უაზრო თვალები მისჩერებოდნენ თამბაქოს ნაფხვენს, რომელიც პაპიროსის დახვევის დროს სცვივოდა მაგიდაზე. ვერნერმა ასანთი გაქრა, ალი აინთო. მისი პირიდან გამოსული თამბაქოს ბოლი რგოლებად მიიწვედა მალღა, სულ მალღა ქერისკენ...

— აბა?

ქალმა მხრები აიჩჩია.

— არ მიპასუხებ?

— არაფერი არ ვიცი.

ვერნერი წამოდგა, მთელი სხეულით გადმოწვა მაგიდაზე და ოლენასკენ გადმოიხარა.

ზიზლი და სიძულელი ეღვარებდა ახლა ვერნერის მხეცურ თვალებში.

— მაშ ასე, არა? დამაცადე, მე შენ გიჩვენებ... ჰანს!

კარებში ჯარისკაცი გამოჩნდა.

— აქ მოდი!

ოთახში ორი თოფიანი ჯარისკაცი შემოვიდა. ოლენამ იცნო. ისინი სწორედ ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც ფარდელის წინ სდარაჯობდნენ მას, სწორედ ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც სიცილ-ხარხარით შესცქეროდნენ მას მშობიარობის მიძიმე წუთებში.

— შეაკავეთ ეს! ბაისტრუკ, მოდიოთ აქ!

ვიდრე ოლენა გამოერკვეოდა, ვიდრე მიხვდებოდა თუ რა უნდა მომხდარიყო, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, ჯარისკაცებმა ხელიდან გამოპგლიჯეს ბავშვი. ოლენა შეტანდა, სცადა გამკლავება, მაგრამ ჯარისკაცების რკინისებურმა ხელეებმა ორივე მხრით შეტკერეს იგი. გონებადაკარგული ქალი თვალს არ ამორებდა ბავშვს. ჯარისკაცს უხეშად ეჭირა ბავშვი. ოლენას შეეშინდა ხელიდან არ გაუფარდესო.

— მაგიდაზე დაწვინე!

ახლა ბავშვი უკვე მაგიდაზე იწვა ოლენასა და ვერნერს შუა. ჯარისკაცების დათვური ხელეები მაგრა ჩასუიდებოდნენ მხრებში ოლენას. ქალმა კარგად იცოდა, რომ არც თუ ისე ადვილი იყო მათი კლანჭებისაგან თავის დაღწევა. მაგიდაზე იწვა კოფტაში გამოხვეული ბავშვი, რომელსაც ოდნავ მოუჩანდა, პატარა, ლამაზი სახე. ვერნერი განუსაზღვრელი ზიზლით დასცქეროდა ამ პატარა არსებას, რომელსაც აგრე გულდამშვიდებით, უდრტვინველად ეძინა მის წინ. ანაზღად შეიჩხნენ ბავშვის ოდნავ შესამჩნევი, ქინკლისებური წამწამები. გამოჩნდა ორი პატარა, სულ პატარა, მიკროსკოპული ცისფერი ტბა, გამოჩნდა ორი პატარა თვალი, სწორედ ისეთი, როგორიც აქვთ ახლად თვალი-ახილულ ლეკვებს. ბავშვმა ოდნავ შეატოკა პაწია ნიკაბი. ოლენას საშინელი ტკივილით შეეკუმშა გული. ბავშვი ატირდა. საცოდავი, შესაბრალისი ხმით ატირდა იგი. ოლენა ინსტინქტიურად გაექანა მისკენ, მაგრამ ჯარისკაცების ხელეებმა უფრო მაგრა მოქაჩეს და შეტკერეს იგი.

— შეტს აღარ გებოდინებინ... იტყვი თუ არა?—გარეწარი ხმით შეესმა მას ვერნერმა.

ოლენა მას კი არა — ბავშვს შესცქეროდა: ბავშვი სწულს ღრმად ღრმად წყმულუნებდა. ახ, ერთი ხელზე აიყვანოს, შეაქანოს, დაარწყოს — ვაჟი მისი კარს, დააშვიდოს...

— გესმის თუ არა, რასაც ვეუბნებიან? იტყვი თუ არა? იტყვი? უკანასკნელად გეკითხები!

ოლენამ თვალი მოაწორა ბავშვს და სავსებით გარკვევით წაიზარტყლა:

— არაფერს არ ვიტყვი, არაფერს.

ვერნერმა კოფტა მოღლიტა ბავშვს. ოლენას პაწია შეილი გაბერილი მუცლით, მოკუმშული პატარა მუშტებით, მუცელზე ამოკეცილი ფეხებით სრულიად ტიტველი იწვა მაგიდაზე და სტიროდა. ვერნერმა ლეკვსავით კისერში ჩაავლო ბავშვს ხელი და ორი თითით მალლა ასწია. ბავშვმა ჰაერში გაასავსავა ფეხები. მიღრიც-მოღრიცა პაწია, ოდნავ შესამჩნევი, გამჭვირვალე, ყვავილის კოკორისებური წითელი ფრჩხილებიანი თითები.

— აბა?

ვერნერი ნელა, მოუთმენლად ნელა სწევდა მალლა რევოლვერს.

ოლენა გაქვავდა. ხელ-ფეხი გაეყინა. ოთახი იზრდებოდა, დიდდებოდა, ფართოვდებოდა... იქიმებოდა გერმანელიც, საშინლად იქიმებოდა. მთელს ამ გაქიმულს, თვალუწვდენ სივრცეში გულსაკლავად თრთოდა მისი განწირული, პაწია შეილი, ცისა და მიწის შუა დაკიდებული, ვარდისფერი, შიშველი შეილი. ეტყობოდა, გაქიმული კანი კისერში უჭერდა, ახრჩობდა ბავშვს. ბავშვმა ტირილი მიატოვა, ახლა მისი ხმაც კი არ ისმოდა. მხოლოდ ფეხები უკანკალდებდა, ხან გაშლიდა, ხან კიდევ მოკუმშავდა პაწია მუშტებს, თითქოს ჰაერს იქერსო.

— აბა, მიჩვენე, ვინა ხარ შენ — ბოლშევიკური ნაძირალა, თუ ნამდვილი დედა — შეილის მოსიყვარულე დედა?

ოლენა გამოერკვა. ახლა არ მოსჩანდა კაპიტანი — ბუმბერაზი, გაქიმული, ვეება — ცისა და მიწის შუა დაყუდებული. ოთახმაც ისევ ნორმალური ზომა მიიღო.

— შიპასუხე!

— მე დედა ვარ, — მიუგო მას ოლენამ. ოლენამ თავის თავს უწოდა სწორედ ის სახელი, რასაც ეძახოდნენ იქ, ტყეში, მისი მშობლიური მზრუნველობისა, კეთილი სიტყვისა, სადილის დამზადებისა და დაკრება-გარეცხვისათვის.

— მაშასადამე იტყვი სადაც არიან ისინი?

ოლენა ახლა უკვე არ შესცქეროდა თავის ბავშვს, იგი პირდაპირ მოსტერებოდა უფერულ, რღაც უცნაურად გამოხუნებულ თვალებს, ვერნერის გამჭირდავ თვალებს.

— არაფერს არ ვიტყვი, არაფერს... არაფერს...

რევოლვერის ლულა მიუახლოვდა ბავშვის პაწია სახეს... ოლენა არ უყურებდა მას, მაგრამ მაინც ხედავდა.

— ეს არის შენი ერთადერთი ბავშვი, არა? — შეეკითხა მას ვერნერი.

ოლენამ თავი გაიჭნია.

— არა!

ვერნერს ჰაერში გაუშვდა ხელი, რომელშიაც რევოლვერი ეჭირა.
— როგორ, ამის გარდა კიდევ გყავს ბავშვები? ვაჟები არიან, თუ ქალები? სად? სოფელში?

ოლენას გამხმარსა და დამსკდარ ტუჩებზე ღიმილმა გადაურყვინძურა.
— ვაჟები... მხოლოდ ვაჟები... ბერი, ძალიან ბევრი... სულ ვაჟები... იქ, ტყეში... შორს... კლდრიავი და კიდევ სხვები... ყველანი იქ არიან, ერთად... რევოლვერმა დაიჭეჭა. ვერნერმა პირდაპირ ესროლა ბავშვს სახეზე. ირგვლივ დენთისა და ბოლის სუნი დადგა. ჯარისკაცები, რომლებსაც ოლენა ეჭირათ, შეტოკდნენ. კაპიტანმა ჰაერში შეარხია ბავშვის უსულო სხეული.

— აი დედა!

ბავშვის პატარა ფეხები უსიცოცხლოდ ეკიდნენ ჰაერში, მუშტები მაგრა მოეკუშმა, სახე აღარ უჩანდა. მის ნაცვლად ემჩნეოდა სისხლში შესვრილი ჰრილობა.

— აი რა უყავი შენ შენს ბავშვს!—მრისხანედ წარმოსთქვა ვერნერმა.

ოლენამ თავი ვაიჭნია. ახლა იგი ძალიან შორს, შორს იყო აქედან. ფიჭობში შესტოპა. რას აკეთებენ ახლა ისინი ტყეში? კოცონის გარშემო სხედან, თუ გერმანელთა რაზმს ეპარებიან? ალყას არტყამენ სახლს, სადაც გერმანელების შტაბია მოთავსებული, თუ?..

ჯარისკაცები შიშით შესცქეროდნენ ოლენას. ვერნერმა ახლა შენიშნა, რომ მოკლული ბავშვის სხეულიდან იატაკზე წურწურით ჩამოდიოდა სისხლი. ვერნერს ზიზღით გააეჩრუოლა.

— მოაშორეთ!

ჯარისკაცი შეყოყმანდა.

— რა მოგდის?—დატყვირა მას კაპიტანმა.

ჯარისკაცმა უმაღლე წააგლო ხელი ბავშვის გვამს.

— ახლა კი უკანასკნელად გეკითხები — იტყვი თუ არა?

ოლენა პასუხს არ იძლეოდა.

ყველაფერი გათავებული იყო. უკვე აღარ იყო ბავშვი, რომელსაც ოლენა აგრე გულისფანტკალით მოელოდა მთელი ოცი წლის განმავლობაში. გული მიყუჩდა, ოლენას გულში ახლა სრული სიცალიერე იყო.

ოლენამ ისე ცივად შეხედა კაპიტანს, თითქოს კენძს ან ქვას შესცქერისო.

— წაიყვანეთ და წესი აუტეთ!—გასცა ბრძანება ვერნერმა.—მხოლოდ აქ ნუ, ახლო-მახლოს არა, აქ ისედაც ბევრი ჰყრია მძორი. მდინარის პირად სჯობია...

კონდახების დარტყმით წაბორძიკებული ოლენა მორჩილებით გაემართა. ეს იყო ის სოფელი, სადაც დაიბადა ოლენა, სადაც იზრდებოდა, გათხოვდა და ელოდა ბავშვს. ეღირსა მის ნახვას, მაგრამ ახლა ეს ბავშვი უკვე აღარ იყო. ოლენამ თვითონ გასწირა იგი, სასიკვდილოდ ვაიმეტა თავისი პირმშო, თავისი თვალებით ნახა, როგორ უახლოვდებოდა მას რევოლვერის ლულა და ოლენამ არა სთქვა სიტყვაც კი, რომელსაც შეეძლო მისი პაწია სახისაგან მოეშორებინა ეს საშინელი ლულა. არა, ოლენამ სიტყვაც კი არ სთქვა...

— არ შემეძლო, არ შემეძლო, შეილო! — ჩურჩულებდა ოლენა, თითქოს ამ სიტყვების ვაგონება შეეძლო ბავშვს. ოლენამ დინახა: ჯარისკაცს მიჰქონდა ბავშვის გვამი. ბავშვის ტყვიით ვახერტილი თავი ძირს ეკიდა და ქანაობდა გზადაგზა. ოლენამ ორივე ხელი გაუწოდა ჯარისკაცს — მე მომეცი, მე წავი-

ლებო. ჯარისკაცი წუთით შეეყოყმანდა, მიეცე თუ არაო. მაგრამ მკვლელი ბავშვის წაღება იმდენად ეზარებოდა, რომ თავისი პასუხისმგებლობის გადასწავრტა დედისათვის გადაეცა იგი. ოღენამ თავისი შვილი მკერდში ჩაიკრა. ბავშვი ჯერ კიდევ თბილი იყო. ფეხები და ხელები ჯერ კიდევ ცხელი იყო. რომ არა ის საშინელი ნაფლეთი, რომელიც სახის ნაცვლად შეიკრებოდა ბავშვს, შეიძლებოდა მძინარედ მიეჩნიათ იგი.

ოღენა მიემართებოდა ჯარისკაცების შუა და არც კი ჰფიქრობდა, სად მიდიოდა. გრძნობდა კი, რომ აღსასრულის ეკამი მოახლოვებული იყო. მაგრამ ეს მაინც არ აწუხებდა, არ აფიქრებდა, რადგან ყველაფერი უკვე დასრულებულად მიაჩნდა შვილის სიკვდილის გამო.

ჰქროდა ქარი. შავრში თოვლის მტვერი ირეოდა. ოღენამ შეათვალიერა ქოხების მოყინული ფანჯრები, არსად არც ერთი სულიერი არ იყო. ოღენა მარტოდ მარტო მიჰყევებოდა თავის უკანასკნელ გზას, სიკვდილის გზას. ქოხებში თითქოს ამოწვევტილანო, არაეინ სჩანდა. აქა-იქ მხოლოდ გერმანელები დაფუსფუსებდნენ, მაგრამ მათ ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ მიმავალთათვის.

კონდახის დარტყმამ ოღენა გზიდან ბილიკზე გადაიყვანა. გაუკვირდა, მაგრამ მაინც უშაღვე დაემორჩილა ბედს, მიჰყვა იმ გზას, რომელიც ამ დარტყმით ანიშნეს ჯარისკაცებმა. ოღენას ეგონა — მიეყვებოდა ეკლესიის წინ მღვდარე მოედანზეო, სადაც სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ ხოლმე გერმანელთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს. მაგრამ არა, ბილიკმა ქოხებს ჩაუარა, ახლა ის მიემართებოდა ქვემოთ, ხევისკენ. აქ თითქმის არ იყო ქარი. ოღენა მიჰყევებოდა ისე მაგრა მოყინულ ბილიკს, თითქოს გზადაგზა მინის ნამსხვრევები დაუყრიათო. ამ ოთხი დღის განმავლობაში ისე დაწყულულებოდა ფეხები, რომ ზედ ეკიდა ასისხლიანებული ხორცე და კანი. ამ ბილიკით ღელიდან წყალი ამოჰქონდათ ქალებს. ამიტომ გატკეპნილი და მოლიპული იყო გზა. ოღენა წაბორძიკდა მოუთმენელი ტკივილის გამო, თითქოს ძირს უვარდებოდა მუცელი. უშაღვე იგრძნო, თბილი სისხლის დგარი ტერფტბამდე ჩაჰყვა ფეხებს. ქვემოთ მიიკლაკნებოდა ღელე. ის ყინულის არტახებში იყო ჩაქედილი, თოვლით საესე, ქარბუქისაგან წასილული. მას ვერაეინ შეამჩნევდა, რომ ყინულჭრილი არ ყოფილიყო, საიდანაც წყალი ამოჰქონდათ სოფლის ამ ნაწილში მცხოვრებლებს. ოღენამ შორიდანვე შენიშნა მომუქო ფერის ყინულჭრილი, რომლის იქით ეყარნენ დახოცილები, რომელთა დამარბვა იმთავითვე აკრძალეს გერმანელებმა. ნუ თუ ოღენაც უნდა დახვრიტონ? ნუ თუ ისიც, სოფლის ეს უბრალო დედაკაციც აქ უნდა დახვრიტონ, იმ წითელარმიელების გვერდით, რომლებიც დაიხოცნენ აქ გამართულ ბრძოლაში?!

— ეი, შენ, საით მიძვრები?! — შესძახა მას ჯარისკაცმა.

ოღენასთვის ეს ყვირილიც გაუგებარი იყო, მაგრამ კონდახის დარტყმით მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. მორჩილებით ჩაუხვია ქვემოთ. ერთი ჯარისკაცი წინ მიუძღვოდა — მეორე უკან. პირდაპირ ყინულჭრილისკენ გაუხვიეს.

— მომეცი ეს ლეკვი! — შეჰყვირა ოღენას ჯარისკაცმა და ხელი გაუწოდა გამოსართმევად. ოღენას შეეშინდა, წამართმევნო და გულში მაგრა ჩაიკრა მკვლარი ბავშვი, არ ანებებდა, თითქოს ჯარისკაცებს შეეძლოთ კიდევ რაიმე ენება, კიდევ რაიმე ზიანი მიეყენებიათ მისთვის.

— მოიტა! — დაიღრიალა ჯარისკაცმა და თავისკენ მოჰქანა ბავშვის გვამი. ბავშვი თოვლზე დაეარდა. ოღენა მუხლებზე დაეცა იქვე, მის გვერდით. გზა-

ზე, ყინვაში უკვე გალურჯებულიყო ბავშვის ხელები, ფეხები, გამჭრიაყო მისი ზორცის ვარდისფერი. სახე, რომელიც აგრე ლამაზი იყო ერთი ნაათის წინ, ახლა მხოლოდ დაკვეთილ სისხლს წარმოადგენდა.

უკიდურული

ვიდრე ოლენა დაავლებდა ხელს ბავშვს, ჯარისკაცმა ხიშტმა გაქურდა მისი და პერში აისროლა. ბავშვი ზედ ყინულჭრილთან დაეცა. ახლა იქ მიიჭრა მეორე ჯარისკაცი, იმანაც აპკრა ხიშტი და კარგა მანძილზე გადაისროლა. ამჯერად ჯარისკაცმა შიგ ყინულჭრილში ჩააგდო ბავშვი, წყლის ნაშხეფები ირგვლივ მიმოიფანტა. წყლის ზედაპირზე ათამამდნენ ბროლივით თეთრი წინწყლები. წყლის დენამ უმაღლე ყინულის ფენის ქვეშ გაიტაცა ბავშვი.

ოლენა ისევ იმავე ადგილზე იყო დაჩოქილი. იგი თითქოს გაქვავებულიყო, აუხდა საშინელი სიზმარი.

ყინულჭრილს მომწვანო ფერი გადაჰკრავდა. წყალი ტრიალებდა, ჩქარა მიდიოდა, მისწრაფვოდა, როგორც ცოცხალი რამ არსება. წყალი ჩუხჩუხებდა ყინულჭრილის თავისუფალ არეში, მიძვრებოდა ყინულის ფენის ქვეშ, თვალსა და ხელსშუა იკარგებოდა, მიედინებოდა, მიჰყვებოდა შორეულ გზას, შორეულ მხარისაკენ მიიჩქაროდა. გაყინულ ღელეზე სქელ ფენად იდო თოვლი. ყინულჭრილის იმ მხარეზე, სადაც ბავშვი დაეცა, ანაბეჭდივით მკაფიოდ ანდა სისხლის წითელი ლაქა.

ოლენა გაყინული, გაქვავებული თვალებით ჩასცქეროდა წყლის სიღრმეს, რომელიც ჩუხჩუხით ამოდიოდა მაღლა. აი ამ წყალმა გაიტაცა მისი საყვარელი ბავშვი. ერთადერთი კვალი, ნიშანი იმისა, რომ მისი შვილი არსებობდა ამ ქვეყნად, იყო ყინულზე აღბეჭდილ სისხლის ეს წითელი ლაქა. ახლა წყალს მიაქვს ყინულის ქვეშ მისი ბავშვი, წყალს მიაქვს იგი უჩინარი გზით, შორს, შორს, უცხო მხარეში... წყალს მიაქვს მისი ბავშვი ყინულის ქვეშ, ეჭაჩება ქვემოთ, ახეთქებს მას ქვებზე, ისევ ისეოს ზედაპირისაკენ, აჯახებს ყინულის კიდურებს? არა, არა! ოლენამ კარგად იცის, მტყიცედ, დაბეჯითებით იცის, თითქოს საკუთარი თვალებით ხედავს, რომ ამ ყინულსა და თოვლის სქელი ფენის ქვეშ — მშობლიურ ღელეს ფრთხილად მიაქვს, ალერსითა და მზრუნველობით მიაქვს მისი შვილის გვამი. ღელე იცავს მას, როგორც დედა! სათუთად ახვევს მოტლამუნე რბილ ტალღებში, ურცხავს ჩვილ სხეულზე შემხმარ სისხლს, მშობლიური მზრუნველობით უშუშებს დენთისა და გერმანელის შეუბრალებელი თათების შეხებისაგან დამწვარ ადგილებს, მიყენებულ ჭრილობას... წყალმა, მშობლიური ღელის წყალმა გულში ჩაიჭრა მისი პირშო, რომელსაც ერთი დღეც კი არ უცხოვრია ამ ქვეყნად... მშობლიური მიწის მშობლიურმა ღელემ მკლავები გაშალა, მკერდში ჩაიხუტა იგი, ოლენას პატარა შვილი...

ჯარისკაცები თათბირობდნენ, ათვლიერებდნენ ყინულჭრილს, ზომავდნენ. ოლენა არ იძვროდა. თვალის მოუშორებლივ შესცქეროდა პატარა ტალღებს, რომლებიც ჩუხჩუხით ამოდიოდნენ ყინულჭრილიდან და რომლებიც ისევ იმავე ყინულის ქვეშ მიძვრებოდნენ. ახლა ოლენას ბავშვი კარგად იყო დამალული, მას ვერაფერ იპოვიდა. ყინული სქელ ფენად იდო, ზემოდან კიდევ სქლად ეფარა თოვლი, ბუმბულივით რბილი და თეთრი თოვლი. შორს, სიერცეზე, ვიდრე თვალი ვადასწვდებოდა, თოვლით ვადასუდრული იყო მთელი ქვეყანა. წყალი კი მიჰქროდა ყინულის გვირაბში, რომელიც კარგად იყო დაფარული გერმანელების თვალებისაგან. საით მიჰქრის ეს წყალი? — შემფოთებით გაუ-

ელვა ფიქრმა ოლენას. უმაღლვე მოაგონდა, რომ ის მიედინებოდა ამირანაველი-
თით. გულში სიხარულის ნაპერწყალმა გაუელვა — შვილი თავისიანებისაკენ
მისცურავდა, შვილი მისცურავდა გერმანელების ხუნდებით მტყუპთა-
ვისუფალი მიწისაკენ. იქნებ ამოტივტივდეს სადმე, იქნებ იქნებ *ქუჩის* *საბჭო-*
პრილი ნახავენ, იპოვებინან, ადამიანები მიხვდებიან, რა ბედიც ეწია მას, მიხვ-
დებიან, რაც აქ მოხდა, ნახავენ მისი ტყვიით დაფლეთილ თავს და მიხვდები-
ან... მშობლიურ მიწაში დამარხავენ... იქნებ არსადაც არ ამოტივტივდეს...
მხოლოდ გაზაფხულზე, როცა ყინული გადნება და ნაპირებიდან გადმოსული
ღელე მღელეარე ტალღებით დაფარავს მიდამოს, იქნებ მხოლოდ მაშინ იპოვ-
ნონ ადამიანებმა მისი პატარა გვამი...

ჯარისკაცები ისევ დაობდნენ. რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე განზე გაუხ-
ვიეს, ისევ გაზომვა დაიწყეს. ერთმა მათგანმა კონდახი დაარტყა ყინულჭრი-
ლის კიდეს. ყინულის ზოდი ჩაშვავდა, ჩაინგრა. ყინულის ფენას ვრძელი ნაბ-
ზარი დააჩნდა. ჩამონატები ყინული კი წყალში ჩაეარდა, შექანდა, შეტრ-
ალდა ტალღებში. ყინულჭრილის მომწვანო კიდე ახლა ოდნავ უფრო შორს
შოსჩანდა.

ღელისაკენ დაქანებულ ბილიკზე აჩქარებული ფეხისხმა მოისმა. ყინული
და თოვლი ხრაშუნებდა. ჯარისკაცები უმაღლვე შემობრუნდნენ. მალეიდან
ეშვებოდა კაპიტანი კურტ ვერნერი. მის დანახვაზე ჯარისკაცები მხედრული
წესით გაიჭიმნენ. ოლენას თავიც კი არ მოუბრუნებია. ისევ იმავე ადგილას
იყო დაჩოქილი. ჰიპნოზით შეპყრობილივით მისჩერებოდა ყინულჭრილის ზე-
დაპირზე ნაოჭებდა აკეცილ მოჩუხჩუხე ტალღებს.

კაპიტანმა ფეხი წაჰკრა ოლენას. ქალმა ახედა მას, მიაჩერდა, მაგრამ არა-
ფერს კი არ ამჩნევდა, თითქოს ბინდი გადაჰკეროდა თვალებზე.

— ჰეი, შენ, ახლავე ჩაძაღლდები, გესმის თუ არა? სთქვი, სად არიან პარ-
ტიზანები?

ყრუ და შეუკავებელი სიბრაზის გამო მთელი სხეულით ძიკძივებდა ვერ-
ნერი. როგორც კი ჯარისკაცების თანხლებით აქეთ გამოგზავნა ოლენა, შტა-
ბიდან დაურეკეს. მოითხოვდნენ — რაღაც უნდა დაჯდომოდა, პარტიზანების
ადგილსამყოფელის შესახებ რაიმე ცნობა მაინც უნდა მიეღო ქალისაგან.
შტაბმა იცოდა, რომ პარტიზანთა უმრავლესობას შეადგენდნენ იმ სოფლის
მცხოვრებლები, სადაც ვერნერის რაზმი იდგა. კაპიტან ვერნერისაგან კატე-
გორიულად მოითხოვდნენ, რათა მას შტაბისათვის მიეცა საჭირო ცნობები. ეს
წყუელი ღედაკაცი კი უემურით შეპყრობილივით სდუმდა, არაფერს არ ამ-
ბობდა ხელმოსაკიდს. ვერნერი იძულებული შეიქმნა ამ საშინელ ყინვასა და
ქარბუქში გამოქცეულიყო, ამდენი გზა სირბილით გამოეველო და ისევ ეცქირა
ამ საშინლად დასიებული, არაადამიანური სახისათვის. თავზარდაცემული,
გონებადაკარგული ვერნერი მზად იყო ხვეწნა-მუდარით ეთხოვნა ამ გაკერ-
პებულს, კუდიანი ღედაკაცისათვის, რათა ეთქვა რაიმე. მაგრამ ვერნერმა კარ-
გად იცოდა, რომ მისგან არაფერი არ გამოვიდოდა. — ჰე, იმათ რა უშავთ,
არხეინად სხედან შტაბში, მათთვის ადგილი სათქმელია: — „კატეგორიულად
მოვითხოვთ!“ — მართლაც ადვილი სათქმელი იყო კატეგორიულად მოთხოვ-
ნა — „ყოველგვარი საშუალებებით!“ — ვერნერმა ყველა საშუალებას მიმარ-
თა, თვით ბედმა უწყალობა მას საუკეთესო საშუალება — ახლად დაბადებუ-
ლი ბავშვი. ამანაც ვერა უშველა რა საქმეს...

— ლეკვი სად არის? — კაპიტანი მიუბრუნდა ჯარისკაცს.

— ყინულჭირბში ჩავაგდეთ! — შიშნაყრავი ხმით მიუგო ჯარისკაცმა.

ჯარისკაცებს ვერაფერი გაეგოთ, თუ რა ამბავი უნდა მომხდარიყო უკლებლივ მენდანტოში მათი იქიდან წამოსვლის შემდეგ. რამ მოიყვანა კაპიტანი? რატომ კითხულობს ბავშვს, რომლის შესახებ თბუთმეტიოდე წუთის უკან თვითონ ბრძანა — მომავლორეთო.

ჯარისკაცებს შეეშინდათ. იქნებ ასე არ იყო საჭირო? იქნებ სწორედ ვერ გაიგეს ვერნერის ბრძანება?

მაგრამ არა, ვერნერმა ხელი ჩაიქნია. ეტყობა, ყველაფერი რიგზეა.

— შენ, ჰეი, გქცმის? სად არიან პარტიზანები?

ოლენამ არ უპასუხა. იგი ისევ გულდასმით, დაკვირვებით, როგორც წელიწადი ახლაც შესცქეროდა ყინულჭირბში მოჩუხჩუხე წყალს. ოლენა ახლა ხედავდა ყველაფერს, თვით უკანასკნელ წვრილმანებამდისაც კი. ოლენა ნათლად მხედავდა ვერნერის ქერა წამწამებს. ოლენამ შენიშნა — ერთი ღერი ბალანი სხვაზე უფრო გრძელი იყო და ხასაცდილოდ ჩამოჰკიდებოდა უბეზე, ვერნერს ტუჩის კუთხეზე მიწებებოდა პაპიროსის ლეკვის დროს მონაგლეჯი ქალაღლის ნაჟუწი, რომელიც თეთრ ლაქასავით აჩნდა. ლოყებზე ეტყობოდა წითელი ძარღვების ქსოვილი, გამოხუნებულ წამწამებს ქვეშ გამოდებოდა ატრიალებდა შავდურ თვალებს, კაპიტანს ცალი ყური მოყინული ჰქონდა, გასიებოდა. ეს ყური მეორეზე გაცილებით უფრო დიდი იყო.

— რას მიუხრებ? შენ გეკითხები, სად არიან პარტიზანები?

ვერნერი დარწმუნდა, რომ ოლენამ ვერ გაიგა ეს შეკითხვა, რომ მას არ ესმოდა და ამიტომ ვერაფერს გახდებოდა. მხეცურმა ბრახმა და სიბუღვილმა შეიპყრო კაპიტანი. ინანა, რომ ერთხელ კიდევ არ შეეძლო ხელში ჩაეგდო ამ ქალის ბავშვი, ინანა, რომ ასე აჩქარდა და ადვილად მოუღო მას ბოლო. დედს თვალწინ უნდა გაეტყავებინა, ყურები მოეჭრა, თვალები დაეთხარა... იქნებ მაშინ მაინც შეტოკებულყო, იქნებ ამას მაინც დაერწმუნებინა ეს ქალი, რომ ასეთი ყინიანობა არ გაუვიდოდა კურტ ვერნერთან. კაპიტანი კი აჩქარდა, ეკვს გარეშეა — აჩქარდა. ხვალ ისევ დაიწყებენ რეჟვას შტაბიდან. ეტყვიან ვერნერს — რა სისულელეა, ცნობა მისცა მხოლოდ იმის შესახებ, რომ შეპყრობილია პარტიზანი ქალი. სხვა არაფერი. ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა იქ, შტაბში, არავინ დაუჯერებს, რომ ქალისაგან ვერავითარი ცნობის მიღება ვერ მოახერხა. ვერნერის მეგობრები უდიდესი კმაყოფილებით შეეცდებიან დააბეზლონ იგი უფროსებთან. იტყვიან, რომ კაპიტანმა ვერნერმა არ იცის, თუ როგორ უნდა მოეპყრას პატიმრებს, თუ როგორ უნდა მიიღოს მათგან საჭირო ცნობებიო... ეტყობა, იგი მეტად რბილია, მეტად ლიბერალური ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართო.

ვერნერმა ტუჩზე იკბინა და ნერვიულად ისე სწრაფად გამოსტაცა შაშხანა ჯარისკაცს, რომ იგი შიშისაგან განზე გადახტა.

ოლენა უკვე აღარ შესცქეროდა კაპიტანს. მისი თვალები ისევ მისჩერებოდნენ წყალს, მის ჩუხჩუხს, ტალღების თამაშს, მისი თვალები ისევ მისჩერებოდნენ განუწყვეტლივ მოძრავ სიცოცხლეს. ვერნერმა ნაბიჯით უკან დაიხია და მუხლზე დაჩოქილ ქალს მთელი ძალდონით ხიშტი ჰკრა. ოლენა პირით ყინულჭირბისაკენ გადავარდა. მისი დაცემის სიმძიმის გამო ჩამოტ-

ვრეული თოვლი ისე ჩაიფშხენა ყინულჭრილში, როგორც საფქველი ^{წარბი-}დან წამოსული წერილი ფქვილი. ოღენა თითქმის სახით შეგნო ^{წყლის}. ქალი ხედავდა: ყინულჭრილში ჩავარდნილ თოვლის ნამსხვრევს მწვანე ფერი გადაეკრა. ის დაიგორგლა და წყლის ზედაპირზე შეტრიალდა, ^{წარქმენული}

კაპიტანმა ძლივს გამოაძრო ზურგიდან ხიშტი და ხელმოიწივს ^{ჩასტა}. ქალი მთელი სხეულით მოიკრუნჩხა, მერე სიგარტზე გაიშლართა ყინულისა და თოვლის ფენაზე, გაწეწილი თმა ყინულჭრილისაყენ გადმოეშალა, თმა წყალს შეეხო, წყალმა აიტაცა ის. თმის ყოველი ღერი ცოცხალ არსებასავით იკლავნებოდა ტალღების ლივლივში.

— წყალში გადაადგდით! — გასცა განკარგულება ვერნერმა. ჯარისკაცები მივარდნენ და კონდახებით დაუწყეს გვამს დაცურება. ყინულჭრილი ვიწრო იყო. ქალის თავი წყალში ჩაეარდა, ხელები კი აქეთ-იქით გაეშალა, არ ეტეოდა, თითქოს წინააღმდეგობას ეწვეოა.

— რა მოგდით, ერთი დედაკაცი ვერ დასძლიეთ? — შეკვივრა ჯარისკაცებს მოთმინებიდან გამოსულმა კაპიტანმა.

ჯარისკაცები მისცვიფდნენ, დაუწყეს ხელების მტვრევა, ძალით სჩრიდნენ ქალის ცხედარს ყინულის ქვეშ, წყალში. ცხედარი მკერდამდე დაიფარა, მერე წელამდე, ჯარისკაცები ჩქარობდნენ. ფეხებით, კონდახებით სტენი-დნენ მას ყინულში, ჩქარობდნენ, რადგან უნდოდათ ყველაფერი მოეთავებინათ კაპიტანის იქ ყოფნის დროს.

ბოლოს წყალი კიდევებზე გადმოეშხეფა ქალის ყინულჭრილში ჩავარდნის გამო. ახლა ყინულჭრილიდან მოსჩანდა მხოლოდ ოღენას დასივებული და დასახიჩრებული ფეხები. ბოლოს წყალმა ისევ იშხეფა, მერე ტალღები დატრიალდნენ ყინულჭრილში. ცხედარი დაიძალა, გაქრა. მოლივლივ ტალღები გარდებოდნენ შალა, ეტლამუნებოდნენ ყინულის კიდევებს, ისევ უკანვე გარდებოდნენ, გარბოდნენ, იკრავებოდნენ ყინულის ფენის ქვეშ... ტალღები ისევ ვანაგრძობდნენ თავიანთ დაუსრულებელ გზას, მიედინებოდნენ შორეულ მხარისაკენ.

კაპიტანმა შეივინა, უკან გაბრუნდა. გზადაგზა ფეხი უსხლტებოდა ყინულით მოლიპულ ბილიკზე. ჯარისკაცები მორჩილებით მიჰყვებოდნენ მას ფეხდაფეხ, თან ცდილობდნენ დაყრდნობოდნენ თოფებს ისე, რომ კაპიტანს არ შეემჩნია ეს და ამით არ გამოეწვიათ მისი წყრომა.

ქვემოთ კი — ყინულჭრილში ჩუხჩუხებდა, რაკრავებდა წყალი. მას ისევ მწვანე ფერი გადაჰკრავდა და მისი კიდევები ისევ წინანდებურად ბრწყინავდნენ. თოვლზე აჩნდა ჯარისკაცების ნაკვალევი. მხოლოდ ერთგან დარჩენილიყო სისხლის ლაქა, ეს ის ადგილი იყო, სადაც პირველად დავარდა ოღენას ბავშვის გვამი. თოვლზე დარჩენილიყო სისხლის წითელი ლაქა, ისეთი მოელვარე, თითქოს ის არასოდეს არ უნდა გამქრალიყო, თითქოს აქ უნდა დარჩენილიყო გაზაფხულის მზიან ღღებამდე, ვიდრე თოვლი გადნებოდა, ვიდრე ის მქუხარე ნიაღვრად მოედებოდა არემარეს, ვიდრე დაიძრებოდა, შეუერთდებოდა მდინარეს, ვიდრე თავისუფალი მდინარე შეუერთებდა მას თავის მოუსვენარ ტალღებს და გაიტაცებდა შორეულ, უსაზღვრო, უკიდევანო ზღვისკენ, მშობლიური მიწის მშობლიურ ზღვისკენ...

(გაგრძელება იქნება)

ფ რ ო ნ ზ ი

(ვ ი ს ა)

მომხმედი პირნი:

- გორლოვი — ფრონტის სარდალი,
- გაიდარი — სამხედრო საბჭოს წევრი,
- ბლაგონრავევი — ფრონტის შტაბის უფროსი,
- ოგნევი — არმიის სარდალი,
- კოლოსი — კავკავუფის მეთაური,
- ორლიკი — არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი,
- უდივიტელნი — ფრონტის შტაბის სადაზვერვო განყოფილების უფროსი,
- შირონ გორლოვი — ავიატარხნის დირექტორი,
- სერგეი გორლოვი — გვარდიის ლეიტენანტი,
- ხვენკა — გვარდიის პოლკოვნიკი,
- კრიკუნი — სპეციალური კორესპონდენტი,
- ტიხი — საფრონტო გაზეთის რედაქტორი,
- ოსტაპენკო — გვარდიის სერჟანტი,
- გომელაური — გვარდიის უმცროსი სერჟანტი,
- ბაშლიკოვი — გვარდიის სერჟანტი,
- შაიამეტოვი — გვარდიის უმცროსი სერჟანტი,
- მარუსია — სანიტარი ქალი,
- ხრიპუნი — ფრონტის კავშირგაბმულობის უფროსი,
- მესტნი — ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე,
- პენენკა — მებრძოლი,
- გრუსტნი — მსახიობი,

მეთაურები, შტაბის მუშაკები, მებრძოლები, სტუმრები.

მომხმელები პირველი

სურათი პირველი

ფრონტის სარდალის კაბინეტი. კედელზე ჰკიდია რუკა. ზუკისთან დგას ფრონტის სარდალი გორლოვი. შემოდის აღუტანტი.

აღუტანტი. ამხანაგო სარდალო, ჩვენი საფრონტო გაზეთის რედაქტორი, უფროსი ბატალიონის კომისარი ტიხი და სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი, ბატალიონის კომისარი ამხანაგი კრიკუნი გთხოვენ მიიღოთ ხუთი წუთით.

- გორლოვი. შემოვიდნენ. (ზონარს დასწევს, რუკა დაიხურება. მაგიდას მუჯდება, წერას დაიწყებს. შემოდის კორესპონდენტი კრიკუნი და რედაქტორი ტიხი. კრიკუნს ქამარზე ჰკიდია ვეებერთელა მუშუკი, გულზე კი ფოტოაპარატი ლეიკა). დასხედით. ახლავ. (გათათავებს წყურუხ) აბა, კალმოსნებო, რას იტყვით? (იციხის. ტიხი და კრიკუნს წაშორდება)
- კრიკუნი. მაქვს პატივი მოგახსენოთ: მე ვარ წარმომადგენელი დედაქალაქის გაზეთისა, რომლის რედაქციამაც დამავალა გადმოგცეთ მხურვალე მოლოცვა თქვენ, ამხანაგო ფრონტის სარდალო, მამაცო მხედართმთავარო. დღეს ტელეფონით შემატყობინეს, რომ ბრძანებულება ორდენით თქვენი დაჯილდოების შესახებ მოთავსებულა ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე. თქვენს შესახებ დამიკვეთეს სტატია, უდიდესი სიხარულით დავწერე სამასსტრატეონიანი წერილი. რომ არ შეეცდებ — ნება მომეცით გავიგო, რომელ წელს მიიღეთ პირველი ორდენი?
- გორლოვი. ათას ცხრაას ოცში.
- კრიკუნი. (ჩაიწერს). კეთილი. მეორე ორდენი?
- გორლოვი. მეორე — ათასცხრაას ოცდართში.
- კრიკუნი. ჩინებულია. მესამე?
- გორლოვი. წითელი არმიის ოცი წლისთავზე.
- კრიკუნი. მშენიერი. (სწერს). მეოთხე?
- გორლოვი. მეოთხე კი, როგორც ხჩანს, დღეს.
- კრიკუნი. ჰო, მართლა. ბოდიში, ბოდიში. ნება მომეცით სურათი გადაგიღოთ დედაქალაქის პრესისათვის.
- გორლოვი. (იციხის). იქნებ, საჭირო არ არის?
- კრიკუნი. რასა ბრძანებთ. ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გამოჩენილ მხედართმთავრებს. ერთი წუთი (მიმართავს ლეიკას). ეგრე. მშვიდად. არის. ერთხელ კიდევ. ახლა პროფილში. ეგრე. არის. გმადლობთ. ბოდიში, ამხანაგო სარდალო, კავშირგაბმულობის კვანძი უარს ამბობს ჩემი მასალის გადაცემაზე დღეს. მე სულ ორი სტატია მაქვს — ერთი გმირი-მებრძოლების შესახებ, მეორე — თქვენს შესახებ. დაბეჯითებით გთხოვთ დამეხმაროთ.
- გორლოვი. ვინ გაწყენინათ?
- კრიკუნი. კომისარმა. ამბობს, გრძელი სტატიებია, საკიროა შემოკლებაო. მაგრამ ვანა შეიძლება ასეთი მასალის შემოკლება?
- გორლოვი. ჩემს შესახებ, წარმოიდგინეთ რომ შეიძლება, მებრძოლების შესახებ-კი არა.
- კრიკუნი. შემოკლება არასგზით არ შემიძლიან. მთელი კომპოზიცია დაირღვევა. აქ საქმე არქიტექტონიკაშია, სტატიის სტილიური გეგმა ასეთია...
- გორლოვი. ჰო, კარგი, კარგი. საოცარი ხალხი ხართ თქვენ, კალმოსნები, სიტყვის მოკვართვის ოსტატები ხართ, კომპოზიციაო, სტილიო, კიდევ რა ჰქვიან, ქანრები? ბნელი საქმეა. ჩვენ, ჯარისკაცები, უბრალო ხალხი ვართ. ჩვენ უბრალოდ უნდა გველაპარაკოთ: ასე და ასეა საქმე, დაგვეხმარე, ამხანაგო სარდალო-თქო. და თუ შეგვიძლიან, დაგვეხმარებით. (დააპერს ზარს, შემოდის ადუტანტი). აპარატთან გამოიძახეთ ზრიბუნი.

ადუტანტი. გენერალ-მაიორი ხრიპუნი აქ არის. ეს არის მოვილცა
გორლოვი. დაუძახე.

ადუტანტი. არის. (ვადის).

გორლოვი. მე თქვენი ხელობის ხალხი მიყვარს, პატივს უნდა ვუცხადებ მათ
ცოტას სწერს და ცოტას აკეთებთ. კარგი იქნება, უფროსი მეტეოროლოგები
წინავე პოზიციებზე ივლიდეთ. იქ ისეთი მასალაა რომ...

კრიკუნი. სიამოვნებით ვიცხოვრებდი კიდევაც მოწინავე პოზიციებზე.
მაგრამ მე ფრონტის სპეციალური კორესპონდენტი ვარ. ამიტომ, სამწუხაროდ,
შტაბებთან უნდა ვიყო, რომ ყველაფერი გავაშუქო. თუმცა, ფაქტური
ნუ გაქვთ, აქაც ვღებულობ მასალას და ვამუშავებ. უკვე ასხუთი სტატია
დავებუძღე გმირების შესახებ. ჩემთვის მთავარია ფაქტი, დანარჩენს
ყველაფერს მე თვითონ ვქმნი.

გორლოვი. ეგ კარგია. მაინც მეტია საჭირო.

(შემოდის კავშირგაბმულობის უფროსი გენერალ-მაიორი ხრიპუნი).

ხრიპუნი. ნება მომეცით, ამხანაგო სარდალო.

გორლოვი. დაჯექი. კორესპონდენტს რატომ აწყენინე?

ხრიპუნი. ამხანაგ კორესპონდენტს ჩემთვის არ მოუშართავს.

კრიკუნი. მე ამხანაგ კომისარს მივმართე.

გორლოვი. ჭკუა ასწავლე იმ შენ კომისარს, რომ გაზეთის მუშაკებს არ
აწყენინოს. ეს საჭირო საქმეა. ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ ვიბრძვით,
რამდენი გმირი გვყავს. ისტორიისათვისაც საჭიროა. აბა როგორ ვინ-
დათ? ოდესმე, ორმოცდაათი წლის შემდეგ, გაშლიან გაზეთს და იქ,
როგორც სარკეში, გამოჩნდება, როგორ ვიბრძოდით. ეს დიდი საქმეა.

ხრიპუნი. არის, ამხანაგო სარდალო. (კრიკუნს) ერთი საათის შემდეგ შე-
მოიარე ჩემთან.

კრიკუნი. გმადლობთ.

გორლოვი. მაგრამ თუ ჩვენს საფრონტო გაზეთს გაშლიან, იქ ბევრს ვე-
რაფერს ნახავენ. ცუდად მუშაობთ, ამხანაგო რედაქტორო.

ტიხი. ბოდიში, ამხანაგო სარდალო. ნება მიბოძეთ გავიგო თქვენი შენიშ-
ვნები. ვიქონიებთ მხედველობაში. უკეთ შევეცდებით. გამოუასწორობთ...

ხრიპუნი. ნახეთ, დღეს თითქმის მთელი გვერდი აპტრელეს აბდაუბდით.

ტიხი. კავშირგაბმულობის შესახებ?

ხრიპუნი. რის კავშირი. მთელი თქვენი სისულელე გამოავლენეთ. მე სარ-
დალს მოვახსენე ამის შესახებ, იგივე დამეთანხმა.

ტიხი. ამხანაგო სარდალო, ეს ხომ ჩვენი კორესპონდენტის საუბარია არ-
მისის სარდალთან ოგნეეთან.

გორლოვი (იცინის). შენ ფიქრობ, რომ არმიის სარდალის თავში არ შეიძ-
ლება იყოს სისულელე? ბევრჯერ გვიხდება მათთვის ჭკუის სწავლება.
ოგნევისათვის-კი განსაკუთრებით. მას ჰაერში უყვარს ფრენა, ჩვენ-კი
დედამიწაზე ვცხოვრობთ. ფეხი საბანის სიგრძეზე უნდა გასკიპო.

ტიხი. ბოდიში, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვფიქრობ...

გორლოვი. რას ფიქრობ? შენ სამხედრო საქმეში ორჯერ ორი არ ვესმის.
მე კი ვფიქრობ... რა ჰქვია ასეთ ლაყბობას? (იღებს გაზეთს, დასცქერის).

ხრიპუნი. აი აქ. (უჩვენებს). თუნდაც ეს ადგილი...

გორლოვი. (კითხულობს). „არა სურთ შეიგნონ შათ, ვისაც ეს ესტება, რომ დღეს კარგად მოწყობილი რადიოკავშირის გარეშე შეუძლებელია სამხედრო ხელმძღვანელობა. ეს სამოქალაქო ომი არ არის“. აი, მოლაყბე, რა იცის მან სამოქალაქო ომის შესახებ? მაგიდის ქვეშ, ყურადღებულად, როცა ჩვენ ვებრძოდით თოთხმეტ სახელმწიფოს. ახლაც მსგავსი მდგომარეობით და დავამარცხებთ ყოველგვარ მტერს, მაგრამ არა რადიოკავშირით, — გმირობით, შამაცობით. ის კი იცრემლება. სარდლობა არ შეიძლება. რა გაეწყობა, ვასწავლით...

კრიკუნი. პა-პა-პა...

გორლოვი. აბა, თვითონ დაფიქრდით. (კითხულობს). „მხოლოდ ჩვენი ჩამორჩენილობა და ზოგიერთი მეთაურისა და უფროსის სირეგენე აბრკოლებს რადიოკავშირის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. ამისათვის კი ყველა პირობა არსებობს“.

კრიკუნი. პა-პა-პა... ეს ხომ სარდლობის კრიტიკაა.

ბრიპუნი. ეგ კიდეც არაფერია, აი ეს მოისმინეთ (კითხულობს): „რადიოკავშირი, ისე, როგორც საერთოდ მთელი კავშირგაბმულობა, კარგი აქვთ ვერმანელებს, ჩვენ კი უნდა ვისწავლოთ მტრისაგან და გავუწიროთ მას“. გესმით თუ არა, რას ნიშნავს ეს? ამას წიკითხავს ყოველი მებრძოლი, ყოველი მეთაური. რას იტყვის ის თავისი კავშირგაბმულობის შესახებ? ეს განა ამაღლებს მის საბრძოლო სულისკვეთებას? რათ გვინდა ეს პროპაგანდა ფაშისტების კავშირგაბმულობის შესახებ, ვისთვისაა ეს საჭირო?

გორლოვი. რა უნდა მოსთხოვო რედაქტორს, მისთვის ეს ჩინური ანბანია. ოგნევი კი დღეს აქ იქნება. ვეტყვი, რაც საჭიროა. (ტიხის) შენ კი გაფრთხილებ, თუ იმის მაგიერ, რომ საჭიროებისამებრ ყოველდღიურად გვიჩვენო გმირი მებრძოლები, ჩვენი დევგმირები, ცხვირს შეპყოფ იქ, სადაც შენი საქმე არ არის, ცუდი დღე დაგადგება.

ტიხი. ბოდიში, ამხანაგო სარდალო. გავითვალისწინებთ. გამოვასწორებთ. შევეცდებით...

გორლოვი. თავისუფალი ხართ.

(ტიხი და კრიკუნი გადიან. მაგრამ, როცა ტიხი კარებს გასცდება, კრიკუნი ბრუნდება).

კრიკუნი. ბოდიში, ამხანაგო სარდალო. მე, როგორც ცენტრალური პრესის წარმომადგენელმა, უნდა დავსწერო კრიტიკული სტატია თქვენს საფრონტო გაზეთის შესახებ. მართლაც, ეს გაზეთი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს რიგითი გმირებს, როგორც ეს თქვენ სამართლიანად შენიშნეთ.

გორლოვი. ძალიან კარგი, გააკრიტიკე. ასწავლე ჰკუა ჩვენს რედაქტორს. სასარგებლო იქნება.

კრიკუნი. მესმის. ნებას მაძლევთ წავიდე?

გორლოვი. წადი.

(კრიკუნი გადის).

ბრიპუნი. ის საერთოდ ძალიან ყოყოჩობს.

გორლოვი. ვინ?

ბრიპუნი. ოგნევი. თავი მარშლად წარმოიდგინა.

7. „შათობი“, № 1.

გორლოვი. ეს ყველაფერი ახალგაზრდობის ბრალია. ომში რომ ჩავება, პოლკოვნიკი იყო. სამი თვის შემდეგ გენერალ-მაიორობა მიიღო, ახლა კი არმიის სარდალია. და აი თავბრულ დაესხა. ძალა კი არ შესწევს. დაიწყო ეშმაკობა, კალმოსნობა, თავის მართლება.

ხრიპუნე. ეშმაკობს, ეშმაკობს.

გორლოვი. ცხადია. მაგას რომ საქმე უკეთ ჰქონდეს, სტატიების წერას არ დაიწყებდა. ჯარისკაცები როდი სწერენ, იბრძვიან. შენ საქმე აკეთე, კალმოსნები კი ყოველთვის მოინახებიან, აღწერენ იმას, რაც იყო — და რაც არ იყო. (იციან).

ხრიპუნე. სრული ჭეშმარიტებაა, სრული, სუვეროვის სკოლის მეტროპოლი ბრძანდებით თქვენ, ივან ივანიჩ.

გორლოვი. მოიტა, რა გაქვს? (ხრიპუნე ქალაღს გადასცემს. გორლოვი კითხულობს, სწერს). ცხენოსანთა ჯგუფთან კავშირი დაამყარეთ?

ხრიპუნე. არა, ამხანაგო სარდალო.

გორლოვი. რატომ?

ხრიპუნე. მიღებულია ყველა ზომა, ვეფიქრობ, ორი დღის შემდეგ პეტროვთან კავშირი გვექნება.

გორლოვი. იცოდე, თავს გაგაგდებინებ.

ხრიპუნე. ყველაფერი რიგზე იქნება. ნებას მომცემთ წავიდე?

გორლოვი. წადი. ერთი საათის შემდეგ შემოიარე ჩემთან, ერთად ვივახშმოთ. დღევანდელი დღე თითქოს სადღესასწაულო დღეა ჩემთვის.

ხრიპუნე. გმადლობთ, ამხანაგო სარდალო. ნებას მომცემთ მოსალოცით გაიხლოთ?

გორლოვი. რა გაქვს?

ხრიპუნე. ექვსი ბოთლხ ძველი კონიაკი შემრჩა.

გორლოვი. კეთილი, წამოიღე.

ხრიპუნე. არის (გადის).

(გორლოვი რეკავს, შემოდის ადუტანტი).

გორლოვი. ოგნევი მოვიდა?

ადუტანტი. ჯერ არ მოსულა.

გორლოვი. კოლოსი?

ადუტანტი. არც ის. ძლიერი ქარბუქი კი ამოვარდა.

გორლოვი. ვაიდარი თავის კაბინეტშია?

ადუტანტი. სამხედრო საბჭოს წევრმა პოლიტსამმართველოს უფროსი მიიღო. თქვენთან ჩამოვიდა თქვენი ძმა, მირონ ივანეს-ძე გორლოვი ვარო, ამბობს.

გორლოვი. მირონი? ნუ თუ? დამიძახე აქ, ჩქარა. (დგება, მიდის შესახვედრად. შემოდის მირონ გორლოვი). მირონ, საიდან?

მირონი. ციდან. (მოხევევიან, ერთმანეთს ჰკოცნიან). როგორა ხარ?

გორლოვი. ვომობთ.

მირონი. ისეთივე ხარ, როგორიც იყავი. ჯანმრთელად ხარ?

გორლოვი. ჯერ კიდევ მომეპოვება საქმავო ჯანი.

მირონი. არ გამოცვლილხარ, ჭალარაც არ შეგარევი, თორმეტი წელიწადია, არ მინახავხარ. კარგად გამოიყურები, ძალიან კარგად.

გორლოვი. ჯარისკაცს ფასადს უცვლის არა წლები, არამედ ხიშტი, ტყვია, ყუმბარის ნამსხვრევი. რატომ აგრე მოტეხილხარ, ხომ ჩემზე შვილი წლით უმცროსი ხარ, გათეთრებულხარ, რა მოგივიდა?

მირონი. ყველაფერი ომის ბრალია. ჩვენთვის, სამოქალაქო ომისთვის, ძნელია. ფინეთის ომში გაეჭაღარავედი, ამ ომში კი გაეთეთრდი.

გორლოვი. ნაკლებად ინერვიულე. მაგალითი ჩვენგან აილე.

მირონი. არ გამოდის. ნება მომეცი მოვიწიო!

გორლოვი. კითხვა რათ გინდა, მოსწიე. აკეთე, რაც გინდა. ჩემთან ყველაფერი უბრალოდ არის, ინტელიგენტობანას ვერ ვიტან, ყველაფერი ჯარისკაცურად იყო. მოსწიე, დალიე, შეიკურთხე, ოღონდ საქმე კეთდებოდეს.

მირონი. კარგია, როცა საქმე კეთდება.

გორლოვი. რატომ არა მწერდი? გაყოყონდი, მირონ? ჰა?

მირონი. არა, რას ამბობ. როცა ინსტიტუტს ვამთარებდი, გწერდი, რამდენად მახსოვს, ხშირადაც, რადგან ფულს გთხოვდი. მხოლოდ ერთხელ გამომიგზავნე, მერე აღარ გიპასუხნია.

გორლოვი. ნუ თუ? არა, არ მიმიღია, არა!

მირონი. შემდეგ მე ამერიკაში გამგზავნეს.

გორლოვი. ამერიკაში იყავი?

მირონი. ორ წელიწადს.

გორლოვი. კარგია. რა ამბავია ამერიკაში, ძალიან ლეზა? (იცინის).

მირონი. ფორდთან გამგზავნეს. ორ წელს ვმუშაობდი სამკვდლო საამქროში, კონვეიერზე, უბრალო მუშად.

გორლოვი. ოჰო, მე კი ვფიქრობდი — ისე, დასათვალეებლად გაგზავნეს. ჩვენც ხომ გაგზავნეს ოდესღაც გერმანიაში და საფრანგეთში. გერმანია არ მომეწონა. მოსაწყენია. საფრანგეთში-კი ზორბად ვიცხოვრეთ. რა არა ვნახეთ. სამწუხარო იყო, რომ ჩქარა გამოგვიძახეს. ჩინებულად ვიმგზავრეთ, ჩინებულად. სასიამოვნო მოგონებაა.

მირონი. მე კი როცა ფორდის კონვეიერს ვიგონებ, ტანში ერთუნტელი მივლის.

გორლოვი. რატომ?

მირონი. თავდაპირველად ძნელი იყო, ჰკუაზე ვირეოდი, რომ ჩამოვრჩენილიყავი, გამომაგდებდნენ. მუშაობის შემდეგ ფეხებს ძლივს მივათრევდი საამქროდან, არც ჰკამა მინდოდა, არც სმა — მკვლარივით დავეგდებოდი ხოლმე.

გორლოვი. ვალია როგორ არის? ბავშვები გყავთ?

მირონი. არა. ვალია ჩემთან ქარხანაში კონსტრუქტორად არის. ეცხოვრობთ ასე: მე ალიონზე ვბრუნდები, მას სძინავს. როცა მე მეღვიძება, ის უკვე სამუშაოზეა. სამი წელიწადია ტელეფონით ვჩხუბობთ და ტელეფონით ვკოცნით ერთმანეთს. პირდაპირ მიკვირს, როგორ არ მიმატოვა (იცინის).

გორლოვი. არ მიგატოვებს. თუმცა მოტეხილხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი ხარ, ქალებს კი ლამაზები უყვართ.

მირონი. რას ამბობ, უძილო ლამეების გამო, სახე დაკმუჭნულ ბალიშს მიმიგავს.

გორლოვი. შეილი უნდა გაგეჩინა, მირონ. ჩემი სეროთა უკვე რატომს!
მირონი. მართლა? ძალიან კი მინდოდა მენახა.

გორლოვი. ჩამოვა. ერთი დღით გამოვიძახებ. აქვე არის, ახლანდელი მუშაობის ავტომობილებს გატაცებული?

მირონი. ღრდინანია თავი დავანებე. ახლა ავიაციასთან მაქვს საქმე. ვე-
ბერთელა ქარხნის დირექტორი ვარ.

გორლოვი. მაშ, უნდა გეჩხუბო, გაგინო. თვითმფრინავები გვალატობენ.
ცოტას აკეთებთ... ძალიან ცოტას...

მირონი. ვიცით. ვცდილობთ. აი ჩქარა ახალ საჩუქარს მიიღებთ. ორი
თვეა ვეწვალებით, მაგრამ მინც გამოგვივიდა. ისეთი სისწრაფე აქვს,
რომ გერინგს ბოღმით გული გაუსკდება.

გორლოვი. სისწრაფეს ძალიან ნუ მისდევთ, რაც შეიძლება, მეტი რაო-
დენობით მოგვეცით... გერმანელებს უამრავი თვითმფრინავი აქვთ...

მირონი. მაგ სიმღერას თავი დაანებე, ვიცით, ბევრჯერ მოგვისმენია. კმა-
რა. ჯანდაბისკენ ვზა ჰქონიათ...

გორლოვი. რატომ? არ მესმის.

მირონი. წლობიდი ყვიროდა ზოგიერთი ჩვენი სტრატეგია: მოგვეცით რაც
შეიძლება მეტი თვითმფრინავი, სისწრაფე მეორეხარისხოვანი საქმეა,
ჩვენთვის რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანიაო. ჩვენ-კი, სამოქალაქო
ადამიანები, ყურს ვუდგებდით და თვალს ვახამხამებდით.

გორლოვი. სწორიც იყო.

მირონი. ჩვენ რომ ასეთი სტრატეგებისათვის ყური გვეგდო, უეჭველად
დავილუპებოდით, მწყერბებით ამოგვეკლუტლენ გერმანელები.

გორლოვი. ხუმრობ.

მირონი. ასეთი ხუმრობისაგან უდროოდ გავეთორდი. ვარწმუნებ, რომ
მსოფლიოში ვერც ერთი ავიომრეწველობა ვერ გარდაჰქმნიდა თავის მუ-
შაობას ისე სწრაფად, როგორც ჩვენმა მრეწველობამ გარდაქმნა, მაგრამ
ეს ჩვენ დიდ შრომად და ჯაფად დაგვიჯდა. ამ შრომისა და ჯაფის წყა-
ლობით ჩვენ ახლა გვაქვს სავსებით თანამედროვე სწრაფმავალი თვით-
მფრინავები... არ ვიცი, ვინ გაუძლებდა ასეთ დამაბულობას.

გორლოვი. ახლა მინც რაოდენობა უდიდესი საქმე როგორც ხმელეთზე,
ისე ჰაერში. რაოდენობა იმარჯვებს. რაოდენობა სამხედრო საქმის სუ-
ლი და გულია. აი რა არის მთავარი დღეს.

მირონი. სუეოროვი კი ამბობდა, იბრძვიან არა რაოდენობით, არამედ
ცოდნით, ხერხითო. ხარისხი — უდიდესი საქმეა.

გორლოვი. გამარჯობა შენი! ჩვენ რა — ომი არ ვიცით თუ? არა, ჩვენ
ძალიან კარვად ვიბრძვით. სუეოროვს ვიცნობთ და პატივსაც ვსცემთ.
მაგრამ ახლა მასაც გაუჭირდებოდა. თქვენ, სამოქალაქო ადამიანები ამას
ვერ მიხვდებით. უკეთესია, მიაშბე როგორ სცხოვრობ.

მირონი. ბევრი ცუდი და ბევრი კარგი გადაშხდა. ახლა პირდაპირ მოსკო-
ვიდან მოვფრინდი. ამხანაგმა სტალინმა გამომიძახა. ახალი მოდელი და
მისი კონსტრუქტორი ვუჩვენეთ.

გორლოვი. როგორ გამოიყურება ამხანავი სტალინი? შეიცვალაშ

მ ი რ ო ნ ი. როგორ გითხრა, მაგისტრის ყურადღება არ მიმიქცევს? ბრახნის შესახებ მოეხსენე. მოკლედ, არსებითად უნდა გადაწყვიტოვლიყვე. ეს კი ძნელი იყო. უამრავი საქმეა. ასე რომ დავისსომეჯიყვე შეკრებები, რჩევა-დარიგება, თვითონ მას კი ვერ დავავეირდი, ვერ მოქმედებდა.

გ ო რ ლ ო ვ ი. რა დაგმართინა? არ ვარგა ეგ: ბელადთან იყავი და მასზე ვერაფერს მეუბნები. შენ, ძმაო, საქმოსანი გამსდარხარ, საქმოსანი. ეს კი ვერაფერი მოსაწონი საქმეა.

მ ი რ ო ნ ი. შეიძლება. მე შევეკითხე შენს შესახებ.

გ ო რ ლ ო ვ ი. მერე რაო?

მ ი რ ო ნ ი. სთქვა, რომ გუშინ შენთან გზააბნეული გერმანელი მფრინავი დაშვებულა გამანადგურებლით. თვითმფრინავი ახალი სისტემისა არისო. ხრახნი გადუნვია, დანარჩენი ყველაფერი რიგზე ჰქონდაო. ამხანაგმა სტალინმა მიჩიია, არ დამეცაღნა თვითმფრინავის იქ ჩატანისთვის და აქ გადმოვფრენილიყავ დასათვალისწინებლად. საქმე უფრო დაჩქარდებო.

გ ო რ ლ ო ვ ი. დაიცა (დარეკავს. შემოდის ადუტანტი). გამომიძახე აპარატთან სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი.

ა დ უ ტ ა ნ ტ ი. არის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი (გადის).

გ ო რ ლ ო ვ ი. ამხანაგმა სტალინმა როგორ გაიგო?

მ ი რ ო ნ ი. შენ ხომ აცნობე.

გ ო რ ლ ო ვ ი. არა, არ მიცნობებია.

მ ი რ ო ნ ი. მაშ, არ ვიცი.

გ ო რ ლ ო ვ ი. კიდევ რა სთქვა? არ მაგინა?

მ ი რ ო ნ ი. ეინ?

გ ო რ ლ ო ვ ი. მე.

მ ი რ ო ნ ი. არა, შენზე სხვა არაფერი უთქვამს.

(შემოდის ადუტანტი).

ა დ უ ტ ა ნ ტ ი. ვენერალ-მაიორი უდოვიჩენკო აპარატთან არის.

გ ო რ ლ ო ვ ი. (აიღებს მილს). ეს რა ამბავია? რატომ არ მაცნობე, გუშინ რომ თვითმფრინავი დაშვებულა... გერმანელი გამანადგურებელი... როდის? არ მიხსოვს. სტყუი. დამირეკე? შეუძლებელია... კარგი, კარგი. მოსკოვს ვინ შეატყობინა? ეგე, მოსკოვს აცნობე, სარდალს კი რა... მაშ ცუდად მოგიხსენებია. შენ, ძმაო, სჯობს ნაკლებ ილაპარაკო. ცერცვივით აყრი, ასე რომ კაცი ვერაფერს გაიგებს. მომავალში ასეთი შემთხვევების შესახებ ტელეფონით კი არა, კეთილი ინებე, მოდი და მიპატაკე. ერთი ამას დამიხედეთ...

მ ი რ ო ნ ი. თვითმფრინავი სად არის?

გ ო რ ლ ო ვ ი. სად არის? პო, მოიცა, მოიცა. (მირონს) აქედან ორმოც კილომეტრზეა.

მ ი რ ო ნ ი. ახლავე გავეშურებით მანქანით.

გ ო რ ლ ო ვ ი. სად? ახლა დამეა, ასეთ თოვლში დილამდის ვერც კი მიაღწევ.

მ ი რ ო ნ ი. არა უშავს-რა.

გ ო რ ლ ო ვ ი. (ტელეფონში) ვესმის, მომიტანეთ ეგ თვითმფრინავი აქ სრულ რეაზე. გაიგე?

მირონი. მხოლოდ ფრთხილად ვადმოიტანონ, თორემ...

გორლოვი. გესმის ფრთხილად, დაუზიანებლად, ისე როგორც არის. თავით აგებ პასუხს (მილს დაჰკიდებს). ნუ სწუხარ. დილით ჩიტები გეყოლება. მე ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილი. ეს თქვენივე არის რომ მსჯელობენ, სხდომებს მართავენ. აქ კი ვაიციმა თუ არა ბრძანება, თუნდაც რომ მოკვდე — უნდა შეასრულო.

მირონი. ვნახოთ.

გორლოვი. ასეა. დღეს გაზეთები ნახე მოსკოვში?

მირონი. არა, ვერ მოვასწარი. რა იყო?

გორლოვი. დღეს მეოთხე ორდენით დამაჯილდოვეს.

მირონი. მართლა? მომილოცნია. (ხელს ჩამოართმევს). მომილოცნია. ომის დამთავრებამდის ორდენების დასაკიდებლად ადგილი აღარ გეყოფა. (იციინის).

გორლოვი. არა უშავს-რა, ადგილს გამოვნახავთ. (იციინის) ოღონდ ორდენის ღირსი გავხდეთ.

მირონი. დიად. ასეთია თქვენი, გენერლების საქმე. ან ორდენებით გაქვდილი მკერდი, ან დაფეცილი ცხვირპირი. თუმცა, თქვენ, გენერლებს ცხვირპირს ნაკლებად გიყვებავენ. ყველაზე მეტი ჩვენ გვხვდება ყოველთვის.

გორლოვი. გამოდის, რომ იმას მოგიზღავენ, რასაც დაიმსახურებ.

მირონი. შეიძლება. მაგრამ მე რომ მთავრობის ადგილზე ვიყო, თქვენ უფრო მეტად დაგიყვავდით ცხვირპირს, ისე დაგიყვავდით, რომ ყველას დაენახა, ორდენებს კი ნაკლებს მოგცემდით.

გორლოვი. მაგ ლაპარაკს თავი დაანებე, მირონ. შური ცუდი საქმეა.

მირონი. სრულიადაც არა მშურს, ჩემო ძმაო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქარიშხალს ვხედავ. საჭიროა მებრძოლების, საშუალო მეთაურების და კიდევ იმ გენერლების დაჯილდოება, რომლებიც დივიზიებს მეთაურობენ. თქვენი დაჯილდოება-კი, იმათი, რომელნიც უფრო მაღლა დგებართ, მხოლოდ ომის შემდეგ უნდა მოხდეს. ისეთ განსაკუთრებულ ორდენს გამოვიგონებდი, რომ მთელი მკერდი დაფარა, ერთ კილომეტრზე დაენახათ — სტრატეგი მოდის, ბატონი ეცით, სალამი მიეცითო, რომ გვეთქვა ყველასთვის.

გორლოვი. ხუმარა ხარ. როგორიც ახალგაზრდობაში, ისეთივე დარჩენილხარ...

(შემოდის ადუტანტი).

ადუტანტი. გენერალ-მაიორი ოგნევი და გენერალ-მაიორი კოლოსი გეახლნენ.

გორლოვი. შემოიყვანე. მოიხმეთ აგრეთვე შტაბის უფროსი და სამხედრო საბჭოს წევრიც.

ადუტანტი. არის. (ვადის).

მირონი. მე სადღა წავიდე?

გორლოვი. აქ დაიცადე. ჩქარა მოვრჩები. ჩემს გენერლებს ვაგაცნობ, შემდეგ წავიდეთ, ერთად ვივანშმოთ. იქნებ დაილაღე?

მ ი რ თ ნ ი. არა, არა.

(შემოდინ ოგნევი და კოლოსი).

ო გ ნ ე ვ ი. გენერალ-მაიორ ოგნევი გამოცხადდა თქვენის ბრძანებისამებრ.

კოლოსი. გენერალ-მაიორი კოლოსი გამოცხადდა თქვენის ბრძანებისამებრ.

გორლოვი. გამარჯობათ. გაიცანით, ჩემი ღვიძლი ძმა, სვიტოსტანის დირექტორი. (ეცნობიან). დაბრძანდით. როგორ იმგზავრეთ?

კოლოსი. ცუდად, ამხანაგო სარდალო.

ოგნევი. ნამქერებია. მანქანას მეტწილად ხელით მოვათრევდით, ვიდრე შიგ ვიჯექით.

გორლოვი. თვითმფრინავით უნდა გადმოფრენილიყავით.

კოლოსი. ამინდმა შეგვიშალა ხელი.

გორლოვი. ჩემი ძმა კი მოსკოვიდან მოფრინდა.

მირთნი. მოსკოვიდან მეც კარვად გამოფრინდი. მაგრამ აქ, თქვენთან, კინალამ დავიდუბე. აქედან, სადღაც ოცდაათი კილომეტრის მანძილზე დავეშვი. შემდეგ კი მანქანით გამოვეშურე.

გორლოვი. რას ამბობ? შეგონა — პირდაპირ ჩამოფრინდით.

მირთნი. არა.

(შემოდინ შტაბის უფროსი ბლაგონრაეოვი და სამხედრო საბჭოს წევრი გაიდარი. გენერლები დგებიან).

გორლოვი. გაიცანით. ჩემი ღვიძლი ძმა გახლავთ. ამხანაგ სტალინის დავალებით ჩამოვიდა. ავიაქარხნის დირექტორია.

გაიდარი. ძალიან სასიამოვნოა. გაიდარი.

ბლაგონრაეოვი. ფრონტის შტაბის უფროსი — ბლაგონრაეოვი.

გორლოვი. დაბრძანდით. მირონ ივანიჩ, დარჩი ჩვენთან. ჩქარა მოვრჩებით. შემდეგ კი ყველას გთხოვთ ვახშმად, ჩემთან. აბა, შტაბის უფროსო.

ბლაგონრაეოვი. შე ვფიქრობ, ჯერ მოგვახსენოს მეჩვიდმეტე არმიის სარდალმა შვიდას სამოცდამეერთე ბრძანების შესრულების შესახებ, აგრეთვე გენერალ-მაიორმა კოლოსმა.

გაიდარი. სწორია.

გორლოვი. აბა, ოგნევი, მოკლედ.

ოგნევი. ძალიან მოკლედ მოგახსენებთ, ამხანაგო სარდალო: ბრძანება შესრულებულია, თუმცა სრულიად არ შესმის, რა საჭიროებისთვის.

გორლოვი. ნუ ხარ სულწასული. ახლავე გაიგებ.

კოლოსი. ბრძანება შესრულებულია. მაგრამ უნდა ვაღიარო, არ შესმის ბრძანების-აზრი.

გორლოვი. შენ, ხანში შესულ კაცს, არ შეგშვენის ასეთი პატაკი. შეასრულე, მორჩა და გათავდა. სხვა რამეს კი დაელოდე, გეტყვიან. ამას ახალგაზრდობით მოსდის, ეპატება. შენ კი დიდი ხნიდან უნდა გცოდნოდა, რომ ყოველგვარი მწევანილი თავის დროზე მოდის. (იციან). ხომ ასეა?

კოლოსი. სწორია.

ოგნევი. როცა საქმე მწევანილს შეეხება...

გორლოვი. შენ არ გეკითხებიან. აბა, შტაბის უფროსო...

ბ ლ ა გ ო ნ რ ა ვ ო ვ ი. (ამოიღებს ქაღალდებს, მიდის რუკასთან, / გზის). აქამდის ყველა ჩვენმა ცდამ — აგველო სადგური კოლოკოლი სემუ-ხაროდ, ამოდ წაიარა. გერმანელებმა იგი ძალზე გამაგრეს და ორი თვეა ვასაქანს არ აძლევენ ჩვენს ნაწილებს. სადგურ კოლოკოლის ცდებ-ბა იმას ნიშნავს, რომ ვაიძულოთ გერმანელები დაუყოვნებლივ შე-იქცნენ მდინარის ვადმა. ფრონტის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ვორლოვმა გვიბრძანა დავემუშავებინა შემდეგი ოპერაცია. სადგურ კო-ლოკოლის გამაგრებულ მისადგომების ჩრდილოეთით არმიის სარდალი ოგნევი სტოვებს მცველ ჯარს, თვითონ კი, კოლოსის ცხენოსანთა ჯგუფის დახმარებით არღვევს მტრის თავდაცვას სოფელ ალექსანდროვკას-თან და მიიმართება დაბა ვორონი პლოტისკენ. სადგურ კოლოკოლის სამხრეთით მტრის ჯარის რკალს არღვევს სატანკო კორპუსი, რომელ-საც დახმარებას უწევს მის დახმარედ გამოყოფილი შეავტომატეთა სა-დესანტო ჯგუფი. სატანკო კორპუსი კონტროლს უწევს ამ ორ გზას. ალყის თავიდან ასაცდენად გერმანელები იძულებული იქნებიან მიატო-ვონ სადგური კოლოკოლი და წავიდნენ ერთადერთი თავისუფალი გზით, მაგრამ ამ გზის ვადაჭრას ადვილად მოახერხებს ოგნევი ვორონი პლო-ტიდან. გერმანელებს რჩებათ ერთი უკან დასახევი გზა — უგზოუკე-ლოდ უნდა იარონ თოვლის ნაშქერებში, ამასთან დაჰყარონ მთელი თავიანთი ტექნიკა. მაშინ დაიწყებს მოქმედებას კოლოსის ცხენოსანთა ჯგუფი.

გ ო რ ლ ო ვ ი. ამ საქმეში მთავარია გენერალი ყინვა (იცინის).

ბ ლ ა გ ო ნ რ ა ვ ო ვ ი. სწორედ, სწორედ. და გერმანელთა დაჯგუფებისაგან აღარათფერი ვაღარჩება. ავიაციით მის დახმარებას ვერ შესძლებენ, რად-ვან ქარბუქი არა თუ კლებულობს — ძლიერდება. ფრონტის სარდალის სურვილი უკვე განვახორციელებთ ბრძანებებში.

გ ო რ ლ ო ვ ი. ხომ ცხადია ახლა, რატომ ვემზადებოდით წინასწარ?

ო გ ნ ე ვ ი. ცხადია.

გ ო რ ლ ო ვ ი. მიიღეთ ბრძანება და შეეცადეთ. (გადასცემს ბრძანებას. ოგ-ნევი და კოლოსი დასხდებიან მაგიდის ბოლოში, ამოიღებენ რუკებს, კით-ხულობენ ბრძანებას, აღნიშნავენ რუკაზე).

გ ა ი დ ა რ ი. (სარდალს) გულახდილად ვიტყვი, ძალიან მაწუხებს, ვაი თუ გერმანელებმა სადგურთან თავი მოუყარეს დიდძალ ტანკს. შეიძლება მათ ეს ტანკები ოგნევის ზურგში ვადისროლონ.

გ ო რ ლ ო ვ ი. (გააწყვეტიან). სისულელეა! დანამდვილებით ვიცი, რომ სადგურთან მათ ორმოცდაათი ტანკი ჰყავთ. გამაგრდნენ და სხედან.

გ ა ი დ ა რ ი. თუ მდინარეზე ვადმოვიდნენ...

გ ო რ ლ ო ვ ი. თუ მიწისძვრა მოხდა (იცინის). მთავარია მიეძალო. თავზარი უნდა დასცე და მოსპო.

გ ა ი დ ა რ ი. თავზარის დაცემა კი შეგვიძლიან, არა ერთხელ დაგვიცია თავ-ზარი, მაგრამ ვარემოცვა და მოსპობა კი...

მ ი რ ო ნ ი. ეს კი არც თუ ისე ხშირად ხდება...

გ ო რ ლ ო ვ ი. გააჩნია, რომელ მთავარსარდალს ემართება ეს. ამხანაგო გაი-დარ, ხომ მოაწერე ხელი ბრძანებას?

გაიდარი. მოწირით მოვაწერე, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხელი ისე მიკანკალებდა, როგორც არასდროს.

გორლოვი. ეგ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გამსკვალული ხედიდან ვხედავთ სულთ. შენ ყოველთვის გიკანკალებს ხელი. რა გაშფოთებდა?

გაიდარი. მიშფოთებს აი ეს სოლი, კოლოკოლი. ვინცობაა იქ რომ...

გორლოვი. ოჰჰი, ჩემო მეგობარო, ყოველთვის არის „ვინცობა“. საჭიროა გაბედული მოქმედება. ზომ მართალია, შტაბის უფროსო?

ბლაგონრავევი. უნდა ასწონ-დასწონო და იმოქმედო გაბედულად, — ასე ამბობდა მოლტკე.

ოგნევი. ზუსტი არ არის, ამხანაგო შტაბის უფროსო, მოლტკე ამბობდა: ჯერ ასწონ-დასწონე და მერე იმოქმედე გაბედულად. ასწონ-დასწონე — ნიშნავს: — შეიდეგერ ვაზომე, ერთხელ გასჭერი.

გორლოვი. სწორია.

ოგნევი. რავი სწორია, თქვენი ბრძანება, ამხანაგო ფრონტის სარდალო, მე, როგორც არმიის სარდალს, ძალზე მაშფოთებს, თუმცა როგორც ადამიანს ძალიან მახარებს, რადგან ვორთონი პლოტი ჩემი სამშობლოა, იქ დამარჩა მამა. იქნებ ცოცხალია?

გორლოვი. ჩინებულია. შენც ადექი და გაათავისუფლე მამა.

გაიდარი. როგორ მოხდა მერე, რომ მამა თქვენი იქ არის?

ოგნევი. შემოდგომაზე ფრონტის გარღვევის დროს ვორთონი პლოტი მოულოდნელად ხელში ჩაიგდეს გერმანელებმა.

გორლოვი. კარგი, კარგი, ჰაბუკო! (იციანს) ჩვენი ოგნევი კალმოსანი გახდა. წაიკითხეთ მისი საუბარი კავშირგაბმულობის შესახებ?

გაიდარი. წაიკითხეთ.

გორლოვი. მწერლობას წაებოტინა. აბა! (იციანს) მიდი, მიდი!

ოგნევი. თქვენ ყოველთვის დამცინით. მაგრამ, მერწმუნეთ, ეგ ოდნავაც არ დამაღონებდა, შემდეგ რომ სინამდვილეს არ ავეგდეთ სასაცილოდ.

გორლოვი. მაგას რაზე ამბობ? სთქვი გულახდილად.

ოგნევი. ეს ბრძანება წარსულ ბრძანებას მაგონებს, როცა ასევე დამცინოდით.

გორლოვი. მართებულად მოვიქციე: აკი დავამარცხეთ მაშინ გერმანელები და ქალაქიც ავიღეთ.

ოგნევი. ქალაქიც ავიღეთ და გერმანელებიც დავამარცხეთ. მაგრამ რით ავიღეთ? ვინ გაიმარჯვა? ავიღეთ მებრძოლთა მამაცობით, საშუალო და უმცროს მეთაურების გმირობით. გაიმარჯვა მებრძოლმა წინააღმდეგ იმ ბრძანებისა, რომელმაც ჯარები ძალზე არახელსაყრელ პირობებში ჩააყენა. ეს ფაქტია.

გორლოვი. საინტერესოა. შემდეგ? (იწერს).

ოგნევი. შემდეგშიაც მეორდება იგივე ისტორია. თქვენ ლაპარაკობთ გაბედული მოქმედების შესახებ. ამ ბრძანებაში არაერთი გაბედულება არ არის, ამ ბრძანებაში მისი ნასახიცი კი არ მოჩანს. იმიტომ რომ მასში არ არის აზრი, ყველაფერი „ურა“-სა და „ვინცობაზე“ დამყარებული, თითქოს ჩვენს წინაშე სულელი და მძინარა მტერი იყოს. განა ასე ხდება ალყის შემორტყმა? თქვენ უბრალოდ, ერთი ხელის გაქნევით მოხაზეთ წრე, ჩვენ კი გვიბრძანეთ: აბა, ბიჭებო, ეკვეთეთ ორი მხრიდან, შეუტა-

რით გზებით. თუ გნებავთ, ამას ყოველი მუხლის მიხედვით დაგმტკიცებთ. სად ჯანდაბაში გინდათ გაგზავნოთ სატანკო კორპუსი? ხომ ცხადია: როგორც კი გავიჭრები წინ, მაშინვე გერმანელები ტანკებს დაგმადვენებენ უკან.

გენერალ-მაიორი

გორლოვი. (აწყვეტინებს) კმარა, გენერალ-მაიორო ოგნევი. დაგვიწყდა, რომ იმყოფები არა კომკავშირის კრებაზე, არამედ ფრონტის სარდალთან. შე დისკუსიისათვის არ გამოგიძახებთ.

ოგნევი. შე დიდი ხანია გამოვედი კომკავშირის ასაკიდან.

გორლოვი. გამოვიდა ეტყობა, არც ისე დიდ ხანს გაუვლია მას შემდეგ, თორემ სარდალს სიტყვას არ გააწყვეტინებ.

ოგნევი. ბოდიში, ამხანაგო მთავარსარდალო.

გორლოვი. დიად, დიად. შენ რაღას იტყვი, ბებერო? რატომ იგრებ უღვაშებს?

კოლოსი. (ადგება, იღვლებულია). ამხანაგო მთავარსარდალო! ძვირფასო ივან ივანჩი, შენთან მე მთელი სამოქალაქო ომი გავიარე, ჰირიც და ლბინიც ერთად განვიცადეთ. მზად ვარ შენთვის თავი დავდო. მაგრამ სიმართლე ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ზოლო სიმართლე გენერალ-მაიორ ოგნევის მხარეზეა. სატანკო კორპუსი სადღაც ჯანდაბას კი არ უნდა გადავაგდოთ, ოგნევის არმიას უნდა მივაკუთნოთ.

გორლოვი. კმარა. ომი რისკია და არა არეთმეტრია, დროა შეიგნოთ ეს.

გაიდარი. ჩემის აზრით კი, ომი ანგარიშის საქმეა, არითმეტრია. იქნებ მაინც მოეუსმინოთ?

გორლოვი. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. შენ კი, თუ გინდა მოისმინო, გამოიძახე ისინი შენთან. ხომ არ არის შეკითხვები საქმის შინაარსის გამო? (სიჩუმე). შეკითხვები არის?

ოგნევი. არ არის, ამხანაგო მთავარსარდალო. მე ერთი შეკითხვა მაქვს მხოლოდ შტაბის უფროსისადმი.

ბლაგონრაევი. ვთხოვთ.

ოგნევი. დაზერვის განყოფილების უფროსად კიდეც ის უდივიტელნი გყავს?

ბლაგონრაევი. დიად, პოლკოვნიკი უდივიტელნი.

ოგნევი. მაპატიეთ, მაგრამ ის სტყუის ყოველ ნაბიჯზე. სადგურზე ნამდვილად ორას ტანკზე მეტია.

გორლოვი. რაო? (იცინის). საიდან მერე, მთვარიდან ჩამოცივიდნენ?

ოგნევი. გუშინ ერთმა ტყვემ გვიჩვენა, რომ სამასიაო, მეორემ — ორასიაო. თუნდაც საშუალო რიცხვი ავიღოთ...

გორლოვი. ორთავენი სტყუიან. არა თუ სტყუიან: ჩვენი შეშინება უნდათ. ეს მათი მეთოდია. (დააჭერს ზარს. შემოდის ადუტანტი). უდივიტელნი გამოიძახე სასწრაფოდ.

ადუტანტი. არის.

ოგნევი. ჩემი ოცდამეათე დივიზიის მხვერავეებს შეატყობინა პარტიზანმა, რომ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში კოლოკოლისაკენ წავიდა ხუთი ეშელონი ცისტერნი. რატომ დასჭირდათ ამდენი ბენზინი? ცხადია, რომ იქ ორმოცდაათ ტანკზე მეტია.

გორლოვი. მაგრამ არა სამასია.

ო გ ნ ე ვ ი. მაშ რამდენი?

გ ო რ ლ ო ვ ი. საიდან ეყოლებათ აქ ამდენი ტანკი? მხოლოდ სულს შე-
უძლია მოხსნას მთელი ფრონტიდან ტანკები და თავი ეჭვფარეს ერთ
სადგურზე, კოლოკოლში.

ო გ ნ ე ვ ი. ის არა მარტო სადგურია, სიმაგრეც არის, მოხერხებული ადგი-
ლია ნახტომისათვის. ორი თვეა უკვე მის მახლობლად დავლურს უვლის
გენერალი ორლოვი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხებია.

გ ო რ ლ ო ვ ი. ახლა კი ერთის დაკვრით მოვახერხებთ ყველაფერს. შენმა
პარტიზანმა ტყუილი სთქვა. ისინი ყოველთვის ბევრს სტყუიან და ცო-
ტას აკეთებენ.

გ ა ი დ ა რ ი. დაზვერვის საქმე ცუდად გვაქვს მოწყობილი. უნდა მივიღოთ
სერიოზული ზომები.

გ ო რ ლ ო ვ ი. რატომ? არ გეთანხმები.

(შემოდის უდივიტელნი).

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. პოლკოვნიკი უდივიტელნი გამოცხადდა. თქვენი ბრძანე-
ბისამებრ.

გ ო რ ლ ო ვ ი. რამდენი ტანკია სადგურ კოლოკოლში?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. ორმოცდაათი, ამხანაგო მთავარსარდალო.

გ ო რ ლ ო ვ ი. მეტი არ არის?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. იქნებ ამ ხუთ დღეში ცოტა მიუმატეს, მაგრამ არა
მგონია.

გ ო რ ლ ო ვ ი. ოგნევი კი ამბობს, სამასიაო.

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. საიდან, ამხანაგო მთავარსარდალო? მათ მთელ ჩვენს
ფრონტზე, ახლა, ვფიქრობ, ხუთასიც არ ეყოლებათ.

გ ო რ ლ ო ვ ი. სწორია!

ო გ ნ ე ვ ი. მაშ რატომ ეზიდებიან ამდენ ბენზინს გერმანელები კოლოკოლში?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. არ ვიცი. უთუოდ მომავალი შეტევისათვის ემზადებიან.
საერთოდ კი საწყობები აქვთ იქ...

ო გ ნ ე ვ ი. ვინ არის ახლა იქ მათი სარდალი?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. არ ვიცი. წინათ სარდლობდა ის... დამაეიწყდა, ძნელად
გამოსათქმელი გვარი აქვს, საერთოდ გენერალ-მაიორი ფონ... ის მოხს-
ნეს. ახლა რომელი ფონია, არ ვიცი.

ო გ ნ ე ვ ი. როგორია ახლა მაგ დაჯგუფების საცეცხლე ძლიერება?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. ჰყავთ ჩვეულებრივი ოთხი დივიზია, დაახლოებით სა-
მოცდაათ-პროცენტიაანი შემადგენლობისა. ზუსტად ვერ მოგახსენებთ.

ო გ ნ ე ვ ი. ჰყავთ თუ არა მეთხილამურეთა პოლკები?

უ დ ი ვ ი ტ ე ლ ნ ი. ვფიქრობ, არ უნდა ჰყავდეთ. შეიძლება პატარა ჯგუ-
ფები ჰყავთ. გერმანელები ზამთრისთვის ხომ არ მომზადებულან.

ო გ ნ ე ვ ი. ეშმაკმა დალაზეროს, მე ის კი არ მაინტერესებს, თუ რას ფიქ-
რობთ თქვენ, მაინტერესებს ის, რა მოეპოებათ სინამდვილეში გერმანე-
ლებს. გაქვთ თუ არა რაიმე ცნობა? მიპასუხეთ.

კ ო ლ ო ს ი. დამშვიდდი, ვოლოდია.

გ ო რ ლ ო ვ ი. რა ვალრიალებს, ბაზრობაზე ხომ არ ჩამოსულხარ?

ო გ ნ ე ვ ი. ამას კითხვით, რატომ სტყუის, ისე როგორც ბაზარში. რასა ჰკავს
ეს? „შეიძლება“, „ვფიქრობ“, „იქნებ“, „აღბათ“. როგორ ამოშაგებთ
ბრძანებას დაზვერვის ასეთი არეული ცნობების საფუძველზე?

- ბლაგონრაევოვი. ნუ სწუხარ, ჩვენ ცნობები მოგვეპოვება.
- ოგნევი. ცნობები. ავიაცია ქარბუქის გამო ხუთი დღეა არ მოქმედებს. სხვა რა ცნობები გაქვთ? ამ ხუთი დღის განმავლობაში ვინ გეცხვებოდა? ვინ გეცხვებოდა? რა არ გააკეთეს. ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრებში ასე აღარ შეიძლება, რასა ჰგავს ეს? (ხელს წაივლებს ბანდზე, რამლითაც თავი აქვს შეხვეული) ფუი, თავი მისკდება...
- გაიდარი. ამხანაგო მთავარსარდალო, სიტყვა მაქვს თქვენთან. გთხოვთ რამდენიმე წუთით.
- გორლოვი. რა ამბავია?
- გაიდარი. იქ გეტყვით. (გადის მეორე ოთახში, მას გორლოვი გაჰყვება).
- კოლოსი. დამწვიდდი, ვოლოდი. ძალიან გტკივა?
- ოგნევი. ძალიან.
- უდივიტელნი. არ მესმის თქვენი ისტერია, გენერალ-მაიორო ოგნევი-ვუიქრობ, რომ...
- კოლოსი. (გააწყვეტინებს). მომისმინეთ, ამხანაგო უდივიტელნო, უმჯობესია დაჩუმდეთ. თორემ, თუ მან ახლა გესროლათ ტყეფა, მაშინ მე ყოველგვარ ტრიბუნალში შევეცდები დაეამტკიცო, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო.
- უდივიტელნი. მე შემოძლიან წავიდე, რომ სათუთა ნერვები დაიწყნაროთ (გადის).
- მირონი. აი ხვითო.
- ბლაგონრაევოვი. არა, კუჟამოკლე ვაცია, უნიჭო.
- მირონი. მაშ რატომ გყავთ?
- ბლაგონრაევოვი. მე არ დამინიშნავს. გგონიათ, ჩემთვის ადვილია მაგასთან მუშაობა? მაგრამ იძულებული ვარ შევეურობდე.
- მირონი. რატომ მერე?
- ბლაგონრაევოვი. როგორ ვითხრათ, მთავარსარდალთან ერთად იბრძოდა იგი თითქმის ყოველთვის, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში. ძველი მუშაყვია, პატროსანი, დამსახურებული, მაგრამ სუსტი ჭკუის პატრონი. (შემოდინ მთავარსარდალი და სამხედრო საბჭოს წევრი).
- გორლოვი. აი რა: თქვენი მეზობელი მარცხნივ — ოცდამეხუთე არმიის სარდალი ორლოვი წაიწვეს ალექსანდროვკამდე და უზრუნველყოფს შენს ზურგს, გზას ვერ ჩაგიკეტავენ, ნუ სწუხარ. თუნდაც კიდევაც ჰყავდეთ მოყვანილი მცირეოდენი ტანები — ეგ არაფერია. სიმავრიდან თოვლში გამოსვლა შეეშინდებათ. გაფრთხილებ, ბრძანება ზუსტად უნდა შეასრულო. მცირეოდენი ვადახრისათვის თავს გაგაფრთხილებ. კარგად დაიხსომე, ხოლო აქ ჩადენილი შეუფერებელი საქციელისათვის შენიშვნას გაძლევ. მომავალში მთელი სისასტიკით მოგეპყრობი. გასაგებია? გეკითხები, გასაგებია?
- ოგნევი. გასაგებია, ამხანაგო მთავარსარდალო. ნებას მომცემთ წავიდე?
- გორლოვი. წადით.

სურათი მეორე

დრონტის მთავარსარდლის ბინა. სცენაზე არიან არის, მხოლოდ მეორე მოთხილის მამის ხმაური. იქ სტუმრები შეკრებილან გორლოვის პატივსაცემად. გამოდიან მტკრუნელი და გაიდარი. მორანი მაკიდაზე სდებს ერთ ზოთლ ლენოს და ჰქვინა მტკრუნელი და

მ ი რ ო ნ ი. თითო დავლიოთ.

გ ა ი დ ა რ ი. გმადლობთ, მაგრამ მე სრულებით არა ვსვამ.

მ ი რ ო ნ ი. აქი სვამდით სუფრაზე.

გ ა ი დ ა რ ი. სიტროს ვისხამდი. ლენო დიდი ხანია არ შესმება. გული მაქვს ცუდად.

მ ი რ ო ნ ი. მაშ მარტომ უნდა დავლიო. თქვენი სადღეგრძელო იყოს.

(შემოდის გვარდიის ლეიტენანტი არტილერისტი სერგეი გორლოვი. ხელში ჰქია უკირავს).

ს ე რ გ ე ი. ძვირფასო ბიძია! ეს არ არის პატიოსნება, სუფრიდან ლენო მოიტაცეთ და გამოიქციეთ. გთხოვთ, გთხოვთ, ერთი ჰქია დამისხათ.

მ ი რ ო ნ ი. (უსხამს). სერიოჟა, ნულარა სვამ, თორემ დათვრები.

ს ე რ გ ე ი. ნუ მიშლი. მოწინავე ხაზზე სულ არა ვსვამ. დიად. ჩემს კუთვნილას გრამს ყოველთვის ქვემეხის უფროსს ჩეკალენკოს ვაძლევ. დღეს კი მინდა დავითრო, და ეს მხოლოდ შენი ჩამოსვლის გამო. დიად. მე ჩემს მოციქულებს ვუამბე, როგორ მასწავლიდი თევზის ჰერას და ერთხელ როგორ მიმტყებე. ყველაფერი მახსოვს (ეხვევა მორონს).

მ ი რ ო ნ ი. რომელ მოციქულებს?

ს ე რ გ ე ი. ასე ვეძახი ჩემს არტილერისტებს. ისინი ნამდვილი მოციქულები არიან, სასწაულებს ახდენენ ყოველდღე.

მ ი რ ო ნ ი. მოციქულები (იციან). ჩინებულია!

ს ე რ გ ე ი. ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, მითხარით, ხომ კარგი ბიძა მყავს?

მ ი რ ო ნ ი. სერიოჟა!

ს ე რ გ ე ი. არა, მითხარით.

გ ა ი დ ა რ ი. ძალიან კარგი.

ს ე რ გ ე ი. ხომ ხედავ, ყველანი ერთხმად ადასტურებენ. ჩემი მოციქულებიც. უკვე შეუყვარდი მათ. დიად. დაუჯერე გვარდიელის სიტყვას.

მ ი რ ო ნ ი. რატომ უამბობ გვარდიელებს სამოქალაქო ბიძაზე. შენც ერთი — გამოვინახავს საუბრის თემა! უმჯობესია უამბო რამე სამხედრო ცხოვრებიდან.

ს ე რ გ ე ი. ბრძოლის შემდეგ ყველას გვიყვარს სამოქალაქო ცხოვრებაზე ბაასი. ჩემი ბატარეიდან ყველას ცხოვრებას ვიციან. მათაც ყველაფერი იციან ჩემს შესახებ. ეცხოვრობთ ძმურად, ერთი ოჯახის წევრებივით. იცი, ვინ არის მამა ჩვენს ოჯახში?

მ ი რ ო ნ ი. პოლიტხელი?

ს ე რ გ ე ი. არა. ქვემეხის მეთაური. ჩეკალენკო. ორმოცი წლისაა. სქელი, ულვაშებიანი. ღია პოზიციის მეფეა, ისე ჰყვება ამბავს, სიცილით ვიზოცებით. ჩამოდი ჩემთან, ძია, ცოცხალ მოციქულებს ნახავ: ოსტაპენკოს,

შაიამეტოვს, ბაშლიკოვს, ესკა სოკოლს. მთელი ქვეყანა რომ მოიარო, ასეთ ადამიანებს ვერ შეხვდები.

(მეორე თათხიდან მოისმის: „ფრონტის მთავარსარდლის სადღეგრძელო იყოს, ურა!“ „ურას“ ძახილი, ჭიქების წკაჭუნები).

მე კი არა მსურს, არ დავლევ ფრონტის მთავარსარდლის სადღეგრძელოს! მირონი. რატომ?

სერგეი. შამის სადღეგრძელო დავლიე, ეს მგონი, ზომაზე მეტი იყო. მთავარსარდლის სადღეგრძელოს დალევა-კი დღეს არა მსურს. დიაღ. თქვენ, ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, ნუ დამემდურებით. ამას მხოლოდ აქ ვამბობ. საერთოდ კი მე წესები მესმის. მთავარსარდალს პატივი უნდა სცე და მის ბრძანებას უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო. მაგრამ მისი სადღეგრძელოს დალევა დღეს არა მსურს. დიაღ. აი, ყველაფერი ის, რაც უნდა შეთქვა. ახლა კი, გვარდიის ლეიტენანტო, მშვიდად დაიძინე.

გაიდარი. აი ეგ მართალია.

სერგეი. შივიღიარ. აგისნით მხოლოდ თუ რატომ არ არის სტუმრებს შორის ჩემი სარდალი, გენერალ-მაიორი ოგნევი? თქვენ არ იცით, არა? შამის შევეკითხე. მან კი შეიფინა. არ უყვარს. რატომ მერე? არ სურს გაიგოს, რომ ჩემი სარდალი გენერალ-მაიორი ოგნევი იგივეა, რაც...

მირონი. ჩაბავეი?

სერგეი. არა.

მირონი. ბაგრატიონი?

სერგეი. არა.

მირონი. სუვოროვი?

სერგეი. ნუ იცინი.

მირონი. აბა ვინ?

(პაუზა).

სერგეი. იგი — ოგნევია. ვლადიმერ ოგნევი. ამას გაგება უნდა. მოხუცი მამა ჩემი-კი შორმჭერეტი კაცი არ არის... ეჰ, სამწუხაროა. (თვალებს იწმენდს). ძალიან სამწუხაროა. (გადააგდებს ჭიქას და წავა). (იმ თათხიდან, სადაც სტუმრები არიან, ისმის გიტარის ხმა. ვილაცა ნელა მღერის).

მირონი. ძნელია თქვენთვის მუშაობა ჩემს ძმასთან.

გაიდარი. მე სამოქალაქო კაცი ვარ. ომამდის სამოქალაქო სამუშაოზე ვიყავი. მიძნელდება. უნდა იცოდე სამხედრო საქმე, სამხედრო საქმე-კი ახლა ის არ არის, რაც სამოქალაქო ომის დროს იყო. ყველაფერი ძალიან გართულდა.

მირონი. თქვენ ფიქრობთ მერე, რომ ჩემმა ძმამ ნამდვილად იცის, თუ როგორ უნდა ბრძოლა დღეს?

გაიდარი. სამოქალაქო ომის გამოცდილება აქვს, აქვს ავტორიტეტიც მეთაურთა შორის. იბრძვის, როგორც შეუძლიან.

მირონი. იბრძვის, როგორც შეუძლიან... როგორც შეუძლიან? ხოლო როგორც საჭიროა — ჩქარა იქნება?

გაიდარი. მაგას სულ ველოდებით.

მირონი. იქნებ საჭირო არ არის?

გაიდარი. რა?

მ ი რ ო ნ ი. ლოდინი. ძალიან ძნელია, ძალიან ძვირი ჯდება ლოდინი.

გ ა ი დ ა რ ი. სხვები კი ახლოს არ არიან...

მ ი რ ო ნ ი. დიად... თგნევი როგორი-ღაა?

გ ა ი დ ა რ ი. ნიჭიერია, მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა.

მ ი რ ო ნ ი. (იციანს). სამოქალაქო ომში არ მიუღია მონაწილეობა... დენები ცოტა აქვს. ზომ ასეა?

გ ა ი დ ა რ ი. სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს მეთაურთა შორის ეს ჯერ კიდევ ასრულებს მთავარ როლს. რა გინდ ნიჭიერიც არ უნდა იყოს ახალგაზრდა მეთაური, რაკი მათთან ერთად სამოქალაქო ომში მონაწილეობა არ მიუღია, არა სცნობენ. პირფერობისათვის მხარზე ხელს უთათუნებენ, ნამდვილად კი ეჯავრებათ. ხშირად ვუმტკიცებთ და ვარწმუნებთ.

მ ი რ ო ნ ი. თქვენც ნუ კი უმტკიცებთ და არწმუნებთ, ომი გამოუცხადეთ უმეცრებსა და უმეცრებას სამხედრო საქმეში.

გ ა ი დ ა რ ი. ომში ეს არ შეიძლება.

მ ი რ ო ნ ი. რატომ? ზომ ვახსოვთ, რა მოხდა მრეწველობაში. თავდაპირველად ბევრ ქარხანასა და ტრესტში ღირებულებად ისხდნენ ძველი, დამსახურებული და ავტორიტეტისანი ამხანაგები. ისინი თავს იქებდნენ თავიანთი კოყრიანის ხელებით, ძლიერი ხშივ და მაგარი სიტყვებით, ხოლო საქმის ტექნიკა არ იცოდნენ და არც უნდოდათ სცოდნოდათ, ქარხნების მართვა არ შეეძლოთ. ყოველ ნაბიჯზე გაჰკიოდნენ თავიანთ ღირებულ წარმოშობაზე, მაგრამ სწავლა არ უნდოდათ, არ უნდოდათ თავიანთი ძველი ცოდნის გაფართოება ახალი გამოცდილებით. მერე რა გამოვიდა აქედან? ქარხნები ძალიან ცუდად მუშაობდნენ, რადგან თითქმის ყველგან „ავტორიტეტისანი“ და საკუთარ თავზე შეყვარებული უმეცრები ისხდნენ. და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს რომ მკვეთრად არ შეებრუნებინა საქმე, საწარმოთა სათავეში რომ ინვენტრები, ტექნიკოსები და საქმის მცოდნე ადამიანები არ დაესვა, მუშები უეჭველად იტყოდნენ: ჯანდაბას! იქითაც გქონიათ გზა თქვენი ძველი „ავტორიტეტისანი“ ადამიანებიანად, რაკი საქმის პატრონობა არ შეგძლებიათო. ეს ფაქტია. უმეცრებმა ბევრი იყვირეს, მაგრამ მათ არავინ არ დაუჭირა მხარი. ხალხს უყვარს მხოლოდ მცოდნე და ჭკვიანი ხელმძღვანელები და მათ მოითხოვს.

გ ა ი დ ა რ ი. ომში ყველაფერი ბევრად უფრო რთულია. აქ მკვეთრი შემობრუნებით შეიძლება მანქანა დაამტერიო. სხვა მეთოდებია საჭირო. მტერი ჩვენს ტერიტორიაზეა. იძულებული ვხდებით ველოლიათ არა მართო ისეთებს, როგორიც თქვენი მშაა, ოღონდ გავანთავისუფლოთ ჩვენი მიწა-წყალი.

მ ი რ ო ნ ი. რაკი გინდათ, ელოლიავეთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მალე მოგბეზრდებათ ეგ. მე დღეს ჩემს ძმას უკვე გამოუცხადე ომი. აქ ორი დღე უნდა დავრჩე, მაგრამ მე მას, ამ კამეჩს, სისხლს გაფუშრობ.

გ ა ი დ ა რ ი. (იციანს). როგორ?

მ ი რ ო ნ ი. სტუმრებს რომ ერთი საათით დაგვიანებოდათ, თეფშები მთლად დალეწილი დახედებოდათ. ძმამ ერთი ლანგარი ისე დაახეთქა იატაკზე, რომ ნამსხვრევები კედლებს შეინარცხა. (იციანს).

(შემოდის მთავარსარდლის აღუტანტი).

აღუტანტი. ამხანაგო სამხედრო საბჭოს წევრო, ნება მომეცით მოგახსენოთ.

გაიდარი. სთქვირ.

აღუტანტი. ეს არის ეხლა დარეკეს მოსკოვიდან, ხვალ თქვენთვისაც დაიწყება მოსკოვში უნდა იყოთ თავდაცვის კომიტეტში მისი წინაწერი (აძლევს ფურცელს).

გაიდარი. გადავცით, რომ მოამზადონ თვითმფრინავი. რვის ნახევრისათვის.

აღუტანტი. არის მოამზადონ თვითმფრინავი რვის ნახევრისათვის. (გაღის).

მირონი. საწყენია, რომ ზეგ არ მიფრინავთ. ერთად ვიმგზავრებდით.

გაიდარი. ძალიან კარგი იქნებოდა. მე ახლა მთავარსარდალს ვამოვიძახებ. (გაღის მეორე ოთახში).

მირონი. (ასხამს ღვინოს ჭიქაში). სტუმრები ბლომად არიან, მაგრამ ვერავისთან დამილევია... რას იზამ (აიღებს ჭიქას), იყავ დღეგრძელი, ჩემო ვალია... (სევას).

(შემოდის მთავარსარდალი და გაიდარი).

გორლოვი. (იცინის). შეხედე ჩემს ძმას, მარტო შეექცევა. მიყვარს იგი. თუმცა კრიტიკოსებში ჩაეწერა, მაგრამ...

მირონი. დამაყადე. სტუმრები წავლენ და გიჩვენებ სეირს.

გორლოვი. ჩუმიად იყავი. აქ ზურგი არ გეგონოს, ფრონტია. მე კი მთავარსარდალი ვარ. ვუბრძანებ და თვალის დახამხამებაზე პაუზაგაბტში ამოჰყოფ თავს. გესმის? (ხარხარებს).

მირონი. სამხედრო საბჭოს წევრი არ მაწყენინებს.

გორლოვი. სამხედრო საბჭოს წევრს, რასაკვირველია, შეუძლიან პროტესტი განაცხადოს. გეთანხმები. მაგრამ თუ მთავარსარდალი თავის გადაწყვეტილებას მტკიცედ დაიცავს, — იგი კი მტკიცე უნდა იყოს, — მაშინ თვით ღმერთიც ვერას გიშველის.

მირონი. ახ, შე კამეჩო, შენა. გაგანებვირეს, დიად, გაგანებვირეს.

გორლოვი. აბა, აბა... თორემ ჩემი სიტყვა და საქმე ერთია. იყავ დღეგრძელი. (აიღებს ჭიქას, დალევს).

გაიდარი. ყური მოვდე, ივან ივანიჩ, მოსკოვში მიბარებენ. თვრამეტსა და ოცდაათ წუთზე თავდაცვის კომიტეტში უნდა იყო.

გორლოვი. მარტო შენ გიბარებენ?

გაიდარი. დიად.

გორლოვი. მერე, ხვალ გაფრინდი.

გაიდარი. უნდა მოვილაპარაკოთ. მე წაუალ მოვემზადები, შენ კი ერთი საათის შემდეგ გამოიარე მანქანით.

გორლოვი. კარგი. როგორც კი სტუმრები წავლენ, მოვალ.

გაიდარი. (მირონს). იყავით ჯანმრთელად. მოხარული ვიქნები, თუ თქვენ მოგისწრებთ აქ.

მირონი. მოსკოვში შეგხვდებით ერთმანეთს. თავდაცვის კომიტეტში ვიქნები. გისურვებთ კეთილ მგზავრობას.

გაიდარი. გმადლობთ. (გადის. გორლოვი გააცილებს).

(პაუზის შემდეგ გამოდიან სტუმრები. ხელში ჭიქები უჭირავთ სამხედრო პირთა შორის არიან სამოქალაქონიც. წინ არის გენერალ-მაიორი ხრიპუნე).

ხრიპუნე. სად არის მთავარსარდალი? მას ისეთი სადღეგრძელო მოეღოს, რომ...

მირონი. ახლავე მოვა.

ხრიპუნე. წინადადება შემომამქვს, ვაღღეგრძელოთ ჩვენი ძვირფასი მთავარსარდალის ძმა. თქვენი ძმა შესანიშნავი მხედართმთავარია. მე ვიტყვოდი, გენიალურია. არმიის საყვარელი კაცია. და დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ მისი ღირსეული ძმა ხართ. იყავით დღეგრძელი.

მირონი. (იღიმება). რას ამბობთ, რას! მე ძალიან უჩინარი კაცი ვარ. (შემოდის სარდალი).

ხრიპუნე. ამხანაგო მთავარსარდალო, ხალხის საყვარელს, ჩვენს ცნობილ დამსახურებულ მსახიობს ამხანაგ გრუსტნის სურს მოგმართოთ თორიოდე სიტყვით და გამოსამშვიდობებლად შეასრულოს ჩვენი საყვარელი სიმღერა. გთხოვთ, ამხანაგო გრუსტნი. (აწვდის გიტარას).

გორლოვი. უშჯობესია იმღეროთ, ლაპარაკი საქირო არ არის.

გრუსტნი. ნება მომეცით ნახევარი წუთით. მეტად აგზნებული ვარ სიხარულით. მთელმა ამ სამმა თვემ, რომელიც ვავატარე აქ, თქვენს შორის, ფრონტის მოწინავე ხაზზე, იმდენად აღმაფრთოვანა, გამომაწრთო, აღმავესო უღიადესი გრძნობებით, სიყვარულისა და ზიზღის გრძნობებით...

მირონი. გამიგონეთ, გრუსტნო, უშჯობესია იმღეროთ, თორემ ლაპარაკით ხმა ჩაგებლიჩებათ...

ხმები. იმღერეთ... იმღერეთ... ლაპარაკი საქირო არ არის...

(წინ გამოხტება ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი მესტნი, ხელში ჭიქა უჭირავს).

მესტნი. მოითმინეთ, მოითმინეთ, მე, როგორც ქალაქის მერი, პროტესტს ვაცხადებ და ინტელიგენციის დაჩაგვრის ნებას არავის მიცევ. მსახიობო გრუსტნო, განაგრძეთ სიტყვა.

გრუსტნი. (ცხვირსახოცით თვალებს იწმენდს). მაშ კარგი. ჩემს მღელვარებას, ჩემს აზრებს სიმღერაში გამოვხატავ (ჯდება სკამზე, უკრავს გიტარას, შემდეგ მღერის: „გააღე ნელა ჭიშკარი...“). (სიმღერის გათავების შემდეგ, გრუსტნის ყველა ტაშს უკრავს. ხმები: „ვაშა“, „ვაშა“. გრუსტნი თავს უკრავს).

მესტნი. ბარაქალა, ბარაქალა, არტისტო. ახლა დაუკარი ლეკური... (უნდა იცეკვოს).

გორლოვი. შეჩერდით. შეჩერდით. დაიცა, ქალაქის მერი. მე ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ძვირფასო სტუმრებო, სამუშაო მაქვს.

მესტნი. ჩვენც მივდივართ სამუშაოდ. დილამდის ვიმუშავებ. მთელ ძაღლონეს ფრონტს მივუძღვნი. ნება მომეცით ჩვენს მთავარსარდალს, რომელმაც არ შემოუშვა ფაშისტები ჩვენს ქალაქში, ჩვენს სტრატეგს და მხსნელს შევძახოთ ჩვენი საბრძოლო სამოქალაქო „ვაშა“ (სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა სტუმრებმა ერთხმად შესძახეს „ვაშა“, ხელს ართმევენ გორლოვს. მესტნი სკოცხელად მიიწევს).

გორლოვი. გმადლობთ, ამხანაგო სამოქალაქონო. გმადლობთ თქვენ, ჩემო მეზობლო მეგობრებო, გმადლობთ ყველა თბილი გრძობისაკვის. მაგრამ, რაკი მე პირდაპირობა მიყვარს, უნდა აღვნიშნო: პირველი — არ არის სწორი, როგორც დღეს ბევრი ამბობდა აქ, ~~თინქანს ქვედაში~~ რწმუნებული ფრონტის მთელი რიგი დიდი, — მე ვიტყვი ~~სსსსსსსსსს~~ — გამარჯვებები დამოკიდებული ყოფილიყოს მხოლოდ ჩემგან, როგორც მთავარსარდლისგან. ეს არ არის სწორი.

მესტნი (ყვირის). არ გეთანხმებით, არ არის მართალი, მართალი არ არის! გორლოვი. შენ კი, ამხანაგო მესტნი, დაჩუმდი. ჩვენი ფრონტის გამარჯვება დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენი მეზობლების სიმამაცეზე.

მესტნი. სწორია, სწორი.

გორლოვი. და მეორე, რაშიაქ მე არ გეთანხმებით: თქვენ ბევრს ლაპარაკობდით იმაზე, თითქოს მე ბრწყინვალე, დიდი და თითქმის გენიალური მხედართმთავარი ვიყო. მე კი უბრალო და თავმდაბალი კაცი ვარ. მე ბრძოლა დაეწიე მას შემდეგ, რაც სოფლად დავაშთარე „უნივერსიტეტის“ სამი ჯგუფი. და სხვა არავითარი უნივერსიტეტი არ გამიფლია. ბრძოლას ვსწავლობდი არა აკადემიებში, არამედ ოშში. მე თეორეტიკოსი არა ვარ, მე ვარ ძველი მხედარი. საზღვარგარეთ ამას წინათ ერთმა მიმოხილველმა ჩემი მისამართით სთქვა: „სარდალი გორლოვი ჩვეულებრივი წარმოდგენების ჩარჩოებში ვერ თავსდება“. ამ ბურჟუაზიულ სპეცებს ვერასგზით ვერ შეუგნიათ, თუ როგორ ამარცხებს გორლოვი, მიწის მუშა კაცი, მიწის მუშის ბუნებით განმსკვალული, არა აკადემიკოსი და არა თეორეტიკოსი, ნაჭებ გერმანელ გენერლებს, თეორეტიკოსებსა და აკადემიკოსებსაც (იციან).

(ტაშს უკრავენ. ხმები: „ვაშა“).

მესტნი. ამარცხებს გორლოვი და კიდევაც დაამარცხებს, რადგან ჩვენ გაქვს ისეთი სული...

(ტაში).

გორლოვი. სწორედ ეგ არის, ამხანაგო მესტნი. დიად. მთელი საქმე სულშია. ჩვენი სული კი უბრალო და უმზაკერია. ნუ მახლებ ხელს, არც მე ვახლებ, მაგრამ თუ მახლებ — მერე მშვიდობით! მხედართმთავარს უმთავრესი ძლიერება — სულში აქვს. თუ სული გაბედული, მამაცი და მტკიცე გაქვს კაცს, მაშინ საშიში არავინ არ არის. ჩვენ კი ამ თვისებებით უხვდა ვართ დაჯილდოვებული. ხომ მართალს ვამბობ? (ხმები: „მართალია“, „მართალია“. ტაში). მე არა ვარ ჩვეული კაბინეტში დიდხანს ჯდომას და რუკაზე თავის მტერევას. ოში აკადემია არ არის. მთავარია — ეძიო მტერი და დასცხო იქ, სადაც აღმოაჩენ მას. უკამათოდ უნდა იმოქმედო. ხომ მართალს ვამბობ? (ხმები: „მართალია“. ტაში). სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჩემმა გენერალმა აქამდის ვერ შეიგნო ეს უბრალო ჭეშმარიტება. არიან ჩვენთან მწიგნობარი სტრატეგები, რომლებიც სულ სამხედრო კულტურაზე ლაყბობენ. მიხდება ხოლმე მათთვის ჭკუის სწავლება.

მ ი რ ო ნ ი. ძალზე ცუდად იქცევი. ჩვენ ჯერ კიდევ ბლომად გვყავს კულტურა მეთაურები, რომელთაც არ ესმით თანამედროვე ომი, და ამისა ჩვენი უბედურება. ომის მოგება მართო მამაცობით შეუძლებელია ომი რომ მოიგო, მამაცობის გარდა, საჭიროა ბრძოლის ცოდნა, სპორტული ბრძოლა თანამედროვე თვალსაზრისით, საჭიროა ისწავლო ბრძოლა თანამედროვე პირობების მიხედვით: სამოქალაქო ომის გამოცდილება ამისათვის საკმაო არ არის.

გ ო რ ლ ო ვ ი. აი ხომ ხედავთ, ჩემი ძმაც კულტურაზე ალაპარაკდა. გეკითხებით, რა კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი ომში, როცა თვით ომი სრულიად უკულტურო საქმეა. ჩვენი ხელობა ძალიან ტლანქი ხელობაა და კულტურული, თეთრი ხელთათმანებით ვერას ვაბდებო. ერთხელ კიდევ გმადლობთ, ამხანაგებო, თბილი გრძნობებისათვის. წადით, დაისვენეთ, ჩვენ კი, ჯარისკაცები, მუშაობას შევუდგებით. ხომ ასეა, ამხანაგო გენერალო?

ბ რ ი ბ უ ნ ი. სწორია, ამხანაგო მთავარსარდალო.

მ ე ს ტ ნ ი. შევსვით, ამხანაგებო, და ჩვენც წავიდეთ სამუშაოდ. შევსვით და მთელი ძალ-ღონე ფრონტს მოვახმავთ. (ასხამს ჭიქაში, სვამს).

გ რ უ ს ტ ნ ი. ვთხოვთ მიბოძოთ თქვენი ავტოგრაფი. (აწეღის ბლოკნოტს).

გ ო რ ლ ო ვ ი. შეიძლება. (აწერს ხელს).

გ რ უ ს ტ ნ ი. გმადლობთ. ეს დღე ყველაზე უბედნიერესი დღეა ჩემთვის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ყ ვ ე ლ ა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

(გადიან. დერეფნიდან ისმის ხმები: „რა შესანიშნავი ადამიანია“, „დიდად ჭკვიანი კაცია“, „ნამდვილი მხედართმთავარია“. მესტნის ხმა: „ჩვენი ქალაქის მხსნელია“...).

მ ი რ ო ნ ი. (მიხურავს კარებს). ფუ... ეშველა...

გ ო რ ლ ო ვ ი. კარგი ხალხია, არა?

(მირონი სღუმს).

გ ო რ ლ ო ვ ი. რას დაფიქრდი?

მ ი რ ო ნ ი. მე ვფიქრობ: ღმერთო ჩემო, როდის გადაშენდებიან ჩვენს მიწაზე სულულები, უმეცრები, ლაქიები, მუხმუხულები, თვალთმაქცები.

გ ო რ ლ ო ვ ი. შენ ისევ შენსას გაიძახი. რა გაეწყობა: იფიქრე, იფიქრე. ინდოურმაც ასე იფიქრა და სული განუტევა (გადიხარხარებს, გადის მეორე ოთახში).

მ ი რ ო ნ ი. მართალია. ფიქრი გვიანდაა. საჭიროა დაეარტყათ მათ, ამ თავისთავზე შეყვარებულ უმეცრებს, საჭიროა მაგათი ამოგდება ძირფესვიანად. მაგათი სასწრაფოდ შეცვლა სხვა, ახალი, ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანებით. სხვანაირად შეიძლება დაგველუპოს ჩვენი დიადი საქმე.

(მირველი მოქმედების დასასრული).



გიორგი ჯიბლაძე

გერმანიის მილიტარიზმის პრივივა ილია ჭავჭავაძის კულტურისთვის

გერმანიის მილიტარიზმი, რომლის ყველაზე უხეში აგრესიული ფორმები და მეთოდები გადაიღეს გერმანელმა ფაშისტებმა, ყოველთვის მკვეთრ წინააღმდეგობას და კრიტიკას ხვდებოდა კაცობრიობის მოწინავე ადამიანების მხრივ. ამ სახელგანთქმულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების ნაყოფიერ ნიადაგზე აღიზარდა და მთელი თავისი მოღვაწეობა ორგანოულად დაუკავშირა ისტორიის პროგრესის, მეცნიერების წინსვლის, კულტურის აყვავების საკაცობრიო იდეალებს. ბელინსკი და ჩერნიშევსკი, დობროლინოვი და პისარევი, რუსული ლიტერატურის პროგრესიული იდეები — აი რამ განსაზღვრა ამ დიდი მოაზროვნის, პოეტის, ბელეტრისტიკოსისა და პუბლიცისტის მომავალი სამოღვაწეო გზა. „ფეოდალურ-პროგრესიული მიმდინარეობის“¹⁾ მეთაური საქართველოში გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. არ დაჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი და საზოგადოებრივი საქმე, რომელიც პოეტის ცხოვრების ეპოქაში წამოჭრილიყოს, და მას ილია არ გამოხმაურებოდეს. ფართო და ვრცელი იყო მისი მოღვაწეობის ასპარეზი. ილიამ მეცნიერულად პირველმა დააფუძნა ქართულ ლიტერატურაში ხელოვნების უტილიტარული გაგება. საქართველოს ისტორიის, ეკონომიური ცხოვრების, ენის, პედაგოგიკის, ეურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები ილიას ფუნდამენტალური კვლევის საგანი იყო.

დიდ ინტერესს იწვევს დღეს კერძოდ ილიას პუბლიცისტიკა, რომელშიც მკვეთრად გამოსჭვივებს შეურიგებელი დამოკიდებულება გერმანიის მილიტარიზმისადმი და გასული საუკუნის მეთრე ნახევრის საერთაშორისო ვითარების ანალიზის საფუძველზე მოცემულია მისი მძაფრი კრიტიკა.



მიმოხილვებსა და „ივერიის“ მოწინავე წერილებში ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის ევროპისა და აზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა დრმა ანალიზს გვაძლევს. ამასთან ერთად იგი

¹⁾ ლ. პ. ბერია, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხი-სკოის“, 1939 წ., გვ. 13.

ბრძოლას უცხადებს ძალმომრეობას, დამპყრობლურ ომებს, ხალხებს ჩაგვრასა და დამონებას, ომის წარმოების პრუსიულ მეთოდს, რომელიც ბისმარკი იყენებდა საფრანგეთის, დანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებზე წინააღმდეგ. ილიას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ კოლონიალური მხადება, რასაც ევროპის სახელმწიფოები და კერძოდ გერმანია აწარმოებდა, ომის გვიანტურ ხანძრად გადაიქცეოდა, რომელიც საშინელ უბედურებად დაატყდებოდა თავს კაცობრიობას. ამ საკითხს ილიამ მთელ რიგ სტატიებთან ერთად „ვერობაში“ მიუძღვნა რამდენიმე მოწინავე წერილი, რომლებიც მის თხზულებებში შესულია სახელწოდებით: „მილიტარიზმა ევროპაში“, „ისევე ევროპის მილიტარიზმის შესახებ“, „ევროპის მილიტარიზმა და ამერიკის მერმისი“.

1839 წელს, როცა შედარებით მისწყდა ლაპარაკი ომის შესახებ, ილიას თვალი არ მოუხუჭავს იმ დიდი განსაცდელის წინაშე, რომელიც ზეავად აწვა კაცობრიობას. მან იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა იმ თვისა შეადარა, რომელშიც ცეცხლია დაძაღული. ილია ამტკიცებდა, რომ „გერმანია უომროდ ვერ გადაჩნება“. ¹⁾ იგი იქვე მიუთითებდა: „ამაში ეჭვი არაუვის არ უნდა ჰქონდეს. საქმე იმისთანა დროისა და გარემოების ზელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად. ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია დღეს გერმანია და იმის ცდაში, რომ ეს დრო და გარემოება მოიზადოს... დღევანდელს მიუყჩებულს ყოფას ევროპისას კაცმა სანდო თვალით არ უნდა უყუროს“. ²⁾ შემდეგი დროის მოვლენებმა სავსებით გაამართლეს ილიას ეს შორსმჭვრეტელობა. ჰოქენცოლურების გერმანია მართლაც უცდიდა ზელსაყრელ დროს, რომ ომი დაეწყო. კაიზერის გერმანიის ეს მოლოდინი 1914 წლამდე გაგრძელდა, რასაც ილია ვერ მოეწყო, მაგრამ მოესწრნენ ადამიანები, რომლებიც ილიას მსგავსად ეჭვით უყურებდნენ ევროპის მშვიდობიანობას და შეგნებული ჰქონდათ, რომ გერმანიის მიერ ათეული წლების მანძილზე წარმოებულ სამხედრო მზადებას დიდი სისხლისღვრა და ზოცვა-ჟღერა მოჰყვებოდა.

რა მიზანს ისახავდა გერმანია?

„ემზადებოდა რა იმპერიალისტური ომისათვის, გერმანია მიისწრაფოდა წაერთმია ინგლისისა და საფრანგეთისათვის კოლონიები, რუსეთისათვის — უკრაინა, პოლონეთი, ბალტიის მხარე. გერმანია ემუქრებოდა ინგლისის ბატონობას ახლო აღმოსავლეთში იმით, რომ გაიყვანა ბალდადის რკინიგზა. ინგლისის გერმანიის საზღვაო შეიარაღების ზრდისა ეშინოდა“. ³⁾ 1914 წელს იფეთქა მსოფლიო ომმა, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა, რაშიც დამანაშავენი იყვნენ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი აგრესორი ჰოქენცოლურების გერმანია იყო. ამ ომისათვის ათეულ წლებით ემზადებოდა გერმანია, ეს ომი არსებითად იყო გაგრძელება იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოტო ბისმარკი ატარებდა.

ბისმარკი დაიბადა იმ წელს, როცა ევროპამ საბოლოოდ მოიშორა ნაპოლეონის ბატონობის უღელი. ეს იყო 1815 წელი. გერმანიის იმპერიის შექმნელ-

¹⁾ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. X, გვ. 65.

²⁾ იქვე.

³⁾ „საგ. კ. 3. (2) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 242 — 243.

სა და შთამაგონებელს ბისმარკს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპის სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილს უკუიწევს როგორც პოლიტიკოსს და დიპლომატს. ბისმარკი თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ჰქმნიდა გერმანიის პოლიტიკურ ცენტრში კაპიტალიზმის განვითარების სტადიიდან იმპერიალიზმის სტადიამდე. იგი სწორედ იმ წლის ივლისში გარდაიცვალა, როცა ახალმა მძლავრმა სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი დაიწყო ესპანეთთან. ეს იყო 1898 წელი. „იმპერიალიზმის“ ცნებაც ამ პერიოდიდან იწყებს შექრას ლიტერატურაში. ლენინი თავის კლასიკურ ნაშრომში — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — მიუთითებდა, რომ „...განსაკუთრებით ესპანეთ-ამერიკის (1898) და ინგლის-ბურთა (1899 — 1902) ომების შემდეგ, ძველი და ახალი ქვეყნის ეკონომიური, და აგრეთვე პოლიტიკური, ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ხშირად ჩერდება თანამედროვე ეპოქის დასახასიათებლად „იმპერიალიზმის“ ცნებაზე“ ამ ეპოქის წინ უსწრებდა ბისმარკი, რომელიც იყო რეაქციის სულისჩამდგმელი ევროპაში და მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაუძინებელი მტერი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში „რკინის კანცლერმა“ გააერთიანა გერმანია და გადაიხალა სამი სისხლისმღვრელი ომი. მის სინდისს არ ამძიმებდა 80 ათასი სიცოცხლე, რომელიც ამ ომებს შეეწირა. ბისმარკის როლი და პოლიტიკური მოღვაწეობა ლენინმა გენიალურად განსაზღვრა 1914 წელს წერილში — „О национальной гордости великороссов“. ლენინი სწერდა, რომ „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, პროგრესიული ისტორიული საქმე გააკეთა“, — რომ იგი „...ეკონომიურ განვითარებას უწყობდა ხელს, იმ გერმანელებს აერთიანებდა, რომელთაც სხვა ერები ჩაგრავენდნენ.“¹⁾ მაგრამ ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ „ქარგი სანახავი იქნებოდა „მარქსისტი“, რომელიც ამიტომ გაამართლებდა სოციალისტის დახმარებას ბისმარკისადმი.“ ბისმარკი იყო 1848 წლის რევოლუციის მესაფლავე, რევოლუციის მტერი, პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის მტერი, იგი რეაქციის მხარეზე იდგა და ძალადობით, სისასტიკით უკაფავდა გზას XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალდემოკრატიის გერმანიის დინასტიურ ომებს.

„ყოველგვარი პოლიტიკა სჯობს მერყეობის პოლიტიკას“ — ბისმარკის ამ სიტყვებში თითქოს ჩაქსოვილია მისი სახელიც — „რკინის კანცლერი“. იგი შემთხვევით როდი იმეორებდა, რომ „დიპლომატისათვის ყველაზე უფრო საშიშია ილუზიები“. ბისმარკი რეალურ ძალთა პრაქტიკული შეფარდების ანგარიშიდან გამომდინარე და მისი ცბიერება ყველაფერს ამ პრაქტიკის სსს-სწორზე სდებდა. ასეთი იყო იგი ახალგაზრდობაშიც და მით უფრო კანცლერის პოსტზე. გერმანიის 1848 წლის რევოლუციის დღეებში ახალგაზრდა ბისმარკი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის დასაცავად. ამ პერიოდში მარქსი და ენგელსი „ახალ რეინის გაზეთში“ სწერდნენ: „პრუსიის, როგორც საერთოდ გერმანიის ბურჟუაზიის ისტორია მარტიდან დეკემბრამდე, გვიჩვენებს, რომ გერმანიაში წმინდა ბურჟუაზიული რევოლუცია და ბურჟუაზიული ძალაუფლების შექმნა კონსტიტუციური მონარქიის ფორმით შეუძლებელია, რომ შესაძლებელია მხოლოდ ან

¹⁾ ლენინი, თხზულებანი, ტ. XVIII, გვ. 98. კართ. გამ.

ფეოდალურ-აბსოლუტისტური კონტრარევოლუციით, ან სოციალ-რევოლუციონერი რევოლუციით.“¹⁾ 1848 წლის რევოლუციის დამარცხებას გერმანიაში შედეგად მოჰყვა ფეოდალურ-აბსოლუტისტური კონტრარევოლუციური რევოლუციონერიალისტმა ბისმარკმა ძალები მოიკრიბა და დაიწყო თავისი „პროგრესიული“, უკვე ჩამოყალიბებული, იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლა.

1851 წელს ბისმარკი შეუდგა დიპლომატიურ მოღვაწეობას — მაისში დაინიშნა ჯერ მრჩეველად, ხოლო შემდეგ ელჩად პრუსიისა მაინის ტრანსჟურტის სამოკავშირეო სეიმთან. 1859—1862 წლებში იგი პრუსიის ელჩი იყო პეტერბურგში, სადაც ბუშინის ლიცეუმელ ამხანაგ, შემდეგ კი ნიჰიერ დიპლომატ გორჩაკოვთან საფუძვლიანად გაეცნო რუსეთის დიპლომატიას. ამ დიპლომატიას კი ეეროპაში მაღალ შეფასებას აძლევდნენ. 1862 წელს იგი ხდება პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი. უფრო ადრე მან მტკიცედ გადასწყვიტა, რომ პარლამენტს არ დაეყრდნობა, საკიროა მხოლოდ ძალა და ძალით მოქმედება. „ეპოქის დიდი საკითხები წყდება არა სიტყვებითა და საპარლამენტო რეზოლუციებით, — სწერდა ბისმარკი 1862 წელს, — ეს 1848—1849 წწ. შეცდომა იყო, — არამედ რკინითა და სისხლით“. ეს „რკინა და სისხლი“, ეს ძალმომრეობა დაედო საფუძვლად ბისმარკის მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობას გერმანიის იმპერიის შექმნისათვის. 1864 წელს ბისმარკი სწერდა: „სახელმწიფოებრივი უფლების საკითხები საბოლოო ანგარიშით წყდება ხმშტის დახმარებით“. ეს იყო აგრესიული პოლიტიკის აპოლოგეტიკა და შედეგს არც დაუყოვნებია. იმავე წელს ბისმარკმა დაიწყო ომი დაჩიხსთან. მისი ამოცანა იყო უამრავ პატარ-პატარა სახელმწიფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული მაშინდელი გერმანიის გაერთიანება პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ. ამ ჰეგემონიაზე ორი შეტოქე ეცილებოდა ერთმანეთს — ორი გერმანული სახელმწიფო — ავსტრია და პრუსია. პრუსიის ჰეგემონიის იდეა ბისმარკს გაცილებით გვიან დაებადა. თავდაპირველად იგი სცნობდა ავსტრიის ჰეგემონიას, რამდენადაც ავსტრია პრუსიასთან შედარებით უფრო ძლიერი იყო და პრუსიას დროისათვის უნდა ეცადა, რომ შეიარაღებულიყო და შემდეგ იარაღით გაეფართოებინა თავისი ვაგუნის სფეროები. დიპლომატის პოსტზე ბისმარკმა საბოლოოდ შეიმუშავა თავისი პოლიტიკური იდეალები, რომელთა განხორციელებას მან შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა. ისტორიული განვითარების პირობები მაშინ ისეთი იყო, რომ დღის წესრიგში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. ამის შესახებ ლენინი სწერს: „რევში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, კლასების მაშინდელი ურთიერთმიმართების პირობებში, ორგვერად: ან რევოლუციის გზით, რამელსაც პროლეტარიატი უხელმძღვანელებდა და გერმანიის რესპუბლიკას შეჰქმნიდა, ან პრუსიის დინასტიური ომების გზით, რომლებიც განამტკიცებდნენ პრუსიელ მეშამულეთა ჰეგემონიის გაერთიანებაში.“²⁾ ბისმარკი მეორე გზას ადგა. იგი იუნკრულ-დინასტიურ საფუძველზე ცდილობდა მონარქიისა და მეშამულური წყობის დაცვას და გერმანიის გაერთიანებას პრუსიის მეთაურობით. ამ ბრძოლაში იგი იყენებდა ორივე ძალას — პროლეტარიატსა და იუნკრობას, რომლებსაც მისი აზრით ხელმძღვანელობდა უნდა გაეწიათ გერმანიის გაერთიანებისათვის და აეჭულე-

¹⁾ См. Маркс и Энгельс, Соч. т. VII, стр. 72.

²⁾ ლენინი, თხზულებანი, ტ. XVII, გვ. 547. რუს. გამოცემა.

მინათ ბურჟუაზია მათს გზას გააყოლოდა. ბისმარკი ვერმანის ნაციონალური გაერთიანებისათვის ბრძოლაში პრუსიისა და ავსტრიის ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მათ შორის აუცილებელი იყო შეტაკება გავლენის სფეროებისათვის, და თვითონაც შეტაკებისათვის. შეტი შეიძლება ითქვას: ბისმარკმა ხელი შეუწყო და თვითონვე მოამზადა ეს შეტაკება. როგორც ცნობილია, ავსტრიასთან ომი 1866 წელს დაიწყო, ორი წლის შემდეგ, რაც პრუსიამ დანია დაიმორჩილა.

ბისმარკის ამ დამპყრობლურ ომებში ილიამ სავესებით სწორად დაინახა ის გერაგობა, რომელსაც პრუსია თავისი მინისტრ-პრეზიდენტის საშუალებით ანხორციელებდა. ფაქტი იყო, რომ ბისმარკს ყოველთვის მაღა ჰქონდა სხვის ლექმას დაჰაბატონებოდა. გერმანიის მეზობლებმა ეს კარგად იცოდნენ. მათ ისიც იცოდნენ, რომ „ბისმარკი მეტად მოხერხებული კაცია; საქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, რომ როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის გათახსირება უნდა, მეორე მტრის, თუ მოპირდაპირეს, გაიმეგობრებს ხოლმე, და პირველს რომ ანდერძს აუგებს, ესლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს.“¹⁾ ამ სავესებით სწორი დებულების საილუსტრაციოდ ილიას მოჰყავს დანიისა და ავსტრიის მაგალითი. როცა პრუსია 1864 წელს დანიას ეომებოდა, რომელსაც შლესვიგ-გოლშტინია წაართვა და „ავსტრიას ჩალა გამოავლო“, ამ ომში მან ავსტრია გაიმეგობრა, ორი წლის შემდეგ კი თვით ავსტრიას შეესია და „საფრანგეთმა თუმცა მაშინ ბალანი აუშვა, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა: შენ დამაცალე, ერთი ავსტრიას მოერჩეო და შენც შენსას გარგუნებო“. 1870 წელს კი თვით საფრანგეთს შეესია და მაშინ იტალიას აღუთქვა დაპირებები. საფრანგეთი დამარცხა, წაართვა მას ელზასი და ლოტარინგია. „ამ სახით, ავსტრიის შემწეობით დანია დამარცხა, საფრანგეთის მოთათბირებით ავსტრიას ტყავი გააძრო, ავსტრიის დაუძღურებით და რუსეთ-იტალიის მომხრეობით საფრანგეთზე გაიმარჯვა და ამ გზით თითო-თითოდ გაინაპირა თავისი მეტოქენი, თითო-თითოდ და ცალ-ცალკე დაჰაბა. მართალს ამბობენ ზოგიერთნი, რომ დანიაზე ბისმარკის გამარჯვება ავსტრიის დამარცხება იყო, ავსტრიაზედ გამარჯვება — საფრანგეთის დამარცხებო, და საფრანგეთზედ გამარჯვება ვისი დამარცხება იქნება, ამას ბოლო გამოაჩენს.“²⁾

ასე იკაფავდა გზას გერმანიის კაპიტალიზმი. კაპიტალის მთელი ისტორია კი „...ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის, სისხლისა და სიმძინურის ისტორიაა.“³⁾ უსასტიკესი ტერორითა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვ-ელექტით იპყრობდა პრუსია ახალ ტერიტორიებს. მაგრამ დაპყრობილით იგი არ კმაყოფილდებოდა. სამხედრო შეიარაღებას და ახალი ომებისათვის მზადებას კვლავ განაგრძობდა. 30-იან წლებში მთელი ევროპა ილიას წარმოდგენილი ჰქონდა „ერთს დიდს სამხედრო ბანაკად“, რომელიც უზარმაზარ თანხებს ნთქავდა, შრომისათვის ვარგის აღამიხებს აცდენდა. ყოველივე ეს კი უმიძიებს ტვირთად იწვა მთელი ევროპის ხალხებს. „სიმძიმე დღევანდელის დღისა, — სწერდა ილია 1886 წელს, — ეს სულ ბისმარკის ეგრეთწოდებულ „მილიტარიზმის“ ბრალია“. გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკას ილია

¹⁾ ილია ჯავახიძე, ტ. X, გვ. 141.

²⁾ იქვე, გვ. 142.

³⁾ ლენინი, ოსულებანი, ტ. XVIII, გვ. 98, ქართ. გამოც.

უკავშირებს ევროპის იმ ადამიანებს, რომლებიც ებრძოდნენ „მილიტარიზმს“, არაფერს ზოგადდნენ „ამ გერმანიისაგან შემოტანილის მილიტარიზმის დასამსხობად“. ასეთი მებრძოლები იყვნენ არა მარტო ესპანეთში, არამედ უფრო გერმანიისაშიც და ილია შენიშნავს: „თითონ გერმანიისაშიც უკეთესი გერმანიელი ამ მილიტარიზმის ბოლოს მოღებას დაუცხრომლად ჰყვებოდნენ.“¹⁾ მილიტარიზმმა ევროპა გააღარიბა და გააღატაკა. მან ჩააყლაპა და კვლავ ჰყლაპავდა ქვეყნის დოვლათს. რა უნდა მოჰყოლოდა ამ მდგომარეობას? ილია ხალხებისა და ქვეყნების უბედურების მიზეზს ხედავდა „ამ ყოფაში“ — მილიტარიზმში, რომელიც ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა წარმოშვეს და, მართალია, მას არ მოუცია ამ პირობების, კაპიტალისტური განვითარების ანალიზი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მოგონაზე, 1899 წლის 31 დეკემბრის „ივერიის“ მოწინავე წერილში — „მეცხრამეტე საუკუნე“ სწორად მიუთითა, რომ მიუხედავად მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული აყვავებისა, უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვებისა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის უფრო ადვილია წასვლა-წამოსვლა, მეცნიერებამ გააღონიერა და გააძლიერა იგი, უბედურებამ და ტანჯვამ უფრო იმატა. რა იყო ამის მიზეზი? სოციალური უთანასწორობა, სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე, როცა საზოგადოების უდიდესი ნაწილი მას მოკლებული იყო. ილია სწერდა: „...ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა“,²⁾ — ასე შეხვდა მეცხრამეტე საუკუნე მეოცე საუკუნეს, რომელსაც უანდერძა ამ ტყვილის შორჩენა. მილიტარიზმი კი უფრო მეტად აძლიერებდა ხალხების ეკონომიურ ჩაგვრას და ევროპაში ამ უბედურებას ხელს უწყობდა „ბისმარკის „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკა“, რასაც ილიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუტყვავდა.

ილია ამტკიცებდა, რომ გერმანიის მილიტარიზმი მიღწეულზე არ განერდებოდა, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მდებარე პატარა ქვეყანას — ნიდერლანდებს გადალახავდა, რათა ზღვისაკენ აქედანაც გაეხსნა თავისი გზა. გერმანიის ამ ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ილია მიიჩნევდა იმ უბედურებათა მიზეზად, რომელიც შავ ღრუბლად აწეა მთელს ევროპას.

რატომ გამოირჩეოდა გერმანია ასეთი აგრესიული პოლიტიკით?

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გერმანია ყველაზე ბოლოს დაადგა კაპიტალისტური განვითარებისა და იმპერიალისტურ დაპყრობათა გზას. 1871 წლიდან იგი უკვე ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფო იყო, რომელიც ინგლისზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა. ლენინმა გენიალურად მიუთითა, რომ „გერმანიის კაპიტალიზმის ასეთი სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მხეცისა, რომელიც ევროპის სახელმწიფოების კავშირში გაჩნდა“. იგი მიისწრაფოდა რაც შეიძლება სწრაფად და მალე დაეპყრო სხვისი მიწები, მიეღო რაც შეიძლება მეტი სამფლობელოები. „ახალგაზრდა და ძლიერი მხეცი“ — გერმანიის კაპიტალიზმი — მიმართავდა უხეშ ძალმომრეობას და ძარცვა-გლეჯას, არ ერიდებოდა არავითარ სისხლსა და სიბინძურეს. გერმანელმა ფაშისტებმა ფეტიშად გაიხადეს გერმანიის იმპერიალიზმის ყველაზე საზიზღარი მხარეები. ჰიტლერული

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 143.

²⁾ „...“ ტ. VI, გვ. 8.

ვანდალები, რომლებიც „გერმანულ ბანკირთა ქოფაკი ძაღლები არიან“,¹⁾ აგრძელებენ ჰოპენცოლერების დინასტიის ყველაზე მხეცურ, ყველაზე სისხლიან დესპოტიზმს.

გრძელდება

90-იანი წლებიდან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი მკვეთრად იზრდებოდა. გერმანიის კაპიტალიზმი ღმუროდა, უფრო აგრესიულად მიისწრაფოდა დამპყრობლური ომებისაკენ. გერმანიამ გაუსწრო ყველა იმპერიალისტურ ქვეყნებს. „ცნობილია, რომ ინგლისი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ყველა სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების წინ მიდიოდა, — სწერს ამხანაგი სტალინი, — ცნობილია აგრეთვე, რომ შემდეგში გერმანიამ დაიწყო ინგლისის გასწრება და მოითხოვა თავისთვის ადგილი „მის ქვეშ“ სხვა სახელმწიფოებისა და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის ხარჯზე. ცნობილია, რომ იმპერიალისტური ომი (1914 — 1918 წწ.) სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით წარმოიშვა“. დამპყრობლურ ომებში გერმანიის იმპერიალიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმკაცრით, ძალადობით, უხეშობით, აგრესიის საშინელებათა კონცენტრირებითა და მხეცური ავაზაკობით. ფაშიზმი ამ იმპერიალიზმის ყველაზე მუხანათური, ყველაზე ბარბაროსული გაგრძელება და ვაფართოებაა, მასში თავმოყრილია უკიდურესობამდე აყვანილი პრუსიულობის ყველა ძალადობა, მხეცობა და ძარცვა-გლეჯა, რასაც თავის დროზე მარქსი და ენგელსი გამანადგურებელი კრიტიკის ქარაცეხლში ატარებდნენ.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში არის კარლ მარქსის გამოუქვეყნებელი ხელნაწერი — „პრუსიელები — არამზადები“, რომელიც ნიღაბს ზღის ფრიდრიხ მეორის დესპოტიზმს და მის მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პრუსიის მიერ დამპყრობილ ევროპულ ქვეყნებში. მარქსი ფრიდრიხ მეორის ვერაგობათა მკაცრ კრიტიკასთან ერთად გააძლევს ამ ბრანდენბურგელი კურფიურსტის — დიდმამულიანი თავადის გამანადგურებელ დახასიათებას. მარქსი სწერს, რომ ფრიდრიხ მეორის მიზნები არააობას წარმოადგენდნენ, და მისი მისწრაფების საგანი მხოლოდ საკუთარ სამფლობელოთა გაფართოება იყო. ფრიდრიხ მეორე მოქმედებდა არა ზალბის, ნაციის ინტერესების მიხედვით, არამედ პირადი განდიდებისა და პირადი ინტერესების თვალსაზრისით. ამ ინტერესებს დაუქვემდებარა მან მთელი პრუსია და მისი არმია. იგი განზრახ ნერგავდა ჯარისკაცებში მონურ მორჩილებას, ნერგავდა უზრდელობას, უხეშობასა და სიბრძყვეს, რომ ზელში ადვილად დაეკავებინა ჯარისკაცთა მასა, როგორც ბრმა იარაღი ყოველგვარი ვერაგობის ჩასადენად. მარქსი სწერს: „მსოფლიო ისტორია არ იცნობს მეორე მეფეს, რომლის მიზნები ასე არაა ყოფილიყო! და რა უნდა ყოფილიყო „დიადი“ მეფედწოდებული ბრანდენბურგის კურფიურსტის გეგმებში, რომელიც ნაციისათვის კი არ მოქმედებდა, არამედ მხოლოდ იმისაკენ მიისწრაფვოდა, რომ ამ ნაციის ტერიტორიაზე დაემარგავლებინა და გაეფართოებინა თავისი მამული, თავისი სამფლობელოები.“²⁾

პრუსიელი იუნკრებისა და კურფიურსტების ბრძოლას ფრანგი პარტიზანების წინააღმდეგ, რომელიც უხეში პრუსიელი მეთოდების მთელი სიმკაცრით

¹⁾ ი. სტალინი, „ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა, 1942 წლის 31 მაისი, № 130“.

²⁾ К. Маркс, „Пруссия — Канааль“.

ვერაგობაში, რასაც ფრიდრიხ მეორის ჯარისკაცები სწადიოდნენ, მაგალითად, დამონებულ პოლონეთში 1771 წელს. მარქსი მიუთითებს, რომ მაშინ პოლონეთი აივსო „პრუსიელი დაქირავებულებით, რომლებიც გაეფორმარა ძარცვა-გლეჯას, სიმკაცრეს, საზიზღრობასა და ყოველგვარ მტყუნებასწადიოდნენ. დამშეული არამზადები არ კმაყოფილდებოდნენ მტყუნებასწადიოდნენ საკუთარი ინიციატივით და სახელმწიფო ბრძანებით. მათ სოფლებიდან, წინასწარ შედგენილი სივების მიხედვით, ხარკად მიჰყავდათ ქილები, რომლებსაც აიძულებდნენ ეცხოვრათ საზიზღარ პრუსიელ არამზადებრიყვებთან.“¹⁾ ამ ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის, ხალხების აკლებისა და აზრების, დამპყრობლური ომებისა და საერთაშორისო ავანაჯობის წინააღმდეგ მთელი არსებით იბრძოდა ილია ჭავჭავაძე.

ილიას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მილიტარიზმი, მრავალრიცხოვანი ჯარის შექმნა, იარილის უდიდესი რაოდენობით წარმოება და მზარდი სამხედრო ხარჯები ევროპის ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიურ გალატაკებას იწვევდნენ. „ივერდის“ 1889 წლის 25 თებერვლის მოწინავე წერილში მან პარალელი გაავლო ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლოა ამერიკამ ეკონომიურად „მსოფლიო მეთაურობა“ დაიმკვიდროსო. რას ემყარებოდა პოეტის ეს დასკვნა? სავსებით ეთანხმებოდა რა ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს დებულებას, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, რითაც თავს ილატაკებს და იღარიბებსო, ილიას მოჰყავდა ზოგადი სტატისტიკური მონაცემები გასული საუკუნის 90-იანი წლების ევროპის სინამდვილიდან და აღნიშნავდა: ევროპას უკვე 16 მილიონამდე ჯარი ჰყავს. მალე 20 მილიონი უყოლება. ამგვარად, იარაღსმულია ევროპის მუშახელის 1/3, რომელიც მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ეუფლება და არაფერს არ ჰქმნის წვეყნის ეკონომიკის სასარგებლოდ. აღამინათა ეს უზარმაზარი მასა სხვისი შრომით იკვებება. საფრანგეთში, მაგალითად, თითოეულ მოსახლეს წელიწადში 24½ ფრანკი უჯდება 4 მილიონი ჯარისა და ფლოტის შენახვა, ინგლისელებს — 21 ფრანკი, ხოლო გერმანელებს 12½ ფრანკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სულ 27.000 ჯარისკაცისაგან შესდგება არმია და იქ თითოეული მოსახლე წლიურად მხოლოდ 4½ ფრანკს იხდის არმიისა და ფლოტის შესანახად. მართალია, ამერიკა დიდად ჩამორჩა ევროპას სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ამ ქვეყნის დოვლათმა და ეკონომიურმა ძლიერებამ მსოფლიოს ყველა ქვეყანას გადააჰარბა. „თუ საქმე ამრიგად წაივია, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაამორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცივიანა.“²⁾ მეოთხედი საუკუნის შემდეგ ევროპამ და მთელმა მსოფლიომ განხორციელებულ ფაქტად დინახა ის, რის შესახებაც ილია ჭავჭავაძე, საერთაშორისო ურთიერთობათა მონაცემების ანალიზის მიხედვით, მხოლოდ თეორიულ პოსტულატებს აყენებდა და ამერიკის მერმისად მიიჩნევდა.

¹⁾ К. Маркс, „Пруссаки — Канаальи“.

²⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 67.

თუ რა დრამა ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს შეგნებული საერთაშორისო ვითარებაში — იან წლებში და ამ მხრივ როგორ პროგრესულ რეაქციულ იდეა იგი, ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ მან სასტიკად გააკიცხა ბულანჯიზმი, რევანშისტული, აშკარად რეაქციულ-შოვინისტური მიმდინარეობის საფრანგეთში მშობლიური წლების მეორე ნახევარში, რომელსაც გენერალი ბულანჯე მეთაურობდა. ილია აღშფოთებით ლაპარაკობდა ბულანჯეს პოლიტიკურ გეგმებზე, მის რევანშისტულ ოინებზე, ნათლად გრძნობდა იმას, რომ შოვინისტური სამხედრო ზროვის ავანტიურები მძიმე ტვირთად თვით ხალხს აწვა კისერზე, ხალხს, რომელიც კენსოდა, ტანჯვით დრტვინავდა და შიმშილობდა. ილიამ ბულანჯეს სხვა სახელი ვერ მოუწახა, ვარდა „პამპულა გენერალი-სა“, რომელიც საიდნადაც გამოტყვრა და იძახოდა: „მე ვარ მხსნელი საფრანგეთისა კირთაგან და ვაი-ვაგლახისაგანო. მოდიტ და მე განგისვენებთ თქვენო“.. და თუ ფრანგი ხალხის ნაწილი მაინც თანაგრძნობით ეკიდებოდა ბულანჯეს დემაგოგიას, ილია ამ ფაქტში ხედავდა თვით ფრანგი ხალხის მძაფრ მისწრაფებას — თავი დაეხსნა იმ მძიმე მდგომარეობისაგან, რომელშიაც იგი იყო ჩაყარდნილი. ილია ამ მდგომარეობის დასახასიათებლად ხალხურ ანდაზას იშველიებს — წყალწადებული ხავსს ეკიდებოდაო. „აქ ვაწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მოეკიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჯეა და სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკია გენერალი“.) ბულანჯიზმი როდი იყო ერთი რომელიდაც გენერლის აკვიტებული იდეა. ილიამ მას ნაქუჭები შემოაკალა, მის გულში ჩაიხედა და დაინახა, რომ „მიზეზი მისის მოვლენისა და მერე გაძლიერებისა მარტო ის არის, რომ ერს ვეღარ აუტანია დღევანდელი ყოფა“.) აქაც უბედურების მიზეზს ილია გერმანიის მილიტარიზმში ხედავს და იმ ცბიერ, ვერაგულ პოლიტიკაში, რომელსაც ოტო ბისმარკი აწხორციელებდა.

ბისმარკი ცნობილი იყო თავისი მოურიდებელი, უხეში, ცბიერი პოლიტიკით. შემთხვევითი არ არის, რომ მას ამ მხრივ ადარებენ ნაპოლეონის მინისტრს ტალეირანს. ბევრი უფრო მეტ მსგავსებას პოულობს მათ შორის, ვიდრე განსხვავებას. ზოგიერთი კი პირიქით, განსხვავებას უფრო მეტ ადვილს აკუთვნებს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ბისმარკისა და ტალეირანის შედარება, რა განსხვავებაც არ უნდა ვნახოთ ამ ორ ცნობილ დიპლომატს შორის, მათ საერთო მსგავსებად მაინც რჩება ქსელუბის ოსტატური გაბმის უდიდესი უნარი. მათ ორივეს ახასიათებდა ეს დიპლომატიური ეშმაკობა, ტალეირანს უმრავლეს შემთხვევაში პირადი კარიერისა და პირადი კეთილდღეობისათვის, ბისმარკს კი ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, რომელსაც იგი ისე ემსახურებოდა, როგორც ჯარისკაცი. ვერაფერ „შესძლო მისი მოსყიდვა. ბისმარკი ოსტატურად იყენებდა არა მარტო თავისი მტრების რიგებში, არამედ მეგობართა შორისაც არსებულ წინააღმდეგობებს. იგი პირდაპირ ლაპარაკობდა, როცა ეს საჭიროდ მიიჩნდა, ხშირად იმას ლაპარაკობდა, რასაც სრულიად საწინააღმდეგო საქმით ასრულებდა. ამ მხრივ იგი ისეთივე რთული იყო, როგორც მისი პოლიტიკა. ეს სირთულე იყო მი-

*) ილია ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 61.

*) იქვე, გვ. 62.

ზეხი, რომ მის შეფასებაში ინგლისის ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეც კი შეეცდა, როგორც დიზრაელია. დანიასთან ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე, ლონდონში ყოფნის დროს, ბისმარკმა დიზრაელს გაღაწულად თავისი მომავალი მოღვაწეობის გეგმები, გაუმხილა, რომ მალე იგი ხელში აიღებს პრუსიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, პირველ რიგში შეეცდება პრუსიის არმიის რეორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, მხარს დაუჭერს თუ არა ლანდტაგი, ¹⁾ რომ პირველი ხელსაყრელი მომენტისთანავე ომს გამოუცხადებს ავსტრიას, მოსაპოვებს გერმანიის კავშირს, თავის გავლენას დაემორჩილებს სამთალო და წვრილ სახელმწიფოებს და შეჰქმნის გაერთიანებულ გერმანიას პრუსიის მეთაურობით. ბისმარკის ამ სიტყვებში ბევრი იყო მართალი იმ გეგმებით, რომ ეს გეგმა მან შემდეგ მართლაც განახორციელა, მაგრამ ავსტრიის ნაცვლად ორი წლის შემდეგ პრუსიის ჯარი ჯერ დანიას შეესია. ამ გულახდილმა და მოუხრიდებელმა სიტყვებმა, რაც ძალზე შორს იდგა ინგლისური დიპლომატიის ხვეულებიდან, დიზრაელი ისე გააოცა, რომ უთქვამს: „უფრო თხილდით მას, იგი იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს!“ ²⁾ მაგრამ ბისმარკი როდი იყო ყოველთვის ასე პირდაპირი. იგი ხშირად იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, რასაც საქმით აკეთებდა. ცნობილია, მაგალითად, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყების წინ ბისმარკი ამტკიცებდა — ფრანგების წინააღმდეგ არავითარი ინტერესებ არ გვაქვს და პრუსია-საფრანგეთის ომი წარმოუდგენელიაო. საფრანგეთთან ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე ბისმარკი არწმუნებდა ინგლისელებს: „ჩვენ არასოდეს არ დაეწივებით ომს, იმიტომ რომ ჩვენ არაფერი გვაქვს მოსაპოვებელი. თუ დაეწივებით, რომ საფრანგეთი მთლიანად იქნება დაპყრობილი, ხოლო პრუსიის გარნიზონები განლაგდებიან პარიზში, მაშინ რაღა უნდა ვუქნათ ჩვენს გამარჯვებას? ჩვენ ხომ არ შეგვიძლია დავიპყროთ ელზასი, ვინაიდან ელზასელები ფრანგები გახდნენ და სურთ ფრანგებად დარჩნენ“. ეს აშკარა დიპლომატიური სიცრუე და მტრის თვლისახვევის ცდა იყო, რათა შემდეგ მოულოდნელად თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს. ამ დროს ორივე მხარე ომისათვის ემზადებოდა. ილია, რომელსაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი ბისმარკის პოლიტიკის წვრილმანებელიც კი, ამ პოლიტიკას და მის ავტორს საესებით სწორ შეფასებას აძლევს. 1882 წლის იანვრის „ივერიის“ მოწინავე წერილში ილია სწერს, რომ „ელზანდელის პოლიტიკის მავთულები ხელთ უპყრია“ ბისმარკს, რომელიც „რალაცას ცუდლუტობს, რალაცას ამზადებს და რიღასთვისაც ემზადებაო“ ³⁾ ბისმარკის პოლიტიკის რთულ ხვეულებს ილია ისე ნათლად და გარკვევით ხსნის, რომ მკითხველი ადვილად ერკვევა მთელ ამ პოლიტიკურ ლაბირინტში. თუ რატომ მოახდინა ავსტრიამ ბოსნიის, ჰერცეგოვინისა და სერბიის დამოწმება, რატომ აღუთქვა თურქეთს ბისმარკმა რუსეთისაგან ახლად წართმეულ ქვეყნებს ისევ უკან დაგებრუნებო, რატომ არის შესაძლებელი, რომ პრუსიამ უსისხლოდაც კი დაუბრუნოს საფრანგეთს ბრძოლით წართმეული ელზას-ლოტარინგია, რად სჭირდება ბისმარკს ახალი საქმეები გაუჩინოს საფრანგეთს ტუნისში, რითაც ორი კურდღელი დაიჭირა — დროებით ჩამოიშორა საფრანგეთი და იტალია მისი მომდურავე გახადა, როგორ

¹⁾ პრუსიის პარლამენტი.

²⁾ О. Бисмарк. т. I. стр. XIV — XV.

³⁾ ილია ჭავჭავაძე, თხულებანი, ტ. X, გვ. 96.

ტდილობს „რკინის კანცლერი“ ხელი შეუშალოს ინგლის-საფრანგეთის დამეგობრებას, კრახის შემდეგ რა ღონისძიება იხმარა, რომ იტალია მისი ჩამოეშორებინა საფრანგეთ-ინგლისისათვის და ამ მიზნით იტალიის ასლი საქმე გაუჩინა — სწრაფად შესცვალა რომის პაპისადმი დამოკიდებულება ამით გვერდში ამოიყენა უდიდესი ძალა, რამაც თვით საფრანგეთის სწრაფი საქმე გაუჩინა — ბისმარკის მიერ ევროპაში გაბმულ ამ რთულ ქსელს ილია ისე ღრმა ანალიზს უკეთებს, რომ შესანიშნავად ხატავს „რკინის კანცლერის“ ტენდენციას: ყოველგვარი წინააღმდეგობანი შექმნას და შექმნილი წინააღმდეგობანი გამოიყენოს გერმანიის მილიტარიზმის სასარგებლოდ.

მთელ ამ პოლიტიკურ არსენალში ილია ხედავს გერმანიის მილიტარიზმის საშინელ შედეგს, ომის მომზადებას და მილიონობით ადამიანების განწირვას ზოცვა-კლუტისათვის. თავისუფლების, დემოკრატიის, ხალხთა ბედნიერებისა და სიყვარულის მომდევნო პოეტი არ შეიძლებადა შერიგებოდა ბისმარკის პოლიტიკას, მას აშკარად ნეგატიური, აშკარად შეურიგებელი პოზიცია ეკავა „ევროპაში მილიტარიზმისადმი“ და ბრალს სდებდა რა „ევროპის ონაწიერებს“, გამოდიოდა ექსპლოატაციაზე დამყარებული სამყაროს გაბედვლად მამხილებლად. ამიტომ იყო, რომ კომუნის დაცემის დღე — 1871 წლის 23 მაისი მან ისტორიის შეფერხებულ მიიჩნია. „განახლების შესდგენენ ძალნი“, — სწერდა პოეტი, რომელმაც ზიზლი და კრულვა შეუთვალა ბიერს, ვაშარჯვებულ მტარვალებს. ეს ბრძოლა ილიას პუბლიცისტიკაში ნათლად სჩანს და მისთვის დამახასიათებელი რკინისებური ლოგიკური თანმიმდევრობით იგრძნობა ყოველი წერილის პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. პოეტი გრძნობდა ჯეზიერის ამეტყველების წინააღმდეგ და სამართლიანი იყო მისი შიში, როცა კითხულობდა: „ტყვია-წამლის სუნი ჰაერში ტრიალებს. ვინ იცის? იქნება ბევრი ხანიც არ გავიდეს და ჯეზიერმა დაიჭქოს კიდევ. ამ ამბების მასურებელისათვის გასაკვირველი არა არის-რა.“¹⁾ ასე ღრმად იყო პოეტი დარწმუნებული გერმანიის მილიტარიზმის შედეგად ომის გარდუვალობაში. ის უდიდესი ყურადღებით აკვირდებოდა ევროპის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარებას, განსაკუთრებით გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ომის მთავარ გამჩალებლად მიიჩნდა. ილია ჭავჭავაძე სამართლიანად ამტკიცებდა, რომ მთავარი დამნაშავე ამ ომში გერმანიაა. „გერმანია, რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბატონობა დაიწემა ევროპის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია — თავისი გამოჩენილი მხედრობა უფრო გააძლიეროს, და ეს საქმე უჩუმრად ისე მიჰყავს, რომ ძილს და მოსვენებას უფრობობს მოსაზღვრეებსა.“²⁾ ავსტრია-უნგრეთი, რომელიც იძულებით მიემხრო ბისმარკს, აძლიერებდა შეიარაღებას. იმავე გზას ადგა იტალიაც. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი პარლამენტისაგან მოითხოვდა უფლებას პარლამენტის დაუკითხავად გაეწვია რეზერვები. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი იდგა. თითქმის ყველგან ლაპარაკობდნენ ომის შესახებ. ამ დროს გაისმა რუსი გენერლის სკობელევის ანტიგერმანული სიტყვა პარიზში სერბიელი სტუდენტების წინაშე. ამ სიტყვამ ვილჰელმ პირველიც ალაპარაკა. და თუ რა ღრმად ჰქონდა ილიას შეგნებული ამ პერიოდის ევროპის რთული ვითარე-

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 99.

²⁾ იქვე, გვ. 100.

ბა, ევროპის ძალთა განაწილება, იქიდანაც სჩანს, რომ მან ძირითადად სწორად განსჭვრიტა ის ორი ბანაკი, რომელიც შემდეგ 1914 წლის იმპერიალისტურ ომში ჩამოყალიბდა. ეს ორი ბანაკი მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ილიის ასე ესახებოდა: ერთის მხრით დადგებოდნენ გერმანიის მემკვიდრე-უნგრეთი, თურქეთი, და მეორე მხრით — რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი. მაგრამ ეს კავშირი სრულებითაც არ იყო დამყარებული ურთიერთ პატივისცემისა ან უანგარობაზე. როგორც საფრანგეთი, ისე იტალია რუსეთს ჩამოშორდებოდნენ, თუ რაიმე სხვა გზით მიაღწევდნენ დასახულ მიზანს. ილია პირდაპირ ასე აღნიშნავდა: „საფრანგეთი და იტალია იმისთვის კი არ ჩაერევდნენ საქმეში, რომ რუსეთს უშველონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას-ლოტარინგია, და მეორემ ავსტრიას იტალიის სასაფრთხევო ადგილები. ერთიც და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულისწადილი როგორმე სხვა გზით აუსრულდეთ.“¹⁾ ეს იყო მოზღვნილი დახსიათება ანგარებაზე დამყარებული ევროპის „კავშირებისა“.

წლების მანძილზე ბისმარკი ცდილობდა გერმანიის იმპერიისათვის უზრუნველყო რუსეთის მოკავშირეობა. იგი დაეინებით მიუთითებდა, რომ რუსეთს „ყველაზე დიდი ღირებულება“ ჰქონდა გერმანიისათვის, ვიდრე მტკიცე საფუძველი არ იქნებოდა ჩაყრილი ავსტრიასთან ურთიერთობაში და ინგლისში მტკიცედ არ დამკვიდრდებოდა აზრი, რომ ინგლისს ევროპის კონტინენტზე „ერთადერთი, სრულფასოვანი და საიმედო მოკავშირე“ შეიძლებოდა ეპოვა გერმანიის სახით. როცა 1871 წელს ინგლისთან შეთანხმებას ვერ მიაღწია (როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ბისმარკი ინგლისისაგან მოითხოვდა „ერთიან ფრანტს საერთო საშიშროების წინააღმდეგ“, რომლის ძირითადი მიზანი იქნებოდა პირველი ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლა, ინტერნაციონალისა, რომლის ხელმძღვანელი ორგანოები ინგლისში მუშაობდნენ), ბისმარკმა გადასწყვიტა მიეღწია მეფის რუსეთთან და ჰაბსბურგების ავსტრიასთან დაახლოებისათვის. მას შემდეგ, რაც „რკინის კანცლერმა“ ვერ შესძლო სამთა შეთანხმების მიღწევა, შეთანხმებისა, რომელსაც ხელს მოაწერდნენ გერმანია, ინგლისი და ავსტრია, რაც რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული (ამ შეთანხმების დადება იმიტომ არ მოხერხდა, რომ ინგლისმა ეს არ ისურვა), ბისმარკის ორიენტაცია გარკვევით შეჩერდა რუსეთზე. ამ შეჩერებამ 1873 წელს სამი იმპერატორის — გერმანიის, რუსეთისა და ავსტრიის კავშირის მიღწევა შესძლო. ეს იყო ინგლისის წინააღმდეგ მიმართული კავშირი, რომელიც ამავე დროს მიზნად ისახავდა საფრანგეთის იზოლაციას. დამარცხებულმა საფრანგეთმა ვადაიხადა კონტრიბუცია და მთელი ძალები ამოქმედა არმიის შესაიარაღებლად. გერმანიის გენერალური შტაბი ამ დროს ნათლად გრძნობდა, რომ შესაძლოა საფრანგეთმა რევანში აღოს და გერმანიას საპრევენციო ომი დასჭირდეს საფრანგეთის წინააღმდეგ, ეს ბისმარკმაც იცოდა. 1871 წლის 10 მაისს, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ დადებული ფრანკფურტის ზაუი ბისმარკისათვის სრულებითაც არ ნიშნავდა საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა საბოლოო გადაწყვეტას. და როცა გერმანიის გენერალური შტაბი ბისმარკისაგან მოითხოვდა: საფრანგეთის მხრივ მოსალოდნელია თუ არა ომში, ბისმარკი იმ აზრისა იყო, რომ ეს ომა

¹⁾ ილია ჭიჭიკაძე, ოხულებანი, ტ. X, გვ. 108.

არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებლად მოხდება. ამიტომ მან ყველა ზომა მიიღო საფრანგეთის იზოლაციისათვის, თუ ის ომს გაბედავდა გერმანიის წინააღმდეგ, და რუსეთს მიაშურა. ღრმა დამკვირვებელი უნდა იყოს, რომ რუსეთისა და საფრანგეთის დამსახურებელია, რომ არა პქონდეს ბისმარკს, ვინ იცის რას არ იქმნოდა ევროპაში?*) მაგრამ ბისმარკმა ვერ მიაღწია თავის ძირითად მიზანს, როგორც მას სურდა კავშირი გერმანიის სასარგებლოდ რუსეთთან ან ინგლისთან. რუსეთი და ინგლისი წათლად ხედავდნენ ბისმარკის ანგარიშის როგორც უახლოეს, ისე შორეულ პერსპექტივებს. მაგრამ ბისმარკი ყოველთვის იყო დარწმუნებული ერთ უდავო დებულებაში: რუსეთის გრანდიოზული ტერიტორიული სივრცე საშიში იყო ომის ასპარეზად გერმანიისათვის, და ამჟამად დამღუპველი, თუ ორ ფრონტზე ომი დასჭირდებოდა. ჯერ კიდევ შოლტკეს აფრთხილებდა იგი საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის დროს გერმანიას მეორე ფრონტი არ გასჩენოდა. ამიტომ იყო, რომ ხან ინგლისს მოუსინჯა ნიადაგი და ხან რუსეთს — რა პოზიციას დაიკავებდნენ ისინი, თუ გერმანიას ომი დასჭირდებოდა. როგორი იყო ბისმარკის არგუმენტი ან რა ანდერძი დაუტოვა მან გერმანიას?

ინგლისთან დაახლოებისა და კავშირის შემთხვევაშიც კი ბისმარკი ცდილობდა გერმანიისათვის აუცილინა ომი რუსეთთან. ბისმარკს არ ახასიათებდა წარსულის გაუთვალისწინებლობა. ომების ისტორიამ იგი დაარწმუნა, რომ ომი რუსეთის წინააღმდეგ უიმედოა, ვინაიდან ვერაეითარ არმიას, ვერაეითარ სამხედრო ძალას ვერ ძალუქს აითვისოს რუსეთის უზარმაზარი სივრცე, დამსხვრიოს რუსი ხალხის გიგანტური შესაძლებლობანი. კარლოს XII-ის და ნაპოლეონ I-ის დამარცხებანი რუსეთთან ომში ისეთ გამაფრთხილებელ ნიშანსვეტებად იყვნენ აღმართულნი მსოფლიო ისტორიაში, რომ ბისმარკმა არა მარტო შეხედა მათ, არა მარტო მონურად მოიხარა ქელი მათ წინაშე, არამედ ღრმად განიაზრა ისინი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საჭიროა, ვიდრე ომს განიზრახავდე რუსეთის წინააღმდეგ, ამ ნიშანსვეტებს შეხედო, რათა რუსეთთან უნუგეშო ომზე უარი სთქვაო. ამიტომ ბისმარკის პოლიტიკის რთულ ლაბირინტში სავსებით ნათელი და გასაგები ზღვბა ის ფაქტი, თუ მთელი სიცოცხლის მანძილზე რატომ გამოსთქვაოდა იგი შიშს რუსეთის მიმართ, რატომ ცდილობდა დაემტვიცეებინა, თითქოს მეფის რუსეთისა და პრინციპლერნების გერმანიას შორის არ არსებობდა ისეთი წინააღმდეგობანი, რომლებიც ომს გამოიწვევდნენ, მაშინ, როცა რუსეთ-გერმანიას შორის იყო წინააღმდეგობანი, რატომ ცდილობდა რუსეთთან შეთანხმებისა და კავშირის მიღწევას.

„სამთა კავშირის“ გაუქმების შემდეგ ბისმარკის მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქნა. 1890 წელს იგი გადააყენეს, რამაც კიდევ უფრო ნათლად დაარწმუნა, თუ რა ძალა და ფასი ჰქონდა და აქვს რუსეთს არა მარტო აღმოსავლეთის, არა მარტო დასავლეთის — ევროპის, არამედ მთელი მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე. მსოფლიო დიპლომატიის საქმიანობაში რუსეთის ზვედრითი წონა რომ დიდი იყო, ეს ბისმარკმა ყოველთვის იცოდა, მაგრამ მისი კანცლერობის უკანასკნელმა წელმა მას ახალი ფურცელი გადაუშალა: რუსეთის ზვედრითი წონა უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ეს „რკინის კანცლერს“

*) ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 145.

წინათ ჰქონდა წარმოდგენილი. მას ყოველთვის სწამდა, რომ ~~ჯერ კიდევ~~ ვირომის ომის დროს, თუ პრუსია ინგლის-საფრანგეთის კოალიციას შეეერთდებოდა რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ რუსეთი მომავალში პრუსიის მტრების ერთგული მოკავშირე იქნებოდა, რაც პრუსიის ბედის გადაწყვეტაში უდიდეს გავლენას მოახდენდა, რომ „ის ვახდებოდა პრუსიის ყოველგვარი მომავალი მტრის ერთგული მოკავშირე“. ამიტომ ფრთხილად იყო „რკინის კანცლერი“. ეს სიფრთხილე ილიას მიანიჭდა არა ბისმარკის თვითნებობად ან პირად მოსაზრებად, არამედ იმ ფაქტის ლოგიკურ შედეგად, რომ რუსეთის სამხედრო ძლიერების წინააღმდეგ გერმანული მახვილის აღმართვა საბედისწერო იქნებოდა თვით გერმანიისათვის. და თუ რუსეთი რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კავშირს შეტკიავდა, მაშინ მით უფრო განწირული იყო გერმანია.

ამ კავშირის შეკვრის საფრთხეს კი რეალური წარანამძღვრები ჰქონდა. ბისმარკის წინაშე ჯერ კიდევ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე ისახებოდა რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის მეგობრობის შესაძლებლობა და იგი მზად იყო ჩაეშალა ეს მეგობრობა, რათა რუსეთი არ ჩამოეშორებინა პრუსიისათვის. მას არ ასვენებდა კაუნციის კოალიციის საკმაოდ მწარე ისტორიული გაკვეთილი და, მისი შედეგებით შემოთვებული, ყველაფერს აკეთებდა, რათა პრუსიის წინააღმდეგ არ დაეშვა არავითარი კოალიცია. ბისმარკამდე სწორედ ერთი საუკუნის წინ ავსტრიის კანცლერმა კაუნციმა¹⁾ პრუსიის წინააღმდეგ მოაწყო კოალიცია, რომელშიც შედიოდნენ ავსტრია, საქსონია, რუსეთი, საფრანგეთი და შვეცია. ეს კოალიცია 1756—1763 წლებში — მთელი შვიდი წლის განმავლობაში — ეწეოდა ომს პრუსიის წინააღმდეგ, რამაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა თვით პრუსიის არსებობას. ამ ფაქტის სერიოზულობა ბისმარკს ისე ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე პრუსიის წინააღმდეგ ყოველგვარ მოსალოდნელ კოალიციას თავის დროზე თვალისწინებდა, ყველაფერს აკეთებდა ამ კოალიციის ჩასაშლელად და ცდილობდა ყოველთვის თვითონ მოეწყო კოალიცია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ბისმარკის პოლიტიკის ეს კულუარები კარგად იცოდა ილია ჭავჭავაძემ. „მსუშავი თვალი ბისმარკისა“ ყოველთვის იყო მიპყრობილი რუსეთისაკენ, მაგრამ მას ყოველთვის აკავებდა: რუსეთის სამხედრო ძლიერება პლუს რუსეთის ის უზარმაზარი სივრცე, რომელიც შთანთქავდა გერმანიის ჯარს. „ძლიერება რუსეთისა ბევრს უშლის ბისმარკსა. რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ბისმარკს ხელმეორედ უნდოდა დასჯახებოდა საფრანგეთსა, და რაც პირველში დააკლო, ის მეორედ შეეცრულებინა, მაგრამ რუსეთმა თავი გამოიღო და ბისმარკი დასცხრა.“²⁾ გერმანიის კანცლერი მთელ ძალღონეს ახმარდა რუსეთისა და საფრანგეთის დასუსტებას, რომ ამით თავისი პოლიტიკის საქმე გაეკეთებინა. ილიამ შემდეგნაირად განმარტა ბისმარკის პოლიტიკის ეს მისწრაფება: „...ღარიბი გერმანია დიდხანს ვერ აიტანს ამოდენა ჯარის ყოლას და შენახვას, და ვიდრე საფრანგეთი და რუსეთი ასე ძლიერნი არიან — არც შეიძლება ჯარის შეცოტაება, ამიტომაც გერმანიისათვის აუცილებელი საპირობებაა ერთისაც და მეორის დასუსტებაც. თითოეულ მათგანს ცალ-

¹⁾ კაუნცი ავსტრიის კანცლერი იყო 1753—1792 წწ. *

²⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 145.

ცალკე კიდევ გაუბედავს რასმე ბისმარკი, ორივეს ერთად-კი ქნებოდნენ ფე
გაემკლავოს“.)

რუსეთის ამ სამხედრო ძლიერებაში ილია ხედავდა არა მარტო ქვეყნის სიძლიერებას,
რომელმაც საფრანგეთს ააცდინა გერმანიის მეორე თავდასხმა; დასცქერს სწრაფი
ბის მთელი რიგი სახელმწიფოები ბისმარკის შეტევისაგან და შებოჭა გერმა-
ნია — არ მისცა დამპყრობლური ომების თავისუფლად წარმოების საშუა-
ლება, არამედ, რუსეთის დაცვაში გარეშე მტრებისაგან მან, საცხებით სწო-
რად დაინახა საქართველოს კეთილდღეობა. რუსეთი და რუსი ხალხი ილიას
მიანიჭდა იმ კოლოსალურ ძალად, რომელსაც შეეძლო უზრუნველყო საქარ-
თველოსა და ქართველი ხალხის უშიშროება გარეშე მტრების თავდასხმისა-
გან. ერეკლეს ორიენტაციას მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად ილია
მთელი სიცოცხლის მანძილზე სწორ და ისტორიულად საცხებით გამართლე-
ბულ გზად აღიარებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ „ივერიის“ ფურცლებზე
ამ ორიენტაციას მაღალი შეფასება ეძლევა. უკვდავი ბუშყინის დაბადების
ასი წლისთავზე ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ცნობილი ქართველი მწერლის
ნიკო ლომოურის წერილში რუს ხალხს უფროსი ძმა უწოდა: „...აღფრთოვა-
ნებელი გრძნობით ზელს ვუწევდით ჩვენს უფროსს ძმას — რუსეთის ერს —
და მასთან ერთად ვდღესასწაულობთ დიდებული მგონის დაბადების დღეს“.)
ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც იყო საქართველო, უშუალოდ მოქცეული
სპარსეთისა და ოსმალეთის მხრივ აგრესიის ორბიტში, უცხოელი დამპყრობ-
ლების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი საუკუნობრივი ბრძოლების შემდეგ
ხსნა შეეძლო ეპოვნა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირში. ერეკლეს შემ-
დეგ მისმა შვილმა გიორგი მეფემ პრაქტიკულად განახორციელა რუსეთთან
საქართველოს შეერთების იდეა და გარსევან ჭავჭავაძის მისია რუსეთის
კარზე წარმატებით დაგვირგვინდა. 1799 წლის 26 ნოემბერს რუსეთის ჯარი
თბილისში შემოვიდა. ამ ისტორიული თარიღის ასი წლისთავს ილია ჭავჭა-
ვაძემ ასეთი შეფასება მისცა: „ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში... მე-
ფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი
სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართვე-
ლოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე,
ჭალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედით, რომ რუსის მხედრობის
დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუღელენს იმ მშვიდობიანობას,
იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტყიგ-
რად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობა-
ში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და
თავისის სისხლით პრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახ-
სოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთ-
მორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვი-
დებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დას-
ცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქღერა ხმლისა და მახვილისა, მტრი-
სა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი,
რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრე-

) ილია ჭავჭავაძე, თბზღუბანი, ტ. X, გვ. 145.

) „ივერია“, 1899 წ. № 100.

ბელს; გათავდა რბევა და აკლუბა, მიეცა წარსულს და მარტო ^{საზღვრულ} და შემადრწუნებელ სახსოვრად-და დაგვრჩა.¹⁾ რუსეთის დაცვა გარეშე მტრებისაგან ილიას მიაჩნდა საქართველოს დაცვად, ვინაიდან შამქრამ ქვეყნის ინტერესები უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ^{საქართველოში} ინტერესამ ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. ცნობილია, რომ პირველი სამამულო ომის დროს, როცა ნაპოლეონის არმია რუსეთს შეესია, დიდი კუტუზოვის გენერალთა შორის ცოტა როდი იყვნენ სახელგანთქმული ქართველი გენერლები, დაწყებული ბაგრატიონით და დამთავრებული ფანჯულიძით.²⁾ საგულისხმოა, რომ იმერეთის მეფის არჩილის შვილი ალექსანდრე პეტრე პირველის დროს რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი იყო და რუსეთის არტილერიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სახელთან. რუსი და ქართველი ხალხის ეს მჭიდრო ისტორიული ძმობა ილიას ღრმად ჰქონდა შეგნებული და შავრაზმელ კატკოვის პასუხად 1880 წელს სწერდა: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.“³⁾ მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მე-19 საუკუნისა რუსეთის მიწა-წყლის დაცვის მტრებისაგან უყურებდა, როგორც საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას. ამ აზრს იცავდა აკაკი წერეთელი, ასეთივე აზრისა იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და მრავალი სხვა მოღვაწე, რომ აღარაფერი ვთქვათ გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეების, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ეს თვალსაზრისი ემყარებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა ღრმა ცოდნას და იმ ქეშმარიტების შეგნებას, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველოა, საუკუნეების მანძილზე თათარ-მონღოლთა ღრდობის მიერ მრავალჯერ აოხრებული, არსებობას ვერ შეინარჩუნებდა, რუსეთს რომ არ დაეცვა. ილიას შორსმჭვრეტელობის უნარი და ევროპის საქმეების საფუძვლიანი ცოდნა სჩანს არა მარტო ბისმარკისა და გერმანიის მილიტარისტების კრიტიკაში, არამედ იმაშიც, რომ იგი, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის მხურვალე დამცველი, ამასთან ერთად გამოდიოდა ხალხთა უფლებებისა და ღირსებების დაცვის პრინციპიდან.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ილია იცავდა არა მარტო ე. წ. „პატარა ერებს“, არამედ მან ხმა აღიმალა ებრაელი ხალხის დასაცავად. ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნების არსებობას ილია უყურებდა არა მარტო როგორც კანონზომიერ და გამართლებულ მოვლენას, არამედ როგორც „დიდ საქმეთაგანს“, კაცობრიულ, ჰუმანიურ ფაქტს. ამიტომ იყო,

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 234 — 235.

²⁾ ბ. ესაძის წიგნი — „Летопись Грузии“, 1913 წ., გვ. 262, 275-დან 292-მდე, აგრეთვე 338.

³⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 9.

რომ თავის ვრცელ პუბლიცისტურ ნარკვევებში „ირლანდია და ინგლისი“¹⁾ ილია მხურვალედ მიესალმა გლადსტონის პროექტს, მან დაიკავა ის აზრი, რომ „ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გერმანიზმობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შექმნოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ — ინტერესები გვარტომობისა.“²⁾ გლადსტონის პროექტს ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის მინიჭების შესახებ ილიამ მთელი რიგი წერილები მიუძღვნა, თვალს ადევნებდა ამ პროექტის ირგვლივ ატეხილ ბრძოლას და როცა გლადსტონის მტრებმა გაიმარჯვეს, დიდი პოეტი მწუხარებით შეხვდა ამ ცნობას.

ილია სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბისმარკს, რომელმაც პოლონელები აპყარა პოზნანიდან, გააძევა შშობლიური მიწა-წყლიდან და ეს „სახელმწიფო ინტერესებად“ გამოაცხადა, მაშინ, როცა არსებითად სხვა ეროვნების დანაგვრითა და დამონებით იყო ნაკარნახევი. ეს იყო ხორცშესხმა იმ შოვინიზმისა, რასაც ათეული წლების მანძილზე ნერგავდნენ გერმანიის აგრესიული ძალები. ამ შოვინიზმმა მოწამლა გერმანელი ხალხი. „რკინის კანცლერის“ ამ ნაბიჯს ილიამ „შემაძრწუნებელი კანონის“ გატარება უწოდა. ბისმარკის შესახებ ილია სწერდა: „სახელმწიფო ინტერესი ითხოვსო, რომ პოლიაკები პოზნანში არ იყვნენო და გაიყვანა ის შემაძრწუნებელი კანონი პოლიაკების განდევნისა, მამა-პაპეულ მამულებიდან ძალად აყრისა და გაძევებისა...“³⁾ პრუსიიდან პოლონელების განდევნას ილიამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა და ქართველ მკითხველს გააცნო გერმანიის პარლამენტის სხდომებზე გამოსულ ორატორთა აზრები, იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა ამ საქმის უსამართლობა. ასე შეურიგებლად ებრძოდა პოეტი მხეცურ ძალმომრეობას, ეროვნებათა ჩაგვრას, შშობლიური მიწა-წყლიდან მათ განდევნას. იგი თანაგრძობით ეკიდებოდა ამ საკითხში ბისმარკის წინააღმდეგ მებრძოლებს და განსაკუთრებით ვილჰელმ ლიბკნეხტს, რომელმაც „საოცარის მკვერმეტყველებით ილაპარაკა“ და პოლონელების განდევნას ბარბაროსობა უწოდა. და თუ ილია ასე აღშფოთებული იყო ბისმარკის მიერ მარტოოდენ პოზნანიდან პოლონელების განდევნით, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა განეცადა მას, ჩვენს დროს რომ მოსწრებოდა, როცა სისხლმწყურვალი გერმანელი ფაშისტები ევროპის მთელ რიგ ხალხებს არა მარტო ასახლებენ შშობლიური მიწა-წყლიდან, არამედ ჭადაგებენ და პრაქტიკულადაც ანხორციელებენ ებრაელების, პოლონელების, საერთოდ სლავების სრულ დამონებას და გაჟლეტას. ბარბაროსული ანტიემიტიზმი, რომელსაც ფაშისტი განგსტერები პრაქტიკულად ანხორციელებენ, ყოველთვის მიუღებელი იყო კაცობრიობის მოწინავე ადამიანებისათვის. პროგრესიული მოღვაწენი ყოველთვის დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ ანტიემიტიზმს, ებრძოდნენ მას. ამ მებრძოლთა შორის დგას ილია ჭავჭავაძე.

„ივერიაში“ 1888 წელს ილიამ მოათავსა წერილი — „ებრაელთა საკითხზე“, რომელშიაც აღწერს ებრაელი ხალხის საუკუნეობრივ ტანჯვას და შენიშნავს, რომ არც ერთ ერს არ განუცლია იმდენი წამება და სატანჯველი, რამდენიც „ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს“, რომელსაც

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თბუღლებანი, ტ. X, გვ. 3.

²⁾ იქვე, გვ. 5.

³⁾ იქვე, გვ. 230.

ისტორიამ მწარე განსაცდელი არგუნა. მთელი ეს წერილი ~~განსჯილია~~ ებრაელი ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობითა და სიბრაღულით. იგი წარმოადგენს ველური ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო დოკუმენტს. „აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიან ~~საქმეებსა~~ სადევნებლად და საწვალებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლოება, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაელებს — ვითარცა ერს, სდევნიდნენ — ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მადიარებელთ, სდევნიდნენ — ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილების წარმომადგენელთ და ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთ საბუთს აძლევენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი.“¹⁾ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ილია განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეს მოძრაობა ილიერი არის განვითარებული ავსტრიისა და გერმანიისში. „ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ეგრეთ-წოდებული ანტისემიტიური, ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შევიწროვოს და დაჩაგროს ებრაელები. ნამეტნავად ავსტრიისა და გერმანიისში ილიერი იგი მოძრაობა, ისეთ წრეშიაც კი, რომლისგანაც ნაკლებად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო.“²⁾ ვენაში გლაზერის ძეგლის გახსნის დროს მომხდარი ფაქტი და შენერერის გასამართლების დროს მის მომხრეთა მიერ გაკეთებული განცხადება — შენერერს რომ ებრძანებინა, ებრაელებს თავს დაეხსნოდით და ამოეწყვეტდითო, — ილიას ანტისემიტიური მოძრაობის გაძლიერების სამწუხარო ფაქტებად მიიჩნია და მთელს წერილში მხოლოდ ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ ანტისემიტიზმს გზა გადაედო. ამ წერილით ილია ჰკავშირებდა დღესაც უღმობლად ებრაელებს ანტისემიტებს, და პირველ ყოვლისა, პიტლერელ ბარბაროსებს, რომლებმაც მთელი ევროპა ებრაელთა სისხლით შორწყეს.

ებრაელი ხალხისადმი ილიას ღრმა თანაგრძნობით არის ნაკარხაზევი დიდი ბაირონის „ებრაული მელიოდიებიდან“ თარგმნილი ლექსი — „სტიროდეთ!“³⁾ ოცდაერთი წლის ჰაბუკი პოეტი ბაირონის გოდებასთან ერთად თვითონაც ღრმა სიბრაღულით ამოიკენესებს ებრაელი ხალხისადმი:

ოხ! სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მ:ო, ვისც ტაძარნი წაწრევე არიან...
ვისიც შამული სამშობლიოსა
არაა არს რა, გარდა სიხშირისა!

ტომო, ფეხითა — სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღაღულითა,
ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?...
მელას აქვს ხერელი და თვის ზუღე — ჩიტს,
კაცთა — სამშობლო, და ისრაილსა —
არაია, გარდა თვის საფლავისა! —⁴⁾

ასე იცავდა ილია ჰკავშირებდა ებრაელ ხალხს და ებრძოდა ბარბაროსულ ანტისემიტიზმს.

¹⁾ ილ. ჰკავშირებდა, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 307 — 308.

²⁾ იქვე.

³⁾ ილი ჰკავშირებდა, თხზულებანი, ტ. I, გვ. 209.



ბისმარკის გადადგომის წინ ევროპის საშინაო მდგომარეობის შესახებ, როგორც „შეთოფ-იარაღებულს შვედობიანობას“ ანუ ნათქვამი „ივერიის“ 1889 წლის 16 იანვრის მოწინავე სტატიაში. ევროპის ხალხთა მთელს უბედურებას ამ პერიოდში ილია განმარტავს როგორც პირდაპირ შედეგს იმ პოლიტიკისა, რომელსაც ბისმარკი ანხორციელებდა ათეული წლების განმავლობაში. ამ პოლიტიკას ილია გაკადნიერებულსა და მოურიდებელს უწოდებს. ევროპის მილიტარიზმში მან დაინახა ის „გაუშაძლარი ვეშაპი“, რომელიც ხალხის დოვლათსა ნთქავს და ერის საუკეთესო ნაწილს ღუპავს. მისთვის ძნელი არ იყო დაენახა, რომ მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ევროპის დიპლომატიის კულუარებში ტყვია-წაძლის სუნი იდგა და ვახვრეტილი გროშის ფასდაც კი არ ღირდა ის საზეიმო აღთქმანი, რომლებითაც „შვედობიანობის ანგელოზს“ ამკობდნენ იმდროინდელი ევროპელი დიპლომატები ინგლისის ჩათვლით. ჯარების სწრაფი მომზადება, საომარი საქურვლის მკვეთრი გადიდება, და მეორე მხრივ, შვედობიანობაზე ფიცი ისეთი ორი მოწინააღმდეგე პოლუსი იყო, რომელთა შორის საერთო ენა მხოლოდ ომი შეიძლებოდა ყოფილიყო. ევროპის ხალხი კი ამ ორთაჭიდილში სულს დაფედა. ილია ღრმა გულისტკივილით ეხმაურება ხალხის ამ აუტანელ მდგომარეობას, რომ მას „მუხლი ეკეცება დღევანდელი დღის სიმძიმის ქვეშ, სული ეხუთება, არაქათი აღარა აქვს.“¹⁾

დამპყრობლური ომების, გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ილიას ბრძოლა არ ნიშნავს, თითქოს იგი ყოველგვარ ომს უარყოფდა. გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის ელზას-ლოტარინგიის წართმევა — ეს ანექსია იყო, რასაც ფრანგი ხალხი არ ურიგდებოდა და ვერც შეურიგდებოდა — ამას ნათლად ხედავდა ილია და მხარს უჭერდა ომს უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ მოიხსენია მან ფრანგი პოეტის დერუელდის სიტყვები: „ომს სამაგიეროს ვაღაპრდისას რომ მართო პატიოსნება და ინტერესები ითხოვდეს, მაშინაც არ უნდა მოვერიდნეთ. ხოლო შავისთანა ომი ხომ სიმართლის ომიც არის. როგორ დავსთმოთ და როგორ დავტოვოთ მტრის ხელში მილიონ ნახევარი ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც გამოგველიჯეს ჩვენ უსამართლობის გულჭკვაობითაო!“ უსამართლობის წინააღმდეგ სამართლიან ომს ილია არამართო არ უარყოფდა, არამედ მხარს უჭერდა და იცავდა მას. 1890 წელს ილია პორტუგალიის მდგომარეობას ეხმაურება და ღრმა თანაგრძობით აღსავსე სტრიქონებს უძღვნის იმ „პატარა ერებს“, რომლებიც სამშობლოს განსაცდელის დღეებში მთელი ძალების მობილიზაციას ახდენდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ სამბრძოლველად. ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის მომღერალი ილია აღფრთოვანებით შეხვდა 1860 წელს ჯუპეზე გარიბალდის გამარჯვებას, რასაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა — „მესმის, მესმის სანატრული“. ერი, თუნდაც პატარა, მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულმა უძიმეში განსაცდელის ვითარებაში უნდა გაამხნეოს დამპყრობლების შესამუსრუვად — ეს იყო პოეტის იდეალი. ასეთი ერი ილიას ღრმა სიმპატიას და სიყვარულს იმსახურებდა. ამიტომ წერდა პოეტი: „ძლიერია ერი, რაც უნდა

¹⁾ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. X, გვ. 60.

პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნე-
ვებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე სტოს-
სი არ აკრებინებს, როგორც იმედ-გადაწყვეტილის, სასოება-დაკარგულის, არა-
მედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მიძრავ-მოსძრავს, რამდენადაც უბედუ-
რია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“. ნაციონალურ-
განმათავისუფლებელი ომი ილიას ყოველთვის მიაჩნდა „სიმართლის ომად“
და ამ ომს სამშობლოს დაცვად მიიჩნევდა.

ამგვარად, გერმანიის აგრესიული ძალების, გერმანიის მილიტარიზმის წი-
ნააღმდეგ ილიას ბრძოლას ღრმა თეორიული ხასიათი აქვს და მის პუბლიცის-
ტიკაში ეს არ არის მარტოაღდენ ევროპის საგარეო პოლიტიკის ანალიზის სა-
კითხი. ამ პრობლემებს დიდი პოეტური განიხილავდა მსოფლიო საერთაშორისო
ურთიერთობათა ასპექტში, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მონა-
ცემების საფუძვლიანი ანალიზით, რასაც ყოველთვის უკავშირებდა თავისი
ქვეყნის ისტორიულ მდგომარეობას. ევროპის ვითარების გათვალისწინებით
ილია დიდი სიფრთხილით სწყვეტდა მომავლის პრობლემებს და მის ღრმა
პოლიტიკურ ცოდნას, დიდ ინტუიციას, შორსმჭვრეტელობას უნდა მიეწეროს,
რომ პოეტის ბევრი მოსაზრება მომავალმა წლებმა სავსებით გაამართლეს.

ბისმარკის დროინდელი ევროპის ხალხთა მთელი უბედურების მიზეზს ილია
ქავჭავაძე ხედავს რეაქციული პრუსიელობის აგრესიულ ზრახვებში, იმ ძა-
ლადობასა და უხეშობაში, დამპყრობლური ომების მომზადებასა და მოწყო-
ბაში, რასაც ბისმარკის გერმანია ანხორციელებდა. „ეს უბედურება მოუვლი-
ნა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მის მეტის-
მეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებულმა პოლიტიკამ“, ¹⁾ — სწერს ილია.
მაგრამ შფოთი და ალიაქოთი, მძიმე მდგომარეობა ვერც გერმანიამ აიცილა
თავიდან. „შეიხედეთ ერთი გერმანიის რა ყოფა აქვთ ბარლამენტში ერთი
მხრილად ბისმარკსა და მის დამქაშებსა და მეორის მხრით გერმანიის ერის
გულ-შემატკივართა. ტყუილად ეძებენ თ. ბისმარკი და მისი გვან-ჩავანები
ამის მიზეზს იმაში, ვითომც პირადი შური და მტრობა აგეშებდეს მის მოპი-
რისპირეებს, როცა ეგრე მიესვენან ხოლმე თ. ბისმარკსა“. ²⁾ პირადულით არ
შეიძლება აიხსნას ამ ბრძოლის მექანიკის რთული ზამზარა, რომლის ფესვები
ღრმად არის გადგმული სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში.
ილია ამ ბრძოლის მიზეზს ხედავს იმ პოლიტიკაში, რომლის შესვეურნიც წინ
აყენებენ პოლიტიკას და შემდეგ ერის ინტერესებს. ამის შედეგად ყოველთვის
ხალხი გამოდის დაზარალებული, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა უშუალოდ მისი
ინტერესებიდან არ გამოდინარეობს და პოლიტიკა როგორცაე მოწყვეტილი,
ხალხისაგან განდგომილი რჩება. ორ მიმდინარეობას ხედავს საქართველოს
მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრა-
ობის გამოჩენილი მოღვაწე ევროპის პოლიტიკის მთელს ისტორიაში. „გამგე-
ბელნი სახელმწიფო ბედისანი იმახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვე-
ყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულ-შემატკი-
ვარნი ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა
ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო... დროთა მდინარეებაში

¹⁾ ილია ქავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 59.

²⁾ იქვე, გვ. 60.

ხან ერთი მოძღვრებაა ქვეშ და ხან მეორე, რადგან დღე-მუდამ კიდეაში არიან, ხოლო დღეს-კი ევროპის ერთი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს ჯერ პოლიტიკა და მერე ერთადერთი უფროსი ურია...“¹⁾ ამ პოლიტიკამ უდიდეს საგონებელში ჩააგდო ჩინური საზოგადოების, ისე იტალიისა და ავსტრიის ხალხი. გერმანიის მიერ მოტყუებული და ფაქტიურად გამარცხული იტალიელები ზოგჯერ ყრუდ, ზოგჯერ კი ამკარად გამოსთქვამდნენ პროტესტს გერმანიის ძალადობის წინააღმდეგ. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა და მეორე მსოფლიო ომის დროს იტალია ისევ იმავე მონურ მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიასთან, როგორც ბისმარკის ბატონობის პერიოდში. ჰიტლერულმა გერმანიამ კი იტალია თავის სრულ ვასალად გაიხადა. ბისმარკის დროს საცოდავად მოსთქვამდა „იტალიის ერთი უქონლობისა და უილაჯობისაგან, — ვაეწყალდით, ლუკმა ბური აღარ შეგვრჩია... მოგვაშორეთ ეგ რაღაც ჭირი გერმანიას, რომელმაც ეს უბედურება აგვიტანა ზურგზედ და სული ვეღარ მოგვიბრუნებიაო.“²⁾

გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზს ილია იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეს პოლიტიკა კრაზის წინაშე დგას. გერმანიის საშინაო პოლიტიკის სფეროში ილია ოთხ ძირითად ძალას აღნიშნავს, რომლებიც მისი აზრით, ეწინააღმდეგებიან ბისმარკს. ერთია დასი „პარტიკულიარისტებისა“, მეორე — „კლერიკალებისა“, მესამე — „თავისუფალ მოაზრეთა“ და მეოთხე — „სოციალ-დემოკრატებისა“. ეს დასი დღითი-დღე ძლიერდებოდა, რაც მოსვენებას არ აძლევდა ბისმარკს. ჯერ კიდევ 1878 წელს მან პარლამენტს მიადებინა „კანონი სოციალისტების შესახებ“, რომ მუშათა მოძრაობისათვის გზა შეეკრა, ჩიხშო იგი. მაგრამ ამ კანონებმა ბისმარკს ვერ მისცეს ის შედეგი, რასაც იგი მოელოდა. ხუთი წლის შემდეგ, 1884 წელს ბისმარკმა კვლავ მოითხოვა ამ კანონის ვადის განგრძობა ორი წლით, და ილია შენიშნავს: „...განგრძობა ამ კანონებისა მიიღეს 183 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 158 ხმისა. ამ ხმათა რიცხვიდამ აშკარად მსჩანს, რომ სოციალისტთა საწინააღმდეგოდ ბისმარკს ძლიერი ჯარი არ ჰყოლია.“³⁾

სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბისმარკის ბრძოლა ილიას ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ეპოქის ერთი უაღრესად სერიოზული საკითხი. ილიას აზრით, ბისმარკის დროინდელი გერმანიის წყობა წარმომადგარი იყო 1848 წლის რევოლუციის შემდეგ და იგი იყო „ეგრეთწოდებული „ბურჟუათა“ წყობა“. ეს კლასი განაგებდა „თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას“. მთელი დოვლათი მის ხელში გროვდებოდა. მას „ბევრნი გულნაკლულად რჩებოდნენ“. პირველ ყოვლისა, ეს „გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა-ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატივიარსაც გერმანიისას.“⁴⁾ ამ ორი ძალის წინააღმდეგობამ და შეჯახებამ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. ბისმარკმა, რომელსაც „გული პირველთათვის უფრო უცემდა“, გადასწყვიტა პირველთათვისაც შეეჭრა ფრთები და შეორენიც ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით მან „მოიგონა ეგრეთწოდებული „სა-

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 61.

²⁾ იქვე.

³⁾ იქვე, გვ. 150.

⁴⁾ იქვე, გვ. 151.

ხელმწიფო სოციალიზმი“, რითაც სამი კურდღლის დაკერა ხელში აკერ ერთი, რომ „ბურჟუაზიას“, მეტად გაძლიერებულს და თითქმის სახელმწიფოს მფლობელს, მართლა-და შეკრეჭა უნდა, თორემ მეტად თამამი და უფრო დიდი სახსარი ძლიერებისა ბატარად შეაკვეცოს; მეორეს კი მხოლოდ გულს მოიგებს, რაკი სახელმწიფო ჩაიგდებს ხელში გამორჩომის წყაროს და ბაშასადაც თითონ სახელმწიფო აუჩენს მუშებს საქმესა; და შესაშვს მხრით — რაც გამორჩომა იქნება, სახელმწიფოს ერგება.“¹⁾ მაგრამ ბისმარკის პოლიტიკის კრახს ვერ უშველა „რკინის კანცლერის“ ვერც დაბლობატიურმა ნიჭმა, ვერც დაუცხრომლობამ და დაულალავმა მუშაობამ.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ოტო ბისმარკმა ვეღარ შესძლო იმ წინააღმდეგობათა თავიდან აცილება, რომლებიც გაერთიანებულ გერმანიაში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია მუშათა კლასსა და ხელმძღვანელ კლასებს შორის. კრახი განიცადა აგრეთვე ბისმარკის ეკონომიურმა პოლიტიკამ. მან ვერ შესძლო აგრეთვე სწრაფად მზარდი ფინანსიური კაპიტალისათვის უზრუნველყო ახალი კოლონიების დაპყრობა. რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტების წინააღმდეგ ბისმარკის განსაკუთრებულმა კანონებმა ვერ შესძლეს და არც შეეძლოთ მუშათა რევოლუციური მოძრაობის სრული დათრგუნვა, წინააღმდეგობანი ქვეყნის შიგნით თანდათან ძლიერდებოდა, მეზობელ სახელმწიფოებშიც ანალოგიურ ამბებს ჰქონდა ადგილი, ბოლოს კრახი განიცადა ბისმარკის საგარეო პოლიტიკამაც, მან ვერ შესძლო ინგლის-რუსეთის ორიენტაციის საბოლოო გადაწყვეტა და ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მოხუცი „რკინის კანცლერის“ გადადგომას კაიზერ ვილჰელმ მეორის დროს, რომელმაც შემდეგ კაცობრიობას თავს დაატეხა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი. მართალია, ბისმარკი ისე ჩავიდა სამარეში 1898 წელს, რომ ვერ გამოარკვია, თუ როდის დაებადა ვილჰელმ მეორეს მისი განდევნის აზრი, მაგრამ აქ გადაწყვეტი და საბოლოო როდი იყო იმპერატორის შეზღუდულება ბისმარკზე. „თუ როდის დაებადა იმპერატორს აზრი და მოუშწიფდა გადაწყვეტილება თავიდან მოვეშორებინე, — წერს ბისმარკი თავის „აზრებსა და მოგონებებში“, — არ ვიცი.“²⁾ თვით ბისმარკი დარწმუნებული იყო: მომავალ იმპერატორს, ვიდრე პრინცი იყო, კანცლერის მტრებმა ჩააგონეს აზრი, რომ იგი თავისი მომავლის დიდებას ბისმარკს არ გაუნაწილებდა.

1888 წელი გერმანიის იმპერატორის სასახლეში მრავალ მოულოდნელობათა წელი იყო. ვილჰელმ პირველი ამ წლის დსაწყისში გარდაიცვალა. მარტში ტახტზე ავიდა მისი ძმა — კრონპრინცი ფრიდრიხი, შემდეგ იმპერატორ ფრიდრიხ მესამედ წოდებული, რომელიც ამ დროს 67 წლის მოხუცი იყო და ყელის კიბოთი აუადმყოფობდა. მისმა მეფობამ სულ 3 თვეს გასტანა. ფრიდრიხ მესამის სიკვდილის შემდეგ ტახტი დარჩა მის შვილს — ვილჰელმს — შემდეგ იმპერატორ ვილჰელმ მეორეს. ერთი წლის განმავლობაში — 1889 წლის შემოდგომამდე, როგორც თვით ბისმარკი მიუთითებს, არავითარ ცვლილება არ მომხდარა იმპერატორისა და კანცლერის ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგრამ 11 — 13 ოქტომბერს, როცა რუსეთის იმპერატორი ალექ-

¹⁾ ილია ჭავჭავაძე, თბზღებანი, ტ. X, გვ. 151 — 152.

²⁾ О. Бисмарк. „Мысли и воспоминания“, т. III, стр. 42, 1941 г.

სადრე მეორე ბერლინში ჩავიდა და ვილჰელმ მეორეს შეხვდა, რისთვისაც აზრით, ამ შეხვედრის დროს იმპერატორს არ მოსწონებია ბისმარკის რჩევა რუსეთში მისი მეორე სტუმრობის შესახებ. მეორე მხრივ ბისმარკს უნებუნებლად, რომ მან, უკვე მოხუცებულმა, ვერ გაითვალისწინა თავისი უმთავრესი პოლიტიკური დედამისის მოახლოება და არ მიიღო ზომები ისეთი ფორმით გადადგარიყო, რომ უფრო შესაფერი ყოფილიყო იმპერატორისათვის და „უფრო ღირსეული“ მისთვის.“) მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ამ ფაქტს მეორე თუ მესამე-ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ბისმარკის გადადგომის მიზეზები სულ სხვა იყო, ის, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. „აზრებმა და მოგონებებში“, განსაკუთრებით ამ წიგნის მესამე ტომში იგი მართალია ლაპარაკობს თავის შედომებზე პოლიტიკაში, ეკონომიურ საკითხებში, მაგრამ მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მიხვდა „რკინის კანცლერი“, რომ დრო გამოცვლილი იყო, რომ ჰამბურგიდან შორი რუსით მიმავალი საოკეანო ხომალდები ახალ სამყაროზე იუწყებოდნენ.

ეს მიზეზები ბისმარკის გადადგომისა შესაძლოა უფრო ღრმად ჰქონდა შეგნებული ილია ჭავჭავაძეს, ევროპის საქმეებზე შორიდან დამკვირვებელს, და არა მონაწილეს, ვიდრე თვით ბისმარკს, რომელიც მის მიერვე გაბმულ ქსელში შემდეგ თვითონაც ვეღარ გაერკვა. რომ გერმანიის მილიტარიზმმა არა მარტო ფრანგი, იტალიელი, ავსტრიელი და სხვა ხალხების მიძიმე მდგომარეობა შექმნა, არამედ იგი უმძიმეს ლოდან დააწვა თვით გერმანიის ხალხსაც, რის გამოც ვილჰელმ მეორე მეფობის პირველი წლიდანვე იძულებული შეიქნა ახალი ბრძანებები გამოეცა შრომის, ხელფასის, სამუშაო დროის და ეკონომიკის მთელ რიგ საკითხებზე,*) — ეს ღრმად ჰქონდა შეგნებული ილია ჭავჭავაძეს. ლაპარაკობდა რა ევროპის ხალხთა ამ მძიმე მდგომარეობაზე, ილია მიუთითებდა: „ამისთანავე დღე ადგია თითონ ძლევა მოსილის და გათამამებულს გერმანიასაც. ეს ეგრეთწოდებული „თავისუფლად მსჯელთა“ დასი რომ ასე გაცხარებულად ზედმისეგია თ. ბისმარკს და მოსვენებას არ აძლევს, — რის ნიშანია? აბა შიგ გულში ჩაჭყდეთ ამ დასის ლაღადსა, თუ იმავე მიზეზთან არ მიხვიდეთ. ეს მიზეზი დღეს გერმანიაში ისეთი ძლიერია, რომ ლამის შეარყიოს აქამდე შეურყეველი ციხე-სიმაგრე თ. ბისმარკის ავტორიტეტობისა და სხვისთვის დათმობინოს ბურთი და მოედანი“,*) — ასე სწერდა ილია „ივერიის“ 1889 წლის 11 თებერვლის მოწინავეში. დიდი პოეტის ეს სიტყვები ერთი წლის შემდეგ სრულიად გამართლდა. დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე ბისმარკის ავტორიტეტის შეურყეველი ციხე-სიმაგრე კიდევაც შეირყა და ბისმარკი იძულებული გახდა „სხვისთვის დაეთმო ბურთი და მოედანი“ — 1890 წელს „რკინის კანცლერი“ გადადგა.

რა შედეგები მოჰყვა ამას?

ილია ამბობდა, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება „გულს მოჰფხანს“ საქმეს. მან მართლაც „გული მოჰფხანა“ გერმანიის სწრაფად მზარდ კაპიტალიზმს, ფინანსიურ კაპიტალს, რომლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას მოხუცი კანცლერი წარმატებით ვეღარ ახერხებდა.

*) O. Bismark. „Мысли и воспоминания“, т. III, стр. 42, 1941 г.

*) ამ საკითხზე საინტერესო მასალებია ბისმარკის „აზრებმა და მოგონებებმა“ მესამე ტომში.

*) ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 63.

ბისმარკის გადადგომის შემდეგ გერმანიის კაპიტალიზმი კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა. ახალი კოლონიების დასაპყრობად გერმანიის განუწყვეტელი მზადება 1914 წელს პირველ იმპერიალისტურ მსოფლიო ომად გადაიქცა. ამ ომში გერმანია დამარცხდა. კაიზერის დამსხვრეული სამხედრო მანქანა ფაშისტებმა შემდეგ აღადგინეს უფრო უხეში, უფრო საზიზღარი სახით. პიტლერის გერმანიამ დაიმონა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, მიანგრ-მონაგრია ისინი, სისხლსა და ცრემლში ჩაახრჩო ევროპის შლიონობით ადამიანები. ფაშისტმა კანიბალებმა აღადგინეს პრუსიელთა მხეცობა და ბარბაროსობა ისე, რომ მათ დანაშაულთა წინაშე მკრთალი გვეჩვენება ერთად აღებული პრუსიელობის, ბისმარკის დროინდელი გერმანიისა და კაიზერის გერმანიის შემადარწმუნებელი დანაშაულობანი.

გერმანიის სამხედრო ხროვას, ამ ლანდსკნეტებს, რომლებმაც ისტორიაში უაღრესად რეაქციული როლი ითამაშეს, ყოველთვის გამანადგურებლად აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი. 1848 წელს, როცა გერმანიაში — „მეცნიერული სოციალიზმის სამშობლოში“¹⁾ — რევოლუცია ბოძოქრობდა, მუშათა კლასის დიდი მასწავლებლები მთელი ძალღონით იბრძოდნენ, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი, თავისუფალი გერმანია. ისინი ებრძოდნენ გერმანიის სამხედრო ხროვას, რომელიც არა მარტო მიისწრაფოდა სხვა ხალხების დამონებისა და სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ, არამედ ამ მიზანს კიდევაც ანხორციელებდა პრაქტიკულად. წერილში — „გერმანიის საგარეო პოლიტიკა“ მარქსი და ენგელსი მიუთითებენ: გერმანელის სახელი უცხოეთში ასე საქულველი არ იქნებოდა, გერმანიის ხალხს რომ ხშირ შემთხვევაში არ ეთამაშნა ლანდსკნეტების როლი გერმანიის სამხედრო ხროვისადმი მონური მორჩილების შედეგად. ამ წერილში ვკითხულობთ: „რომ არ ყოფილიყო მისი დაბრმავება, მისი მონური სული, მისი ვარგისობა და მზადყოფნა ეთამაშნა ლანდსკნეტების, „გულმოწყალე“ ჯალათებისა და „წყალობითა ღვთისათა“ ბატონების მორჩილი იარაღის როლი, — გერმანელის სახელი საზღვარგარეთ არ იქნებოდა ასე საქულველი, დაწყევლილი და შეზიზღებული, ხოლო გერმანიის მიერ დამონებული ხალხები დიდხნის წინათ მიღწევდნენ თავისუფალი განვითარების ნორმალურ მდგომარეობას.“²⁾ მარქსი და ენგელსი იქვე მიუთითებდნენ, რომ გერმანელი ხალხის თავისუფლება და სიკეთე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თავისუფლებასა და სიკეთეს მისცემს სხვა ხალხებს. პირდაპირ ასეა ნათქვამი: „გერმანია თავისუფალი იქნება იმდენადვე, რამდენადც თავისუფლებას მისცემს მეზობელ ხალხებს“.

ეს სიტყვები ახლაც ძალაში რჩება: პიტლერის გერმანიამ რაკი მიზნად დაისახა განადგუროს სხვა ქვეყნები, თვით მას არ ასცდებია განადგურება. ამის თავდება საბჭოთა ხალხის, მისი წითელი არმიის გმირული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში ჩვენთან არის მთელი მოწინავე კაცობრიობა. ამ ბრძოლაში ჩვენ გამარჯვებისაკენ მივყევართ დიდ სტალინს. ამ ბრძოლაში ჩვენ აღგვაფრთოვანებენ ჩვენი დიდი წინაპრები. ამ წინაპართა შორის დგას ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით შთამაგონებლად გვიხმობს სამშობლოს დასაცავად და მტარვალთა გასანადგურებლად.

¹⁾ ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 9, 11 გამოცემა.

²⁾ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. VI, стр. 238.

„ღაპითიანის“ ღიგაიაგუკუდი წყაკოები

წარმართობისა და ქრისტიანობის მძაფრი ბრძოლის კვალი ნათლად არის დარჩენილი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კოპალას. არაგვის ნაპირზე უწინდელ დროში ყოფილა ფშავ-ხევსურთა სალოცავი ამ მითური გმირისა, რომელსაც ძველი დროის ფშაველი ისევე სცემდა თაყვანს და ევედრებოდა, როგორც ლაშარის ჯვარს, მზესა და დიდ თამარს. ღვთის გმირი იყო, მათის რწმენით, კოპალა — „ძვირად სახსენებელი, ცამდინ მალალი და ზღუამდინ მავარი“.

ჩვენს ლიტერატურაში არა ერთხელ სცადეს გაერკვიათ ვინაობა და სადაურობა ამ წარმართული ღვთაებისა. მ. ჯანაშიელი ფიქრობდა, რომ „ალბათ, თვით მზე შიანდათო კოპალედ“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ვინ არის და რომელი ღვთაებაა ნამდვილად კოპალა ანუ კოპალე, ეხლა ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ხალხურ შეხედულებას გარკვეული სახე არ ეტყობა“. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ვარემოებას, რომ ფშავ-ხევსურთა დეკანოზები როცა ხალხს სუფრას უჭურთხებდნენ და „ოჯახობრივ გამრავლებას“ უსურვებდნენ, ევედრებოდნენ არა მარტო ხმელეთ-მოურავ კვირიას, არამედ კოპალასაც. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ კოპალას სახელი მოგვაგონებს ბერძნულ-რომაულ ნაყოფიერების ღვთაებისა და ადგილის დედის კიბილეს სახელს, თუმცა ეს უკანასკნელი სქესის მხრივ არ შესაბამება კოპალეს.

კოპალას სახის აღდგენა და გაცოცხლება ვაჟა-ფშაველამაც სცადა: ამ მითურ პერსონაჟს ის მარტო ეთნოგრაფიულ წერილში „კოპალა და იხსარი — დევების მებრძოლი“ როდი შეეხო. მან ამავე თემას მიუძღვნა პოემა კოპალაც. პოემის ქვესათაურში თვითონ ვაჟა აღნიშნავდა, რომ მან ძველი ამბავი აიღო გასაღებქსავად.

როგორ გვეხატება კოპალა ვაჟის ამ ორი ნაწარმოების (პოემისა და პუბლიცისტური წერილის) მიხედვით?

პოემის დასაწყისში ვაჟა გვიხატავს ქვეყნის სიცოცხლეს, რომელიც რაღაც შავნულ ძალას დაუძლევი, დაუჩაგრავს და ფხვქვეშ ნათელად გაუხდია. თითქოს საყოველთაო სიკვდილის მოლოდინში დადუმებულა და გამტკნარებული მთელი ბუნება: მთვარე ჩამქრალა, აღარც ვარსკვლავები სჩანან, ცრემლად დაწურულან მთები, არაგვიც ცრემლების ღელედ გადაქცეულა, ჩუმად მოსჩქეფს და ქვითინებს, მივარდნილ კლდეებში შევარდნი წივის, ირემი ველარ დასწაფებია მდინარეს, მკვდართა ბინას დაჰმზგავსებია სოფელი, —

მთელი სამყაროც. ეს იმიტომ, რომ ქვეყანას დაპატრონებიან უწარმადარი შაენაბდიანი ღვეები. ისინი წვიმასაც კი აღარ უშვებენ მიწაზე:

„როცა გამოჩნდის ღრუბელი,
წვიმამ დაიწყო შრიალი,
ღვეთ ლაბტი მოუღირიან
და ასტეზიან ღრიალი,
გაქტრის წვიმა და ღრუბლებმა
უკან იწყიან ტრიალი.
ლამის სიკვდილმა სიცოცხლის
დაისაკუთროს სახელი,
გაქტრეს ღვთის მახსენებელი,
არეინ აანთოს სანთელი.
ლამის სიყვარულს დაეწეოს
ტურფა გვირგვინი იისა.
ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს,
გახდეს საქმელად კიბსა“.

გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი
გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი

მაგრამ გამოჩნდება მოხუცი კობალა და ამოჰხოცავს ღვეებს, გაანთავი-სუფლებს ქვეყანას, — კაცსაც და ბუნებასაც. ფოთლები ისევ დაიწყებენ შრიალს, ისევ აყვავდება და გაიფურჩქნება სიცოცხლე, ისევ გალალდება და გადაიშლება ის. ამ ვაგებით კობალა სიცოცხლის ხელახლად დაბდებასთან არის დაკავშირებული.

უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ამ სახისა ღღეს უკვე ძნელია.

ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ ფოლკლორ-ში ყოფილა წარმართული ხალხური სიმღერა „ახა წმინდა კობალე“. დავით გურამიშვილს, ალბათ, არაერთხელ მოუსმენია ეს სიმღერა, რომელიც აღიდებდა და მადლსა სწირავდა სიცოცხლისა და ქვეყნიერების მფარველის მარჯვენას. ეს სავსებით ბუნებრივია. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, გურამიშვილის ბავშვობისა და ყრმობის წლებში, არაგვის მიდამოებში მობინადრე ხალხის ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხალი და ღრმად გამჯდარი იქნებოდა რწმენა ფანტასტიური ქვეყნისადმი, რომელიც დასახლებული იყო შაენაბდიანი ღვეებით, ადგილის დედოფლებით, ქაჯებით და ოჩოპინტებით. ალბათ, ამ ლეგენდებისა და მითების ნაკვეთი იყო სიმღერაც წმინდა კობალეს შესახებ. ღღეს ის ლექსი „ახა წმინდა კობალე“ დავიწყებული და დაკარგულია. დაგვრჩა მხოლოდ მისი სათაური თუ პირველი სტრიქონი, ისიც იმიტომ, რომ დავით გურამიშვილს ამ სიმღერის ლექსი და კილო თავისი საინტერესო პოეტური ექსპერიმენტის ობიექტად გადაუტყვევია. მას აუღია ამ სიმღერის რიტმი და კილო, შინაარსი, როგორც წარმართული, უარუყვია და შეუცვლია ახალი აღთქმის ლეგენდით მარიამის შესახებ, რომელსაც ანგელოზმა ყრმის ჩასახვა ახარა.

გურამიშვილი თავის ლექსში ჯერ ხარებაზე ლაპარაკობს, გადმოგვცემს, როგორ შესცდა ქალწული, რომელსაც უმამაკაცოდ ყრმის დაბადება ვერ წარმოედგინა, შემდეგ სწერს:

„ესთქვათ იმ ყრმის ზობითა დაგვემართა სარდარია!
გაიზარდა აწ ყრმა-რა, სცა და კერპნი გაყარა,
ოციო შეგვექმნა ღმერთადა, დაგვიცვა და დაგვფარა,
გინიყიდა, ჯვარს ეცვა, ჩვენთვის სისხლი დაღვარა,
რასაც ვილით დაგვიხსნა, მის ვახშს გვობოვენ აღარა“.

ძველი ხალხური თქმულება, როგორც ვაჟის პოემიდან სჩანს, კრძალას სიცოცხლის მფარველად აღიარებდა და, მაშასადამე, გურამიშვილს წარმართული მითოსი ანალოგიური ქრისტიანული ლეგენდებით შეუცვლია, თუმცა ცდილა სიმღერაში ისევე სიცოცხლის დაბადების, მისდამა მფარველობის შინა დაეცვა, განევითარებინა, ოღონდ მთელი კონცეპცია ქრისტიანულ სამოსელში გაეხვია.

ეს შეთავსება საერთოდ დამახასიათებელია იმ პოეზიისათვის, რომელიც ქრისტიანობის წილში დაიბადა. ქრისტიანობამ აიღო წარმართობის სიმბოლოები და შეუფარდა ისინი თავის მსოფლმხედველობას, მაგრამ ისე, რომ მინეზისი ამა თუ იმ მითისა, ამა თუ იმ სიმბოლოსი მაინც ვერ დაჰვარა.

გურამიშვილის შემოქმედებაში ხშირად ივრძნობა ამგვარი სტილიზაცია წარმართული ლეგენდებისა. ეს პრინციპი ნაწილობრივ განსაზღვრავს პოეტის დამოკიდებულებას ხალხური შემოქმედებისადმი, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ათასსუთასი წლის შემდეგაც ძირითადად ისევე წარმართული იყო. მისი მთავარი გატაცება ისევე ამქვეყნიური მშვენიერება, ისევე ლამაზი ქალი, ისევე ბრძოლის ენის და პათოსი იყო. თითქოს ამ ტრადიციის შეცვლას ცდილობს გურამიშვილი, როცა წარმართული ლექსების „ქალო, ქალთა მზეო“, „აგერ მიღმარ ამისა“ და „პატარა ქალი თინაო“ სანაცვლოდ სათქმელ სიმღერებსა სწერს. ის ხშირად ედავება წარმართული სიმღერის რეფრენსაც-კი და „არანანინას, თარანანინას“ აღილუიათი სცვლის.

მაგრამ წარმართობა რაღაც გარეგანი ძალა როდია მისთვის, ეს თვით მის გულში იბრძვის ორი ადამიანი — წარმართი და ქრისტიანი. სიცოცხლის სიყვარულს, რომელიც პოეტის გულში სჩქედს, მართო ქართული წარმართობის წყაროები არა ჰყვებოვენ. ამ მხრივ პოეტის პორიზონტი უფრო ფართოა.

ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს „მზიარულ ზაფხულში“. აქ არის უმთავრესად შეგარმობილი სიცოცხლის ბრძოლა სიკვდილთან, ზამთართან. ეს ბუნების უხვი ნაყოფიერების ზემოთა.

პოემა იწყება ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლის ეპიზოდით.

როგორც მეფე და განმგებელი ქვეყნის სიცოცხლისა, ზამთარი ზის ყინულის ტახტზე, თავი მოსწონს, ფარ-ხმალ-ლატზე ხელი დაუდვია და თავის ლაშქარს — თოვლ-ყინვას და სუსხიან ქარებს დასცქერის. მის საბრძანებელს ზაფხული უახლოვდება თავისი ლაშქრით. იწყება ცხარე ბრძოლა: ჰკრიან ქარები, ზამთარი თოვლ-ყუყუასა და თოვლის ხორშაკს აყრის ზაფხულის ძალებს. როცა ზამთრის ძალები სუსტდებიან, ზევიროსი თრთვილით დალაშქრავს მოწინააღმდეგეებს. მზე და ზაფხული ამ თრთვილსაც აღნობენ. მაშინ ბრძოლაში ჩრდილოეთის ბორიო ქარი ჩაერევა, ყველაფერს ისევე გაჰყინავს და ცაზედაც და მიწაზედაც ზაფხულის სხივებს გაანადგურებს, მაგრამ ბოლოს მაინც ზაფხული დასძლევს:

„ოდეს მოხსენდა სიტყვა ჩაფრისა,
ჯარის სიშირცხე, მოშლა ხაფრისა,
წამოდგა ზამთარი,
ხელთ იპყრა ხმალ-ფარი,
შეჯდა რაშხედა!

სადაც ბანაკად ღვა გაზაფხული,
 ხრმალ გალესილი, შუბ გაზაფხული —
 მიმართა ზამთარმან
 ვგავრით, ვით აფთარმან,
 მას შეუტყვი!



ზაფხულს მიუგო ავი სიტყვანი,
 გარდაიყარა თავსა სიტყვანი.
 ზაფხულმან თოფხანა
 სტყორცნა, თავს მოკლხანა
 მეხით ზამთარსა.

მზემან მსახურა ზაფხულს კეთილად,
 ზამთრის სიცივე შესცვალა თბილად.
 ვაიჰეა ზამთარი,
 რაშს სტაცა ზაფარი,
 დასცეს კვირა!

შეჯდა კეკია, იყო ცხენ-ჩქარი,
 დააწყებინა შუბსა ზანზარი;
 გამოუღვა მღვერად,
 უკან მოსაწევრად
 მიჰყვა ზამთარსა.

არ ჩამოეხსნა კეკია-ქარი,
 სანამ არ ჩაძვრა ქვესკნის ზამთარი.
 აიღო ალაფი,
 გარდასხა თავს ლაფი
 და გამოზრუნდა..."

ამის შემდეგ ქვეყნად ზაფხული გამეფდება. ბრძოლის სამეფო ტახტი ზურმუხტის ტახტით იცვლება. დგება სიცოცხლის განთავისუფლების დღეები. ფრინველები გალობენ და ჭიკჭიკებენ, ტოროლა და ჭიტონი, ოფოფი და შაში დაპხარიან ამწვანებულ ქვეყანას, ხეთა ფოთლების შრიალშიც ეს ხმები ისმის. ადამიანებიც სიყვარულის ნეტარებას ეძლევიან. მინდვრად გამოსულან მწყემსი ქალები, ხედავენ ყვავილებს, ჰკრეფენ და გვირგვინებს სწნავენ, რათა თავიანთ სატრფოებს მიართვან. ერთი მწყემსი გოგონა ბარდიან ქალაში შორს გაიტყუა ყფავილების ძებნამ: არ უნდოდა მართო თეთრი ვარდებისაგან დაეწნა თავისი გვირგვინი. ტყეში განმარტოებულს ქაბუკი შემოეყარა. ქალს მოეწონა ის და თავისი ყვავილების გვირგვინი შესთავაზა. ეს გვირგვინი მისი ქალწულობის სიმბოლოა.

არც ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლა, არც გვირგვინის ეს სიმბოლიკა, რომელთაც სადაც შორს წარმართული ებოქის სიღრმეში მივეყვართ, ქართული სინამდვილის, ქართული ყოფის რეალიები არ არიან. მას რაღაც სხვა წყარო ჰყვებავს.

მაშ საიდან არის ყველაფერი ეს?

„რომელთა რწმენით, — სწერდა ა. ვესელოვსკი, — в сретенье ზამთარი მხედება ზაფხულს, რომ შეებრძოლოს მას, ხოლო ზარებობაზე ამბობენ, რომ გაზაფხულმა ზამთარი დაამარცხა. ჩვენი ეს გაკამათება ზაფხულისა და ზამთრისა, რომელიც თავდება ამ უკანასკნელის დამარცხებით, გამოხატულია თა-

მამის ფორმით: თოვლის ქალებს ალყას არტყავენ... დასაქმებული კროპაში ეს ჩვეულება დამუშავებულია უფრო დაწვრილებით და მას თავისი ლიტერატურული ისტორია აქვს... შუა მარხვაში, როცა ზამთარზე ვსაუბრობთ, ყინვა და სითბო უთანაბრდება ერთმანეთს, არც ისე კმაყოფილნი ვხვდებით ასრულებდნენ თამაშს, რომელიც გამოხატავდა ზაფხულისა და ზამთრის ბრძოლას. ეს ჩვეულება განსაკუთრებით გავრცელებული იყო ზემო და ქვემო რეინის ნაპირებზე. ასპარეზზე გამოდიოდა ორი კაცი, ერთი გახვეული იყო მწვეანში, მეორე ნაიჯასა და ხავსში. ესენი იყვნენ ზაფხული და ზამთარი და ებრძოდნენ ერთმანეთს. ზამთარი მარცხდებოდა, მას შემოახვედნენ ტანსაცმელს. ვებერთელა ჯოხებით შეიარაღებული ახალგაზრდობა მღეროდა სიმღერებს, რომლებშიაც დაიცინოდნენ ზამთარს და აღიდებდნენ გაზაფხულს.

ყველაზე ძველი ცნობა ამ თამაშის შესახებ მიეკუთვნება 1542 წელს. 1576 და 1580 წლების ფურცლებში დაცულია მისი შესაფერი სიმღერაც. ამ მისი შინაარსი: მსმენელთა ჯგუფის შუაგულში ზამთარი და ზაფხული ურთიერთის წინააღმდეგ გამოდიან და დაობენ: რომელია მათში ბატონი და რომელი ყმა? ზაფხული თავისი მსლებლებით მოვიდა აღმოსავლეთიდან, საიდანაც მზე ამოდის, და ბრძანა ზამთრის გაძევება. ხოლო ზამთარი, უხეში სოფლელი, ბეწვის ქუდით, ჩამოვიდა მთებიდან, თან სუსხიანი ქარები ჩამოიყოლია. იგი თოვლით იმუქრება და წასვლას არა ფიქრობს. ზამთარი თავს იქებს თოვლიანი მინდვრებით, ხოლო ზაფხული ამყოფს მწვეან ველებით. ბოლოს გამარჯვება ზაფხულსა რჩება“.

მეორე ადგილას ვესელოვსკი სწერდა:

„XVI საუკუნეში პირველ მაისს ორი ჯგუფი, ერთი ზამთრის მეთაურობით, მეორე ყვავილთა მეთაურობით ქალაქში შედის. ზამთარი ისვრის თოვლის გუნდებს, ყინულებს, ის ხელთათმანებშია. მოწინააღმდეგეთა შეიარაღება კი ზაფხულს გვაგონებს: აქ მწვეანე ყლორტებია, ფოთლები და პირველი ყვავილები. ზაფხული ამარცხებს ზამთარს და ხალხი აცხადებს ზაფხულს გამარჯვებულად. ამასთან ერთად მღეროდნენ სიმღერებს, თუმცა ამ სიმღერების შინაარსი ყოველთვის არ იყო ცენზურული, მაგრამ ისინი შეეფარდებოდნენ ხალხის საგაზაფხულო განწყობილებას. აქ, როგორც სჩანს, არის მზგავსება უკრაინულ საგაზაფხულო დღესასწაულთან“.

ა. ვესელოვსკის გადმოცემით, ეს ტრადიციული თამაში გავრცელებულია შუაბაში, შვეიცარიაში, ბავარიასა და ხორუტანიაში. ამ თამაშიდან აღებულია შინაარსი XIV და XV საუკუნეების ორი სიმღერისა.

ჰანს საქსმა გაკამათების დრო შემოდგომაზე ვადაიტანა; ამიტომ მისი დასასრულიც სხვაგვარია: გამარჯვებული გამოდის ზამთარი.

გერმანულ „გაკამათებაში“ ზამთრის გაძევებასა და გაზაფხულის გამოძახებაში ზამთარი და გაზაფხული წარმოდგენილი არიან, როგორც ურთიერთის მტრული არსებანი, რომელთაგან ზან ერთი იმარჯვებს და ზან მეორე.

ეს არის ძველი მითოსი სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლის შესახებ.

ამასთან იყო დაკავშირებული გვირგვინის გადაცემა, რომელიც „მზიარულ ზაფხულშია“ აწერილი და რომელიც ასევე ხალხურ ტრადიციად არის მიჩნეული. გერმანიაში არსებობს სიმღერების მთელი ციკლი, რომლის შესახებ ვესელოვსკი სწერს:

„მე-14, მე-15 და მე-16 საუკუნეების მწერლების ცნობით, ამ სიტუაციებს ასრულებდნენ წლის სხვა და სხვა დროს. ისინი შეფარდებული იყვნენ მოზის დღესასწაულთან, ივანობის დღესთან და სხვ. Heinrich Seuse ვერტებს თავისი სიკვამლის დღეებიდან, რომელნიც მე-14 საუკუნის გერმანულ ენობრივ ხელს ემთხვევიან, შემდეგ ჩვეულებას, რომელიც გავრცელებული ყოფილა შვაბიაში: ახალი წლის დამეს კაბუკები გამოდიან სახლებიდან და სიმღერით ეხვეწებიან თავიანთ სატრფოებს, აჩუქონ გვირგვინები“.

.... მღერიან გვირგვინის შესახებ, რომელსაც ჩვეულებრივ მიხაკის ყვავილებისაგან სწნავენ გვირგვინის ის მიიღებს, ვინც ყველაზე უკეთესად იმღერებს. სებასტიან ფრანკი აღნიშნავს, რომ იგივე მეთოდება ხშირად ზაფხულში. როგორც ძველი საქალაქო განკარგულებებიდან სჩანს, ეს სიმღერა გვირგვინის შესახებ აკრძალული იყო. ასე, მაგალითად, ამბერგის ძველ საქალაქო წიგნში ნათქვამია, რომ არც ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა არ უნდა მისცეს სიმღერისათვის კაბუკს გვირგვინით. ყოველ შემთხვევაში, აქ საფუძველი ხალხური ჩვეულებაა, სადაც გვირგვინი მთავარ როლს თამაშობს (ეს არის სიმბოლო ქალწულობისა, ისევე, როგორც უკრაინულ ხალხურ პოეზიაში). სტრასბურგის მფრინავი ფურცელი, დაახლოებით 1570 წლისა, ერთხელ კიდევ გვაძლევს საშუალებას ახლოს გავცნოთ იმას, რასაც მღეროდნენ გვირგვინის შესახებ. ამ ფურცელში დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის სიმღერა: უცხო ქვეყნიდან მოდის მეფანდურე და მოაქვს მრავალი ახალი ზღაპარი. იქ თურმე უკვე დაიწყო ზაფხული, გაიშალნენ აღისფერი და თეთრი ყვავილები, ქალიშვილები ჰკრეფენ მათ და გვირგვინებს სწნავენ... ახალგაზრდა ბიჭები მღერიან ამ გვირგვინებზე სიმღერებს მანამდე, სანამ არ მიიღებენ გვირგვინებს“.

ჩვენ გავაცანით ამ ტრადიციების როგორც ხალხურ, ისე ლიტერატურულ წყაროებს. საინტერესოა, რომ ვესელოვსკი ორივე შემთხვევაში (პირველი, როცა აღწერს გერმანულ ჩვეულებას ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლისა და მეორე — ყვავილების გვირგვინის შესახებ) თუმცა გაცივრით, მაგრამ მაინც ასახელებს ამ ტრადიციების უკრაინულ პარალელებს.

გურამიშვილის პოემა საოცრად ემთხვევა ამ ტრადიციების როგორც ხალხურ, ისე ლიტერატურულ წყაროებს.

შეძლო ენახა ქართულ პოეტს ყველაფერი ეს?

იქნებ ეს გურამიშვილის გერმანიაში ყოფნის შთაბეჭდილება იყოს?

იქნებ ტყვეობის ან ტყვეობიდან დაბრუნების დროს ხედავდა ის ამ პლასტიურ ხალხურ თამაშს?

მაგრამ უფრო ახლოს ვიქნებით კემმარიტბასთან, თუ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი უკრაინული ყოფის და ფოლკლორის ანარეკლია. პოემის პირველი სტრიქონებიც თითქოს ამ უკანასკნელ დებულებას ადასტურებენ:

„ერთ ქალს რუსული აქესლა ექნა“
 ჩემთვის სახმილად ჩამოეკვესნა.
 იმით ჩემი გული
 იქნა დადაგული.
 მღედბის აღი

ვიწვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი,
 არიენა მყავს, დამასხას წყალი.
 დმერთო, გვაჯღებო,
 წყლით სავსე მვეჯები
 შენ მომაშველე!“



ეს სტრუქტურები თითქოს უფრო გვიადვილებენ ნამდვილი ლიტერატურული წყაროს მიგნების საქმეს.

ყურადღებას იქცევს ის, რომ გურამიშვილი ამავე დროს ორიგინალურია და თავისებური ამ თემის გაშუქების საქმეში. ის არასოდეს ბრმად არ ემორჩილება მასალას. აქაც, ცხადია, მან მრავალი ახალი ფერი დაუმატა ხალხური ყოფის უძველეს წარმართულ რიტუალს.

ლიტერატურის ისტორიაში არის ეპოქები, როცა უკვე გარდასული მითოსი ხელახლა დაიბადება, ისევ დაიბყრობს ადამიანთა შეგნებას, ისევ დაიბრუნებს თავის ძლიერებას, რომელიც, ვინ იცის, რამდენი საუკუნის წინად დაჰკარგა. ისტორია მრავალ ამის დამადასტურებელ მაგალითს იძლევა. უშუალოდ, უწიგნოდ და უგადმოცემოდ გაიღვიძებს ხოლმე ძველი მითოსი და შემდეგ ის ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც მისი პირვანდელი სიჭაბუკე ახსოვთ და შემოუნახავთ, მის ჩამოყალიბების, გაფორმების პროცესში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ასე გაიღვიძა მზის წარმართულმა მითოსმა გურამიშვილის შემოქმედებაში.

ძნელი სათქმელია, რომელ წლებშია დაწერილი ის ლექსები, სადაც გურამიშვილი დიდების პიმნებს უგალობს მზეთა-მზეს, მზეს და თინათინს. მაგრამ ერთი ცხადია: ამ მითოსის აღდგენამდე იგი გაზაფხულის, სულიერი და ფიზიკური გაზაფხულის ნატვრამ მიიყვანა. ამ ლექსებს მზის შესახებ პოეტი თავის დაღესტნის ტყვეობის შთაბეჭდილებებს უფარდებს: აქ ის ხან თავის ცხოვრების ბნელ გზას უჩივის, ხან დაღესტნის ბნელ ღამეს, ხან ნამდვილ ყინვასა და ქარბუქს სწყევლის, ხანაც ცხოვრების ქარიშხალს, რომელმაც ნაფოტივით გადაისროლა ის უცხო მხარეში.

„მზეთა მზევ, მზემან მომნახოს,
 მითხრას მშვიდობა, სალამი,
 თავს საფარველად მომშადლოს
 თავის აღდგომის აღამი.“

ცად მომტენელი ნათლისა
 რად მელანდები ბნელადა,
 ჩემ თვალთა ჩინის მპოვნელი
 შემქნიხარ საძებნელადა.“

განთიადისა ვარსკვლავო,
 მის მზეთა-მზისა მთიებო,
 ვიკარგვი ბნელის ღამითა
 დღევ, რად არ მომიძიებო.“

ეს პიმნები, ერთის მხრივ, ესკატოლოგიურია, ხოლო მეორეს მხრივ — უაღრესად ადამიანური:

„მე ყინვით დამშრალს ვულზედა
საობუნლად ხელის დისპასა
რომელიც ჭაღიც მადირსებს,
მას ვანაცვალებ, დის მასა“.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ ვალვიძებულ მითოსს პოეტი კვლავ ქრისტიანულ სამოსელში ხვევს. ბუნებით წარმართი, მაგრამ გონებით ქრისტიანი, თავდაპირველად ის ნამდვილ მზეს უმღერის, ყოველგვარი ფილოსოფიური სპეკულაციის გარეშე, უმღერის როგორც წარმართი. მაგრამ იმავე წუთს, როცა ივრძნობს, რომ საკმაოდ შორს ვასცილდა ქრისტიანული რწმენის დოგმატებს, კვლავ უბრუნდება რწმენის წიაღს და ცდილობს თავისი უნაპირო ფანტაზია ქრისტიანობის ჩარჩოებში ჩაჰკეტოს. ამიტომ ურთავს ის თავის ლექსებს სპეციალურ განმარტებას, სადაც მკითხველს ევედრება, რომ მისი ლექსი უსათუოდ ქრისტიანულად გაიგოს, მზეთა-მზეში უსათუოდ ქრისტიანთა ღმერთი ივლისტოსს. ამ გაგებას, ამგვარ სიმბოლიკას არაერთხელ მიმართეს ქართველმა პიმნოგრაფებმა მე-VIII — X საუკუნეებში, მოახდინეს რა წაჭმართობის ქრისტიანული მოღერნიზაცია, როგორც ქრისტე, ისე ღვთისმშობელი არა ერთხელ გამოხატეს ციურ მნათობთა სახით. იოანე მტბევეარი ქრისტეს „დაუღამებელ მზეს“ უწოდებდა. „მზე სიმართლისა“ და სხვა მზგავსი ეპიტეტები („მზისა შობილი“) არა ერთხელ გვხვდება ძველ ქართულ პოეზიაში, როცა ქრისტიანულ წმინდანებზე ლაპარაკობენ.

უკანასკნელ ხანებში ლიტერატურის ისტორიკოსმა და მკვლევარმა პავლე ინგოროსოვამ გამოაქვეყნა ფილოსოფიური ლექსები თამარ მეფისა. ამ ლექსებში თამარი სწერს მზეთა-მზის შესახებ, რომელიც ანათებს ადამიანთა რეალურ სამყაროსაც და მზის ზედა მსოფლიოსაც. ეს არის არა ფიზიკური მზე, არამედ რაღაც მიუწვდომელი ნათელი, როგორც რუსთაველის მზე, რომლის ელვათა კრთომა დღისითაც და ღამითაც დაინახება.

თუმცა გურამიშვილი არ იცნობდა თამარის იმ ლექსებს, მაგრამ ეს სიმბოლიკა მისთვის უცხო არა ყოფილა. ისიც ამ გზას მისდევდა და ამ ტრადიციას აგრძელებდა. მისთვისაც მზეთა-მზე „მიუწვდომელი წარუვალი ნათელია, გრძელი და ძველი დღეა“, „მყოფი“ და „შეურყვევლია“, რომელსაც პოეტი მარად შესტირის:

„შენ გაქვბ და გეჯგები, დაკარგულო ტყვეო,
მომიხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო“.

და ყოველ ლექსში ცდილობს პოეტი გააგებინოს მკითხველს, რომ ეს მზეთა-მზე სხვაა და თინათინი კიდევ სხვა:

„რა გინდ მე ასრე გაფიქვდი,
თავი ვახალო ტინზედა,
მზენი, ფრინველნი დასერო
ჩემსა ზორცა და ტვინზედა,
ვგონებ, არც მაშინ გავცვალე
იგი მზე თინათინზედა“.



არჩილ ჯორჯაძე სწერდა:

„ჩვენს ძველ ისტორიაში — ქართველ ერს და მის კულტურას — სარჩვენო კავშირი ჰქონდა დანარჩენ განათლებულ საზოგადოებასთან — არაბებთან, სპარსელებთან, განსაკუთრებით ბიზანტიასთან. მაშინ გვეყვანდნენ ჩვენ მწერლები — ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, რომელნიც იდგნენ ეროვნულ წიაღაგზე და ამასთან ფართო პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი... მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ ძველ კულტურასთან კავშირი გაწყვეტილი გვექონდა არა მარტო ჩვენ, მე-19 და მე-20 საუკუნის შვილებს, არამედ თვით მეთერთმეტე საუკუნესაც“.

მართლა მთლიანად ჰქონდა კავშირი გაწყვეტილი მე-18 საუკუნეს ძველი ქართული კულტურის ტრადიციებთან? ეს საკვებით სწორი არ არის. ფართო იყო გონებრივი ჰორიზონტი იმ პოეტებისა, რომელნიც მაღალი ნიჭისა და დაუდევარი ბუნების ადამიანის — ვახტანგის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი.

ვახტანგის კარზე გაცხოველებული კულტურული მუშაობა იყო გაჩაღებული. აქ ეცნობოდნენ არა მარტო ძველი საქართველოს სულიერ ვითარებას და ისტორიას, სწავლობდნენ არა მარტო ბიზანტიური და სპარსული კულტურის იმ ძეგლებს, რომელთაც საქართველოში გზა გაიკვლიეს და სახელი მოიპოვეს, ეცნობდნენ მოძღვრებას არა მარტო იოანე დამასკელისას, რომელსაც ერთ ადგილას ყიდვეც ახსენებს გურამიშვილი, არამედ უფრო შორს, უფრო ღრმა და უკვე ბნელით მოცულ წარსულშიაც იცქირებოდნენ. ეცნობოდნენ, მართალია, მეტწილად ეპიზოდურად და ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ეცნობოდნენ ანტიურ მსოფლიოსაც, რომლის შესახებ ცნობებს ძველი ქართული ხელთაწერები უხვად შეიცავენ.

ვახტანგის ეპოქამდე, მე-17 საუკუნეში, მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი თავის ლექსებში ებრძვის ანტიური წარმართობის იდეებს. სწინს, თეიმურაზი ანტიურ ფილოსოფიაში საკმაოდ ღრმად ყოფილა განსწავლული.

სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონის შედგენის დროს ხელთა ჰქონია სხვათა შორის იოანე პეტრიწის თხზულებანიც. ეს უხვი წყაროა ელინური სიბრძნისა. ამას გარდა, თვითონ ვახტანგიც უაღრესად დაინტერესებული იყო ქართული კულტურის წარსულით და ცდილობდა ახალი გზებით გამოენახა ძველი მსოფლიოს მოაზროვნეებთან მისასვლელად. შენახულია ტექსტები იმ თხზულებისა, რომელიც რუსეთში ვახტანგს ერასტი თურქესტანიშვილისათვის პროზაულად უთარგმნიებია და შემდეგ თვითონ გაუღუღესავს. ასეთია, მაგალითად, „მოკლე სიტყვის გება სოფრატისა“. ¹⁾ ცხადია, ეს გამონაკლისი არ უნდა იყოს.

ამ ღრმა ინტერესს ანტიური მსოფლიოსადმი ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უფრო გვიან, ვახუშტი ბატონიშვილს თავის თხზულებებში თავისუფლად მოჰყავს სოკრატის, ციცერონის, პლინიუსის აზრები, არჩვენს მათ და ამ საფუძველზე ჰქმნის თავის ისტორიის ფილოსოფიას.

დაეუბრუნდეთ დავით გურამიშვილს.

მის ცხოვრებასა და იდეურ გაწრთვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შემ-

¹⁾ ეს თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1853 წ., № 4, გვ. 57 — 80 და № 6, გვ. 82 — 80.

თხვევამ, რომელმაც პოეტი მოსკოვში მიიყვანა ვახტანგთან. ვახტანგის კარი მისთვისაც ნამდვილი აკადემია იქნებოდა.

ამ კულტურულ გარემოცვაში შემთხვევითი აღარ არის, ეჭვიმ, გურამიშვილი არა მარტო ახსენებს ეპიკურის სახელს, არამედ კიდევაც, ციციანისი ეთიური მოძღვრების სწორი ინტერპრეტაცია მოგვცეს.

რატომ და რისთვის დასკვირდა გურამიშვილს ანტიური ეპოქის უღვთო ფილოსოფოსის გახსენება?

პირველი წიგნის მეორე და მესამე თავში გურამიშვილი ცხოვრების აფრის ამოცნობას ლამობს, იხსენებს გაკვირით ძველ ფილოსოფოსებს, რომელნიც რაც უფრო ჩხრეკდნენ და აკვირდებოდნენ საწუთროს, მით უფრო არ მოსწონდათ იგი — იმიტომაც, რომ მასში არც ჭირსა და არც ლზინს გრძელი ბოლო არა ჰქონია. აქ პოეტი ლაპარაკობს იმ პესიმისმზე, რომელმაც ცრემლით და გოდებით აავსო მთელი საუკუნეები. გურამიშვილი თითქოს ცდილობს მაღლა დადგეს ამ პესიმისმზე, ეძებს ხსნას, ჭეშმარიტებისაკენ მიიყვლევს გზას. მას თითქოს არ უნდა დაიჯეროს, რომ ადამიანი უბედურია ამ ქვეყნად, ხოლო სიცოცხლე ბნელი და საზარელი კოშმარი, — და აი პოეტი ადამიანის სიცოცხლის პოზიტიური იდეალის ძიების პროცესში ანვითარებს აზრს, რომელიც შორს არ არის ეპიკურის ატარაქსიისაგან.

აი ეს ლექსიც:

„კვივის უკეთესი საქონლად,
არა-რა საქონელია,
მაგრამ თუ ნდობა გულს აბრძობს,
არ ადვილ საპოვნელია.

ფილოსოფოსი ეპიკურ
გვაუწყებს, ამის გვირდებია,
ფეხბულობით მყოფელი
აროდეს გაღარიბდება.

„ბრძენსა იქვს თავისუფლება
სოფელში ყოფნა-ნებისა,
ბრძენი სადაც არს ღარიბის,
საუნჯე თან ექნებისა“.

მე-18 საუკუნეში უკრაინაში, პოლტავის იმავე მიდამოებში, სადაც გურამიშვილი იმყოფებოდა, ცხოვრობდა უაღრესად განსწავლული კაცი, უკრაინელი პოეტი და ფილოსოფოსი გრიგოლ სკოვოროდა. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ისინი იცნობდნენ ერთმანეთს. ჩვენ ვადაპირით არაფრის თქმა არ შეგვიძლიან. ის კი ნათელია, რომ ეს ორი პოეტი იდეურ სფეროში ზშირად მხედებიან ერთმანეთს. იმავე კონტექსტში გრიგოლ სკოვოროდამაც მოიხსენია ეპიკურის სახელი. ის უფრო შორსაც წაიდა: სცადა ეპიკურის დაცვა ურიცხვი მტრებისაგან. ეხება რა ეპიკურს, უკრაინელი ფილოსოფოსი სწერს:

„... მისი სიტყვის ძალა ადამიანებმა ვერ იგემეს, ყველა საუკუნესა და ყველა ზალში დაამცირეს ეპიკური სიამოვნების ქადაგებისათვის და თვითონ ის მიიჩნიეს ღარიბის მწყემსად“... „მაგრამ როცა სიცოცხლე გულითადი სიხარულისაგანაა, ხოლო სიხარული სიამოვნებისაგან, მაშინ რაზეა დამოკიდებული სიამოვნება, რომელიც გულს ატკობს? ამას გვიხსნის ღვთაებრივი

პლატონი: ჰემმარიტება ყველაზე ტკბილიაო. ჩვენი-კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართა ჰემმარიტებაში სიცოცხლობს ნამდვილი სიამოვნება და მხოლოდ ის ერთი აცოცხლებს გულის განმგებელს ჩვენი სხეულისაკ, ან შეგვიძლია ბრძენი, რომელმაც ცოდნასა და უვიცობას შორის იგვიყენა სიამოვნებადო, რაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის... სიხანს, რომ სიცოცხლე ჩვენი ღვივის მაშინ, როცა ჩვენი აზრი შეიყვარებს ჰემმარიტებას, გაყვება მის ბილიკებს, ჩაჰხედავს მას თვალებში და ზეიმობს, მხიარულობს ამ წარუვალი ნათელით“.)

არსებითად ამასვე ამბობს გურამიშვილი, როცა სიბრძნეს ადამიანს სიცოცხლისათვის ისევე აუცილებლად სთვლის, როგორც ვეფხვისათვის კლანჭებს, როცა ის გაცოფებული თავს ესხმის მტერს, ხოლო ვაჟკაცისათვის—საქურველს, როცა ის ბრძოლის ველზეა გასული.) ეს არის ნამდვილი ეპიკურეიზმი, პირვანდელი და წაურყვენელი სახით. მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, თითქოს გურამიშვილი ეპიკურის ათეიზმს იზიარებდა. ეპიკური, როგორც კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ამბობდნენ, იყო „ძველი დროის ნამდვილი რადიკალური განმანათლებელი. იგი აშკარად თავს ესხმოდა ანტიურ რელიგიას და მისგან გამომდინარეობდა რომაელთა ათეიზმი, რამდენადაც იგი მათში არსებობდა. ამიტომ ლუკრეციუსი ადიდებდა მას, როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გასთელა რელიგია, ამიტომ ეკლესიის ყველა მამა მას სთვლის უღვთო ფილოსოფოსად par excellence, ღორად ამის შედეგად კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ როცა პავლე ფილოსოფიის წინააღმდეგ ამხედრდა, მას მხედველობაში მხოლოდ ეპიკურელები ჰყვანდნენ“.

თვითონ ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ანადგურებდა „უგანგებო“ და ღვთის უარყოფელ ეპიკურელებს. ამ ბრძოლამ ის შედეგი მოიტანა, რომ იდეურმა მოწინააღმდეგეებმა, ქრისტიანულმა ფილოსოფოსებმა და სქოლასტიკოსებმა ეპიკურეიზმი ჰედონიზმის უხეში ზორციელი ვნებათაღელვის სინონიმად გადააქციეს.

ამის შემდეგ მით უფრო საოცარია, რომ ქრისტიანული მსოფლიოს პოეტი გურამიშვილი ანტიკური ეპოქის უღმერთო ფილოსოფოსს იმორწმებს, როგორც თანამოაზრეს, და ქვეყანას მოუწოდებს, მოიქცეს ისე, იცხოვროს იმაგვარად, როგორც ძველი დროის ეს რადიკალური განმანათლებელი ჰქადაგებდა.

საქმე იმაშია, რომ ქრისტიანობის ბრძოლა ეპიკურთან გურამიშვილისათვის უცნობი იყო. გურამიშვილი მხოლოდ ერთ წერტილში შეჰხვდა ეპიკურს და იმ წუთსვე დაშორდა, როგორც ადამიანი, რომელიც გონებით მოგზაურობს საუკუნიდან საუკუნეში და სიცოცხლის პურს ეძებს. ამ ვრცელ გზაზე ის მრავალ აჩრდილს შეხვდა და მათ შორის ბერძენ ფილოსოფოსსაც. მაგრამ ჩვენს პოეტს უბრალო შესაძლებლობა არა ჰქონდა ხანგრძლივად დარჩენილიყო ეპიკურის აზრთა სამყაროში და ესუნთქა მისი ქვეყნის გამაცოცხლებელი ჰაერით. ზემოხსენებულ ერთ მომენტში კი გურამიშვილი, მართალია, ცოტაოდენად გაუბრალოებულად, მაგრამ მაინც სწორად გადმოგვცემს ეპიკურის ატარაქსის დედააზრს.

*) იხ. Собрание сочинений Г. С. Сковороды. т. I. 1912 წ. გვ. 360.

*) იხ. დ. გურამიშვილის ლექსი: „თქმულთა სიბრძნესთან სიგიჟე ერთი ცოცხალთან მკვდარია“.

ა. ხახანაშვილის აზრით, გურამიშვილი ამჟღავნებდა განყენებული აზროვნებისადმი მიდრეკილებას და საფუძვლიან ცოდნას ბერძნული ფილოსოფიის სფეროში. იონურა სკოლის თანახმად, ის ფიქრობს, რომ ადამიანი შექმნილია ოთხი სტიქიისაგან — მიწისა, წყლისა, ცეცხლისა და ჰაერისაგან. მართლაც ასეა. პოეტის ერთ ლექსში საწუთრო აყვედრის ადამიანს: „შენ, მიწა-წყალი, ქარ-ცეცხლო, მჯობინარ თქვი — აბა რითა?“ გურამიშვილი ამ აზრს მრავალ ლექსში იმეორებს.

მაგრამ ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, რომ გურამიშვილმა ეს მსოფლმხედველობა იონური სკოლისაგან აიღო. ამ მოძღვრების სიმბოლო ძველი ინდოეთია. ძველ ინდოეთში, აღიარებდნენ რა თავისებურად გაგებულ მატერიალისტურ მოძღვრებას, უარჰყოფდნენ ყველაფერს, გარდა მატერიისას ანუ, როგორც ამბობდნენ, ოთხი დიადი ელემენტისას (ე. ი. მიწის, წყლის, ცეცხლისა და ქარის).

ეს ძველი ინდური მატერიალიზმი უკვალოდ არ დაკარგულა. ის მარტო იონელმა ბერძენებმა არ გადაიღეს (თუმცა იონელი ფილოსოფოსები მეტ შემთხვევაში სუბსტანციად ასახელებდნენ ერთ რომელიმე სტიქიას: თალესი — წყალს, ანაქსიმენი — ჰერს, ანაქსიმენდრე — აპერიონს. მხოლოდ შემდეგში ემპედოკლემ აღიარა საგანთა ოთხი დასაბამი ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, ფესვი: ცეცხლი, ჰერი, წყალი და მიწა), ის, მიუხედავად დევნიბა, მტკიცედ ჩარჩა აზიის ხალხების ხსოვნაშიც. ასე, მაგალითად, დიდი ნიშანი განჯელი თავის „ლეილა და მეჯნუნში“ ამბობს: „სისხლი, რომელიც ამ ხრწნად გვაში მოიბოვება, შესდგება ჰერისა, ცეცხლისა, მიწისა და წყლისაგან“. ნიშანი მას ზან ოთხ არწივს უწოდებს, ზან ოთხ დედას სიცოცხლისას.

ეს მოძღვრება იმ სახით, რა სახითაც იგი გურამიშვილის ლექსებში ვგვხვდებით, ამოკრითებმაც შემოინახეს, ძველი ქართული ამოკრითული ზღაპარი ასეთ დიალოგს შეიცავს:

„მეფის ქალმა ჰკითხა ქაბუკს:

— ვინ არის მამაშენი?

— ცეცხლი და ჰერი.

— დედა ვინღაა?

— მიწა და წყალი, — უპასუხა ქაბუკმა“.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ გურამიშვილის შემოქმედებაში არა სწინა და არც შეიძლება სწინდეს არც მიწისა, არც წყლისა და არც ჰერის პილოძოისტური გააზრება. ეს იმიტომ, რომ პილოძოიზმისა და ქრისტიანულ დუალიზმს შორის („ხორცია მიწა-ტალახი, სრული უსხეულმყოფელი“ ამბობს გურამიშვილი) გაუქვლი უფსკრულია.

მე-19 საუკუნეში ვაჟა-ფშაველამ პილოძოიზმში აღადგინა იმით, რომ ქართულ წარმართობას დაუბრუნდა, მაგრამ გურამიშვილი, როგორც დავინახეთ, ხშირად მთელი თავისი პოეტური ძლიერებით ებრძვის ამ წარმართობას.

გურამიშვილის შემეცნების სფეროში როგორც ეპიკური, ისე იონელი დიოქოსების აზრები შეიძლება მოხვედრილიყვნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აზრები ასე თუ ისე შერეული იყო ქრისტიანული მსოფლიოს აზროვნების სისტემაში — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გადასხვაფერებულად, ებიზოდურად.

*) А. Хаханов: „Очерки по истории грузинской словесности“, вып. I, стр. 176.



წინა თავში, სადაც ლაპარაკი გვექონდა ქართული კულტურის ცხოვრების ეპოქაზე, შევეხეთ მხოლოდ ერთ საკითხს — მე-18 საუკუნის ქართველების დამოკიდებულებას ანტიურ მსოფლიოსადმი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს აღორძინება საქმაოდ რთულ პროცესებს შეიცავდა და მას მრავალი განშტოება ჰქონდა. მთავარი კი ნაციონალურ წილში დაბრუნება იყო. ეპოქის ეს ტენდენცია მძაფრად მოსჩანს გურამიშვილის პოეზიაში.

დავით გურამიშვილმა შეგნებულად უარყო აღმოსავლური პოეზიის ტრადიცია, თუმცა იგი კარგად იცნობდა ირანულ ლირიკასაც და, უმთავრესად, ირანული ეპოსის დიდ ქმნილებებსაც, იცნობდა, ცხადია, ქართული წყაროებით. ის იცნობდა ამ პოეზიის სიუჟეტებსა და ლეგენდებს, თუნდაც თეიმურაზ პირველის პოემებიდან, ნოდარ ციციშვილის „ბარამ-გურიდან“. ამ პოეტების სახელებს თავის ლექსში ის ახსენებს კიდევაც. როგორც გურამიშვილის წიგნიდან სჩანს, პოეტი კარგად იცნობს თავისი დროის ირანის პოლიტიკურ ცხოვრებასაც.

მაგრამ იმ თაობის თვალში, რომელსაც გურამიშვილი ეკუთვნოდა, მგრძობიარე და განცხრომის მოყვარე აღმოსავლეთმა უკვე დაჰკარგა თავისი წინანდელი პოეტური შარავანდედი. ქართველი პოეტისათვის ახლა შირაზი იყო არა მარტო საადისა და ჰაფიზის სამშობლო, სილამაზისა და განცხრომის ქვეყნის სიმბოლო, ვარდების ბაღნარი, არამედ მწველი მოგონებაც იმ ქალაქისა, სადაც აწამეს ქეთევან დედოფალი, სადაც მუხანათურად მოჰკლეს მეფე ლუარსაბ მეორე, სადაც მკაცრად და ფანატიკურად აწამებდნენ და ახრჩობდნენ ქართლის საუკეთესო შვილებს.

ამ წამებულთა სახელების წინაშე მოწიწებამ, საერთოდ, პატრიოტული აზრის გაღვიძებამ ყოველივე ირანულის მიმართ შეურიგებლობის ვრძობა გააღრმავა.

გურამიშვილი მარტო როდი იყო, როცა ქართულ მწერლობაში ახალ მიმართულებას ჰქმნიდა და სპარსულ გავლენას ებრძოდა. ეს იყო, როგორც ვთქვი, სტილი მთელი ეპოქისა. ეს განკერძოების პროცესი, ახალი გზის ძებნა უკვე მე-17 საუკუნის პოეტებმა დაიწყეს. თვითონ თეიმურაზ პირველი, რომელიც ესოდენ გატაცებული იყო აღმოსავლური ლიტერატურით, ინსტიტუტურად გრძნობდა ამ უკანასკნელის შეუთავსებლობას თავის ეპოქასთან. ის ტრაგიკული ფერებით ხატავს ქეთევან დედოფლის თავგანწირულებას და გარეგანში დიდი თამარის სურათის ქვერებით ეგზალტიურ ნეტარებას ეძლევა. არჩილი ლექსად სწერს საქართველოს ისტორიას, იხსენებს თავის ქვეყანას, შირაქსა და ივრის კალმახიან წყალზე ოცნებობს.

მაგრამ მთავარი როლი ამ შემობრუნებაში მაინც ვახტანგ მეექვსემ შეასრულა.

პოეტმა-მეფემ, ვახტანგ მეექვსემ, რომელსაც პოლიტიკაში ბედმა არ გაუღიმა, წარმატებით განავითარა დიდი საქმე ქართული კულტურის განახლებისა. ვახტანგის ფრთებ ქვეშ გაიზარდა მთელი თაობა პოეტებისა.

მეორე როლი როდი შეასრულეს თვითონ მისმა ლექსებმაც. შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი პოეტი ნატრობს თავის დედა-ქალაქს, სადაც მისში ვარდს ვარსკვლავები ასხია და არე-მარე მწვანედ ღელავს.

ამ კულტურული გამოფხიზლების ეპოქის ერთი დედაბოძი იყო სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც შექმნა უმდიდრესი და საუცხოო კულტურული ქართული ენისა.

ამ ეპოქაში მოაქვნიან და შეიკრებიან „ქართლის ცხოვრების“¹⁾ მრავალი მწიგნობრები.

ამ საფუძველზე პოეზიაც რაღაც ახალის ძიებაშია. ამ ახლის დადგენის მიზნითვე სწერს გურამიშვილის თანამედროვე და თანამოაზრე მამუკა ბარათაშვილი ქართული პოეტის სახელმძღვანელოს ე. წ. „ქაშნიკს“, სადაც თეორიულად განზოგადოებულია ეპოქის ლიტერატურული მისწრაფებანი, სადაც დაგმოხილია ყველა ის, ვისაც „თათრის ზღაპრები გაულექსავეთ მსმენო საზიანოდ და მთქმეფთ საურეგოდ“.

კულტურის ამ ძეგლებს გურამიშვილის შემოქმედებაზე უდიდესი ზეგავლენა მოუხდენიათ. პოეტის ლექსებში აუცილებლად სჩანს საბას ლექსიკონის გავლენის ღრმა კვალი. ეს წყარო ამდიდრებდა პოეტის ლექსიკას, ეხმარებოდა მას დაემკვიდრებინა ახალი, ხალხური, ძარღვიანი ენა. სამშობლოსაგან მოწყვეტილ პოეტს ეს წიგნი სულიერად კვლავ თავის ქვეყანასთან აბრუნებდა და აკავშირებდა.

მაგრამ სულხან-საბა უდიდესი ავტორიტეტი იყო არა მარტო ქართული ენის, არამედ პოეზიის საკითხშიაც. ეს ხაზგასმით აღნიშნა ვანტანგმა:

„რუსთველის ლექვი მეფეა. ტახტზე გვირგვინით მღვდობელი.
კვლავ ჩახრახცივ აგრევე სხვისა რიგისა მდგომელი,
მეფის არჩილის სარგელი, სწიფლაა დაუცხრომელი,
საბა თივალი მკდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი“.

ქართული ლექსის განახლების საქმეში დამწყებებისა და თაოსნის როლი აუცილებლად სულხან-საბას ეკუთვნის. სწორედ აღნიშნავდა ა. ბარამიძე, რომ „ქაშნიკის“ საილუსტრაციო მასალა მამუკა ბარათაშვილს უმთავრესად საბას „ქილილა და დამანადან“ აქვს ამოღებულიო.²⁾

შეიძლება ითქვას, რომ გურამიშვილს „ქაშნიკთან“ ერთად საბას ლექსმაც გავლენა ზნა.

აი ერთი მაგალითი; საბა სწერდა ანჩხლი ქალის შესახებ:

„ქმარს ზედა სხენან, ღეზითა სწხელენან,
ხილტარითა ასთენ და ჩქარად ვლენან“.

გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“ მამა არიგებს შვილს:

„ანჩხლი და ღრცხვი თუ არის მრუნი,
ზედ შემოგვადების, თუ ზელი უშვი.
მოგადებს მიზეზებს, შემოგკრავს მით დეზებს,
დავიხველიტ გვერდებს“.

არის მიზეზებიც „მხიარული ზაფხულის“ რეგორიზმის სათავე საბას ის ლექსია, რომელიც „ქალის“ სათაურით არის ცნობილი.

მწიგნობრული ლიტერატურის ტრადიციებთან ერთად გურამიშვილის პოეზიაში ზშირად სჩანს სამყაროს უშუალო შემეცნება ისე, როგორც ის ხალ-

¹⁾ ა. ბარამიძე: „ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან“, 1932 წ., გვ. 293.

ხურ პოეზიაშია მოცემული. პოეტმა ამაოდ კი არ მოიხსენია „ჩრდილონა ქვეშ მიუკარავთა და ცხელის ოფლით დამწვართა“ ქვეყანა. ის ამ ხალხთან, გლეხობასთან უშუალო სულიერი დაფებით არის დაკავშირებული. ქვეყნის ლექსები ხშირად გვაგონებენ ხალხურ ლექსებსა და სიციცოცხლეს („სიკვიდილმა უთხრა სიციცხლეს“, „ნეტა რა ზნე სჭირს სიკვიდილსა“ და სხვ.) და წუთისოფელზე („ბინდის ფერია სოფელი“ და სხვა ხალხური ქმნილებანი).

მთავარი გავლენა კი ისევ პოეტის ლექსიკას დაეტყო.

მაგრამ პოეტი ტყვე არ არის არც მწიგნობრული ლიტერატურის ტრადიციებისა და არც ხალხურ თქმულებათა მოტივებისა. მისი პოეზია ამ ტრადიციებს შემოქმედებითს სინთეზში აერთიანებს. პოეტი ჰქმნის ახალ ეთიურ და პოეტურ მსოფლშეგრძნობას.

ჩვენ აქამდე არ მოგვიხსენებია ორი მთავარი და გადამწყვეტი წყარო გურამიშვილის შემოქმედებისა, რომელნიც ღრმა შთაგონებას და სიძლიერეს აძლევდნენ პოეტის ფანტაზიას.

ეს წყაროებია, ერთის მხრივ, „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მეორეს მხრივ — ბიბლია.

ეს ორი მოწინააღმდეგე პოლუსია, რომელთა შორის გაუთავებლად ქანაობს პოეტის ფიჭვი და ოცნება.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობა დაიწყო „ვეფხისტყაოსანში“. არც დავითის ფსალმუნებს, არც ქებათაქმებას, არც ახალი აღთქმის ლეგენდებს არ აღმოაჩნდათ იმდენი მორალური შემოქმედების ძალა ქართველ ხალხზე, რამდენიც აღმოაჩნდა რუსთაველის ერთ პოემას. „ვეფხისტყაოსანი“ ყოფაქცევის არაოფიციალურ, მაგრამ მტკიცე კოდექსად გადაიქცა.

„საუკუნეების განმავლობაში, — სწერდა აკაკი წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, — ყველა იმას ეწაფებოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილსა მბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას ცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები — როსტევეან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერშადინობდნენ და მოახლე-გამდლები კი — ასმათობას ჩემობდნენ.“¹⁾

ისევე, როგორც საქართველოს ისტორიაში და ძველ ქართულ კულტურაში, გურამიშვილის შემოქმედებაშიც ეს ორი წყარო — „ვეფხისტყაოსანი“ და ქრისტიანობა — ერთმანეთს ებრძვის.

პირველი ასწავლის, რომ რეალური ცხოვრება ტურფა საბაღნაროა და აღამიანი ამ ქვეყნად ბედნიერებისათვის არის დაბადებული. ამ შემთხვევაში გურამიშვილი ჩვენს წინ სდგება როგორც საამქვეყნო პოეტი, განშორებული, მისივე სიტყვით, „საღვთო ბაღნარისაგან“. რუსთაველი მისთვის „ბრძენი რიტორია“, რომელმაც დარვო მარად მწვანე ხე ქართული ლიტერატურისა, ფესვები ღრმად გაადგმევინა მას მიწაში და შტოები გაუფურჩქნა, რომელთაც უხვი ნაყოფი მოიხსეს.

¹⁾ ა. წერეთელი: რჩეული ნაწერები, ტ. I, 1925 წ., გვ. 236.

გურამიშვილი დაცინვით შესცქერის ყველა იმას, ვინც რუსთაველს მტო-
ლებოდა, იმასაც, ვინც რუსთაველს და თეიმურაზ პირველს ერთმანეთს აღა-
რებდა. რუსთაველი გურამიშვილისათვის, ისევე, როგორც ჭანტაძისათვის,
ყველაზე მაღალი და მიუწვდომელი ავტორიტეტი იყო („ლექსი“, „რუსთაველი-
სებრ ნათქვამი, მე სხვისი ვერ ვნახეო“, ამბობდა იგი). და ამიტომ თამამად
იზიარებს მის თვალსაზრისს წუთისოფელსა და სიყვარულზე.

ვანა მძლავრი რუსთაველური სუნთქვა არ ისმის გურამიშვილის შემდეგ
სიტყვებში:

„მიჯნურმან უნდა ტრფილი
გულმართლად შეიყვაროსა,
მუდამ გვერდს ახლდეს სურვილით,
აროდეს გაეყაროსა.
უმისოდ ჭირად სახეედეს
ყოველსა ვასახაროსა,
ტკბილად სწნდეს მისთვის სიკვდილი,
სიცოცხლე გაიმწაროსა“.

მეორეს მხრივ, პოეტი ხშირად უბრუნდება ბიბლიას. ამ დიდი წიგნიდან
მას ყველაზე მეტად დავითის ფსალმუნები იტაცებენ.

„მზნე იყავ და გაძლიერდი,
დავითს რაც უთქვამს, სწორია“.

აქ დასახელებული დავითი ებრაელთა მეფე და პოეტი და სიტყვებიც
მისი 26-ე ფსალმუნიდან არის ამოღებული.

მეორე ადგილას პოეტი, ეხება რა ღმერთს, სწერს:

„მას აქებენ: ანგელოსნი,
კა, ჭეფანა, ბნელ ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე-ხალხნი,
მთა, ბორცვი, ტყე, ბუნარ-ველი,
პირუტყვ-მზენი, მგრინველ-თევზნი,
ვეშაბ, ყოვლი ჭეშმარიტნი,
ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა,
კაცნი ცხოვლად პირ-მეტყველნი,
მზე და მთიარე, ვარსკვლავები,
ღრუბელ-ნისლი, ცისარტყელი,
ზამთარ-ზაფხულ, ყინვა-სიციხე,
თოვლი, წვიმა, ბწყურნებთ მწვთველი,
ელვა-ქობილ, მებ-ტატანი,
ხორშაკ, სეტყვა ხილთ მბერტყველი, —
ყოველი სული აქებდეთ,
იტყვის წინასწარმეტყველი“.

ეს არის 148-ე ფსალმუნი დავითისა.

ბიბლიის გავლენამ დააბრუნა პოეტი VIII — X საუკუნეების ქართული
პოეზიის ტრადიციებთან.



შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი — „გ ა მ მ ა რ კ ე მ ბ ა“

გ ა მ მ ც ე მ ა „შ ე მ დ რ ა ც ი ა ს ი ს ა“

შალვა დადიანის სირეცენზიო ნაწარმოებთა კრებულს წამძღვარებული აქვს პუბლიცისტური წერილი „გამარჯება“, სადაც ავტორი ამ ხალხური მისაღმების უბრალო სიტყვის უკეთესობას საჭარბოვანად მდიდარ გმირულ წარსულს და დღევანდელ ვერაგ მტერზე გამარჯვებას, წერილი დაწერილია თეთრი ლეწისათვის დამახასიათებელი სიტყვების რიტმიული დაღაგებით.

საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „თამბაქო“ სუვერტურად მტკიცედ არის შეკრული. თუმცა მისი შინაარსი თბილისის ცხოვრების ფონზეა გაშლილი, მაგრამ შემავალი ეპიზოდებით იგი სამამულლო ომის გმირულ ბრძოლებს გვიხატავს. მოთხრობის შინაარსი აგებულია დესი კვესელავას და ევაკოურებულ ლიუდმილა სოკოლოვას ურთიერთობაზე. დესი თავის ოთახის ჯოხბეს უთმობს ლიუდმილას და იწყებენ ერთად ცხოვრებას. ერთს შეილა ჰყავს ფრონტზე (იგორი), მეორეს — ძმა (პეტრე). ისინი წერილებს ლებულობენ მთვან და ამ წერილების შინაარსით მკითხველის წინაშე იშლება გმირული ბრძოლების საინტერესო სურათები. მკითხველისთვის ნათელი ხდება, თუ როგორ იზრდებიან უბრალო ადამიანები ნამდვილ გმირებად. წითელარმიელი პეტრე კვესელავა მშვიდობიანობის დროს უბრალო შტემა იყო, ჩვეულებრივი მზარეული. მის ყოფას მშვიდობიანი ცხოვრების გარეშე არავითარი პერსპექტივა არ ჰქონია. მაგრამ აი ვერაგე მტერი თავს დაესხა საბჭოთა კვყყანას და მთელი ხალხი ერთსულოვნად აღდგა საყვარელი საშობლოს მიწა-წყლის დასაცავად. პეტრე კვესელავა და იგორ სოკოლოვი უკვე წითელი არმიის რაგებში არიან და მტერს ებრძვიან. პეტრე წითელ არმიამდე მზარეულად არის. მაგრამ ფრონტი და ბრძოლის ნიაბლოვე თავისებურად მოქმედებს პეტრეზე. პეტრე ხედავს, რომ კუწინდელი ზეინკალი, დალატო, კალატოზი გმირულ სასწაულებს ახდენენ. რატომ უნდა ჩამორჩეს ის სხვებს, რატომ მანაც არ უნდა ასახელოს თავისი პროფესია? პეტრე არ არის ნაწარმოების მომჭმელი პირი, მას ერთი მინაწერი წერილით ვეცნობით. მაგრამ მის გმობობას საკმაო სასრულით გრანობთ, გჯერათ მისი გმობობა. მისი წერილი მისი სულის მშვენიერი საყვია. იქ კარგად არის მოკემული ადამიანის თანდათან ზრდა წერილმანი, მაგრამ საინტერესო ნიუნიებით. ავილით გმობობისაკენ გადადგმული მისი პირველი ნაბიჯი. პატრიოტიზმით და გმობად ვახდომის სრულით აღგზნებული პეტრე უფროსთან მიდის და დასაზევად გაშეიბას სიბოვის. შემდეგ თავისი საბრძოლო მოვალეობის შესრულების დროს მას პრავალი სიმინელისა და გაჭირვების დაძლევა უხდება. თავგანწირვით და გაყატური შეუპოვობით აღწევს იგი ნამდვილ გმობობას.

ლიუდმილა სოკოლოვაც ასევე სრულად არის მოკემული. პირველ ხანებში იგი ერთგვარ ნერვიულ დამოკიდებულებას იჩენს მჭარ „მშვიდობიან“ გაწყობილებისადმი, მაგრამ ეს ნერვიულობა მასში თანდათან აღმოიფხვრება შემდეგში, რაცა უფრო აბლო მივა ჩვენს ცხოვრებასთან და უფრო კარგად ვაიცნობს ჩვენს ხალხს. ერთ აზრს-კი სამართლიანად იცავს: ვისაც ცალი თვალით მაინც შეუხედნია უბეშ და განუყოფლავ ფაშისტებისაგან დაწმწვარ ქალაქებისათვის, აფეთქებულ ქარხნებისათვის, დაღუპულ, განადგურებულ ყანებისა და ეენახებისათვის, ვისაც ერთხელ მაინც შეგვედრია ენაბა უდიდესი ტოლები ლტოლვილთა და ევაკოურებულთა, ვისაც უნახავს ნამუსახილი გოგონები, ჩამობრზობილი მოხუცები და სხვ., მხოლოდ მას შეუძლიან იგრძნოს მთელი საშინელება ფაშისტთა ურდოების შემოსევისა, საზარლობა მათი მხეცური საციელისა“.

განსაკუთრებით ძლიერია ნაწარმოების ის ადგილი, სადაც ლიუდმილა პირველად ვაიგებს თავისი შეილის გმობულად დაღუპვას ფრონტზე. არც ერთი ცრემლი, გაქვავებული, გაშრება, შურისძიებით აღივსება, შემდგომში ის თავის მუშაობას აძლიერებს ზურგში, რომ დაიჩქაროს ვერაგე მტრის დამარცხება. ცხოვრობს მხოლოდ გმობული წითელი არმიის ყო-

ველდღიერი გამარჯვებით, რუსი ქალის ეს გვირული ბუნება ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები.

„ქარბუტა“ მშვენიერად გამოქანდაკებული პატარა ეტიუდია. მასში მოხატულია არის ასახული შაკური ბუნების პირობებში უდადესი ნებისყოფის ადამიანის, უძრავს უძრავის, მშობლიური ბელადის **ე. სტალინის** ცხოვრების ერთი ეპიზოდი, მკაცრ გამოქანდაკებობიდან ნაიმის მხარეში, ტიფასა და ტუნდრებში.

8. მისუკი.

აკაკი ბელიაშვილი — პატარა ნოველები

ბამოცემა „მეფერაციისა“

აკაკი ბელიაშვილი ნოველებისა და მხატვრული ნარკვევების ნიჭიერი ოსტატია. სარეცნო ნოველების კრებული ახალ წინსვლას წარმოადგენს მის შემოქმედებაში. ეს ნოველები სამამულო ომის თემებზეა დაწერილი. ისინი ყურადღებას იქცევენ ავტორისათვის დამახასიათებელი თავისუფალი, მსუბუქი და ხალისიანი თხრობით. ამ თვისებათა გამო წიგნი ინტერესით იკითხება.

ნოველა „ემეროსი“ საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტულ აღტყინებას გვიხატავს. საზიზღარი მტერი თავს დაესხა საბჭოთა მიწა-წყალს, საშვობლოს საყვარულმა სურვილით ილაგზნო ვალიკო ქურციკიძე. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არ არის გასაწვევი ასაკისა: მაგრამ დღევანდელ, გულთ და სულით მოწყურებულია მტერს შეებრძოლოს. სწერს განცხადებას მოხალისედ მიღებაზე და მიაქვს სამხედრო კომისარიატში. იქ მას უარს ეღებებიან, როგორც არასრულწლოვანს, რად მას ძალზე აბრაზებს, მაგრამ ბოლოს იგი გზას მიიწევს. მადაროში იწყებს მუშაობას და გვირულ წითელ არმიის ზურგში გვირული შრომით იმაგრებს, რადიო ამცნობს მთელ ქვეყანას: ქურციკიძემ ნამდიელი გვირული თავადდება ვეიცენა, მან ერთი ცვლის განმავლობაში სამასოცდახუთი ტონა, ნახშირი ამოსჭრაო. უფრო მოხდენილი ნაწარმოებია იმავე სამამულო ომის თემაზე დაწერილი „არი თაშარი“, აქაც მოქმედება იწლებს ხალხის უდიდესი პატრიოტული აღტყინების ფონზე. დიდს დამაჯერებლობით და მხატვრული ზომიერებით არის აღწერილი მიტოს აღვზნებული საბრძოლო განწყობილება, მისი საკუთრზე ვაცოდება, თამარისაგან თაიგულით და ორი ობოლი, ცრემლით დაჯიღოცება.

ინტერესით იკითხება „მორიელები“, რომელიც ფაშისტი დამპყრობელთა შეცობას ასახავს. ეს პატარა ნოველა მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს გერმანელთა უმავალითა შეცობას, მათ ყაჩაღურ ბუნებას. ნოველაში განსაკუთრებით ძლიერია ის ადგილი, სადაც გერმანელთა მიერ დასახვრეტად მომზადებულ დედის ბავშვი ისე ჩაპყრია გულში, რომ ვერასვლით ვერ მოუშორებიათ.

ნოველაში „რეზერვისის გაფრენა“ ნაწევნებია გერმანიის ყაჩაღური არმიის კადრების გამოფიტვა.

„ჩიტუნები“ ძლიერი ნოველაა. მასში მშვენიერად არის ასახული ის, თუ რა ამოქმედებთ გერმანიის მძარცველურ ველურ ურდოებს. ფაშისტი მღვრეები თავიანთი ჯარისკაცების წასახლისებლად საბჭოთა ქვეყნის „ჩიტუნებზე“ (ქალიშვილებზე) ნადირობას პირდებიან, მაგრამ სწორედ ეს „ჩიტუნები“ ხდებიან მათი შესაფლავენი. მოქმედება მაინდინარეთის სამამულო ომის ტიპურ გარემოცვაში.

„იბრლები“ ზღვისთან მხატვრულად საინტერესოდ დაწერილი ნაწარმოებია. იქ ფერი და საღებავი ისე მოხდენილად არის შეხვეებული, რომ კარგად იგრძნობა იმერეთი, მისი ბუნება, მისი ხალხი მთელი თავისი უბრალოებით. ამასთან ამ პატარა ნაწარმოებში საუცხოოდ არის ნაჩვენები ქართველი და რუსი ხალხის ურდვევი შეგობრობა, ურთიერთის საყვარელი, პატივისცემა და დედა-სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნება.

9. სალბრინი.

მ. დოღი — „საელზოს ფანჯარიდან“

სახელბამი, 1942 წ.



მარტა დოღი არის ამერიკის წერეთელი შტატების ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილი. მან მამასთან ერთად ხუთი წელი გაატარა ფანჯარის გერმანიაში და ახლო გაეცნო როგორც ფანჯარის რეჟისს, ისე ამ რეჟისის იფიზაკ შესვერებს.

სარეცენზო ბროშურაში დოღი იძლევა მკვეთრ დახასიათებას ფანჯარის ბარბაროსა ხელოვნობის თარგმის შედეგებისას. როგორც ცოცხალი მოწმე, რომელმაც საკუთარი თვითონ ნახა და უშეაღწეველად განიცადა ყოველგვარი დამაჯერებელი მოგვითხრობის იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურეს XX საუკუნის გერმანელმა ბარბაროსებმა საკუთარი ხალხის კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, როგორ მიიყვანეს ოდესღაც ერთ-ერთი მოწინავე ევროპული ქვეყანა ეკონომიკურ და იდეურ-მორალურ გაპარტახებამდე, როგორ მოამზადეს და დაიწყეს ევროპის ქვეყნების დარბევა.

სარეცენზო ბროშურის ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს ფანჯარის ხროვის ხელშეწყობილი ცინაობა. იგი, როგორც უკვე ვსთქვით, პირადად შეხვედრია ყველას, ღრმად დააკვირვებია და საფუძვლიანად შეესწავლია თითოეული მათგანი. ამიტომ მოხდენილად და ზედმიწევნითი სიზუსტით ხატავს „ნაცისტების პორტრეტებს“.

ყველაზე არაბი, უნიკო და უსახო მით შორის, — სწერს დოღი, — არის პიტლერი... გამხდარი, ფერმკრთალი, თითქოს ეძლევა მისკენ მიპყრობილ თვალებს... გამომწვევი თავბუდური გამომეტყველება... შეშლილობისა და მატყურობის გამომეტყველებით. ზედ არ ანია ინტელექტუალური ცხოვრების არავითარი ნიშანწყალი. პიტლერი არა თუ ამაოლტურად უნაყოფოა მოღვაწეობის ყველა დარგში — ლაპარაკიც კი! — არამედ სექსუალურადაც იმპონენტია... სიტყვების ერთადერთი წყაროს მისთვის წარმოადგენს ნგრევის, მკვლელობის, ხანძრების და ყოველგვარი მხეცური ძალადობის წყურვილი.

პერინგი — მრუში, ნარკომანი, კოკაინისტი, შვეციის შეშლილია კლინიკის პაციენტი — შეპრობილია ისეთივე პატივმოყვარეობით, როგორც პიტლერი. განსტავება მათ შორის ისაა, რომ პერინგი მსუნაგი, გარყვნილი და იბორცი ადამიანია: ის არის ყველაზე ბინძური, თავშეუკავებელი და საშიში ადამიანი ნაცისტურ გერმანიაში, რომელმაც ფაქტურად ზღლი ჩიგოდა ყველა სახის ხელისუფლება. — ჩლუნგი, მხეცივით გულცივი და სასტიკი, შურისმძიებელი ადამიანი, რომელსაც გერმანია უბედურებათა და სისხლისღვრების უწყურისაგან მიჰყავს.

ჭებელსი — ნაცისტური მოძრაობის ეგრეთწოდებული იდეოლოგი. მისი დამახასიათებელი თვისებაა — თულიკობა ყოველგვარი ფორმითა და მასშტაბით... მის ატუს ერთხის სახე და ერთხის ტენია... ფიზიკურმა სიმახინჯემ იხსნა ის სამხედრო სამსახურისაგან. მაგრამ ეს სიმახინჯე ასულდგმულებს მის მხეცურ კაცობაზე გრანობებს...

როზენბერგი — ბალტიის ზღარის გერმანელი — რევოლუციამდელი ყაღის შავარზელი, უბადრუკი მკვლამენელი.

რიბენტროპი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასაცილო ფიგურაა ამ გალერეაში... ეს არის სრულად უპროფესიო და გარკვეული ხაჭიანობის არმქონე კაცი, თუ არ ჩავთვლით შამპანური გაჭრობას“.

თი, ფანჯარის ეს საზიზღარი ხროვა, რომელმაც „შესვამა საკუთარი ქვეყანა“, ევროპაში „წესრიგის“ დამყარებას აპირებს (1). მაგრამ დემოკრატიისა და თავისუფლებისმოყვარე ევროპის ხალხები სისხლის სამართლის დამნაშავეებსა და სულით ავადმყოფებს საჭიროს მიუზღავენ.

სარეცენზო წიგნში ავტორი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის შესახებ, სადაც მან ორჯერ იმოგზაურა ფანჯარის გერმანიაში ცხოვრების დროს.

წიგნი საინტერესოდ იკითხება და მკითხველი მისისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან ფანჯარისა ზუნაგის გაცნობის საქმეში.



კაცობრიობის უდიდესი გენიოსი	3
---------------------------------------	---

მხატვრული ლიტერატურა

გლაკტიონი — ლენინი (ლექსი)	9
კარლო კალაძე — შეხვედრები ბრძოლის ველზე (ლექსები)	11
ი. გრიშაშვილი — დაობლებულ ბავშვებისათვის (ლექსი)	17
ი. ლისაშვილი — სიცოცხლისათვის (რომანი)	18
არჩილ ჩაჩიბაია — შეხვედრა (მოთხრობა)	50
პ. პავლენკო — ცხოვრების გზა	63
რთარ ჩხეიძე — გერი (ეტრუდი)	66
იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ლექსები (თარგ. გერმანულიდან ხ. ვარდო- შვილისა)	71
ვანდა ვასილევსკაია — ცისარტყელა (მოთხრობა)	77
ალ. კორნეიჩუკი — ფრონტი (პიესა)	94

აზვლიცისტიკა და ლიტ. ისტორია

გ. ჯიბლაძე — გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში	116
გ. წატროშვილი — „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროები	141

ბიბლიოგრაფია

გ. მებუკე — შალვა დადიანი — „გამარჯვება“	157
გ. სალარიძე — აკაკი ბელიაშვილი — „პატარა ნოველები“	158
ი. გავაშვილაშვილი — შ. დოდი — „საელჩოს თანჯრიდან“	159